ოდ

ლიტერატურული ჟურნალი № 3 (68)
2024



90

ბუსა ჩრეულიშვილი

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

№3,(68), 2024

ი ვ ლ ი ს ი

გამოდის სამ თვეში ერთხელ

„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი
აკაკი დაუშვილი
რედაქტორები
ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი
მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www. nplg. gov. ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ ვებგვერდზე.

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ჟურნალის ეს ნომერი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და „შემოქმედებითი საქართველოს“ ხელშეწყობით

შემოქმედებითი საქართველო
CREATIVE GEORGIA

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

2. ფარნა რაინა. ლექსები

18. როლანდ გიორგაძე. მოთხრობა

29. გიორგი ზუბიტაშვილი. ლექსები

31. აკაკი ბიძინაშვილი. ლექსები

33. მარიამ ძამუკაშვილი. მოთხრობა

41. ნესტან ღამბაშიძე. ლექსები

46. ანა მანოშვილი. ლექსები

დოკუმენტური პროზა

48. ელგუჯა თავბერიძე. „სადაც არ ელი...“ „უწრფელესი ჩივილი“

გავშვებისთვის საკითხავი

52. ნინო მზესელი. ეს ორი ოდესმე შერიგდება? მოთხრობა

თარგმანი

55. ედნა სენტ ვინსენტ მილეი. ლექსი. თარგმნა ნინო ძამუკაშვილმა

ინტერვიუ

56. გიორგი ბუნდოვანი. გიყვარდეთ ქრისტე! პოეზია და ერთმანეთი!

კრიტიკა-პუბლიცისტიკა

61. როინ ჭიკაძე. ფარნა რაინა – მზეკალმოსანი პოეტი

65. იკა ქადაგიძე. სომნამბულური ტრაგედიის კვალდაკვალ

73. ზაალ ბოტკოველი. დიდი

77. ნინო დარბაისელი–სტრონი. „შირის ნაღარა“, კლიფ ჰენგერი და გენერალი ფლოსტებში

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“

გარეკანის პირველ გვერდზე გურამ რჩეულიშვილის პოსტერი. მხატვარი სოფიო ჭელიძე

ფარნა
რაინა

უნდა ავმზევდეთ
სიბრძნით ზეკვადო,
ღმერთმა
სანყისი –
გზათა გვაჩვენა...
უნდა ვეკვადოთ,
უნდა ვეკვადოთ –
მთელი მსოფლიოს
გადასარჩენად!!!..

ფ. რაინა

კატრენები

სანამ, გვიან – იქნება!!!..

მსურს –
პლანეტას მოვფინო
ზარი, –
ძლიერ ქარებად,
ატომური მსოფლიო
საით –
მიექანება?!..

P.S.
გულს
დარდი, რომ –
ავყაროთ,
რომ... არ გავქრეთ –
ფიქრებად,
სჯობს დაფიქრდეს –
სამყარო,
სანამ, გვიან –
იქნება!!!..
8. III. 2024

ვუხმობ და... ვლოკავ!..

მიათასდება:
გრძნობაც,
განცდაც,
ფიქრს ვუხმობ,
როცა, –
მთელი სამყარო –
სიყვარულის,
სიცოცხლის
მზით ღირს...
სულით და გულით,
მთელი არსით
ვუხმობ და...
ვლოცავ,
ვინც მოაშორებს
ჩვენს პლანეტას
ომსა და...
სირცხვილს!..
23. V. 2024

ნატვრა...

ნეტავ, სამყარომ,
ომები რიყოს,
გაქრეს სიკვდილი, –
იოტიც,
მისხლიც*...
და... პლანეტაზე,
საკმარი იყოს:
ცრემლიც,
ვარდებზე დაღვრილი –
სისხლიც,
ყაყაჩოებზე დაღვრილი –
სისხლიც...
12. IV. 2024

***(კუთხ.) მისხალიც.**

სამი სიყოყხლე!..

ვლოცავ სიცოცხლეს,
რაიც –
დარად დის,
ვლოცავ წმინდას და...
მზირალს –
დიადად...
მალაღებს,
მანთებს,
მიყვარს, –
მარადის:
დიდი ილიას
სუნთქვა, –
ტრიადა!...

P.S.
სამი –
სიცოცხლე, –
რაც, სულს მოება:
მამული,
ენა,
სარწმუნოება!..
25. XI. 2023

ისევ და... ისევ, ქართველი ერის მამას – ილიას...

ჩვენი სწრაფვაც და....
სიყვარულიც
დარჩება ამბად,
თვალს, რაიც ვახელ,
სიკეთისთვის –
ვიწვით და...
ვიბრძვით...
თუკი, ითქმება –
ღმერთკაციო, –
ვინმეზე, ალბათ,
ეს, – შენ იქნები,
უცილობლად,
საქმით და...
სიბრძნით...
3. II. 2024

ფარნა რაინა

ნეტავ როდემდე?!..

ავი –
სიავეს, ბოროტებას
წამითაც ვერ თმობს...
და... გულში –
ფიქრი... კაეშანი...
მიღელავს, –
ზღვისებრ...
ნეტავ, როდემდე?! –
სიყვარულის,
სიკეთის ღმერთო,

ძალმომრეობა
რად ზეიმობს –
ისევ...
და...
ისევ?!..
28. IV. 2024

რამდენ ჯოჯოხეთს გაუძლოს – კაცმა?!..

ვერ-რით დამთავრდა:
წამების –
წლები,
ვერ-რით დამთავრდა:
მამულის –
ჯვარცმა...
ვიღვიძებ დარდით...
და...
დარდით –
ვწვები...
რამდენ ჯოჯოხეთს
გაუძლოს –
კაცმა?!..
2. II. 2012

2024!..

ეს, – 2024
მომზევდეს –
წელი,
აზრით და სიბრძნით,
სიკეთისთვის, –
განა – ჯანჯლების?!..
დაე, ეს წელი
იყოს –
დარდის,
ტკივილის
მწველი, –
მშვიდობის,
რწმენის,
სიყვარულის
არა – ქაჯების!!!..
2. I. 2024

სანამ ვიყოთ, დავით, ასე?!..

შეჭირვებულთა
შეჩივლება
დავით
ალმაშენებელთან

ველარ მორჩა –
შინა შუღლი, –
სანამ ვიყოთ,
დავით, ასე?
დავირიეთ,
დავილიეთ
დავმცირდით და...
დავითარსეთ...
დავიფანტეთ,
დავინავსეთ,
ცხელი ცრემლით
თვალი ვავსეთ!!!..
20. V. 2024

რატომ არ ვიყოთ?!..

ჭეშმარიტებას
ვინ ცვლის, ახლა, –
სიცრუით,
თალხით?!..
სიავე,
მტრობა
და... მზაკვრობა
მიზნად, რომ...
დასვეს...
რად არ იციან?! –
ეს სიბრძნე, რომ...
მოსხივობს –
ხალხის:
„დათესავს, ვინც, რას,
უცილობლად,
მოიმკის, –
მასვე...
20. V. 2024

ჩემი მამული...

ეს არის:
ჩემი მიწა, –
მამული,
სვავთა, –
მზაკვრულთა –
ავი ნერგებით...
მტრებით, –
ხილულით...
მტრებით, –
მალულით,
სავსე, –
წყალქვეშა –
აისბერგებით...
13. V. 2024

ღირსება...

ღირსების მადლით, –
მზისებრ ვივსებით,
ღირსება ჩვენი
გზას მისცემს –
მერმისს...
თუ, რამით ვცოცხლობთ,
ვცოცხლობთ ღირსებით,
უკვდავებაა ღირსება, –
ერის...
19. V. 2024

ქართული ლექსი...

სიცოცხლის წყაროდ, –
სიყვარულით,
ბედად გვიწნავს მზე,
ვითარცა – ზარი, –
უკვდავების,
სხივებით რეკს ის...
ვიცი, –
ამ მზის დარ,
ასხივდება –
დედამიწაზე, –
სიდიადეც და...
სილაჟვარდეც –
ქართული ლექსის...
27. XII. 2023

ნეტავ, როდის?!..

დრო, რაც დადგა:
ჩვენი ყოფნის –
დაბუნდების,
ფიქრით,
დარდით,
რამდენ ღამეს
ვათენებო...
ნეტავ... ნეტავ...
ნეტავ, როდის
დაბრუნდებით –
საბუდრიდან გაფანტულო
ქართველებო?!..
26. V. 2024

ლექსი ჩემშია...

ინტერპრეტაცია

ვერ ნახავთ ჩემში
აზრის
ელამ მთას,
სტრიქონ და... სტრიქონ,
იწყებს
მზე შრიალს...
არის ციალი
სიბრძნის
ელვათა,
„მე ვარ
ლექსში და...
ლექსი
ჩემშია“...
21. XII. 2023

ავაჰმე, ლექსო, ქართულო!..

რად გინდა:
ხლართო,
ართულო?! –
ძნა, თუ, არ ვარგა,
არც – ულო?!..
ავაჰმე, ლექსო, –
ქართულო,
ნატანჯ-ნაგვემო,
ჯვარცმულო...
11. I. 2024

მწერალი

ზოგ-ზოგის გასაგონად

ეს, – მწერალია, –
მზეებრ, რომ –
გვინათს, –
გზით –
უნათლესით,
ზესულით, –
წმინდის...
ჯვარს აცვამს, –
როსმე,
მწერლობას,
ვინაც,
კლავს იგი:
სიბრძნეს
ღირსებას,
სინდისს...
24. IV. 2024

მოძღვარი – ერის...

გარეშე – სიბრძნის,
სიმართლემ –
იკლო...
სიბნელე ხოა:
სინათლის –
მტერი?..
რად არ იციან –
კიკომ და...
წიკომ?! –
რომ... მწერალია –
მოძღვარი, –
ერის...
3. IX. 2023

მწერლობა...

გულთა ყინული
სიყვარულით
და... სიბრძნით
მოდნა...
თქვით, – ვინ ამოხსნა
კოსმიური სამყაროს
კვანძი?!..
მწერლობა გახლავთ
სულის –
სანყის – სასრულის
ცოდნა,
მწერლობა არის
შემოქმედი, –
ღირსების
განძის...

P.S.
ამ განძის ფასი
ვინც არ იცის,
ქარია,
მტვერი, –
სიცოცხლის,
სიბრძნის,
სიყვარულის
და...
სულის
მტერი...
21. I. 2024

რამდენი დაშვრა: ფუჭად, ამაოდ?!..

ხან, ხოა –
მხოლოდ,
სიტყვების გროვა?!..
ჯვარზე ცმა –
კალმის...
და... მთქმელი
არც რის?!..
არაფრით –
აზრის მზე,
ვითარ მოვა?! –
ქექვაა, როცა:
მტვრისა და...
ნაცრის?!..
18. XII. 2023

ასე მგონია...

ხან, მარტივია –
განცდა,
ხან, – რთული...
ხან, დაბლობია
და... ხან –
მწვერვალი...
ასე მგონია:
ლექსის, –
ქართულის,
ზოგი –
მწერია,
ზოგი –
მწერალი...

P.S.
ვინ, არარაის –
დარით, –
დართულით,
და... ვინ –
ცხოვრების სიბრძნის
წერს, – თვალით...
11. I. 2024

მწამს და... მიყვარს...

გზა მიყვარს, –
თუკი,
უფლის გზას მიჰყვა,
მწამს ზესვლაც,
როცა –
მზიურ მომელის...
შეუცნობელის
შეცნობა მიყვარს,
მიწვდომა, –
მიწყივ, –
მიუწვდომელის...
23. IV. 2024

ისევ მნერლობა...

მწერლობა ვინ თქვა –
ტაბლად?!..
ჯვარცმაა, –
დიდზეც დიდი...
მდუღარე კუპრი –
დაბლა,
მაღლა კი –
ბენვის ხიდი...
28. XII. 2023

ლექსად დამდნარი...

გულს, რომ მიკოცნის:
ციდან – მზე, – ცხარე,
მიყვარს სიცოცხლე, –
ამ მზის – სადარი...
ვარ:
ერთი, ვინმე, –
თუში, მეცხვარე,
ლექსად დამწვარი,
ლექსად დამდნარი...
4. V. 2024

მზეო!..

მზეო!.. რაიც –
მოგეც გული,
ბედი აღარ
მწყრალობს...
შენ ხარ, ჩემი, –
პოეტური,
სიდიადის –
წყარო...
3. V. 2024

დრო და... ცხოვრება...

დრო – მზით,
რომელმა
გალია? –
ბოლომდი... ლხინით, –
ნეტარით?!..
დროა – ხან, –
ვითარ –
გალია,
დარდით სიცოცხლის
მკვნეტარი...

P.S.
მეფურ:
მიწაზე – ლომია,
თაგვი – მიწაში:
მძრომი...
ცხოვრება –
ზოგჯერ, ომია, –
კართაგენის და
რომის...
4. X. 2009

ვერ ვმალავ – რისხვას...

რამდენჯერ, –
უნდა ვიდინოთ –
მტვერი?!..
რამდენჯერ მითქვამს:
ვინ – სხვა და...
რის – სხვა?!..
ჩვენ,
ჩვენი თავის,
ჩვენა ვართ –
მტერი,
ეს დარდი მკლავს და...
ვერ ვმალავ –
რისხვას...
15. VIII. 2008

თელავი...

თელავი არის –
პარნასი, – მუზის,
მზის,
სიყვარულის –
მედინა,
მექა...
აქ, ყველას,
სულში –
ბულბული უზის,
უნდათ:
სიცოცხლეს –
სიმღერა ერქვას...
9. III. 2024

სულ, სხვა, ხიბლი აქვს – თელავს!..

ოცნებით,
სად არ –
მივქრი?!..
მთელ, –
სამყაროს გზებს
ვთელავ...
ყველგან,
ყველგან ვარ, –
ფიქრით,
სულ, სხვა,
ხიბლი აქვს –
თელავს!..
15. III. 2024

გთხოვ, მაპატიო...

ვინ, სიდიადე –
სულის, გულის,
გააშაურა?!..
ვისთვის მზე –
სხივთა სიდიადით,
განა კისკასობს?!..
თუ, –
სიყვარული ჩამეთვლება –
დანაშაულად,
გთხოვ, –
შემინდო და...
მაპატიო,
ჩემო ძვირფასო...
14. IV. 2024

ვინ იცის?!..

დროს –
რატომ კლავენ, –
მზესავით ნეტარს?!..
ხან, რომ... ახლოა...
და... ხან კი –
შორი?!..
რა მანძილია,
ვინ იცის, ნეტავ,
სიყვარულსა და...
სიძულვილს
შორის?!..
8. IV. 2024

ბოლოს და...
ბოლოს –
სანამ?!..

ქვეყანას იკლებს,
რამდენი –
ვნებით?!..
სავსეა –
გესლით,
შხამით და
ცოფით?!..
ბოლოს და...
ბოლოს, –
ხროვაში –
მგლების,
ჰაერში
სანამ ვისროლოთ –
თოფი?!..
26. IV. 2024

ვიცი...

გულში ტკივილს
გულცივები
მგვრიან,
ვინ კი... მლოცავს, –
ვინ – მიწით და...
ვინ – ცით?..
ვიცი,
ვინაც მიხვდებიან, –
გვიან,
სინანულის
ცეცხლი დაწვავთ, –
ვიცი...
19. IV. 2024

მწამს...

თითქოს, –
გზას ასცდა
დროც და... მეეტლეც,
დარდი, გულიდან,
როგორ –
ავყარო?!..
თითქოს,
აზრს კარგავს –
ოცდამეერთეც?!..
თითქოს, –
უკუღმა ბრუნავს –
სამყარო?!..

P.S.
მწამს, –
დრო მსაჯული
მოვა მზის მტრების –
გაუმჭვირვალე
გლობალისტების...
12. V. 2024

ვის სურს
მოგაჭრას –
უფლის მარჯვენა?!

სიკეთის სიმბოლოს, –
ბიძინა ივანიშვილს

მაგონებ – ლაჟვარდს,
სხივ – მზით
მდიდარ ცას,
შენმა, კეთილმა,
საქმემ გვაჩვენა...
და... არსაკიძეს,
ღვთიურს,
ვითარცა,
ვის სურს
მოგაჭრას –
უფლის მარჯვენა?!..
21. V. 2024

თვით გადარჩენის –
თავიცა... და...
ბოლოცა...

მამული როა –
ჯვარცმით,
მკვნესარი,
დრო, – უმტრესი,
რომ –
გვრიყავს და...
ბოლობს...
ჩვენ დავიყუდნოთ –
თავი, –
ეს არი:
თვითგადარჩენის –
თავიც... და...
ბოლოც...
19. I. 2024

ყოველდღე ვკვდები...

ტკივილი მინგრევს:
გულს... გულის –
ფიცარს,
რომ ვხედავ მამულს:
ნაგვემს და...
ნამუსრს...
ყოველდღე ვკვდები,
რომ... ვხედავ,
ვფიცავ, –
ფულზე გაყიდულ:
სინდისს და...
ნამუსს...
25. IX. 2008

ომი...

ვამბობ და... ვიტყვი –
ათასჯერ, –
წყრომით,
ავად იმღვრევა –
მსოფლიოც,
დროცა...
მეტს,
რას დაგვმართებს, –
გარედან –
ომი?!..
შინა: შუღლი და...
ომი გვაქვს, –
როცა?!..

P.S.
გზებს გვირევს
ზოგი –
სიცრუის
ბოდვით,
ცხოვრებაც, იმად, –
ჯახირობს,
ქუფრობს...
თუ, რამ დაგვღუპა –
უფრორე,
ოდით,
შინაომებმა დაგვღუპა, –
უფრო...
12. V. 2024

როცა... გულში,
საქართველო
მტკივა...

დარდის ზღვაში ვცურავ, –
ლამის,
დავიძირო,
ვერ ვიცილებ ფიქრებს, –
განცდით
მკივანს...
სასთუმალზე –
მშვიდად,
როგორ
დავიძინო?!..

როცა... გულში,
საქართველო
მტკივა...
9. XII. 2023

სურვილი...

ხან, ვღელავ, –
ეგზომ,
ფიქრით, განცდით,
მშფოთვარე ზღვისებრ,
და... მზე მიკოცნის –
აზრის თვალებს, –
ნატვრით
ნამულის...
მინდა –
უფალთან,
ზენაართან,
წავიდე ისე,
არ მქონდეს ვალი:
სიყვარულის,
ცის... და...
მამულის...
8. XII. 2023

განა მძინავს?!..

მიწყივ, –
მზემ ღამე –
განაწვინა...
მე ღამეს –
ფიქრით
ვიქრობ...
რაც დავიბადე,
განა მძინავს?!..
საქართველოზე
ვფიქრობ!..
5. V. 2024

ძნელია ძნელზეც...

ეს სიბრძნე მოდის, –
ძველზედაც,
ძველი,
ცხოვრება, როცა –
ფუჭია,
ფარსი...
ძნელია, –
ძნელზეც უფრორე –
ძნელი,
ფასს სულის,
როცა:
არა აქვს –
ფასი...
2. II. 2024

ეს იცოდე

ვინაც მოჭრა
სიყვარულის
ძელქვა,
სიძულვილით
აიდინა მტვერი...
სხვას –
როცა მტრობ,
ეს იცოდე
ჩემგან:
მაშინა ხარ –
შენი თავის
მტერი...

P.S.1.
რა რისხვითაც
გინდა –
ხმა რომ
სჭექო,
იმავ რისხვით
დაბრუნდება
ექოც...

P.S.2.
კიდევ,
ერთხელ,
აზრს გიტოვებ
ნერგად, –
ვინც ხარ,
რაც ხარ, –
ჭკვიანი, თუ
შტერი,
როცა –
სხვას მტრობ,
ეს იცოდე
ჩემგან:
მაშინა ხარ –
შენი თავის
მტერი...
18. I. 2010

უსულგულობა მკლავს...

ხან, –
გულში დგება –
ღამე,
დარდი გადამხვევს –
მკლავს...
როდესმე, –
თუ, მკლავს –
რამე,
უსულგულობა
მკლავს...
22. I. 2024

აი, ეს არი – დემოკრატია...

ზოგ-ზოგი –
ასე მსჯელობს
პარტია,
უცხო ფული, რომ...
შემოგრანტვია,
ტანზე, რომ ირგებს
სხვათა –
მანტიას,
აი, ეს არი –
დემოკრატია...
4. IV. 2024

პლუტოკრატია...*

სიმართლეს ვინღა
ღაღადებს?!..
რამდენი –
უცხო კვანტია?!..**
დემოკრატია –
ქაღალდზე...
საქმით კი –
პლუტოკრატია?!..
13. V. 2009

***ქვეყანა, რომელსაც მართავს მდიდარი, მცირერიცხოვანი, გაბატონებული ჯგუფი...**
****(კუთხ.) სარმა.**

უწინარეს...

მზის ელვარება
თუ, მოვნათლეთ –
ღამედ და...
ბინდად,
დადგება დრო და...
სინანულით,
თავში ქვას
ვირტყამთ...
თუ ვფიქრობ, რამეს,
უწინარეს,
და... თუ, რამ,
მინდა,
უფლის სასწორზე
მსურს ვწონიდე –
საქმეს და...
სიტყვას...
20. XII. 2023

ზოგი... და... ზოგი...

რად?! –
რატომ იყო:
ავი?!..
ავსული?!..
რად გყავდეს
ქაჯნი –
ძმებად და...
დებად?!..
მზესავით ცოცხლობს –
ზოგი, –
წარსულით...
მაგრამ... რამდენი,
წარსულით –
კვდება...
22. XI. 2023

მზისებრ, ძალიან...

მე –
სიკვდილისთვის,
არა მცალია, –
გულის მზით –
გულის ყინულებს
ვალხობ...
მიყვარხარ –
მზისებრ,
ეგზომ,
ძალიან,
სიყვარულისთვის დასჯილო,
ხალხო...
8. III. 2024

არვინ იქნება – ჩვენი მომრევი...

ინტერპრეტაცია
შოთა ნიშნიანიძის

როდემდე ვიყოთ
სათელი –
მტერთა?!..
ტრიალებს –
დიდი დარდის
მორევი...
ყველა ქართველი,
რომ ვიყოთ –
ერთად,
არვინ იქნება
ჩვენი –
მომრევი...
5. III. 2024

ამერიკა...*

სჯობს დაიბრუნოს
ამერიკამ –
ყოფნა, – კრიალა,
სიბრძნის,
სიქველის,
სიდიადის –
მზით თუ, ივსების...
დაპყრობით,
ძარცვით,
დამონებით,
ხვეჭით კი არა,
თავისუფლებით,
დაფასებით –
სხვათა ღირსების...

P.S.
ეს არის სიბრძნე...
და... მე, სიბრძნის,
ყოველთვის,
მწამს – ზვრის, –
დიადი –
ფიქრის,
გრძნობის,
განცდის,
დიადი –
აზრის...
27. XI. 2023

***„ამერიკამ ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს, არა ძალმომრეობით და სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევით, არამედ, საკუთარი ქვეყნის აღორძინებით და... ხალხის კეთილდღეობის ამაღლებით“... დონალდ ტრამპი – აშშ ყოფილი და მომავალი პრეზიდენტი.**

ვწუხვარ

ლექსის –
ცეცხლი და...
ვულკანი
მეგზნო,
თუმც, –
ზეცას მისწვდა
ამ გულის
ფეთქვა...
იმაზე ვწუხვარ
და... ვწუხვარ –
ეგზომ,
თუ, ვერ ვთქვი –
მზისებრ,
რაც უნდა
მეთქვა...
12. III. 2024

ძნელზეც ძნელია, – ერთობ...

სიცოცხლე –
ძნელზე ძნელია, –
ერთობ,
დრო არის როცა:
წამების,
ტანჯვის...
შევასმენ, ვითარ?!..
რა ვუთხრა,
ღმერთო?!..
სიკეთისათვის,
მზეს, ვინაც –
დასჯის?!..
06. IV. 2024

თავს არ მივცემდი – სიცოცხლის ნებას...

წევრია, ვინაც –
ორფეხა ჯოგის, –
სიკეთე,
მხოლოდ, თავისთვის,
ნებავს...
რომ ვიყო,
ვითარ –
ზოგი... და... ზოგი,
თავს
არ მივცემდი –
სიცოცხლის
ნებას...
27. IV. 2024

სიბრძნეთა სიბრძნე...

თუ, გნებავს მოხდა –
ღირსების
ვალის,

სიბრძნის სიკეთით
სიკეთეს –
მკიდე,
თუ, საჭიროა, –
დახუჭე –
თვალი,
თუ, საჭიროა, –
დამუნჯდი
კიდეც...
25. IV. 2024

დრო შეაჩვენებს

დრო შეაჩვენებს
ყველა გულშავს,
მოსთხოვს –
დროც, – ხვალის...
ვაი – მას, ვისაც:
არ აქვს გული,
არ აქვს –
თვალები...
მიწაზე, ვინაც,
დადის, მხოლოდ,
ხვეჭით ცოცხალი,
ვინაც –
სიკეთის,
სიყვარულის,
წავა –
ვალებით...
13. IV. 2024

უფრორე, – მეტად...

სიავე, რამდენს,
ესხმება –
რეტად,
სიბრძნე აქვს –
ცოტას, –
სხივად ნათალი,
ახლოა ღმერთთან
უფრორე, –
მეტად –
სულით,
სიტყვით და...
საქმით მართალი...
17. IV. 2024

ყოველთვის...

თავის ბედს
თავით,
თუ, თვითონ –
მართავ,
ხამს გქონდეს
სიბრძნის –
მზისებრ,
ცხრა თვალი...
ღმერთთან,
ხალხთან და...
საკუთარ –
თავთან,
ყოველთვის,
უნდა იყო –
მართალი...
22. IV. 2024

რად?!.. რატომ გვიკვირს?!..

რად?!.. რატომ
გვიკვირს?! –
დღეს, მამული
რომ აღარ
ჰყვავის?!..
მზე, რომ არ ჩანს და...
დაფარულა მიდამო –
ნისლით...
საქვეყნო სკამზე,
რომ ვასკუპებთ
ბახალას, –
ყვავის,
აზრიც და საქმეც, –
ყველაფერი,
მსგავსია –
მისი...

P.S.
როდის გვასხურებს
სიბრძნისა და
სიკეთის
ცა – ნამს?!..
გაიწელება ჯოჯოხეთი,
ნეტავი,
სანამ?!..
20. VIII. 2008

მტვერი...

ხან, ხომ, ხდება –
საოცრება, –
გასაშტერო,
რომ გაოცდეს:
შიგნით –
ერი,
გარეთ –
მტერი?!..
როგორც უნდა,
და...
რაც უნდა –
აამტვერონ,
მტვერი, მაინც,
ისევ, ისე,
რჩება –
მტვერი...
23. XI. 2023

ძნელზე ძნელი...

ძნელია დროის
ავად ტრიალი,
ასჯერ დავმარხეთ –
ასი ოცნება...
ძნელზე ძნელია –
ღამის რიალი,
შენ, –
მზედ ასხივო –
პატიოსნება...
12. IV. 2024

თუკი გაქვს – ფული...

ароდეს,
არ – რით,
არ იტვირთო –
საქმე
სახვანჯო,
თუ, გინდა გქონდეს –
სულიც,
გულიც,
მზისებრ, –
კრიალა,
თუკი გაქვს –
ფული,
სიყვარულში უნდა
დახარჯო,
სიბოროტისთვის,
სიავისთვის
სუნთქვით
კი არა?!..
19. XII. 2023

ნატვრა...

დრომ –
შუღლი, მტრობა,
ნეტავ,
გარიყოს,
ღიმილს ვხედავდე –
ირგვლივ, –

მოფენილს...
რომ... საქართველო,
არ – რით,
არ იყოს, –
პოტიომკინის
ზეცრუ –
სოფელი...
18. XII. 2023

ტკივილი...

დროს, –
ვერ – რით ვიტანთ:
აშარს და...
მკივანს,
როდია ჭამა –
ტკბილი
მოცხარის?!..
რამდენს –
წასული მშობლები
სტკივა,
მაგრამ...
ზოგს, თურმე,
სტკივა –
ცოცხალი...
19. XII. 2023

სად არი?!..

სიბრძნეთა სიბრძნე
სად არი?!..
ვინ ფიქრობს –
უფლის
დარადა?!..
მზე აგვისხივოს, –
სადარი,
რომ... დარდი ვიგრძნოთ –
დარადა...
23. XII. 2023

მზე, – თეკლე ბაბო*...

როდი ვიცოდი, –
ვინ მშობა,
რამ მშობა,
იმ წლებზე –
სხვა სხივით,
სხვა ხიბლით
ვამბობ...
კომბოსტოს ფოთლებში
დამრჩა –
ბავშვობა,
სამყაროს მერჩია:
მზე, – თეკლე
ბაბო...
24. XII. 2023

***მამაჩემის დედა, რომელმაც, შვილი, მთელ თუშეთში ცნობილი, სიკეთისა და სიყვარულის სიმბოლო, სამამულო ომში დაკარგა, მისი სიყვარული ჩემზე გადმოიტანა და... ვუყვარდი სიცოცხლეზე მეტად...**

ხომ, ხდება – ისე?!..

სიცოცხლე მზეობს, –
კისკასობს,
აზრს, როცა –
ვწონით,
ვუვლით... ვსხლავთ...
ხან, –
რატომ ხდება,
ძვირფასო,
ენა – სხვას ამბობს,
გული – სხვას?!..
23. I. 2024

ბავშვები...

ვარ ბედნიერი –
ამ შვებით, –
დარდი, რომ მიჰქრის –
ქარად...
გულს მილხენს –
ცელქი
ბავშვები,
ოღონდ, ქაჯები –
არა...
7. I. 2024

კალიგულა...

ეს, – სატანის
ალი – გულად, –
ბნელზეც ბნელი –
კალიგულა...
სიკეთის მზედ,
რომ... არ ელავს,
მე ვერ ჩავთვლი –
რომაელად...
29. II. 2024

ვისთვის, რა არის – ბედნიერება?!..

ხან, –
ბედს ვერევით,
მაგრამ... ზოგჯერ,
ბედი გვერევა...
არის –
სინათლეც...
და... სიბნელეც, –
ვინ, რით –
ივსება?!..
ვისთვის –
რა არის, ცხოვრებაში,
ბედნიერება?! –
ფული,
განძი, თუ –
სიქველე და...
მზისებრ,
ღირსება?!..
30. III. 2024

შეგონება...

სული, რომ გქონდეს –
მზისებრ, –
კრიალა,
სიბრძნით
სიკეთის მადლის
მწირველი,
განძით,
სავარძლით,
ჩინით
კი არა,
უნდა:
ღირსებით იყო –
პირველი...
30. IV. 2024

მართალი სიტყვა...

მე მწამს: ცხოვრება, –
წრფელი,
ალალი,
სიკეთით, როცა –
უფლის გზას მიჰყვა,
არ ისმის, როცა –
ვიში,
ვალალი,
და...
სიტყვა არის –
მართალი სიტყვა...
20. III. 2024

ჭკუამოკლეა – ცხოვრებაში, – ვხედავთ, რამდენი?!..

რატომ დახვდება –
წინ, ზოგს, საქმე –
ცრემლის
დამდენი?!..
უჭკუო თავი
რაისთვის აქვს
სახლელი –
ქვათა?!..
ჭკუამოკლეა –
ცხოვრებაში, –
ვხედავთ,
რამდენი?!..
დღეს, ვინც,
კვერცხს ირჩევს,
ვიდრე, ხვალის –
კვერცხმდებელ
ქათამს...
24. III. 2024

სულით და... გულით მდიდარი – მიყვარს...

ოდით, –
ვისთვის, რა, არის –
იარა?..
ვინ, ვის სიკეთის
მზემცნებას –
მიჰყვა?!..
ხვეჭით,
ფულით და...
განძით
კი არა,
სულით და...
გულით მდიდარი –
მიყვარს...
2. III. 2024

უფრო, მეტად...

ბედნიერია –
სიყვარულის ფიალას,
ვინც სვამს,
ვინც არის:
სიბრძნით
და... ღირსებით –
ნადავლიანი...
მიყვარს ლაჟვარდში:
სიცილიც და...
კისკისიც –
მზისა,
მაგრამ... მიწაზე,
უფრო, მეტად –
ადამიანის...
10. I. 2024

ყველამ, ღმერთივით, ჩავიხედოთ – საკუთარ გულში...

დღეს, –
სულ, სხვა არის –
ეს პლანეტა,
რაც იყო –
გუშინ...
რა ვქნათ?! –
სამყაროს:
შუღლის,
ცეცხლის,
დარდის –
წვიმაში?!..
ყველამ, ღმერთივით,
ჩავიხედოთ –
საკუთარ,
გულში, –
ვინა ვართ?..
რა ვართ?
ერის,
ქვეყნის,
ხალხის –
წინაშე?..
25. XI. 2023

სიკვდილზეც მეტი...

ცხოვრება, ვისთვის:
მაისობს,
მარტობს,
ვინ კვდება –
ერთხელ,
ვისთვის –
რვა არი?!..
ვინც თავზე ფიქრობს, –
მოკვდავი, –
მარტო,
სიკვდილზეც მეტი, –
უფრო,
რა არი?!..
3. III. 2024

ზოგჯერ...

სიკვდილთან, როცა –
გვიწევს ჭიდილი,
ხომ არის:
ვაიც,
ვიშიც და...
უმეც?!..
ბრძენთაგან თქმულა:
ზოგჯერ,
სიკვდილი,
დასაწყისია სიცოცხლის, –
თურმე...
13. I. 2024

სიკვდილისთვისაც არის – სასჯელი...

ვის ხვდება
აზრის შიმშილი და...
ვის მზის –
ხმიადი?!..
წუთისოფელიც
ხან, დის –
ზევსურ,
ხან, ცრუ –
კინკილით...
ხომ ამაყობდნენ
ელინები –
სულით, –
დიადით,
მათ მიუსაჯეს
ბრძენ სოკრატეს –
ციხეც,
სიკვდილიც...

P.S.
ხან, უფალია,
ხან, სატანა,
საქმის –
განმსჯელი...
სიკეთისთვისაც –
არის, თურმე,
ზოგჯერ, –
სასჯელი...
15. I. 2024

დრო...

დრო, ბოლოს, –
თავის სახრეს –
მიმოგვცხებს...
და... მაინც –

გვიყვარს...
და... მაინც –
ვლოცავთ...
რა ბედნიერი დროა –
სიცოცხლე, –
მარადიული გვგონია,
როცა...
10. I. 2024

ნუთუ?!..

ვდევნე –
ათასი დარდი, –
ხიზანი,
ზესიყვარულის –
ვჩემობ ალალთა...
ვერ აღვასრულე –
ნუთუ,
მიზანი?!..
და...
ბეწვის ხიდზე –
შემომაღამდა?!..
21. IV. 2024

ვინ – საქართველო ფულზე გაყიდა...

დრო მოვა:
წყრომის,
რისხვის მთოველი, –
დღესვე გრძნობს,
ამას ამბობს –
ყაყიტაც...
სწამს:
ჯოჯოხეთის –
ცეცხლი მოელის,
ვინც, –
საქართველო
ფულზე –
გაყიდა...
28. III. 2024

რამდენი, უფალო?!..

რამდენი ბოგინობს:
სიცრუის დამდენი?! –
ცრუ სიტყვა,
ცრუ კოშკი,
ცრუ სრა და...
ცრუ ვილა?!..
რამდენი, უფალო,
ცა – მზის ქვეშ,
რამდენი?! –
ვითარცა ცოცხალი,
ითვლება –
ტყუილად?!..
3. IV. 2024

მძულან, – ძალიან...

მიწაზე, რაიც –
სიცოცხლე უფლობს
ათას ჯოჯოხეთს
არ – რით მოვნებდით...
მძულან, –
ძალიან,
სიკვდილზეც უფრო,
ფულის – ყმები და...
ფულის – მონები...
9. V. 2024

არჩევანი...

მზესულიაო –
უუმზესი, –
წინაპარს უთქვამს,
სხვათა სიკეთე
უჩანს, ვისაც,
სიცოცხლის –
დარად...
სულის: მზეობას,
სიდიადეს,
შევწირავ სუნთქვას,
ოდენ, პიროვნულ,
განძს და დოვლათს –
არა... და...
არა!!!..
29. III. 2024

რწმენაც, იმედიც!..

მაქვს რწმენა –
ხვალის...
და... მე მწამს –
ხვალის...
და... ხომ მაქვს
პოეტს –
რწმენის უფლება?..
იმედი ხვალის
მე მაძლევს –
ხალისს, –
აღარ დაბრმავდეს –
ხელისუფლება!..
14. IV. 2024

აპრილი მიყვარს

მზე მიწას, როცა –
კოცნით
დალოცავს...
და... მეც პირს ვიბან,
როცა –
თბილი მზით,
აპრილი მიყვარს, –
რაღაც,
საოცრად,
აპრილი მიყვარს, –
რაღაც,
თილისმით...

P.S.
მიყვარს სიცოცხლე, –
მრავალწერტილით,
ირგვლივ,
ყვავილად –
გადაპენტილი...
5. IV. 2024

ხან...

ხან, გასაცნობად,
დგას: წელთა –
რიგი...
უკუღმართია, ხან –
ხედვაც,
დროცა...
ვერ დაინახავს
სულის მზეს –
იგი,
გონის თვალებით
ბრმა არის, –
როცა...
24. XII. 2023

როგორ ვინამო?!...

ხან, – შინამტერი
მეტი არის –
ათასჯერ,
მტერთა,
ეს –
იცის ზეცამ,
იცის მზემ და...
იცის მიწამო...
ხან, –
გვაძალებენ,
რომ...
სატანა ვიწამოთ –
ღმერთად...
სატანა – ღმერთად,

ეშმა – ღმერთად,
როგორ ვიწამო?!..
9. I. 2009

სიკვდილს დავლოცავ...

ძირს – მიწავ,
მაღლა – მზეო,
მრგვალო ცავ,
სიცოცხლეს ვლოცავ, –
ნათლის
სვეტიანს...
მე, იმ, სიკვდილსაც
გულით
დავლოცავ,
ხან, –
სიცოცხლეზეც,
როცა –
მეტია...
25. XII. 2023

ბედნიერება რა არის – მეტი?..

ვის, –
ტახტით... განძით,
ესხმება –
რეტი,
ხდება:
სატანა:
ქაჯი,
ავსული...
ბედნიერება
რა არის –
მეტი? –
მზეობ, როდესაც,
შენი –
წარსულით...
7. XII. 2023

უნდა გათვალო

უნდა ამოხსნა, –
აზრის –
ხვიარა,
რომ... არ დაიწვა
გონის –
ცხრა თვალო
სიცოცხლე,
რომ არ გექცეს –
იარად,
რას, რა მოყვება,
უნდა –
გათვალო...
27. X. 2023

ერთხელ, ხომ, მაინც, დაფიქრდე, – უნდა?!..

წუთისოფელი –
ხან, თუ, წაღმა,
უკუღმაც ბრუნდა,
ვინ – ტკივილია, –
ცხოვრებისა...
და... ვინ კი –
მშვენი...
ერთხელ, ხომ, მაინც,
სანამ წახვალ,
დაფიქრდე უნდა, –
ვინ ხარ... და...
რა ჰქმენ –
სიკეთისთვის?
სიცოცხლით, –
შენი?!...
7. IV. 2024

სიყოყხლეს მინვავს...

გულში მინთია –
ფიქრ – ცეცხლი და...
სიცოცხლეს –
მიწვავს,
აზრის ცა
რატომ იფარება,
ზოგჯერ,
წყვდიადით?!..
მზისდარს,
როდესაც მივაბრძანებთ –
დალოცვილ
მიწას,
მერეღა ვიტყვით:
რომ... მზე იყო, –
მზისებრ,
დიადი...
16. III. 2024

„ხაბარდა"!!!..*

ვინ მოდის –
მტრულად,
უნდა ვუთხრათ:
აბა,
„ხაბარდა"!!!..
ვერ – რით იყიდის
ქართულ სულებს –
დოვლათ მფლობელი...
დიდი ხანია –
წარსულს, უკვე,
რაიც
ჩაბარდა:
ყმა და ბატონი,
მონაცა და...
მონათმფლობელიც...
19. III. 2024

***უცხო სიტყვაა (არაბ.სპ) და ქართულ მეტყველებაში იხმარება, როგორც – შეძახილი, ჩამოდექი, გადადექი გზიდან.**

აქცია, თუ – ვანდალიზმი?!..

ნგრევა... მტვრევა...
მსხვრევა, – ირგვლივ,
რის წადილი?!..
ან, რა მიზნის?!..
აღარ ვიცი, –
რაა – იგი?!..
აქცია, თუ –
ვანდალიზმი?!..
7. V. 2024

დავლოცავ!..

რევაზ მიშველაძეს

ზესიტყვის ტახტზე
მეფურად, რომ ზის...
და... სადღეგრძელოც
ყანწებით, რომ ვსვი,
ვინც არის ზევსი –
ქართული პროზის,
დავლოცავ –
მზით და...
დიდებით მოსილს!..
8. IV. 2024

იყოდე უნდა...

ცხოვრება, –
ხან, ხომ:
უნდოა,
თარსი,
ხან, ნეტარება,

ხან, ცეცხლი,
ქარი...
იცოდე უნდა:
ავ-კარგის –
არსი,
არ გადახვიდე –
რუბიკონს, –
არ – სით...
12. I. 2024

გლოვაა
პოეტის სიმღერა...

მზეგული
ტკივილით მიღელავს,
სიცოცხლის დავკარგე –
ხალისი...
გლოვაა –
პოეტის სიმღერა...
და... თითქოს,
ცეცხლი და...
ალი ვსვი...
12. VIII. 2008

პარადოქსი...

გზა, ზოგჯერ,
მზისთვის –
ერთიც არაა,
კუნაპეტისთვის –
თურმე,
რვა არი?!..
თქვით, –
ოქროს საჭეც,
მაშინ,
რა არი?! –
მძღოლი, თვალებით,
თუკი –
ბრმა არი?!..
3. IV. 2024

ზოგჯერ...

დაგვყვება, ზოგჯერ,
ტკივილი, –
სვედ... და...
შევრჩებით ფიქრებს,
როგორც –
ეული...
ვეღარ ვიშორებთ
გულიდან –
სევდას,
სხვაგან ვართ –
სულით,
სხვაგან –
სხეულით...
9. III. 2024

გაზაფხული
მოდის!..

სჩქეფს სიცოცხლე –
მოლის... ღელის,
დროა, – ყვავილთ –
მოდის...
გაზაფხული –
მოიმღერის!..
გაზაფხული –
მოდის!..
10. III. 2024

ვითარ –
დანდაკას ტყეებში
რამა...

ვართ დამეხილნი, –
სორო გვაქვს
სახლად,
თავზარი დაგვცა
მწერლობას,
რამაც...
წაგვართვეს სრა და...
თავებს ვგრძნობთ,
ახლა,
ვითარ, –
დანდაკას ტყეებში* –
რამა...
7. V. 2007

*** ინდოეთში უდაბური, გარეული ნადირით და ქვეწარმავლებით სავსე, – ტყე, საიდანაც ადამიანი, იშვიათად, ან ვეღარ ბრუნდება...**

დრო – ქარქვეტების...

დრო იყო, ზოგჯერ,
უგულო, –
ქვისებრ,
გახსენებითაც
რისხვით –
ვენთები...
თავი ეჭირათ
ქარქვეტებს,
ისე –
თითქოს, სკამებზე,
ისხდნენ –
ღმერთები...
7. III. 2024

მაჩვები...

მარისხებს –
ფეხქვეშ მთხრელი
მაჩვები, –
სურს: ნეტარ, ვისაც,
ცეცხლი –
ქარობდეს...
მე, სხვებს –
სიავის ვალში
დავრჩები,
სიკეთის ვალში –
არვის,
აროდეს...
11. III. 2024

მოვუხდი ბოდიშს
მუამარ კადაფს...

დავფიქრდი როდი, –
უფრორე ადრე?! –
იანკმა,
რისხვის,
როდესაც ჰკრა დაფს...
მეც –
უსამართლო,
ბრალი რომ ვკადრე,
მოვუხდი ბოდიშს
მუამარ კადაფს*...
30. IX. 2019

*** უახლოეს წარსულში, ლიბიის ამყვავებელი პრეზიდენტი, გარეშე ძალების ძალმომრეობისა და უსამართლობის მსხვერპლი გახდა, –**
სამარეც კი არ აღირსეს და... მოუსავლეთში, ანუ, – სადღაც, უდაბნოში გდაკარგეს...

დემოკრატიული
ყროფიზმი...

ქვეყანა, როცა –
სულს ღაფავს და...
ხალხს, ეგზომ, –
უჭირს,
ვიქეცით, როცა –

ფუჭი აზრის
და... სიტყვის –
ჩარჩად,
თქვით, ვის სჭირდება:
ლაი-ლაი,
ქაქანი, –
ფუჭი?!..
შედეგი, როცა –
ნატამალიც,
არაფრით,
არ ჩანს?!..
3. V. 2007

ბოლო კოცნა...

მზეთვალებმა,
რაიც ამ გულს
სხივი
სტყორცნა,
სიხარული –
თელავსა და...
ალვანს მოვდე...
ჩემი კოცნა
არ იქნება –
ბოლო
კოცნა,
ბოლო კოცნა
არ იქნება, –
არასოდეს...
20. V. 2024

გვახსოვს...

გვახსოვს, – სახით –
გვრიტი,
მტრედი:
მაგრამ... საქმით –
გამოსვავდა...
დრო, რომ იდგა:
ხვეჭის,
ბნედის, –
ფულოსანთა,
სკამოსანთა...
13. IX. 2007

არა ყოფილა, – აროდეს!...

მამული
ბეწვზე დავკიდეთ,
ომის დღეები –
ალურ ვსვით,
არა ყოფილა, –
აროდეს –
სიმართლე ასე
ნამუსრი...
არა ყოფილა, –
აროდეს –
სინდისი ასე
ნამუსრი...
არა ყოფილა, –
აროდეს,
ასე –
ნამუსრი
ნამუსი!..
VIII. 2008

ტკივილი...

ტკივილად მექცა –
მზედ ვერ ვზრდით –
ნაგრამს...
მთავარზეც,
უფრო, რაა –
მთავარი?..
ყველაფერია, დღეს, –
ფული,
მაგრამ...
მაგრამ... სინდისი,
მაინც,
არ არი...
10. V. 2024

მზეჭვრეტა უნდა...

გამრავლდა, ეგზომ,
ცრუ ძმა და
ცრუ და...
ბეკეკას როლში
ვინ, მგელი
არი...
ვინ, თავს გაჩვენებს –
იესოდ,
ბუდად,
სირინოზების მოგხიბლავს –
ქნარით...

P.S.
დღეს, –
მისნის სიბრძნით,
მზეჭვრეტა
უნდა –
საიდან?!..
რატომ?!..
სატანის –
ქარი?!..
6. V. 2024

შეგონება...

ვლოცოთ,
ვინც რისხა –
მქუფრალი,
დაჭრილ გულს,
ვინაც –
ამთელებს...
დასჯის:
დროცა და... უფალიც –
ფულზე გაყიდულ
ქართველებს...
15. V. 2024

ათასჯერ, უფრო...

მხვეჭელს, მტაცებელს,
სჯობს –
მზესიბრძნით
ნადავლიანი,
ჭეშმარიტება
უნდა იყოს –
მცველი უფლების...
სიბრმავ-სიყრუე,
ხომ ძნელია –
ადამიანის?..
ათასჯერ, უფრო,
ძნელი არის –
ხელისუფლების...
2. III. 2009

სიყვარულს უნდა მისცე – სადავე...

ჩემს ესმერალდას

გაწყდება სანამ,
სიცოცხლის –
ულო,
დრო –
მზეს ღამესთან
სანამ
ადავებს,
სანამ გაქვს: ცეცხლი...
და... გული –
გულობს,
სიყვარულს
უნდა მისცე –
სადავე...

P.S.
ხამს ნეტარებდეს –
წამიც, – ტაატით,

დარეკავს სანამ,
წასვლის საათი...
19. V. 2024

უპირველეს...

ჰიპერმეტრია

შენთან, რომ ვარ,
დღედ სხივდება –
ღამეც,
დროს –
წამებიც,
ნეტარებით მიჰყავს...
თუ, რამ, მიყვარს,
უპირველეს,
განა,
რამე?! –
შენი სულის
სიდიადე მიყვარს...
3. V. 2024

რატომ?!..

რა არ ხდება –
ამ, დალოცვილ,
დუნიაზე?! –
ხან, –
დღეს ხედვენ,
ვითარ –
უკუნს, –
მზემიწურვილს?!..
რად ჰგონიათ ზოგს
ღმერთკაცი –
სვემწირული?! –
მამულისთვის მზე, –
ზვარაკად –
შეწირული...
5. II. 2024

ზოგჯერ...

როცა –
ნახშირი ბროლობს,
და... აქვს:
ალმურის –
დება,
ზოგჯერ, –
ყველაზე ბოლო,
პირველობისთვის –
კვდება...
24. XI. 2023

ქართული ომი...

საქართველოში –
საერო
გვარტომს,
გვაქვს დროსთან –
ომი, –
გარჯით და...
შრომით...
სახნისით, გუთნით,
კი არა,
მარტო?!..
ჯამ-ყანწებით და...
ჭიქებით –
ომიც...

P.S
ტრიალებს... ბრუნავს –
ცხოვრების კევრი,
დარდის და განცდის
წვიმები –
მაწვიმს...
მტრისგან კი არა,
მინახავს ბევრი:
მოკლული –
ჭიქით,
ჯამით და...
ყანწით
8. I. 2024

სიყვარული და... სიძულვილი...

ზოგჯერ, –
ფიქრსა და...
გულსაც –
დარდით ვრთავ,
არყოფნის, ნეტავ,
გაქრეს –
ბოგინი...
მე სარეცელი
მიყვარს –
მანდილთან,
მკლავს სიძულვილი
მიწის –
ლოგინის...
28. I. 2024

მელანქოლია

დროა, ხან, ვითარ –
გამშრალი ფური, –
ვჯახირობთ,
ვწვალობთ,
ვჩივით და...
ვწყრებით...
ლოდინში –
ციცქნა
პენსიის ფულის,
შემომეძარცვა
დაისის –
წლები...

P.S.
პრომეთე ვიყავ,
ვარ, ვითარ –
ლანდი, –
დავთოვლდი,
დავშრი,
დავღამდი,
დავდნი...
05. II. 2012

ვინ არი?!..

არ ჰქონდა აზრი:
კეთილი,
ბრძნული...
და... იყო ფუჭი, –
ქარი ერისთვის...
ხალხისთვის, საქმით,
ვითარცა –
ნული...
თავისთვის?!.. მხვეჭი,
კარიერისტი...

P.S.
„მე“-თი სუნთქავდა –
მღვიძარ –
მძინარი...
ვის სახეს ხედავთ მასში?!..
ვინ არი?!..
04. II. 2024

სიტყვა და... საქმე...

თუ, მოისურვა, –
ზოგი,
სიტყვით აჩოქებს –
აქლემს,
ბედნიერია, ვისაც –
ზესიბრძნის ძალა
სვით ჰყვა,
რამდენი ვიცი, –
მხოლოდ,
ცარიელ ენას
აქნევს,
საქმეს, ხან,

უნდა საქმე,
არავითარი –
სიტყვა...
27. XII. 2023

ახალი დრო...

წავიდა!.. გაფრინდა!..
დრო, წლები –
იჩების!..
დრო –
სკამ – ფულების, –
ჩალიჩი ჩინჩლების...
წავა დროც:
ნაცების ვაცების,
გირჩების...
მამულო, დაჭრილო,
ნელ-ნელა –
გვირჩები?!..

P.S.1.
დრო დგება სიმართლის –
დრო –
დავის უფლების?!..
ამოვა: ნამდვილი, –
მზე –
თავისუფლების?!..

P.S.2.
ვიჯახირეთ, გადავწყვიტეთ, –
ქართველს აღარ –
ევლო რთულად...
ვიქნებითო –
ევროპულად...
და... გვექნება –
ევრო, – ფულად...

P.S.3.
მოვედებით –
ამ სამყაროს,
ავშენდებით,
დავმშვენდებით,
ეს სამოთხე
ვის დარჩება?! –
ჩვენ, აქა-იქ,
გავშენდებით...

P.S.4.
ვინ ვიქნებით?!..
სად ვიქნებით?!..
ჩივის... მოსთქვამს
ამას – ნენე...
ნეტავ, ვინ, სად –
ვიჭაჭანებთ?!..
მეც, ეს ფიქრი
არ მასვენებს!!!..
16. I. 2024

ერთსულშეკრულ საქართველოს გაუმარჯოს!!!..

არ გავქრებით,
თუ, ვიქნებით –
ყველა ერთად,
თუ, გვექნება:
გზა – მართალი,
გზა – უხვანჯო...
პასუხს გავცემთ –
შიგა მტერთ და...
გარე მტერთაც, –
ერთსულშეკრულ
საქართველოს
გაუმარჯოს!!!..
21. IV. 2024

დიადზეც – კიდევ, უფრო, დიადი...

უსიყვარულოდ,
და... უმზეოდ,
უკუნში ვრბოდით,
ჩვენ –
სიყავრულის
სიდიადის
სხივით ვმზიანდით...
სიყავრულია –
უწრფელესი,
ხალხისა, – ოდით,
დიადზეც კიდევ –
ათჯერ,
ასჯერ,
უფრო დიადის...

P.S.
მოსახვეჭელი –
დასაბამით არსებობს, –
თუ, რამ,
სიყვარულია –
მხოლოდ,
მხოლოდ,
მზისებრ... დიადი...
22. XII. 2023

დრო და...

შეგვხვდება, ზოგჯერ,
დრო – ჯიქურ, –
წყრომით...
მაგრამ... მზესიბრძნე
მწამს, გაკვეთს –
უკვეთს...
მამულს, როდესაც,
დროსთან* აქვს
ომი,
ნაღდი მწერალი
ჩანს –
უფრო,
უკეთ...
2. VI. 2024

***იგულისხმება: შავი, უსამართლო, არასასურველი დრო...**

სიცოცხლე მიყვარს...

მე –
მიწასთან და...
ცასთან ვიწყები,
ბაწარგზებს მოვდევ –
კლდიანს და...
ქვიანს...
სიცოცხლე მიყვარს, –
თავდავიწყებით,
როცა –
სიკვდილსაც
სიცოცხლე
ჰქვია...
2. III. 2024

ბედნიერი ვარ, – უფრო...

ჭეშმარიტებას, –
უქრობს,
ვითარცა უფალს, –
ვლოცავ...
ბედნიერი ვარ, –
უფრო,
ვარ –
უმართლესი,
როცა...
3. I. 2024

როლანდ გიორგაძე

ძილბურანიდან ამოუღონი ფრინველის გალობამ გამოიყვანა. ნეტარების მომგვრელი ხმით გალობდა. გაილურსა, სუნთქვაც შეიკრა, არ დავაფრთხოო. ნეტავ რა ჩიტია? შაშვი არ არის, მისი ხმა ადვილად გამოსაცნობია. ბოლოშავა თუ მესკია? ბოლოშავა და მესკია გალობს თუ არა ისიც კი დაგავინყდა, სოფლის ყოფის მხოლოდ ლანდებია შენში შემორჩენილი. მამლის ომახიანმა ყივილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. თვალები მოიფშვნიტა და გაიზმორა. სასიამოვნო მოთენთილობას მოეცვა სხეული. რამდენი ხანია სუფრას ბოლომდე არ შერჩენია და არც ამდენი ღვინო შეუსვამს. მისდა გასაკვირად, არც თავი სტკიოდა, მხნედ გრძნობდა თავს.

რ. გიორგაძე

ჩამოდი, ჩამოდი!..

– რას აიკვიატე, რა გინდა ექიმთან, სამოცდახუთს გადააბიჯე, პატარა უკვე აღარ გეთქმის, სიბრძნის ასაკია ძმაო. ან ვინ არის ახლა ჯანმრთელი, რაც ქვეყანაში ხდება იმას ჯანმრთელი საზოგადოება ჩაიდენს? არა, ხომ? ხოდა მაგაშია საქმე, მიხვალ გამოგიწერს ტონა წამლებს, გადაგაყრევინებს უამრავ ფულს. ის წამლები რაც ჯანმრთელი გაქვს იმასაც დაგიზიანებს. რა ვუყოთ, თუ ხანდახან თავი აგტკივდება, გაგაბანცალებს, ხან წნევა აგითამაშდება, მერე რა? მადლობა უთხარი ღმერთს რომ აქამდე მოატანე. დატკბი ყოველი დღით. გიხაროდეს, გამთენიისას, აჭახჭახებული შაშვი ფანჯარასთან რომ ჩაიფრენს, ურუანტელს მოგგვრის და თვალს გაგახელინებს, გიხაროდეს დილით მზის სხივი რომ შემოგიჭყიტინებს თვალში და თავს დაგახრევინებს უზენაესის წინაშე. მერე გადაუდებელ საქმეზე რომ გახვალ და თუ სადმე, მანქანის გასაჩერებელს იპოვნი შეიძლება სიხარულით გული აგიჩუყდეს. შენ კიდევ ნერვოპათალოგიო. მაგას არ ჯობია, ყოველ საღამოს, ძილის წინ, მე რომ წითელი ღვინო ჩამოგიტანე თითო ჭიქა რომ მიირთვა, ძილიც კარგი გექნება, სიზმარიც და ნერვებიც, – ებაასებოდა ბადრის ოთხმოცს გადაცილებული უფროსი ძმა, – ნაბოლარა ხარ, ფუფუნებაში გზრდიდნენ, ყველაზე პატარა იყავი და ყველანი შენ დაგფოფინებდნენ, ცივ ნიავს არ გაკარებდნენ. მთელი ცხოვრება კაბინეტებში გაატარე და ქე გამოხვედი ჭიანი. მე ვიცი შენი წამალი. ხომ ხარ პენსიაზე, მიატოვე ყველაფერი, წამოდი ჩემთან სოფელში, მომგცემ ოყიან თოხს და ისე გამოგაჯანმრთელებ შენიანები ვერ გიცნობენ.

– ბაბუ მულტფილმი ჩაგვირთე, – შემოესმა ტყუპების ორ ხმაში ნამღერი.

– რა დროს მულტფილმია, გათენდა ჯერ? ანდა რა არის იქ საყურებელი. არ გახსოვს, გუშუნწინ, ღამით ლოგინიდან რომ წამოვარდი ყვირილით, ბბაუაა მიშველე, ბზიკები გამორბიან ჩემი თვალებიდანო. გაგიჟდება კაცი, მაინც რა უბედურებებს აჩვენებენ ბავშვებს. ანდა რა არის სულ ინგლისურენოვანი ფილმები, ამათ ინგლისური უფრო კარგად ესმით ვიდრე ქართული, – მიუბრუნდა უფროს ძმას ბადრი, – განგაშის ზარია შემოსაკრავი. ცოტა ხანში ამათთან სასაუბროდ თარჯიმანი დამჭირდება, გესმის?

– ხოდა ესენიც წავიყვანოთ და გავაქართველოთ. თავიანთ ფესვებთან და ძირებთან სიახლოვე კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს, თავის ტოლებთან თამაში და ურთიერთობა მშობლიური ენის სიყვარულს ასწავლით. ამასთან, ცოცხალი ბუნების ნაწილადაც იქცევიან და კარგ მამულიშვილებად აღიზრდებიან. აქაური საზოგადოება ცივია, სამი დღეა აქ ვარ და ერთი მეზობელიც კი არ შემოსულა, ან შენ გადაგვარდი ან ისინი არ უქნიან ღმერთს. უბრებივით ხართ ერთმანეთთან, არ იციან აქ სიყვარული, უსიყვარულო ადამიანს ნერვოზიც შეჭამს და ფსიხოზიც, წამოდი ჩემთან, დამიჯერე.

ბადრი უფროს ძმას გადაეხვია.

– ბიჭო, ცოტა ხანს მადროვე, შენ გეხუმრება და ახლა მე მკითხე. შემჭამეს ჩემებმა, ექიმი, ექიმიო. შევივლი ექიმთან, ვნახოთ რას იტყვის.

– კაცო, მორჩი ოცნებებს? ექიმთან რომ ხარ წასასვლელი, ხომ არ დაგავიწყდა, – შეეხმიანა მეუღლე, – კიდევ არ გადადო, რამე არ დაგემართოს და ხათაბალაში არ გაგვხვიო.

– ხედავ ძმაო, ასეთ დღეში ვარ. შენ არ შემოგჩივი და ბოლო დროს თავის ტკივილი დამჩემდა, ყურებიც მიწივის და უძილობაც მტანჯავს. გადამეკიდნენ, სანამ სხვისი სათრევი გახდები დროულად მიაკითხე ექიმსო. ჭირივით მეჯავრება სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა. გასინჯვები, ანალიზები, ექიმების რჩევები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ, ყალბი თანაგრძნობები. რაც იქნება, იქნება, მივალ ექიმთან. ისე რომ წამოვიდე, ესენი გაგიჟდებიან.

– სულაც არ ვხუმრობ, – წარბები მაღლა

როლანდ გიორგაძე

აზიდა უფროსმა ძმამ ისე, რომ ღიმილი არ მოშორებია სახიდან, – წამოდი, მე შენ გეუბნები, წამოდი, სანამ ოთახში გამომწყვდეული ჩრჩილად არ იქეცი. გამოგაჯანმრთელებ და გამოგიშვებ. დამიჯერე, კაჟივით გახდები. საღამოობით, მერაბასთან ერთად, ჩემი დაწურული უებარი ძილის წამალიც მივიღოთ, ცოტაც სამ ხმაში, მოგუდულიც შემოვძახოთ და ისე ტკბილად დაგეძინება ძაღლმაც რომ გათრიოს ვერ გაიღვიძებ. დამიჯერე, უფროსი ძმა გეუბნება!

ექიმის მისაღები სავსე იყო ხალხით. იკითხა:

– ბოლო ვინ არის?

ახალგაზრდა ქალი წამოიწია სკამიდან და უთხრა:

– ბოლო მე ვარ, ჩემ შემდეგ იქნებით.

ჩამოჯდა. თითქმის ყველა ასაკის პაციენტი იყო. გაუკვირდა, ხალგაზრდები სჭარბობდნენ. ნეტავ ამათ რაღა დაემართათ? ჟამის დღესავით ეჯავრებოდა რიგში დგომა და ლოდინი. დრო რომ მოეკლა ბოლთის ცემა დაიწყო. მივიდოდა ფანჯარასთან, თვალს შეავლებდა აჩორჩხლილ კორპუსებს შორის ეულად მდგარ, სასწაულებრივად გადარჩენილ ჭადრის ხეს და ისევ უკან ბრუნდებოდა. ახლა მზერა პაციენტებზე გადაიტანა, ქალის უცნარმა ქცევამ მიიქცია მისი ყურადღება, რომელიც მალიმალ წამოდგებოდა, დაჯდებოდა, მონაცვლეობით ფეხს ფეხზე გადაიდებდა, წამდაუწუმ თმებს ისწორებდა, მერე ყვითლად გალაქულ ფრჩხილებზე დაიხედავდა, ხელს გადაუსვამდა, გახედავდა, სიმკვრივეს თუ სილაპლაპეს ამოწმებდა. მერე ისევ ფეხზე წამოვარდებოდა, შუბლს მოინიავებდა, ჩქარი ნაბიჯით ფანჯარასთან მივიდოდა, უინტერესოდ შეავლებდა თვალს სივრცეს და ისევ სკამისკენ გაეშურებოდა. მოხდენილი, ლამაზი ქალი იყო. კარგად მოვლილი. თავისიანებს გადაწვდა ფიქრით, აიკვიატეს ექიმი და ექიმიო. ამ რიგში დგომით მართლაც საექიმო გახდება კაცი, ბუზღუნებდა გულში. როგორც იქნა მისმა რიგმაც მოაწია. დააკაკუნა. შემოდითო, შეეხმიანენ შიგნიდან. შევიდა. საშულო ასაკს მიღწეული ქალი სათვალის ზემოდან შესცქეროდა:

– დაბრძანდით.

ჩამოჯდა.

– აბა, მითხარით, რა ჩივილები გაქვთ? გარეგნულად შესანიშნავად გამოიყურებით, – წაიკეკლუცა ქალმა და ღიმმორეული შეაცქერდა.

ალბათ ღიმილი ვიზიტის საფასურში შედის. ისე კი, ძნელი იქნება ყველას უღიმო, გაუელვა თავში. სწრაფ გამოერკვა და თავის ჩივილების შესახებ უამბო.

– აბა წამოდექით! – ექიმიც წამოდგა. მაგიდიდან სამედიცინო ჩაქუჩი აიღო და მის წინ დადგა, – ხელები გაიშვირეთ, კარგია, ახლა თვალები დახუჭეთ და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი მიიდეთ ცხვირთან. ახალა მარცხენა, კარგია. ისევ დახუჭეთ თვალები. წინ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგით, საკმარისია. ახლა ტახტზე ჩამოჯექით, – თქვა და მინიატურული ჩაქუჩი მოიმარჯვა.

ხომ ხარ ახლა ღირსი პატარა თავშიც ჩაგიჩაჩქუნოს. მითითებულ ტახტზე ჩამოჯდა და ექიმს შეაცქერდა. საშუალო სიმაღლის, ასაკს შეჭიდებული, მკერდმაღალი, სანდომიანი ქალი შესცქეროდა.

– ოღონდ თავში არა, ექიმო, – იხუმრა უგერგილოდ.

– ვნახოთ, ვნახოთ, – ხუმრობაში აჰყვა ექიმი. ჩაქუჩი ჯერ მარჯვენა მუხლზე მიუკაკუნა, მერე მარცხენაზე, მერე მონაცვლეობით იდაყვებზე.

– საკმარისია, – თქვა ექიმმა, სკამზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მუხლზევით გაქცეულმა სიშიშვლემ თვალი მოსჭრა, წამსვე ჩაღუნა თავი! მაღლა რომ აიხედა ექიმი კომპიუტერში რაღაც ტექსტს აწყობდა. რამდენიმე წუთში ტექსტი მზად იყო, – აქ შენი დაუზუსტებელი დიაგნოზია და რეკომენდაცია გამოკვლევების შესახებ. ძილის მოსაწესრიგებლად მცენარეული საძილე საშუალება დაგინიშნეთ.

კაცმა ფურცელს გადაავლო თვალი: „მდგრადობის დარღვევა, ჩაძინებისა და ძილის უწყვეტობის დარღვევები, შუილი ყურებში“.

– გაიკეთე გამოკვლევები და შემომიარეთ.

– ქალბატონო ნატა, – ექიმის სახელი კარზე ამოიკითხა, – სახლში მეუბნებიან ნევროზზე იმკურნალეო.

– ჩემო კარგო, დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე ახლა ნევროზი თითქმის ყველას აქვს, – გაუშინაურდა ექიმი.

– ღვინო თუ შველის ნევროზს? გამიგონია, მსმელებს ნევროზი არ აწუხებთო.

– მერწმუნე, ლოთობა ურო ძნელი განსაკურნია. მცირე რაოდენობით, ასი გრამი წითელი ღვინო არავის ავნებს. ისეირნეთ, არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში. კარგ შედეგს იძლევა ცოცხალი კონტაქტები ხალხთან. საუბრები და მხიარული განწყობა. ცოხალი დიალოგი საუკეთესო საშუალებაა მდგომარეობიდან გამოსასვლელად. დაკავდით რაიმე ახლით, ისეთით, რაც აქამდე არ გაგიკეთებიათ. მიეცით გონებას ახლებურად

აზროვნების საშუალება. გამოგაცოცხლებთ და გაგახალისებთ. უხალისობა კი დამთრგუნველია და ყველაზე დიდი სატანჯველი ყველა არსებისთვის. დღეს გვეყოფა. თავისუფალი ბრძანდებით, – ექიმი ფეხზე წამოდგა და კარამდე მიაცილა.

– მგონი მართალია ჩემი ძმა. ასი გრამიო. ასი გრამიდან იწყება თავდავიწყება და ხალისი. ისე კი, უფუნქციობა ყველაზე დამთრგუნველია. ყოველი დღე რომ შაბათად გექცევა ნერვოზზე უფრო მეტი რა შეიძლება დაგემართოს, – გაიფიქრა დერეფანში გამოსულმა და კიბეს აუყვა.

ეამა დახურული სივრციდან ჰაერზე გამოსვლა. არაემარე შეათვალიერა. კორპუსები, მიჯრით მიწყობილი კორპუსები, სავაჭრო ცენტრები, პატარა ბაზრობები, ქუჩებში დახლზე გამოფენილი სხვადასხვა საქონელი, ჭიანჭველებივით მობორიალე ხალხი და მანქანების განუწყვეტელი სრბოლა და ღმუილი. ხალხთან ცოცხალი კონტაქტებიო. მიდი და გააჩერე ვინმე და გაუბი საუბარი, ვინ გაგიჩერდება? გიჟი ეგონები. ხომ ხედავ, დაოთხილი დარბიან. მართლაც სოფელში ხომ არ წავიდე? არადა, რა ჯობია გულმართალ და ალალ გლეხკაცებთან საუბარს, მაგრამ სადღაა გლეხები, გლეხის მცნება საერთოდ ამოვარდა სამეტყველო ლექსიკიდან. ფერმერი, ბიზნესმენი და სხვა უამრავი გაფეტიშებული უცხოური სიტყვები და უცხო ენებზე საუბარი. არადა ვინ გაძალებს შე დალოცვილო, ისაუბრე ტკბილქართულად, ღმერთის ენით. სამწუხაროდ ვისაც ენის მოვლა, დაცვა და მზრუნველობა ევალება ის ყველაზე მეტს სცოდავს. ხო კიდევ, რა თქვა ექიმმა, ფეხით იარეო, ისეირნეო, არ იქნება ადვილი უაზროდ წინ და უკან ხეტიალი. მოულოდნელად ამოვარდნილი ქარი მშიერი ძაღლივით ეძგერა, შეატორტმანა და თავი ჩააღუნინა. პატარა შეყოვნების მერე ფეხს აუჩქარა, ცას ახედა, შავ და თეთრ ქულაქულა ღრუბლებს მარულა გაემართათ, ხან ერთმანეთში ირეოდნენ, ხან ბურთად შეიკვრებოდნენ, ხანაც ფარდასავით გაიშლებოდნენ, გაიცრიცებოდნენ და ღრიჭოებიდან მზეც გამოანათებდა ხოლმე. როგორც მოულოდნელად ამოვარდა ქარი ასევე უჩუმრად მიინავლა. მგონი გადაურჩი წვიმას და დასველებას. გაიფიქრა კაცმა. ეს რა ახალი სამკურნალო თერაპია მოიგონა ექიმმა, საუბრები და კონტაქტებიო. ვის გინდა ესაუბრო და რაზე უნდა ისაუბრო?

კიდევ ერთი უძილო ღამის შემდეგ, დილით, ადარიანად წამოვარდა ლოგინიდან და იქვე, ახლოს მდებარე, ახლად აშენებულ, სასპორტო მოედანს მიაშურა. რამდენიმე წრეს დავარტყამ, იქნებ ჩემსავით მოცლილი ვინმე გამოჩნდესო. ხელოვნური მინდორი ახლად აბიბინებული მწვანე მოლივით ხასხასებდა და ფეხქვეშ შრიალებდა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კინაღამ ძაღლის უწმინდურებაში ჩაკრა ფეხი. გულს შემოეყარა, რა სიმდაბლე და უკულტურობაა, როგორ შეიძლება სავარჯიშო მოედანზე ძაღლებით სეირნობა. მაინცდამაინც, აბრა უნდა ჩამოკიდო, რომ ძაღლებით სეირნობა აკრძალულიაო?

მოედანზე დაახლოებით მისი ასაკის მამაკაცი შემოვიდა და დინჯი ნაბიჯებით შეუდგა სიარულს. მისდა გასაკვირად უცნობი მიესალმა. წამსვე დაუბრუნა სალამი. იქვე, მაყურებლებისთვის განკუთვნილ სკამზე ჩამოჯდა. ნუთუ ესეც ნევროპათოლოგმა გამოაგდო გარეთ, სისხამზე? მზე კორპუსებს გადმოცდა და მოედანს უხვად დააბერტყა მწველი სხივები. საიდაღანაც მტრედები მოფრინდნენ და ღუღუნ-ღუღუნით მოედვნენ მოედანს. საოცარია, აქ რა საკვები უნდა მოიძიონ. მტრედები ერთმანეთს ეღუღუნებოდნენ, იფხორებოდნენ და კუდში დასდევდნენ. შესანიშნავი საპაემნო ადგილია და სიყვარულის ახსნის დრო. გაზაფხულია, ბუნების კანონს წინ ვინ აღუდგება, გაიფიქრა ღიმმორეულმა. ფიქრებიდან ფეხის ხმამ გამოიყვანა. უცნობი მამაკაცი მიუახლოვდა, ისიც ჩამოჯდა.

– მგონი პირველად გხედავთ, მე აქ ყოველდღე დავდივარ, ადრე არ შემხვედრიხართ, – თქვა კაცმა.

– პირველად გამოვედი, ექიმის რჩევას ვასრულებ, ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ძილისთვის დილა-საღამოს სეირნობა საუკეთესო საშუალებაო.

– მე ბაკური ვარ, – ხელი გამოუწოდა ჭარმაგმა მამაკაცმა.

– ბადრი.

– ამბობენ ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვსო. მომკალი და ვერანაირ ხიბლს ვერ ვხედავ სიბერეში. ხო, გარდა ერთისა, უწლოვან შვილიშვილებთან ურთიერთობა ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მანიჭებს.

როგორც ჩანს გულღია კაცია, გაიფიქრა ბადრიმ და დაკვირვებით შეათვალიერა მოსაუბრე. წარმოსადეგი კაცი იყო, უკან გადავარცხნილი შეთხელებული, დატალღული თმებით. პირხმელ სახეს უხდებოდა მოკლე ულვაში. ტანად საკმაოდ შევსებული იყო.

– მეც ჯანმრთელობის პრობლემამ მომიყვანა, ინსულტი გადავიტანე.

– არაფერი გეტყობათ თქვენ ინსულტგადატანილის.

– როგორც ჩანს, კარგად არ დამაკვირდით, ვკოჭლობ ცოტას. არ უნდა დამმართვოდა ეს მე, პედაგოგ კაცს.

პატარა ხანს ჩაფიქრდა ბაკური და სივრცეში გაიბნა მზერით. რა უშუალო და გულახდილი კაცია, გაიფიქრა ისევ ბადრიმ.

– ოცდამეერთე საუკუნის ჯილდოა ჩემთვის. მოგეხსენებათ, როგორი არეული დრო იყო, ჭირდა დასაქმება. პედაგოგობიდან შემოსული მწირი შემოსავალი არ ყოფნიდა ოჯახს. ბიზნესმენობა მოვინდომე, ნაცნობებ-მეგობრებში მცირე ოდენობის თანხა შევაგროვე, სამშენებლო მასალების მაღაზია გავხსენი. შენება და გაფართოება ხომ ადამიანთა მოდგმის თანმდევია რაც გამოქვაბულიდან გამოძვრა. შენ წარმოიდგინე, კარგად წამივიდა საქმე. რამდენიმე მაღაზია კიდევ გავხსენი, საკმაო კაპიტალიც მოვაგროვე. ამოვისუნთქეთ და წელშიც გავიმართეთ, – პატარა ხანს შეყოვნდა, ცას ახედა, მზის სხივებისგან თვალები მოიჩრდილა და ტკივილშერეული ხმით გააგრძელა, – ერთ დღესაც მომადგნენ და მითხრეს, მოგეხსენებათ, არჩევნებია კარს მომდგარი და პატარა ხელი გაგვიმართეო.

ნეტავ ესეც ნატასთან მკურნალობს? ალბათ ამასაც უთხრა კონტაქტები და საუბრებიო, – გაიფიქრა ბადრიმ.

– როცა მათმა ლაპარაკმა შედეგი არ გამოიღო მუქარაზე გადავიდნენ და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ასიათასი წამართვეს. არ გასულა ერთი თვე და ახლა უკვე სახლში მომადგნენ. უარზე დავდექი, აღარ მაქვს მეთქი. აწიოკებული ცოლ-შვის თვალწინ შუაღამეს წამათრიეს და ციხეში მიკრეს თავი. რაც კი რამ მქონდა უძრავ-მოძრავი ყველაფერი წამართვეს. ოთხწლიანი პატიმრობის შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ გამომიშვა. თავისუფლების სიხარულის განცდაც კი ვერ მოვასწარი მეორე დღეს ინსულტი მივიღე. ნერვების გლეჯვამ მიმიყვანა ლამის ფატალურ შედეგამდე, – მძიმედ ამოიხვნეშა მოსაუბრემ. შეყოვნდა, ისევ ზეცას ახედა, მერე მოედანზე შემოვარდნილი ძაღლისკენ გაექცა თვალი, რომელსაც საბელით ქალიც შემოჰყვა. ახლა, კი ხედავ, თოკზე გაბმული ამ ძაღლივით წრეებს ვარტყამ, – დასძინა ნაღვლიანად.

– რას იზამ, მეგობარო, სამყარო ულმობელი, სასტიკი და დაუნდობელია. სოფელში იცოდნენ თქმა – შენი წილი თაფლიც უნდა მიიღო და სამსალაცო.

– წავედი ახლა მე, შვილიშვილებს უნდა მივაკითხო ბაღში, მათი ჭიკჭიკი ყველაფერს მავიწყებს. ისე, ჩემი თავის მიკვირს, სისხლიანმა უსამართლბამ ვერც გამასასტიკა ვერც გამაბოროტა, მწარე აბივით მივიღე. ციხეში კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი. აბა, დროებით.

ამ კაცისგან ისწავლე. გითხრეს ისაუბრეო. შენ კი ზიხარ და მხოლოდ უსმენ. ხვალიდან შევეცდები, იქნებ რამე გამომივიდეს.

მეორე დღესაც მიაკითხა მოედანს, დინჯად დაიწყო სიარული. მოედანი ოთხივე მხრიდან მიჯრით ჩაწყობილი კვიპაროსისა და ნაძვის ხეებით იყო შემოსარტყლული. დილის ნიავი ნაზად არხევდა წიწვნარს, ხის კენწეროები მიახლოებისას ტანს არხევდნენ და მისალმების ნიშნად თავს უხრიდნენ ერთმანეთს. ყვავილობის პერიოდი ჰქონდათ. ბუნების ყოველ ამოსუნთქვაზე ყვავილთა მოყვითალ-მოყავისფერო მტვერი უწვრილეს ნაწილაკებად იბნეოდნენ სივრცეში და სასიამონო სურნელს აფრქვევდნენ. ისუნთქე ღრმად, ამ მტვრისთვის ხალხი ბაკურიანში დადის და უამრავ ფულს ხარჯავს, შენ კი სახლთან მუქთად შეგიძლია ისუნთქო. ნევროზს უსაგნო ფიქრი იწვევს. ის რისი შეცვლაც არ შეგიძლია ფიქრადაც არ ღირს. ფიქრის ტყვეობიდან უნდა გამოხვიდე. მესამე წრეს ამთავრებდა, ბაკური რომ წამოეწია და ხელის აწევით მიესალმა:

– როგორ მიდის საქმე, მერამდენე წრეზე მიდიხარ?

– მესამეზე.

– ახლა შემობრუნდი და საპირისპირო მხარეზე იარე. ცოტა ხნის შემდეგ ჯვარედინზე, ტვინის სავარჯიშოდ არის კარგი. საოცრად ზარმაცი ორგანო ყოფილა ტვინი, თუ არ ავარჯიშე მახსოვრობის პრობლემებს იწვევს, ჩემმა ნევროპათოლოგმა მითხრა. წარმოგიდგენია, ცნობილი ექიმია, ექვსი თვე ვიდექი რიგში. ისე, რა გითხრა, და დაულაგებელი ცხოვრების გამო მთელი ქვეყანაა დანევროზებული, ვერ გაგვირკვევია საით მივდივართ. რამდენჯერ ვიდექით არჩევანის წინაშე. ვერასოდეს სწორი გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. თაობები და მომავალი ეწირება არასწორ გადაწყვეტილებებს. ხომ ხედავ რა მოვლენები ხდება მსოფლიოში. მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება მიმდინარეობს. ისინი ვინც ადრე ცეცხლით და მახვილით ინაწილებდნენ მსოფლიოს, დღეს დემოკრატიის დროშით და ფულით იმონებენ ქვეყნებს. გამოხატვის თავისუფლების ლოზუნგით ათახსირებენ ზნეობას და საფრთხის ქვეშ აყენებენ ეროვნულ თვითმყოფადობას. მოდიან ფულით, არა დასახმარებლად, არამედ დასამონებლად. ფულის მუქთად შოვნის დიდი საშულებებია დღეს საკუთარი ქვეყნის ღალატისა და გაყიდვის ხარჯზე. ამ ახალ კოლონიზატორებს, ყველაზე მეტად, ეროვნული ხელისუფლების ეშინიათ და სძაგთ ყოველივე ეროვნული. საკუთარი განვითარების არჩევანის საშუალებას არ გაძლევენ ან ჩემნაირი უნდა იყო ან საერთოდ არ უნდა იყოო. და ასეთ ქვეყნებში, დემოკრატიის დროშით ახდენენ სახელმწიფო გადატრიალებებს და აჩაღებენ სამოქალაქო ომს უეროვნებო, სულგაყიდული ინდივიდების ხარჯზე. ქვეყნის გადრჩენას ჭკვიანი და მოხერხებული ხელისუფალი სჭირდება, ხელისუფლება რომელიც ემსხურება ღმერთს და ემსახურება ხალხს. თუ ქვეყანას თავისი საკუთარი განვითარების გზა და იდეოლოგია არ გააჩნია მომავალი არ აქვს. არ შეიძლება ყველას უქნიო თავი. რა კარგად აქვს ნთქვამი პო-

ეტს, სუყველაფერზე თავის კანტური საქციელია არა ქართულიო. ასე ვფიქრობ მე. თავი ხომ არ მოგაბეზრეთ?

– არა, რას ბრძანებთ.

– ხვალ თუ მოხვალთ, ერთ საინტერესო კაცს გაგაცნობთ. რაც მე მოგახსენეთ სულ იმ კაცის ნააზრევია. ხომ მოხვალთ?

– აბა რას ვიზამ. ვითვალისწინებ ექიმის რჩევებს.

საღამოს ძმამ დაურეკა სოფლიდან, ისეთი თბილი სიტყვებით მოესიყვარულა თითქოს წლების უნახავი ყოფილიყო. შერცხვა. ამას ისევ ის პატარა ბიჭი ვგონივარ, ზურგზე რომ შემისვამდა და მდინარეზე მიმარბენინებდა ხოლმეო. დამშვიდობებისას კი შეახსენა:

– პირობაზე როგორ ხარ? შენი კლასელებიც გელოდებიან, ერთი სული აქვთ როდის ჩამოხვალ, ბავშვობა გავიხსენოთ და ჩქიფებით წავიდეთ სათევზავოდო. მოვარდნილმა წყალმა ნიგვზებში დიდი მორევი გააკეთა და შესანიშნავი საბანაო ადგილია, ბავშვობაში სელაპივით ხომ სულ წყალში ეგდე, შენი გასართობი ხომ სულ წყალი და ბურთი იყო.

ჩვენკენ კარგი ამბებია. რაიონი შევაწუხეთ მთელმა სოფელმა, სხვა სოფლებმაც დაგვიჭირეს მხარი და ცენტრალურ კანალიზაციას ვაკეთებთ. ჩეჩმები, ნარეცხი და ნაღვარი წყალი ჭებს აბინძურებს. ეგეც რომ არ იყოს, ჩეჩმებით როგორ შევალთ ევროპაში ან სტუმრად იქოური რომ გვეწვიოს ხომ მოგვეჭრა თავი. იცინე შენ. ჩვენ სოფელი ქალაქურ ყაიდაზე გადაგვყავს, ეს კიდევ ერთი საშუალება იქნება ახალგაზრდობის სოფელში დამაგრების, სადაც ჯერ კიდევ ღვთის წყალობით ძარღვიანი ქართული ენანავება ყურს. თუ სოფელი გატიალდა ქვეყანასაც დედა ეტირება. აბა, ეგაა საქმე? რას დაამსგავსეთ ბიჭო დედაქალაქი, უცხო ქვეყანაში მეგონა თავი, ქართულის გაგონება მოგენატრება მანდ კაცს. ბავშვებიც წამოიყვანე. მშობლიურ მიწის სიყვარულს ვასწავლი და იქნებ უკანმოუხედავად არ გაიქცნენ ქვეყნიდან. თქვე ბედოვლათებო, ვის უტოვებთ ქვეყანას, ან გზები რად გინდათ ან ეგ ცივი აჩორჩხლილი შენობები საიდანაც ქართულად მეტყველება ყურს არ ენანავება. გამაგებინეთ, ვის უშენებთ? ჩამოყარეთ მოყიალე უსაქმურები და აქ დაასაქმეთ. ცრემლები მომდის ამდენი დაუმუშავებელი მიწისა და დაკეტილი სახლების შემყურეს. ყურში მესმის მათი ზლუქუნი და თავჩაღუნული, გულატკიებული გავეცლები ხოლმე. ჩამოდი, ჩამოდი! შენმა დარგულმა, შენსავით უცნაურმა ვაშლის ხემ, რომელსაც ნაყოფი მხოლოდ ერთ გვერდზე უწითლდება უხვად მოისხა, შეუწამლავია და ჯანსაღი. ჩამოდით, იქნებ მოფერიანდეთ, ადამიანებს დაგამსგავსოთ.

ბადრის მართალმა და მწარედ ნათქვამმა ყველა სათქმელი ყელში გაუჩხირა და ძლივს ამოღერღა:

– აუცილებლად ჩამოვალ, გპირდები, აუცილებლად.

ზაფხული ძალას იკრებდა, წვიმიანი და ნისლგარეული დღეები მზიანმა ამინდებმა ჩაანაცვლა. მზე დღითიდღე უმატებდა მცხუნვარებას. დათქმულ დღეს მივიდა მოედანზე, ორი წრე დაარტყა და ჩრდილქვეშ, სკამზე ჩამოჯდა. ძმასთან გუშინდელი საუბრის შემდეგ ნაღველი მორეოდა. სოფელს გადასწვდა ფიქრით, გაცოცხლდა ბავშვობის დღეები, ყველაზე უდარდელი და უზრუნველი. თვალწინ წამოიშალნენ მეზობლები, კლასელები, ერთ დროს ენერგიაულევნი ახლა კი ასაკით დამძიმებულნი და დადინჯებულნი. რამდენიმე უკვე მარადიულში გადასახლდა, როგორც ამბობენ ხოლმე უდროოდ. მაგრამ მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცის სულის გაყრა სხეულიდან დროულია თუ უდროო. მის მიერ დარგული ვაშლის ხე გაახსენდა. ნერგი დედამ მოიტანა საიდანღაც. საოცარი ნაყოფი ჰქონდა, მხოლოდ ნახევარი მხარე უწითლდებოდა, გეგონებოდა მხატვრის ფუნჯით არის შეღებილიო. ახლა გემოს არ იკითხავ.

– მეგობარო, რა მძიმედ ჩაფიქრებულხარ, ხომ შვიდობაა შენს თავს?

ბადრი მოგონებებიდან გამოერკვა, ბაკურს მიესალმა და უთხრა:

– ეულ კაც ფიქრი სად არ წაგიყვანს.

– დღეს როგორც ჩანს არ გივარჯიშია, განწყობა უნდა ყველაფერს ბაკურ ბატონო, განწყობა. ჩამოჯექით, შეისვენეთ.

ბაკურიც მის გვერდზე მაყურებელთათვის განკუთვნილ პლასტმასის სკამზე ჩამოჯდა. მდუმარედ ისხდნენ მცირე ხანს.

– დაგპირდი, მაგრამ იმ კაცს დღეს ვერ გაგაცნობ, რაიონშია მგონი წასული. რომ ჩამოვა აუცილებლად შეგახვედრებ. ორმოც წლამდე ასაკის კაცია, ჯანღონით სავსე, მუდამ მშვილდივით დაჭიმული და ისარივით შემართული. პოლიტოლოგიისა და თეოლოგიის პროფესორია მგონი, – ბაკურმა თავი მოაბრუნა ბადრისკენ მისმენს თუ არაო. ბადრი უსმენდა, – შეიძლება უცნაურ კაცად მოგეჩვენოს და შეიძლება ახირებულად. ჩვენ მიძინებულ მდგომარეობას მარჯვედ იყენებენენ ჩვენი მტრები და თუ არ გამოვხიზლდით აუცილებლად გადავგვარდებით, ჯერ აზროვნების წესით, რომელიც ფიზიკური გადაშენების ტოლფასია.

და ჩვენ ნეტავ რა შეგვიძლია, გაიფიქრა ბადრიმ, რომელი ილია ჭავჭავაძე მე ვარ ქვეყანა რომ გამოვაფხიზლო.

– რაღაც არ მომწონხარ, არ ხარ შენ დღეს სერიოზული ლაპარაკისთვის განწყობილი. იმ კაცის გაცნობამდე პატარა შემზადება მინდოდა შენი. სხვაგან ქრის თქვენი გონება.

ბაკური წამოდგა, დაემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბადრიც წამოდგა. მოედანი ნელ-ნელა ივსებოდა ბავშვებით, აჟრიამულდა და ახმაურდა იქაურობა. სახლისკენ აპირებდა წასვლას. ნეტავ რატომ უნდა გამაცნოს ის კაცი, გაიფიქრა და ცხოველი ინტერესი გაუჩნდა უცნობის მიმართ. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შეჩერდა, სტადიონთან ახლოს მდებარე ეკლესისკენ გაიხედა, შემობრუნდა და იქით წავიდა.

ბადრიმ ცხოვრების წესად გაიხადა ყოველდღე, დილაადრიან გამოსულიყო სახლიდან. მიაშურებდა პატარა მოედანს და დინჯი ნაბიჯებით გარს უვლიდა. დაღლას რომ იგრძნობდა შეჩერდებოდა, პატარახანს ჩამოისვენებდა ხოლმე. მერე წამოდგებოდა, მსუბუქად წაივარჯიშებდა და მოედანს მიბმულ პატარა სკვერში გადაინაცვლებდა. კოპწია და ლამაზი სკვერი იყო. რამდენიმე ღიად გადახურული საფიხვნო მოეწყოთ, მრგვალი მაგიდით და მოხერხებული ხის სკამებით. საბავშვო გასართობები: საქანელები, სასრიალოები, ხელოვნური კლდე პატარა შვერილებით მომავალი მეკლდეურეებისათვის. სკვერის ცენტრში ლამაზად მოპირკეთებული წრის ფორმის მოედანი იყო, საიდანაც სოკოებივით იმზირებოდა სხვადასხვა ფერის სანათები. მუსიკის ჩართვისას აფერადებული მოცეკვავე წყლის ჭავლი ამოისვეტებოდა ხოლმე. გაისმებოდა თუ არა მუსიკის ჰანგები ბავშვები შეცვივდებოდნენ და წუწაობდნენ. იყო ერთი გნიასი და მშობლების წივილ-კივილი, მაგრამ ვის ესმოდა. როგორც ჩანს ფრინველებსაც ძალზედ მოსწონდათ, ტოლს არ უდებდნენ ბავშვებს, შეფრთხიალდებოდნენ, გადაიცურებდნენ ფრთებზე წყალს, ხანაც დაეწაფებოდნენ და გახალისებულნი ისევ ზეცაში აიჭრებოდნენ. დილით, სანამ მზე ძალას მოიკრებდა სიმშვიდე იყო სკვერში.

უამრავი ხასიათის, ზნე-ჩვეულებისა და ტემპერამენტის თმაშევერცხლილი მამაკაცები შეიკრიბებოდნენ მრგვალ მაგიდასთან და მსჯელობდნენ სახვადასხვა საკითხებზე. რა ამბავს, რა ჭორ-მართალს არ მოისმენდი. წუხდნენ, მოუმზადებელი შევხვდით ამ ახალ წყობილებასო. ბადრი უსმენდა და არაფერს ამბობდა, იშვიათად თუ ჩაერეოდა საუბარში. ბაკურზე ფიქრობდა, რამდენიმე დღეა რაც არ გამოჩენილა. წუხდა, რამე ხომ არ შეემთხვაო. ჯავრობდა, რატომ ტელეფონის ნომერი არ გამოვართვიო. მზე რომ შემაწუხებლად დააჭერდა წამოდგებოდა და სახლისკენ გაემართებოდა. ერთ დღესაც, გაცხარებულ მსჯელობას შეესწრო. მისთვის უცნობი, სრულიად ახალგაზრდა კაცი თანამოსაუბრეებს ეკამათებოდა. ასე ცხოვრების გაგარძელება აღარ შეიძლებაო, ქვეყანა ერთ ადგილზე დგას და უმოქმედობით უფსკრულისკენ მიექანებაო, აქამდე მოტანილი, ნალოლიავები, სხეულდაკორძილი ერთიანი საქართველო ნაწილებად იშლებაო, ნუ ხართ მიძინებულებიო, ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის გადარჩენაშიო, მარტო აქ დგომით და ქაქანით ქვეყანა არ აშენდებაო. ჩვენ რაღა შეგვიძლია აწიო, სიტყვა ჩააგდო ერთმა. თქვენც ბევრი შეგიძლიათო, ფასდაუდებელია თქვენი გამოცდილებაო. მალე არჩევნები ჩატარდება, ფხიზლად იყავით, თქვენი ხმები არ გაანიავოთო. გაცნობებთ რომ ასპარეზზე გამოდის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ნაწილი ახალგაზრდობისა, მამაპაპური ტრადიციების მიმდევარი, ახლებურად მოაზროვნე, რომელთა მიზანი არა ფული, არა ქონება, არა მლიქვნელობა ქვეყნის გარეშე ძალებთან, არამედ საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი ქვეყნის გადარჩენაო. დამთავრდა, მორჩა ერთი ადგილის ტკეპნა. უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, უკან დახევა ქვეყნის უფსკრულში გადაჩეხვა და ჩვენი ერის ისტორიიდან გაქრობაა. სულ მალე გაიგებთ ამ ახალი ძალის შესახებ. ფხიზლად იყავით, მოუხმეთ გონიერებას და საჭირო დროს შესაბამისი სიფხიზლე გამოიჩინეთო. მერე ცოტა ხანს შეყოვნდა, მოსაუბრეებს გაუღიმა და თქვა, შიში არ ჯდება ქართველის ხასიათში, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთო. მხნედ იყავით, სხვებსაც გადაეცით ჩემი ნაუბარიო. მერე წამოდგა, კიდევ ერთხელ გაუღიმა მოსაუბრეებს, თავი დაუკრა და ნელი ნაბიჯით გავიდა სკვერიდან.

ისაუბრეო, იკამათეო, ჩაები საუბარშიო, შენ კიდევ ზიხარ და დუმხარ თევზივით, არ ასრულებ ექიმის მითითებებს, ასე არაფერი გამოგივა, ასე ვერ განიკურნები, შეუძახებდა ხოლმე თავის თავს ბადრი. რა საუბარში ჩავერთო, სიტყვები, სიტყვები და სიტყვები. არაფერი მესაქმება აქ, მგონი სოფელში ჯობია წასვლა. ბაკურისკენ გაექცა ფიქრი, საუბარი მასაც კარგად შეეძლო. მერე ისევ იმ უხილავ უცნობს გადასწვდა – ნეტავ ვინ არის ის კაცი ჩემთვის რომ უნდა გაეცნოო. ფიქრების კორიანტელი თავს უბრუებდა. არათუ საუბარი, შემთხვევით შემოფრენილი ფრაზაც კი ქვეშეცნეულ კვალს ტოვებს ადამიანის გონებაში. ბავშვობისდროინდელი შემთხვევა გაახსენდა. მეზობლად ერთი მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა. ძალზე ჭირდა იმ დროს ცხოვრება, მათაც უჭირდათ. შვილებიდან ერთ-ერთს ხელი წასცდა, რაღაც მოიპარა. იმ დღეს მათთან იყო გადასული, მის ტოლა ბავშვთან ერთობოდა, რიკ-ტაფელას თამაშობდნენ. შუა თამაშში იყვნენ როცა სამთვლიანი მოტოციკლეტით უბნის ინპექტორმა მოაკითხათ. ჭიშკარი ღია იყო და თავისუფლად შემოვიდა ეზოში. დედას დაუძახეთო, გვითხრა. დაძახებაც არ დაგვჭირვებია, ოჯახის დიასახლისი მოტოციკლეტის ხმაზე გამოვიდა. ჩვენ შეშინებულები ავიწურეთ. დიასახლისმა მილიციელი კაკლის



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ძირში, მრგვალ მაგიდასთან მიიპატიჟა. დაჯდა მილიციელი, წითელლენტიანი კოკარდიანი ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა. მერე ტყავის საქაღალდედან ფურცელი და ფანქარი ამოიღო და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– ეჰ, ქეთო, ქეთო, მცალია ახლა მე უსაქმური და ხელმრუდი ახალგაზრდების სადევნელად? მშვენიერი შვილები გყავს შე დალოცვილო. ის ორი, უფროსები, განსაკუთრებით სანაქებოები არიან, ხშირად გაზეთშიც წერენ მათ შესახებ. ეს ვის დაემსგავსა ოჯახისა და სოფლის თავისმომჭრელი. იქნებ მითხრა სად იმალება, მაინც ვიპოვნით.

ქალი პატარა ხანს შეყოვნდა, მერე თავსაბური შეისწორა, დოინჯი შემოირტყა და თითქოს მოსწავლეს გაკვეთილს უხსნისო მოსაუბრეს დინჯად მიმართა:

– აბა, რა გითხრა პლატონ, სოფლელი კაცი ხარ და არ გესწავლება. შეგიმჩნევია, ალბათ, ხეს რომ გადაჭრი, შხოლარებს ამოიყრის ხოლმე, იქედან ზოგი სწორად წავა, ზოგი კი მოიღვლერჭება, – ეს იყო და ეს, მეტი არაფერი უთქვამს.

შეცბუნებულმა მილიციელმა ქვემოდან ახედა ქალს, მერე ქაღალდსა და ფანქარს საქაღალდეში უკრა თავი, ფეხზე წამოვარდა, ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა და უთქმელად და უკანმოუხედავად გავიდა ეზოდან. ისე, საინტერესოა, რაღა ახლა ამოსხლტა გონებიდან ეს მივიწყებული, ბავშვობისდროინდელი ამბავი, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს ამ ახალგაზრდის საუბართან. ვერვის ხელეწიფება ქვეცნობიერში ჭვრეტა. როგორც ჩანს, სოფელი მიხმობს, უმჯობესია მალე წავიდე. ისე კი, შეიძლება მართლაც კარგი რამ ხდება. შეიძლება მართლაც გამოჩნდეს საშველი. ღმერთმა ქნას მეც მოვესწრო ქვეყნის სასიკეთო ფერისცვალებას და გულდამშვიდებული გავიდე ამ წუთისოფლიდან.

სამი დღის შემდეგ ბადრი სოფლისკემ მიმავალ გზას დაადგა. ოჯახის წევრებს უთხრა, ჩავალ, მოვინახულებ იქაურებს, გავივლ-გამოვივლი, ამ მომაბეზრებელი ყოველდღირობისაგან და ქაოტური ფიქრებისაგან ცოტა ხანს დავისვენებო. ექიმმაც მირჩია ქალაქიდან გასვლა. რამდენი ხანია არ ვყოფილვარ იქ, ყველაფერი მომენატრაო. დაგირეკავთ და თუ ყველაფერი კარგად იქნება ბავშვები ჩამომიყვანეთო. ძმა არ გაუფრთხილებია ჩასვლას რომ აპირებდა. დაიწყებს შემზადებას, მოცდება საქმიანობას, ააწრიალებს მეზობლებს, ხომ ვიცი მისი ამბავიო.

სამხრობას მიადგა მშობლიურ სახლს. ჭიშკარი შეაღო და შევიდა. დახატული, კოხტად მოვლილი ეზო სახლ-კარი სტუმართმოყვარე და გულმხურვალე მასპინძელივით შეეგება. ეს რამდენი რამე გაუკეთებია ძმას, როგორ გაულამაზებია სახლი. თანამედროვე, ამასთან ქართული ელემენტებით დატვირთული ფართოაივნებიანი კაპიტალური შენობაა. ნახე, ის ძველი სახლიც არ დაუნგრევია, რომელშიც გაიზარდნენ. წაბლის სახლი საუკუნეებთან შეასაჭიდებლად კიდევ მზად იყო. ერთი კი გაიფიქრა, ამდენი ხალხი აქ როგორ ვეტევოდითო. გასცდა თხილებს და მისი დარგული ვაშლის ხისკენ გასწია. ვაშლის ხის ძირში ძმა დაინახა, რომელიც დინჯად და გულისყურით რაღაცას თლიდა. თავს რომ წამოადგა, წამოიწია, შუბლი მოიჩრდილა და გაკვირვებულმა თქვა:

– მეჩვენება, თუ მართლა შენა ხარ, ბიჭო?

– ეჰ, გრიგოლ, გრიგოლ, შენი ცხოვრება სულ ხუმრობაში როგორ უნდა გაატარო, როგორ ისაწყლებ თავს. აქედან დანიელის სერზე გადაფრენილ ფრინველებს ერთმანეთისაგან არჩევდი და მე ვეღარ მცნობ?

– ჯანსაღი ხუმრობა ყმაწვილო, სიცოცხლეს ახანგრძლივებს. კარგად დაიმახსოვრე, ასე მოვდივარ მე აქამომდე და ქე მხედავ როგორცა ვარ. აბა გაყვითლებული ქალაქელებივით ცხვირჩამოშვებული ხომ არ ვივლი. მოგაფერიანებ, თუ კაცი ვყოფილვარ, – ფეხზე წამოიმართა გრიგოლი და გადაეხვია, – დაგერეკა შე დალოცვილო.

– რად უნდოდა დარეკვა, ჩემს სახლში მოვდიოდი. ჭიშკარს ისევ არ კეტავთ?

– ვის დავუკეტო ჭიშკარი, ყველას ძველებურად დავხვდებით, – ანა! – გასძახა მეუღლეს.

ძველი წაბლის სახლის კარი ჭრიალით გაიღო და ქალმა გამოიხედა.

– ნახე ვინ გვესტუმრა, გამოიხედე ქალო აქეთ!

ქალმა შუბლი მოიჩრდილა:

– ეჰ, ბერიკაცო, რა ვუთხრა სიბერეს, ხომ იცი, ამ ბოლო დროს თვალი მღალატობს ცოტას, – მოისაწყლა თავი ქალმა. სამოცდაათს გადაცილებული ქალი წელში გამართული მაინც ყინჩად მოემართებოდა. მიუახლოვდა მოსაუბრეებს და სიხარულით შეჰკივლა, – ბადრი ხარ, კაცო? დიდება უფალს! წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, ვიცოდი, რაღაც აუცილებლად გამეხარდებოდა. ამაზე მეტი სიხარული რაღა გინდა, – თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და სტუმარს გადაეხვია. მერე უკან დაიხია, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი, თავი გადაიქნია და კითხვები დააყარა, – რატომ აქამდე არ ჩამოხვედი, ასე რატომ მოგვანატრე თავი. მეუღლე, ბავშვები, შვილიშვილები რატომ არ ჩამოიყვანე?

– ანა, ზოგი კითხვა ხვალისთვისაც დაიტოვე. ჩამოსვლა იყო მაგის ნება, ხომ მოვიხელთეთ, და მაგის გამშვები ვარ აწი მე? ვერ ხედავ რა ფერზეა, მაგის გაშვება იქნება?

– ხო, ცოტა კია ფერმკრთალი, – დანანებით თქვა ქალმა და ლოყაზე ხელი ჩამოისვა.

– გეყოფა ანა, დაკითხვებს გირჩევნია ნამგზავრი კაცი სახელდახელოდ დააპურო, საღამოსთვის კი სათანადოდ მოემზადე, ხუმრობა საქმე ხომ არ გგონია, უძღები შვილი დაუბრუნდა მამულს. საღამოს მეზობლებთან ერთად მაგრად უნდა ვიქეიფოთ... – ხალისობდა უფროსი ძმა, – შენ კი ყაწვილო, ჩამოჯექი შენი დარგული, უცნაური ვაშლის ძირში. ნუ გეშინია, ჯერჯერობით ნაყოფი თავში არ დაგეცემა, ცოტა კიდევ უკლია დამწიფებას. ისე მოსწონთ მეზობლებს ეს ხატულა ვაშლი გაზაფხულზე კვირტები მიაქვთ დასამყნობად.

ძილბურანიდან ამოუცნობი ფრინველის გალობამ გამოიყვანა. ნეტარების მომგვრელი ხმით გალობდა. გაილურსა, სუნთქვაც შეიკრა, არ დავაფრთხოო. ნეტავ რა ჩიტია? შაშვი არ არის, მისი ხმა ადვილად გამოსაცნობია. ბოლოშავა თუ მესკია? ბოლოშავა და მესკია გალობს თუ არა ისიც კი დაგავიწყდა, სოფლის ყოფის მხოლოდ ლანდებია შენში შემორჩენილი. მამლის ომახიანმა ყივილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. თვალები მოიფშვნიტა და გაიზმორა. სასიამოვნო მოთენთილობას მოეცვა სხეული. რამდენი ხანია სუფრას ბოლომდე არ შერჩენია და არც ამდენი ღვინო შეუსვამს. მისდა გასაკვირად, არც თავი სტკიოდა, მხნედ გრძნობდა თავს. მაინც რა იყო ეს? ამდენი მის ცხოვრებაში არ უმღერია, რამხელა სიყვარული და სიხარული სუფევდა სუფრაზე. ყოველი დღე დაკარგულია თუ ის სიხარულით არ არის სავსე. ლოგინში კოტრიალს აზრი აღარ ჰქონდა. ფეხზე წამოიწია, ფანჯარასთან მივიდა და გაიფიქრა – მადლობა ღმერთს, რომ კიდევ ერთი დღე გაუთენდა შერყეულ სამყაროსო.

მომდევნო დღეებში კიდევ რამდენჯერმე შეიკრიბნენ, ერთამანეთთან საუბრებით გულიც იჯერეს. ყველა სათქმელი ითქვა, ბევრ მოგონებაზეც იოხუნჯეს. როცა ყველა ემოცია და მღელვარება დაცხრა, ნელ-ნელა ყველა თვიანთ ყოველდღიურობას დაუბრუნდა. ეჰ, ბადრი, ბადრი, არ ასრულებ ექიმის მითითებებს, გეუბნებიან ისაუბრეო, შენ კი ძუნწი ხარ საუბარში, მოსმენაში კი ბადალი არ გყავს. სოფელი არ პატიობს კაცს უქმად ყოფნას, მუდამ ფხიზლად შემართული უნდა იყო, თუარა და გატიალდება ყველაფერი. რამდენჯერმე ძმასაც გაყვა სათოხარში, რამდენჯერმე თოხიც მოიქნია. დიდი მთოხნელი არც სიჭაბუკეში ყოფილა და მით უმეტეს ახლა მის ასაკში. ყოველი დღე მდორე მდინარესავით მიედინებოდა. სხვა ნიადაგზე გადარგული ვეღარ ეგუებოდა სოფლის ყოველდღიურობას. ფიქრობდა – მე ჩემს სამშობლოში, ქალაქს შეხიზნულ კაცს როგორ გამიჭირდა სანატრელ მშობლიურ გარემოსთან შეგუება და წარმომიდგენია რა დღეში ჩაცვივდებიან უცხოეთში გადახვეწილი ჩემი თანამემამულენი თუ ოდესმე დაბრუნდებიანო. მოწყენა რომ არ შეემჩნიათ ნაცნობი ადგილების მონახულება დაიწყო. რამდენჯერმე მდინარეზე ჩავიდა. მდინარე ყველა მოსახვევში მორევებს იკეთებს ხოლმე, საცურაო ადგილებსაც იქ ირჩევდნენ სოფლის მკვიდრნი. დადიოდა წლებით დამძიმებული და სიყრმეს ელაციცებოდა. თევზაობაც მოსინჯა. ადრე, მის ბავშვობაში, ქვაზე ქვის დაცემითაც თევზაობდნენ. მოზრდილ სიპ ქვას ქვაზე დაახეთქებდნე ხოლმე. დარტყმისას, თევზები ბრუვდებოდნენ და ადვილად იჭერდნენ. ეროსაც ხშირად იყენებდნენ. ჩქიფი ბადე და ანკესი, ყველაფერი მოსინჯული ჰქონდა, მაგრამ დიდად გატაცებული არც ერთი მათგანით არ ყოფილა. ბურთი უყვარდა და ბურთს დასდევდა დიდობამდე. საცურაო ადგილებიდან ყველაზე საშიშ ადგილად რაფი მიიჩნეოდა, უფრო სწორად ქადაგიძის რაფი და იქით გასწია. ახლომახლო სოფლებში

ქადაგიძის გვარის მაცხოვრებელი არავინ იყო და უკვირდა თუ რატომ ეწოდებოდა ქადაგიძის რაფი. სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა სახელთან დაკავშირებით. ამბობდნენ, რომ ოცდაათიან წლებში, თბილისიდან მოავლინეს ვინმე ქადაგიძე, ინჟინერი და მისი სახელი შემორჩა დღემდე. ამ პატარა კაშხლის აშენების მიზანი წისქვილი იყო. შეგუბებული წყლის ერთი შტო, არხის მეშვეობით, წისქვილისკენ მიმართეს – ძირითადი ნაწილი კი კაშხლიდან ეშვებოდა. კლდეებს შორის მოქცეული მდინარე კაშხლიდან ლამაზად ეშვებოდა და მზიან ამინდში ცისარტყელას ფერებში ელვარებდა. წყლის ვარდნილმა საკმაოდ დიდი ღრმული გააჩინა. იმ ადგილს უძიროს ეძახდნენ. ყველა ვერ ბედავდა ცურვას, განსაკუთრებით ბავშვებს აფრთხილებდნენ, წყალქვეშა ქვაბულებია, შესვლა არ გაბედოთ, თორემ წყალი შეგითრევთო. მართალია, აუკრძალეს, მაგრამ მოგეხსენებათ, რა ხიბლია აქვს აკრძალულს. იქ თუ იცურავებდი და თანაც თუ კლდიდანაც გადმოხტებოდი კაცი იყავი ქვეყანაზე. მთავარი შიშის დაძლევა იყო. ბაყაყურით გაუყვებოდა წყლისგან ანალოკ კლდოვან ნაპირს და გამოუყვებოდა. თავისუფლად ცურავდა. შეეჩვია და და შიშიც გაფერმკრთალდა. მერე სხვების მიბაძვით კლდის შვერილებიდან გადმოხტომა დაიწყო. ჯერ წყლის ზედაპირიდან ახლოს, მერე მოუმატა სიმაღლეს. წყალი ისე ღრმა იყო ფსკერამდე მზის სხივი არ ატანდა. კაი ბიჭობად ითვლებოდა, თუ ფსკერიდან მუჭით სილას ამოიტანდი. რამდენჯერმე სცადა. სადამდეც მზის სხივი ატანდა იქამდე ადვილად ყვინთავდა, როგორც კი სიბნელეში შეყოფდა თავს, შიშისაგან უკან ბრუნდებოდა, აქაოდა კლდის შვერილს თავი არ ავკრაო. ერთ დღესაც ეს ბარიერიც დაძლია – აჯობა თავის თავს. კარგა ხანს იდგა კლდის ქიმზე, მერე ღრმად, ფილტვების ატკივებამდე ჩაისუნთქა ჰაერი და კლდის ქიმს მოსწყდა, გასცდა ნათელს, ძალუმად მოიქნია მკლავები და მრუმე სივრცეში შეცურდა. საუკონოდ მოეჩვენა წყვდიადში ცურვა, როგორც იქნა თითებით სილიან ფსკერს მიაწყდა, ჩაბღუჯა სილა, ამოტრიალდა და ნათლისკენ იწყო სწრაფვა. თითქმის ნახევარი ტანით ამოვარდა წყლიდან, მწყურვალივით დაეწაფა ჰაერს და შეჰკივლა, არის! მერე მომუშტული მუჭი გახსნა და სველი სილა თანატოლებს მიაყარა. თანდათანობით ყველა საოცნებო სიმაღლეები დაიპყრო, გარდა ერთისა. რაფის თავზე მინდორი იყო გაშლილი, რომელსაც საურმე გზა და წისქვილისკენ მიმავალი პატარა ბილიკი კვეთდა. ეს იყო ყველაზე მაღალი წერტილი. იქედან გადმოხტომა საშიში იყო. კლდის თავზე, არხის პირს, წყლის მოყვარე ჯუჯა ხე – ბუჩქნარი შესეოდა და წყლისკენ მაცქერალს სამზერს უკეტავდა, მხოლოდ მდინარის პატარა ზოლი ჩანდა და მეტად გაბედულები და თავზეხელაღებულები თუ ახერხებდნენ იქიდან გადმოხტომას. მიღწეულმა წარმატებებმა გაათამამა. დაუოკებელი სურვილი, ჟინი, მოსვენებას არ აძლევდა – უნდა გადმომხტარიყო. ზაფხულის ჩვეულებრივი დღე იდგა, სამხრობის ჟამი. აცდა კლდოვან ნაპირს. გაივაკა, გაიარ-გამოიარა, გადამხმარი ბალახი ფეხის გულზე უღიტინებდა. გაივლიდა, გამოივლიდა, მიუახლოვდებოდა კიდეს და ისევ უკან ბრუნდებოდა. თავის თავს შესძახა ან დღეს ან არასდროსო. კარგა ხანს იდგა კბოდესთან. მერე ნელი სვლით, დინჯად უკან დაიხია დაახლოებით ოც ნაბიჯზე, ისევ შეყოვნდა. გარშემო გორებს მოავლო მზერა, რომლებიც თითქოს ეჩურჩულებოდნენ, რაღას უცდიო. მზისკენაც გაექცა თვალი, რომელიც ნელ-ნელა დასავლეთისკენ მიიზლაზნებოდა. მერე თითქოს წამიერად სტყორცნა მზერა და გაკვირვებულმა ჰკითხა, ისევ მანდ დგახარო? რაღაც უხილავმა ძალამ ზურგში ჰკრა ხელი და ადგილიდან მოწყდა. ბუნება გაიყურსა, ფრინველებიც კი გაირინდნენ. კბოდესთან მაღლა ახტა და ფეხებით მონანავე ტალღებში გადაეშვა. თავქვე ვარდნისას მოეჩვენა თითქოს ხე-ბუჩქნარმა ზეცისკენ დაიწყო ფრენა. წამებში დამთავრდა ყველაფერი.

ამოყურყუმელავებისას ისევ ზეცისკენ გაექცა მზერა, კეთილად იღიმებოდა მზე. ბუნებაც ისევ ახმიანდა და აშრიალდა. კარგა ხანს ტკბებოდა უზომო ბედნიერებით. არ გასულა დიდი დრო, როცა მაცდურმა ფიქრმა დაუწყო ხვრა. სრულყოფილი მხტომელი მაშინ გახდები თუ თავით გადაეშვებიო. ფიქრი არ ასვენებდა – არც დღე და არც ღამე. სიზმრისეულმა ზმანებებმა გატანჯა, სულ თავით ეშვებოდა წყალში, მაგრამ ძირამდე ვერ აღწევდა, რაღაც ძალა ჰაერში აშეშებდა და წყალს ზემოდან დაჰყურებდა. უძილო ღამეები აუძლურებდნენ და აძაბუნებდნენ.

იმ დღეს ღამენათევი და უძილარი მიადგა ნაპირს. ცოტა ხანს ჩამოჯდა, მერე განიძარცვა სამოსისაგან და შევიდა თავთხელში, შეისხა წყალი სახეზე, ტანზე და შეცურა. გაცურა და გამოცურა. მერე ნაპირთან მოზრდილ ქვაზე ჩამოჯდა, ჩამოისვენა. ახედა კლდოვან ნაპირს, ძალზე მაღალი მოეჩვენა. უმზეო დღე იყო. შეაჟრჟოლა. წამოდგა, აუყვა კლდოვან ციცაბოს. მიდიოდა, მაგრამ ფეხები თითქოს უკან რჩებოდა. ვიღაც კი დაჟინებით უკიჟინებდა, არ შეჩერდე, გააგრძელე სვლა, ახლა უკან დახევა სილაჩრეაო. მერე სისხლის გამყინავი ხარხარი მოესმა. უკან მოიხედა, არავინ ჩანდა. გრილი ამინდი იყო, მოცურავეებიც კანტიკუნტად ჩამომსხდარიყვნენ ქვებზე. მინდორზე გადავიდა, ჩაიცუცქა და ქვემოთ გადაიხედა. ხებუჩქების გარდა არაფერი ჩანდა. წამოიწია, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. გაიხედა გორ-

აკებისკენ, რომლებიც დამაშვრალი კაცებივით თვლემდნენ. ცას ახედა, მზის კვალიც კი არ-სად ჩანდა. გაგულისებულმა მაშინდელივით ოც ნაბიჯზე უკან დაიხია, გამოექანა, ჰაერში აიწია, ფრინველივით კამარა შეკრა, მოიმშვილდა და გადეშვა. ვარდნისას დროულად ვერ გაიშალა და გვერდულად დაეხეთქა წყალს. დარტყმის ძალამ წყალი ააჩქეფა, ქვებზე მსხდომნი გაწუწა და ფეხზე წამოყარა. ძლივს მიაღწია ნაპირამდე, ცალკე ტკივილი და ცალკე სირცხვილი წვავდა. მთელი თვე სტკიოდა გვერდი, დედისთვისაც კი არაფერი გაუმხელია. დაიზაფრებოდა საწყალი ქალი. იმ დღის მერე რაფს აღარ გაკარებია. ახლა კი მხცოვანი გადაჰყურებდა მდინარეს. მა-შინდელივით შეაჟრჟოლა. შეიძლებოდა იმ დღეს ყველაფერი დამთავრებულიყო. ფეხზე წამოდ-გა, შარვალი დაიფერთხა და ბონდის ხიდისკენ გაემართა.

დრო ტაატით მიუყვებოდა უსასრულო გზას. ემოციებიც დაცხრა. ერთეფეროვანი და დუნე ცხოვრება მოსაწყენი გახდა. სული ვერ ეგუება ერთფეროვნებას.

დიდებულადაა ნათქვამი წმინდა წიგნში: „არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც რამ საიდუმლო რომ არ გამჟღავნდეს“. შეამჩნიეს მასპინძლებმა მოწყენილობა და შეწუხდნენ.

– არა, არა, ბადრი, ადგილის დედას დიდხ-ანს რომ მოსწყდები მერე დედინაცვლად გექცე-ვა. გაკვირდებოდი, როგორი გახალისებული იყავი და რა უცებ მოგეწყინა. ისევ ახრჩოლე-ბული ქალაქი მოგენატრა. არა მარტო ქალაქი, არამედ პატარებიც.

– და კიდევ, ერთი მოთხრობა მაქვს დასას-რულებელი, ფინალმა გამტანჯა. დავბრუნდები ქალაქში, ბებია შვილიშვილს აქეთ გამოვუშვებ. მე ცოტა ხანს დავრჩები და მერე ისევ ჩამოვ-ალ.

– არა ხარ შენ აქეთ ჩამომსვლელი, ჩემო ბადრი, არა. აღარ არის ეს გარემო შენთვის მშ-ობლიური და შთაგონების მომცემი. კარგი, რო-გორც გადაწყვიტე, ისე გააკეთე, მაგრამ სანამ წახვიდოდე, ერთ შეკრებაზე უნდა წავიდეთ, ხვალ იმართება ჩვენს კლუბში. ვიღაც თეოლოგი თუ პოლიტოლოგი ჩამოდის დედაქალაქიდან.

– რა, კიდევ ახალი პარტია იქმნება? ამ უს-აქმურებმა გაატიალეს ქვეყანა. მგონი საქართ-ველო გინესის რეკორდების წიგნშია შესაყვანი, არც ერთ ქვეყანაში არ არსებოს ამდენი პარტია. კარგი, წავიდეთ, გულს მაინც გაადავაყოლებ, ცოტა განსხვავებული დღე იქნება.

დარბაზი მთლიანად არ შეივსო, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი ხალხი მოგროვდა. ბადრი ძმასთან და მეგობრებთან ერთად პირველ რიგ-ში დაჯდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონ-და, როცა პრეზიდიუმში ბაკური შენიშნა, რომელიც ძალზე სახიერი მამკაცის გვერდით იჯდა. პრეზიდიუმში მსხდომთაგან ერთმა ქა-ლმა მიიქცია ყურადღება, რომელიც იდაყვებით დაყრდნობადა მაგიდას და ხელებს იფშვნეტ-და, ხან გაშლიდა, წამიერად დააცქერდებოდა თითებს, მერე ისევ ერთმანეთს გადააჭდობდა. გაიფიქრა, რა ნაცნობი სახე აქვსო, ნეტავ სად შემხვედრიაო. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ აღ-მოხდა: ჰოი, საკვირველებავ, მოდი და ნუ გაოც-დები, ეს ქალი ხომ ექიმის მისაღებში ნახა, ყვი-თელფრჩხილებიანი ქალი, რომელიც წამდაუწუმ ფეხს ფეხზე იდებდა, წრიალებდა და ერთ ადგ-ილზე ვერ ისვენებდა. ეს წარმოსადეგი მამაკაცი ალბათ, ის კაცია, ბაკურს ჩემთვის რომ უნდა გაეცნოო. მართლაც საკვირველია საქმენი შენი უფალო. ნუთუ შემთხვევით მოხდა ყველაფერი, მაგრამ ამდენი დამთხვევა? რაღაც ეჭვი შეეპა-რა. ფიქრი შეწყვიტა და სმენად იქცა.

საღამო ჩვეულებრივად დაიწყო, როგორც ყველა საღამო იწყება ისე. მოწვეული სტუმრე-ბი საზოგადოებას სოფლის თავკაცმა გაბრიელ მაღლაკელიძემ წარუდგინა. შესავალი სიტყვით კი ის ყვითელფრჩხილებიანი ქალი გამოვიდა.

– მეგობრებო, უნდა მოგახსენოთ, რომ ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა გვაიძულებს ლამის კარდაკარ ვიაროთ და ყოვ-ელ ადამიანამდე მივიტანოთ ჩვენი საზოგადოე-ბის მიზნები და ამოცანები. სოციალური ქსელის მეშვეობით ბევრმა იცის ჩვენს შესახებ, მაგრამ სამწუხაროდ, იმედგაცრუებული საზგადოე-ბის გამოფხიზლება მაინც ძალზე ძნელია, ყვე-ლა თავის პირადი სატკივარითაა დაკავებული. საზოგადო და საქვეყნო საქმის ინტერესმა ყოფ-ითი სატკივრის მიღმა გადაინაცლა. აპათიამ, უიმედობამ დაისადგურა, ჩვენ მაინც ვერაფერს შევცვლითო. სარგებლობენ რა ხალხის ინერტუ-ლი მდგომარეობით, უკუღმართ კანონებს ამო-ფარებული მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდები-ან, ღარიბები კი თავს ვერ აღწევენ დუხჭირ ცხოვრებას. ბევრი გაიქცა, უცხოეთს შეაფარა თავი. ისე, თუ გსმენიათ, გაქცეულებს სადმე ომი მოეგოთ. სატკივარს კი არ უნდა გაექცე, უნდა შეებრძოლო, – წამიერად შეყოვნდა მომხსენებელი, მერე მოხდენილად თავი გა-დიქნია, თვალზე ჩამოშლილი თმა შეისწორა და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა დარბაზს. და ისევ საამოდ, თავდაჯერებულად, მტკიცე ხმით განაგრძო, – რაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევძლოთ ამ მასის ცნობიერების გარდატეხა, უიმედობის დათრგუნვა და ქვეყნის გამოჯან-საღებისა და აღორძინებისაკენ შემობრუნება. გასაკეთებელი ძალზე ბევრია. ნაწვიმარზე ამო-სული სოკოებივით მომრავლებული პარტიების უმეტესობა სამწუხაროდ მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იღვწის, ბევრი კი მოღალ-ტეებისა და კრიმინალების თავშესაფრად იქცა.

ამიტომაა რომ ეჭვით უყურებენ ყოველ ახალ წამოწყებას, მართლებიც არიან. ჩვენი სურვილია ქვეყნის გადარჩენის ჩვენეული გეგმა თითეულ ქართველამდე დავიყვანოთ, ურთულესია, მაგრამ ჩვენ უკანდასახევი გზა აღარ გვაქვს, უმოქმედობით უბრალოდ გავქრებით, აღარ ვიარსებებთ. და ესაა ყველაზე სანუკვარი მიზანი მოყვარის ქურქში გახვეული მომღიმარი მტრებისა. ვერ ეღირსებიან, – მოსამართლის ჩაქუჩივით დაახეთქა ბოლო წინადადება, რომელმაც გაყურსულ დარბაზს ექოსავით გადაუარა და როცა ექომ დარბაზის ყველა წერტილ-კუნჭული მოინანავა ორატორმა დამცხრალი ხმით საზოგადოებას მიმართა, – ახლა კი სიტყვას გადავცემ ჩვენი საზოგადოების თავჯდომარეს დავით დიდებულიძეს.

ყოჩაღ. ხედავ, თურმე რა ენერგია იმალება ამ ნერვიულად მცქმუტავ ქალში? წინა საუკუნეების ღვაწლმოსილი ქალების სული მძლავრობს მასში. ქალმა უნდა დაიბრუნოს თავისი ღირსეული ადგილი. რამოდენა მოწიწება და თაყვანისცემა ჰქონდათ წარსულში ქალებს, მარტო აკაკის სიტყვები რად ღირს, დედავ ბატონოო. ასევე მიმართავდა იაკობ ნიკოლაძე პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში თავის დედას – დედავ ბატონოო, ახლა კი?!... გაიფიქრა ბადრიმ და თავი გადაიქნია.

ბადრი პატარა ხანს გულისყურით უსმენდა დავითს, მერე რატომღაც მოეწყინა, გამოსვლა ლოზუნგური მოეჩვენა, ასე როგორ მიიზიდავენ ხალხს. მოწყდა რეალურს და ირეალურში დაიწყო ხეტიალი. მერე შვილიშვილებს გადსწვდა, ნეტავ როგორ არიან უჩემოდო, თუ მოვენატრეო. ხვალვე გავქუსლავ თბილისისკენ. მომხსენებლის სიტყვებმა გამოაფხიზლა:

– მამული, ენა, სარწმუნოება ქვეყნის ფუნდამენტია, ბაზისია, რომელზეც უნდა აშენდეს ქვეყანა. ეს ანდერძად დაგვიტოვა დიდმა ილიამ და თვალისჩინივით უნდა მოვუფრთხილდეთ ამ ძვირფას საუნჯეებს. როგორც ერთი და განუყოფელია წმინდა სამება, ასევე ერთი და განუყოფელია მამული, ენა და სარწმუნოება, რომელიც თავის თავში მოიცავს თვითმყოფადობას, ტრადიციებს, სულიერებას და მაღალ ზნეობრიობას.

ისევ შემოესია ფიქრები, წრიალი აუტყდა, თითქოს ეკლებზე იჯდა. ერთი სული ჰქონდა როდის წამოვარდებოდა, მაგრამ ბაკურისი ერიდებოდა. უნახავად ვერ წავალო. ისევ მომხსენებელის სიტყვები მიაწყდა ყურს. როგორც ჩანს გამოსვლას ამთავრებდა:

– მეგობრებო, ჩვენ რეგიონებში უნდა გავხსნათ ჩვენი წარმომადგენლობები. ამ საშური საქმის ხორცშესხმისთვის აქ, თქვენთან, ჩემი მეგობრის, ბაკურის რეკომენდაციით ჩვენს საკონსულტაციო უბანს უხელმძღვანელებს ბატონი ბადრი სიხარულიძე.

თავის გვარისა და სახელის გაგონებაზე კინაღამ გული გაუჩერდა, ცივი წყალი ისე ვერ გამოაფხიზლებდა, როგორც თავისი გვარისა და სახელის გამოცხადებამ გამოაფხიზლა. გონს რომ მოვიდა, თავი ძლივს შეიკავა რომ არ გადაეხარხარებინა. ღონისძიების დამთავრების შემდეგ შეხვდა სტუმრებს, მადლობა მოახსენა ნდობისთვის, მაგრამ უარი უთხრა შემოთავზებულ წინადადებაზე:

– მე თქვენ არ მიცნობთ და არც არაფერი იცით ჩემ შესახებ.

– გაგიკვირდება და ყველაფერი ვიცით თქვენს შესახებ, პატარა მოთმინება და მალე ყველაფერი გაცხადდება, – უთხრა ბაკურმა, – დრო გაქვთ, არ აჩქარდეთ, მოიფიქრეთ. ყველამ უნდა გაიღოს თავისი წვლილი, ყოფნა არყოფნის საკითხია ჩვენი ქვეყნისთვის.

სახლში მისული დიდხანს ფიქრობდა თუ რა გზას დასდგომოდა. ააფორიაქა შემოთავაზებულმა წინადადებამ, ტვინში ჩაჭედოდა, ყველამ თავის წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის გადარჩენის საქმეშიო. დავუშვათ, დავთანხმდი, მაგრამ რომ ვერ შევძლო, სირცხვილით სად გინდა გამოყო თავი.

ექიმიც გაახსენდა, ისაუბრეო, ახალი მიაწოდე შენს ტვინსა და გონებასო. მეტი ახალი რაღა გინდა, მოსინჯე. არა, არა, ეს არ არის სახუმარო საქმე. ნუ გაურბიხარ სიძნელეებს. აი, ახალი სამოქმედო ასპარეზიც. სახეზე ღიმილმა გადაჰკრა. აჰა, რას იტყვი, როგორც ამბობენ, წილი ნაყარია, მიიღე ყმაწვილო ეს გამოწვევა. წარსულს ბარდება უშინაარსო და უფერული დღეები.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ძმასაც დაეკითხა, როგორ მოვიქცეო. დაფიქრების გარეშე უპასუხა ძმამ:

– უნდა დათანხმდე. სამშობლო დღეს მარტო სუფრაზე ახსენდებათ განსხვავებული სასმისით ხელში, შენც კარგა გვარიანად ჩამოარაკრაკებ ხოლმე, საქმით დაგვიმტკიცე, საქმით. სამუშაო ოთახს მე მოგიწყობ, მიდი, გვაჩვენე რა შეგიძლია. თავნება, ჯიუტი ხარ, შეისმენ კი ჩემსას?

ორი დღის მერე ბაკურს დაურეკა, თბილისს მოვივლი, შვილიშვილებს ჩამოვიყვან და მოვსინჯავ ჩემ თავს ახალ თანამდებობაზეო.

სიხარულისგან კანში ვეღარ ეტეოდა გრიგოლი. არ მეგონა თუ გამომივიდოდა, ხომ მაინც მოვახერხე შენი დაბმაო! აწი მე ვიცი, თუ კაცი ვარ, შეგარიგებ ადგილის დედასთანო.

გიორგი ზუბიტაშვილი

არა! დღეიდან, მივხედავ მიწას,
მოსწყინდა მამულს სუსხი ჭინჭარის,
ვილოცებ – იმ ღმერთს, პაპა, რომ ფიცავს,
მეც, რომ ერთი მყავს – დასაფიცარი!
ქვას ქვაზე დავდებ, ავაგებ ნიშას,
როგორც – წინაპრებს უგიათ გრემი,
არ დავხარბდები: ბევრ მიწას – სხვისას,
ერთი მტკაველიც მეყოფა, – ჩემი!

გ. ზუბიტაშვილი

ჩემი სამშობლო ეს არის...

გზას მივდევ, – ყვავილმოქარგულს,
წინ, უდაბური მთებია...
ვგრძნობ — საქართველოს სიყვარულს, –
გულში ცეცხლად, რომ მნთებია.
გაღმა — ქვიტკირის სოფლები,
გამოღმა — მინდორ-ველია,
ჩამოღელავენ ხევები,
ღვარა — ნისლების ფერია.
ცაზე — არწივი ნავარდობს,
სად ძველი მონასტერია,
და... იმ, მონასტრის კედლებზე
ჩვენი წარსული წერია.
ჩემი სამშობლო ეს არის, –
ჩემი ძირი და კერია,
სადაც, ქართულად გალობენ,
სადაც ქართულად მღერიან!
ცეცხლივით ღვივის ასკილი,
თითქოს, სანთლები დნებიან...
და... უფალს — საქართველოის
დიდებას ევედრებიან...

* * *

სათიბიგორზე დაიწვა ღამე,
დათოვლილ მთებზე ნისლია შავი...
სხვათა ბილიკზე სული ვაწამე
და ჩემს ბილიკებს წავართვი თავი!
სხვათა ბილიკზე ვიბრძოლე მრავლად,
არ დამიზოგავს ღონე და ძალი,
ჩემი კერია ვაქციე — ნავლად, –
დაქვრივებულა, ვით — პატარძალი!
არა! დღეიდან, მივხედავ მიწას,



გიორგი ზუბიტაშვილი

მოსწყინდა მამულს სუსხი ჭინჭარის,
ვილოცებ — იმ ღმერთს, პაპა, რომ ფიცავს,
მეც, რომ ერთი მყავს — დასაფიცარი!
ქვას ქვაზე დავდებ, ავაგებ ნიშას,
როგორც — წინაპრებს უგიათ გრემი,
არ დავხარბდები: ბევრ მიწას — სხვისას,
ერთი მტკაველიც მეყოფა, – ჩემი!

* * *

ჰო, ეს ბილიკი დავტოვე — ცალად,
მერე კი, მთელი სამყარო, – მოკლე...
მიტომ, წუხილი ცას მისწვდა, – თავად,
ვით, გაზაფხულზე თენდება, – ხოლმე.
სული კი — ღელავს, ღელავს და... შფოთავს,
როგორც, ნიავი — ყვავილთა დასში,
ოცნებით ვთვრები და... იმით ვლოთობ,
მაინც, შარბათი რომ მიდგას თასში.
მრავალთა ქილიკს გავუძელ, უკვე,
მრავალთას — კიდევ, გაძლება უნდა,
რა ვქნა? თუ, სხვა წესს ჩავუდექ კვალში,

რა ვქნა? თუ, გროში ვერ ვწონე სულთან!..
აფსუს, რა, ცელქი ბალღობა მქონდა,
მასხარა ვიყავ, ხან — თვითმარქვია...
დღეს კი, თავდახრით დავდივარ — ხალხში,
დღეს კი, პოეტის სახელი მქვია...
ასე, – ხვაშიადს დარდითა ვმღერი,
ვით, ახლა, მღერის — ჭრიჭინობელა,
მირჩევენ, რომ არ გამიწყრეს — ღმერთი...
მთა დუმს, ყვითლდება — მუხა და თელა...
ჰო, დღეს, იმ ბილიკს მივყვები, – ცალად,
და... ვრცელ სანახში თვალებს ვაცეცებ...
მთელი სამყარო ვიხილე, მაგრამ...
ბავშვობას, რაღაც, სხვაგვარად ვეძებ!..

მყირე მანიფესტი, ანუ, – ლექსით სიყოცხლე მაყალეთ, ოღონდ!..

ლექსები, მაინც, უნდა ვიუბნო,
ვით, ამბავს ყვება სიო მავალი,
ლექსია ჩემი სულის საუფლო, –
ჩემი წარსული და მომავალი!
რაც, უკან დარჩა და... რაც, წინ მელის,
ის, სტრიქონ-სტრიქონ, უნდა ავაგო,
და... გულის მწველი ამოძახილი
ლექსებად უნდა ვილაპარაკო!
თუნდა, არა ღირდეს — ჩალად და გროშად,
მე, რომ მგონია — ბადაღშად, ოქროდ,
თუნდ, ჩამითვალეთ პოეტურ ოხვრად, –
ლექსით სიცოცხლე მაცალეთ, ოღონდ!...
ხოლო, სიცოცხლე თუ, ლექსს, თან, ახლავს,
როგორც, კაცის გზას — ფიქრი, – მრავალი,
ნუ გამიწყრებით, ლექსია, რადგან,
ჩემი — წარსული და... მომავალი!

* * *

ნისლში გაშლილა ალაზნის ველი,
თოვლიან მთიდან ხმა ისმის ზვავის,
წივის არწივი – მთების ბატონი
და ხევისპირზედ შროშანი ყვავის!
გაღმა ცხენების მარულას მოჰგავს,
ჩამოქროლილი სერებზე ქარი,
გული კი რაღაც სხვაგვარად ბორგავს,
დაჭრილი როგორც წითელი ხარი!
ჯავრი, ვით ბარდი ისე გახშირდა,
სულში მიძვრება, ვით კირში გველი,
ცხოვრება ამად ღირდა? – არ ღირდა!
არაფერს ვნატრობ, არაფერს ველი
და მაინც მხიბლავს ალაზნის ველი...
თოვლიან მთიდან ხმა ისმის ზვავის,
წივის არწივი – მთების ბატონი
და ხევისპირზედ შროშანი ყვავის!

გავიდა დრო და...

გავიდა დრო და... ჩაიარა წყალმა, მრავალმა,
რად გამახსენა გაზაფხულმა შენი სახელი?..
ჩვენ, დროთა სვლაში, ერთმანეთი შემოგვემალა
და... ყველაფერში, ვაზიარეთ, – აღარაფერი!
ჩვენი ბილიკი შენ გაცვალე — სხვათა შარაგზით,
მეც, სხვათა ეშხმა, დამატყვევა, – მწუხარნაგემი,
მაგრამ... მე, მაინც, გულის ჯიბით დამაქვს,
ნეტარი:
შენი ღიმილი, შენი მზერა, შენი სახელი...
მარისხებს, ახლა, კესანეთა დამჭკნარი ველი,
მათი ჩაკონვა შენს დალალში რომ მსურდა ძლიერ,
ალბათ, სხვის ნაკრეფ ყვავილებმა თუ, დაგიმონა?..
ჩემს ხელში ჩამჭნარ კესანეთა კონის მაგიერ...
და... აგერ, უკვე, ჩაიარა — წყალმა, მრავალმა,
გასრულდა — ჩემი ოცნებების ჰანგი, – ჩარგული,
როგორც, სიჩუმით ნაამბორი, ძველი სიმღერა,
მივიწყებული და... ულმობლად, გადაკარგული!



აკაკი ბიძინაშვილი

ლექსია ჩემი წყალი და პური,
ლექსია ჩემი ჰაერი, მიწა...
შემედავება ამაში ნურვინ,
ერის გენს სიტყვის ბუდეში ღვიძავს...
ლექსია ჩემი თოხი და ბარი,
ლექსია ჩემი ცული და ურო,
უნდა ვიმღერო, მითხარი ბანი,
ნუ დაიზარებ, ამყევი გულო!

ა. ბიძინაშვილი

შენა ხარ

დიდი გმირობის სათავე
შენი გულიდან იწყება,
იმ უკვდავებას გადარებ,
რომ ბრწყინავს ქართულ მიწებად...
აყვავებული ბარადა,
შენს სახელს დრო ვერ შელახავს,
ვეფხვის და მოყმის ბალადა,
ასე მგონია, შენა ხარ!...

ვერ შეველევით

ცოცხლებს გვინახავს მამული,
მოვკვდებით, გულში გვიმარხავს.
სიყვარულგადამალული
მე მარტო მიწა მინახავს.
პლანეტა საოცარია
თავის მთებით და ველებით,
სამშობლო სალოცავია,
რომელსაც ვერ შეველევით.
ველით სანატრელ ამინდებს,
ავსებულს იაგუნდებით,
საითაც უნდა წავიდეთ,
ბოლოს მამულში ვბრუნდებით.

მას ვადღეგრძელებ

მას ვადღეგრძელებ ჭიქით,
როგორც ჭეშმარიტ მხედარს,
საუკუნეთა იქით
ვინც საქართველოს ხედავს!..
სახელს არ იხვეჭს დავით,



აკაკი ბიძინაშვილი

არვის ბარდება მძევლად,
სჯერა თავისი თავის,
აზრის უშრეტი რწმენა.
ვინც წინაპართა შექმნილს
მტვერსა და ნამქერს აცლის...
უდგია მათი ძეგლი,
იცის ღირსება ღვაწლის.
სიტყვით, საქმით, ხან ხმალით
ძმას არასოდეს ზღუდავს...
მამულისათვის თავი
განწირული აქვს მუდამ!
მას ვადღეგრძელებ ჭიქით,
როგორც ჭეშმარიტ მხედარს,
საუკუნეთა იქით
ვინც საქართველოს ხედავს!..

ლექსია

ლექსია ჩემი წყალი და პური,
ლექსია ჩემი ჰაერი, მიწა...
შემედავება ამაში ნურვინ,
ერის გენს სიტყვის ბუდეში ღვიძავს...

ლექსია ჩემი თოხი და ბარი,
ლექსია ჩემი ცული და ურო,
უნდა ვიმღერო, მითხარი ბანი,
ნუ დაიზარებ, ამყევი გულო!
ლექსია ერის გონების მადლი,
კელაპტარივით ანთია ტაძრად...
მე ლექსს ბრიალა მნათობებს ვადრი,
რომელთაც უნდათ სინათლედ დაცლა.
ლექსია ჩემი სიმი და ნოტი,
სულ მუდამ მუზის ცეცხლით ვენთები,
ეს აღტაცება იქიდან მოდის,
სადაც ცხოვრობენ მხოლოდ ღმერთები!..

მერწმუნეთ

შევხვდი ათასგვარ სიავეს,
ზოგ ლომზე მაინც მძლე ვარ...
აქ მათი სული ტრიალებს,
ვინ მე დამტოვა მძევლად...
თითქოს ცხრათვალა მზე არის,
მეფე მოუძღვის ლაშქარს.
მათი ფარ-შუბის ჟღრიალის
ექო მოისმის ახლაც.
მერწმუნეთ, ძალზე მომინდა
იმ წინაპრების ნახვა,
რომ ბრუნდებოდნენ ომიდან
მომხდურთა დასაძრახად...
რგავდნენ, თესავდნენ, წურავდნენ
ნავში ქარვისფერ მტევნებს,
რკინას ქურაზე ღუნავდნენ,
ქეიფს იხდიდნენ მერე!

გაახსენდება

თურმე ეს ჩვენი გონებაც ცვდება,
ხან ველარა ცნობს თავის გამზრდელსაც,
ადამიანი იმდენჯერ ცდება,
ნაბიჯს გადადგამს გზაზე რამდენსაც...
გაოგნებული, ცისაკენ იწევს,
ჰგონია, იგი მისი სახლია,
არა ცნობს თავის მარჩენალ მიწებს...
შურით ერთმანეთს თავებს ახლიან!
და, როცა იგი ბრძოლას ამთავრებს,
იმ გოლგოთასთან, სადაც იცდიდა,
გაახსენდება თავის სათავე,
გაახსენდება იშვა მიწიდან!..

ყვავილს წავართვით

ბევრ ქალს ყვავილის სახელი
ჰქვია: ია, ენძელა, ნარგიზი, ქრიზანთემა

ამ წუთისოფლის უამრავ სტუმრებს
სულ ერთმანეთის აზრებს ვახვევდით,
ადამიანი ვინც შობა, თურმე
„დედა“ ყოფილა მისი სახელი.
ასე მოიქცა ყველა წარმართი,
ვის სხეულშიაც მშობლის გული ძგერს...
სხვა სახელები ყვავილს წავართვით
და ჯილდოდ ქალებს ჩამოვურიგეთ!

ვის უნახია?!

ქართულ მიწაზე ვის უნახია
მიწა უვაზოდ... ან უაივნოდ...
ჩვენი ცხოვრების წესის სახეა,
სიკვდილის წინაც რომ ვთქვათ „ალილო“.
ღმერთია მუდამ ჩვენი მფარველი,
განგებამ ერთ დროს ასე ინება...
გადაშენებას მიტომ არ ველით,
დავბადებულვართ უფლის შვილებად...
არ დავატარებთ, არა, სხვის ცოდვებს,
მუდამ მშვიდობის ვიყავთ მძევლები...
ამ მწვანე გზაზე სულ ხელს გვიწოდებს,
ჩვენი ხატები, ჩვენი ღმერთები!

მარიამ ძამუკაშვილი

თეთრად ქათქათებს ალავერდი ჩამუქლურჯებული ჭალის ფონზე, მხრებით შესდგომია თოვლდამდნარ, ყინვარშემორჩენილ, ძლიერი მთების კოლონას. ამ გოლიათის მკერდზე დაუსვენებია ჯვარი, მაღალ გუმბათს რომ ამთავრებს. თითქოს, მისი ყოვლისშემძლეობით ცდილობს გადაარჩინოს ქართველების წილხვედრი, სიამაყისა და ძლევამოსილების ეს სიმბოლო, – კავკასიონი. ზემოთ, მთის ოდნავ დამრეც ფერდობზე, იკვეთება ხელისგულისოდენა სიყვითლეშეპარული მინდორი, რომელსაც შარავანდედად ადგას სახურავის კონუსი ეკლესიისა.

მ. ძამუკაშვილი

...ის შვილია მთისა – ალაზანი

ვაზის მწკრივებს შორის გასათიბად მომზადებული ბალახი მშვიდად ლივლივებს. აუხვევლად დარჩენილი, თითქმის გამერქნებული ყლორტები, რომელთა წითელ ქერქს ხმობისმაგვარი, ღია შოკოლადისფერი შერევია, პწკალების მარყუჟებით ჩაბღაუჭებია შალაფას, რომელიც ძლივსღა ამოძრავებს თესლით გამოტენილ, გაფშეკილ თავთავს და თავისუფლად დარჩენილ ხმლისებურ ფოთლებს. იქით დაყვავილებული ღორის ქადის ხეშეშბუსუსიან გვირგვინშია ჩაკლაკნილი.

თვალუწვდენელ ცისფერში იკარგება ზვარი, თითქოს, მის მეტი აღარაფერი არსებობს ამქვეყნად, მაგრამ სადღაც ხომ აქვს დასასრული, – კვიპარისებსა და ფიჭვებს კენარი ტანიდან მხოლოდ ქარისგან მორკალული კენწეროებიღა მოუჩანს.

თეთრად ქათქათებს ალავერდი ჩამუქლურჯებული ჭალის ფონზე, მხრებით შესდგომია თოვლდამდნარ, ყინვარშემორჩენილ, ძლიერი მთების კოლონას. ამ გოლიათის მკერდზე დაუსვენებია ჯვარი, მაღალ გუმბათს რომ ამთავრებს. თითქოს, მისი ყოვლისშემძლეობით ცდილობს გადაარჩინოს ქართველების წილხვედრი, სიამაყისა და ძლევამოსილების ეს სიმბოლო, – კავკასიონი. ზემოთ, მთის ოდნავ დამრეც ფერდობზე, იკვეთება ხელისგულისოდენა სიყვითლეშეპარული მინდორი, რომელსაც შარავანდედად ადგას სახურავის კონუსი ეკლესიისა.

მყინვარების ხევები ქვემოთ ჩამორბიან, თანდათან, განიერდებიან, სავალს უთავისუფლებენ ნადნობს, ტყეებში რომ იფანტება ჩანჩქერებად და ნაკადულებად.

გაძღა მიწა, გაიჟღენთა, უბე გადაიხსნა და გამჭვირვალე წვეთების მარგალიტებს უწყო შეგროვება. ნაჟონი წყალი მოგრძო ფიალაში აციმციმდა. ვერ დაიტია, – ვიწროში ალიკლიკდა, ახალ ბინას დაუწყო ძებნა.

...მის სულს მხოლოდ სიმშვიდე და სიწმინდე დაუფლებია, – არასოდეს აღელვებს ცხოვრების კეთილი თუ ბოროტი ორომტრიალი, არ ცნობს სიავეს, ბოლომდე გვიჩვენებს თავის უმანკოებას და შეურყვნელობას, – ფსკერზე, სილამიწაში ჩაფლული ჭრელ-ჭრელი კენჭების მთელი საგანძური კრიალებს, თუმცა, ძირგამოხრული ნაპირის სიბნელეში თვალი ბოლომდე არ მიმიწვდება... ოდნავ შესამჩნევად ატორტმანებს სარკისებურ ზედაპირს მოზრდილი სადგომი გამჭვირვალე წყლისა, რომელიც დაქანებაზე მსუბუქად ვიწროვდება... აი, აქ უკვე ისეთი ტანწერწეტა ხდება, ხელის მტევანი შემოსწვდება. მხოლოდ ამ ადგილას შეიმჩნევა, როგორ ცოცხლობს, როგორ მიედინება მიზნისკენ. სილამაზეც ამას ჰქვია, – ფერად კენჭებზე და სველ ქვიშაზე თვალნათლივ ჩანს ირიბ, უწვრილეს ზოლებად ნაქცევ ჭავლს როგორ გადააქვს წყალი მეზობელ „წყალსაცავში“.

...მას არ შორდება. ეს მისი სანუკვარი საცხოვრისია, – ჭალა ჩრდილებად ეფინება სხეულზე. მუქი ლაქები ოდნავ ლიცლიცებს მის წკრიალა სარკეზე.

შეუმჩნევლად იკიდებს ფეხს ჩემს ირგვლივ აურა იდუმალებისა, – თითქოს, რაღაც საიდუმლო ხდება სანაპირო ჩრდილების „ღამეში“. არც მღალატობს ქვეცნობიერი, – ეს იდუმალება კი გამოჰყვა ციდამტკაველა თევზების გუნდს. მათი ჯიშის ამდენი ბინადარი არასოდეს მინახავს. ამ ყავისფერ-მოვერცხლისფერო მოქნილი არსებების უზარმაზარი ქარავანი ტანის მსუბუქი რხევით გამოიჭრა ფსკერის ბინდ-ბუნდიდან ...უბრალო გასეირნება მეგონა, მაგრამ, ვითომდა, უწყინარ არსებებს, ამ დროს, მხოლოდ ბოროტი განზრახვა ამოძრავებდა (თუმცა, ბოროტსაც ვერ დაარქმევ), – მოსარკულ ზედაპირზე ნემსიყლაპიას ძაფისებური, თითქოს გადამტვრეულ ფეხებზე შემდგარი ჩაქუჩისებური სხეული უდარდელად ქანქარებს გარდი-გარდმო. თავი უძრავად უჭირავს, ქვემოთ იყურება, ალბათ, ფეხის ქვეშ წყალზე გაჩენილ რგოლებს დასცქერის. საშიშროებას ვერ გრძნობს, – გემრიელი ლუკმის



მარიამ ქამუკაშვილი

ხელში ჩასაგდებად ჩუმი ბრძოლა, აქვე, სიღრმეში ხდება. თევზის ზემოთ ამოყოფილ თავს ვკიდე თვალი. ბოლო წამს ინსტიქტმა თუ იხსნა, – ნემსიყლაპიას გამჭვირვალე სხეული ჰაერის ნაკადში ალივლივდა. წყალზე გაჩენილმა წრიულმა ტალღებმა გაფართოება იწყო და ნაპირის მწვანეში გაუჩინარდა.

...ის შვილია მთისა, შვილია მდინარისა, რომელმაც მისთვის გაიღო თავისი წილი სიცოცხლე, – მისგან ნაჟონი უხმოდ ერევა ცრემლივით გამჭვირვალე, მოკამკამე წყალს ლიკლიკელა ფშისა. ვიწროებში მისი მორიდებული რაკრაკის და მდინარის ტალღების ყრუ დგაფუნის სიმფონია საოცარ მუსიკად იღვრება სიცხისგან გამოფიტულ სივრცეში.

რა ხანია, მინდოდა მენახა მდინარე, შემესუნთქა თევზის მძლავრი არომატითა და იელის თავბრუდამხვევი სურნელით შეზავებული ჰაერი თბილ, მოალერსე ნიავს რომ მოაქვს ხოლმე...

სოფლის გზატკეცილს განაპირა უბნის გზა შემოუერთდა. არახრახდა ქვა-ღორღი თვლებქვეშ ავტომობილისა, რომელსაც სიჩქარე არ შეუნელებია, თუმცა, მაინც სწრაფად გავეხვიეთ ღია ფანჯრებიდა შემოვარდნილ მტვრის ღრუბელში. იგი მაშინვე გაიფანტა და უკან მიაწყდა. დიდხანს იბორიალა ჰაერში, შემდეგ ფაქიზად დაეფინა ასფალტის ახალდასხმულ, უკვე შეჭუჭყულ ზედაპირს, რომელსაც მკვეთრად აჩნდა გადასახვევში წრიული ნაკვალევი თვლებისა.

ორღობე სწრაფად ჩავირბინეთ და ის იყო, ჩავცდით უკანასკნელ სახლს... ეს ერთი ზნე სჭირს ყველა სოფელს, – გაინაპირებ თუ არა, თვალში გეცემა ერთი და იგივე პეიზაჟი, – უხვად ყრია პატარ-პატარა გროვები კირგადაკრული ქვებისა, რომლებიც თეთრად ქათქათებს მზის სინათლეზე. ვიღაცას გორები დაუყენებია კედლიდან ჩამონგრეული ბათქაშისა, რომლის უფორმო, ბრტყელი ნატეხების ქვემოთ ბლომად ყრია მათი თეთრი ნაფხვენი, ზემოთ კი უთავბოლოდ ფრიალებს აფხრეწილი, ადგილ-ადგილ გახუნებული შპალერი. ,,პოლის“ ფიცრის უსწორმასწოროდ კიდეებშემომტვრეული ნაჭრები. გამურული, ნალურსმალი შიფრის ნატეხები ახორხლილა სიცხისგან გადახუხულ ბალახში.

მიწას ოდნავ ამოცილებულ რცხილისა და ნარის დაბალ ჯაგნარს გვალვისგან ფოთოლი გასცვენია, ეკლებს კი წვეტები აქვს შემხმარი. დაგვალული ანწლის კორომებზე ნაყოფი უდროოდ შეუწითლებია მზეს. ხმელ ბალახში, მხოლოდ, ეკალას წიბოიანი გვირგვინი მოჩანს. ნაზ, ვარდისფერ ყვავილს, კარგა ხანია, მოუხდია ამქვეყნიური ვალი, – იყო დრო, როდესაც თავის მოტკბო სურნელით შორიდანვე იზიდავდა ფუტკრებს, რომლებიც მის ნექტარს ფიჭაში თაფლად აქცევდნენ... აქაც თავისებური სილამაზეა, – მკვდარი სილამაზე. თვალის სასიამოვნო არაფერია, სამაგიეროდ, სოფლელებს ნამდვილი მუზეუმი მოუწყიათ ნარჩენებისა, – მიმოფანტულ ქვებში ყრია დაშლილი მანქანის და ტრაქტორის ნაწილები, მინებჩამტვრეული კაბინები, ამოტეხილი, გაღუნული იატაკი ,,კუზავისა“, რომელსაც სავალ ნაწილად მხოლოდ სიძველისგან დახვრეტილი დისკებიღა შერჩენია. ერთი მათგანი საცოდავად დაფერდებულა, ზურგზე დაცემული კუსავით ვეღარ ახერხებს წამოდგომას. საბურავის რეზინები დაუწვავთ, რეზინის შავი, ბრტყლად დაფერფლილი, ჭვარტლიანი ნახშირიდან წმინდა მავთულის აკურატულად დახვეული, გამურული გროვაღა დარჩენილა, ზოგი სანახევროდაა დამწვარი და ნარჩენი ისეა გახურებული სიცხისგან, შავი ალმური მირაჟივით ადგას. ურმის თვალი უღონოდ არის მისვენებული ყვითელხავსმოდებულ, ალაგ-ალაგ მიწაშერეულ ქვების ბორცვზე. შუაგული სიმძიმეს ჩაუმტვრევია, სალტეზე მისი სამაგრები, – ხის ფორმიანი ჯოხები ჩამომსხვრეული კბილებივით მოჩანს.

ნაგავსაყრელის საზღვრის განაპირა სახლთან ღობის უზარმაზარი ცემენტის ფილები ეზოში შეხედვის საშუალებას არ იძლევა. წარმოდგენილი მაქვს სისუფთავე და სიწყნარე ეზოში რომ დასადგურებულა. იქ სულ სხვა სამყაროა. გული მეკუმშება, ყველანი ასეთები ვართ, ჩვენი ცხვირის იქით ვერაფერს ვამჩნევთ, ჩვენზეა ზუსტად ნათქვამი, „მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა''-ო. ცუდ ხასიათზე ვდგები. ცხოვრების ამაოება ღრმად მეჭრება სულში, აღარაფერი მინდა...

გზა დაბალი ბუჩქნარისა და ხეების ხეივანში იკლაკნება, – ამდენმა მოსახვევმა თავბრუ დამახვია. როგორც იქნა, დამთავრდა მოხრეშილი, მაგრამ უარესი, თურმე, წინ ყოფილა, – მინდვრის წყალნავალ ოღროჩოღრო გზას ავედევნეთ...

მივდივართ, მთები უკან გარბის, მაგრამ დახეთ საოცრებას, – უფრო მკვეთრი ხდება მოხაზულობა, უფრო ახლოს მოდიან. წყდება წარმოსახვითი ჯაჭვი მათ შორის. თითოეული ცდილობს მოიხსნას სიშორის ფარდა და თავისი ხასიათი გაბედულად წარმოგვიჩინოს...

ხესთან მაყვლის ბარდი გადაუწვავთ, ეტყობა, მისვლას ცდილობდნენ. ისეთი გამხმარი და გაშავებულია, ვერ ვარკვევ რომელი ჯიშია. ტოტები უაზროდ აუწვდია ცისკენ... აი, მაყვალი კი უფრო გახელებულა, – მუქმწვანე მკვრივი და მსხვილი ყლორტებით ყელყელაობს კუპრისფერიდან.

ცალ მხარეს ხის წვრილი მერქნებია ჩამწკრივე-

ბული. მახლობელი სინათლის ბოძიდან ჩამოშვებული დენის მავთული მათზე აგრძელებს გზას. ჩიტები სხედან და ამძიმებენ სადენებს, რომლებიც, მათ გარეშეც, მიწამდეა ჩამოზნექილი. ბოლოში მოჩანს მოგრძო შენობა, ალბათ, ფერმაა.

სავალის აქეთ-იქით მინდორია გადაჭიმული დაბალი ბალახით და ეკლიანი მცენარეებით, რომლებსაც ვარდისფერი, წებოვანი გვირგვინები გამოუტანია. ...ეს ძირიდანვე ცისფერია, მის უხეშ, ნემსებიან სხეულს, რომელსაც ყვავილიც კი არ აქვს, ეს შეფერილობა სიფაქიზეს მატებს. თავზე ზუსტად იმავე ფერის მომცრო ტანის პეპელა დასტრიალებს, – ისიც ხომ ნაზია.

თხელ ფენად ადევს თბილი, ცემენტისფერი მტვერი გზას. ზედ შუაზე, – ყველაზე რბილ ადგილას, მერცხლის მოყავისფერო ბარტყები სხედან. ფრენას, ეტყობა, ახლა სწავლობენ. აფრენა ეზარებათ. შიშით ვადევნებ თვალს. როცა იმედს გადავიწურავ, რომ საბურავი გადაუვლით, სწორედ მაშინ, ავტომობილის ქვემოდან აფრინდებიან და წინ გადასხდებიან, გზას კი არ შორდებიან.

ჩავიქვეითეთ.

...მშვიდად მირაკრაკებს წყალი, მთლიანი ველი დატბორილია. გაუთიბავ მინდორზე გვირილებით მოფენილი მდელოებია გადაშლილი, – თავზესაყრელად აქვთ დასაბამიდან სიცოცხლის უშრეტი საუნჯე, – წყალი. გზის ნაპირებზე, ჭყანტობში უცნობი ბალახის წვეროკინები ქანაობს. ლიმონისფერი პეპელა ნამცეცა, ლურჯ, ვარსკვლავა ყვავილს დაჰფარფატებს. ძაფივით წვრილი ღერო შეირხა და მოიკაკვა. პაწაწინა უმწეო გვირგვინი მიწამდე დაიხარა. თრთის და ირხევა ამ ჩუმი, უსასრულო ძალადობისგან.

– ,,თითქოს სხვა ყვავილები არ იყოს, – ძლიერები, ჯიშიანები“ – ვბუტბუტებ ჩემთვის.

სწრაფად გარბიან ვენახის მწკრივები უკან. შაბიამნიანი ფოთლები ლაღად ლივლივებს. ჯერ კიდევ წვრილმარცვლიანი, დაისრიმებული, ხშირი მტევნები, თითქოს, მათით იჩრდილებენ. საწამლი ტრაქტორის თვლების ნაკვალევში ჩამდგარი წყალი მწკრივის ბოლოში გაჩერებულა. გაჟღენთილი მიწა ვაზის ფესვებზეა გადაფოფრილი.

საზამთროსა და ნესვის ბაღები მწვანე კალთებს აფრიალებს. სილაღე და სიხალისეა, – ერთმანეთს ენაცვლებიან აღაღანებული სათიბები, დათავთავებული, ცისფერით დაბინდული ხორბლის ყანები, ჯერ კიდევ ტაროდაუყრელი, ღონიერი სიმინდის თვალუწვდენელი ჩამუქმწვანებული უდაბნოები.

მანქანის თუხთუხშიც კი ღია ფანჯრებიდან მკვეთრად იჭრება ჭრიჭინების გახელებული ჭრიჭინი, რომელიც ხანდახან მიწყდება, ხან ისევ ძლიერ ტალღად შემოიქროლებს შიგნით და, თითქოს, სიცხეს აძლირებს. უცებ, სულ ახლოს, მტვრიანი ბალახიდან ორი კალია შეშინებული ამოხტა და ტკრციალით ჩაეშვა მახლობლად. წამით ორივემ ხმა გაკმინდა, მაგრამ მათი ნაგვიანევი ,,ჭრიკ-ჭრიკი“ მაინც დაირხა სიცხისგან გათანგულ ჰაერში და სწრაფად აგვედევნა. უცებ, ღია-მწვანე, უზარმაზარმა, – მტკაველს აღარაფერი აკლდა, – კალიამ სკამის საზურგეზე მოადინა ტყაპანი და ხერხისებურ, დაკუთხულ ფეხებზე აქანავდა. შიშის არაფერი ეტყობა, თამამად გვიცქერს თვალებში, წასვლას არ ფიქრობს. მეტიჩარა თანამგზავრს ოდნავი შიშით ვკიდებ ცერს და საჩვენებელ თითის წვერს. არც ტოკდება, მხოლოდ გრძელ, ძაფისებურ ზემოთ აწეულ ,,ულვაშს“ თუ ,,ანტენას“ ამოძრავებს, – ხან ერთს ხრის ქვემოთ, ხან მეორეს. სარკმელთან მიმყავს და ხელს ვუშვებ. მოძრაობის სწრაფი ქარიშხალი უკან მიერეკება და ,,უფასო მგზავრი“ სწრაფად უჩინარდება ზურგს უკან...

დაფეთებული ჩიტი ამოფრთხიალდა, ფრთების ელვისებური მოძრაობით აიღო სიმაღლე და ირიბად გადაუფრინა მინდორს...

ოღროჩოღრომ იმატა. მზისგან გამომხმარმა თიხისფერმა ნაჩლიქარებმა მარცხნივ შეუხვია. ხის მომცრო ბოძებზე უხეშად გაჩორკნილი, მიბრეცილ-მობრეცილი ფიცრები იკლო-ბაკლოთ მიუკრავთ. ღობის შიგნით ეზო საქონლისგან აზე-

მხატვარი სოფიო ჭელიძე

ლილ-დაზელილი ნაკელითაა მოფენილი, აღარ ეტყობა, თუ ოდესმე მიწა ყოფილა. შენობაში და მის ახლოს არავინ ჩანს, ეტყობა, პატრონსაც და საქონელსაც გრილი ტყისთვის მიუცია თავი. იქ ბალახიც ბლომადაა, საჩრდილობელიც, სადაც ფერდსავსე ძროხები ზანტად იცოხნებიან და კუდის ზარმაცი ქნევით ერეკებიან აბეზარ მწერებს თვალებსა და ნესტიან ცხვირებზე, რომ მიწებებულან.

მოზრდილი, აღაღანებული მწვანე ბოსტანი ეზოს ემიჯნება. მავთულის ახალი ბადე მთელ სიგრძეზე ჩაუყოლებიათ. ჭარხლის ძარღვიანი წითელ-მწვანე ფოთლები, ხახვის წვეტიანი, წვერებში ოდნავ შეთეთრებული ფოჩები, სტაფილოს დაკბილული ღერები, რომელთა ქვემოდან ნარინჯისფერი ამოკიაფობს, ერთმანეთს ეჯიბრება სიმაღლეში. ეტყობა, წყალიც არ აკლიათ, – იქვე, მესერის ბოძები იცქირება დაბალ ხევში, ალბათ, იქიდან ამოაქვთ სარწყავი წყალი. ვიწრო ნაკადს დასაწყისი არ უჩანს, არ ვიცი საიდან მოდის. ფსკერი მოზრდილი ქვებით არის მოკირწყლული, მათ ჩაჟამებულ, ყვითელ ხავსზე რაკრაკით გადარბის გამჭვირვალე, ცივი მდინარება. უზარმაზარ ლოდთან მოზრდილი გუბე კამკამებს, ისეთი წმინდაა, დაილევა. მართლაც, მისთვის გულგრილად არასოდეს ჩაგვივლია. ამჯერადაც, ვიჯერეთ გული, წყურვილმოკლულები დინჯად ამოვდივართ ზემოთ. დინჯად იმიტომ, რომ ფეხის დასადგმელ სწორე ადგილს ვერ იპოვი. დაფერდებაზე წვეტიანი ქვებით და ნამტვრევი ტოტებითაა მოფენილი ამოსასვლელი. კვლავ ფართოდ გაშლილ მხრებქვეშ უყრია დროისგან ნამუსრევი, ძველისძველი ტოტები და მიწის ზემოთ დარჩენილი ფესვების მონატეხები უზარმაზარ კაკლის ხეს, რომელსაც ხმობა დასწყებია. მთელი ხისქვეშეთი მოფენილია გასულ წელს ჩამოცვენილი ნაყოფით. ჩენჩო და გაშავებული შიგთავსით ამოვსებული ნაჭუჭი ბლომად ყრია. ვიღაცას უცდია გაეტეხა პირი რომ ჩაეგემრიელებინა უგემრიელესი საზრდოთი, – გვერდით ყრია ნამსხვრევები ქვისა, რომლითაც, ალბათ, გატეხვას ცდილბდნენ... მეცინება, ნაცნობი ილეთია... გამახსენდა ამასწინანდელი ამბავი: ბიძაჩემი ხშირად სტუმრობდა ამ ადგილებს. ერთი დროა, მივიდა სახლში და მიიტანა მისი ნაყოფით გატენილი ხაკისფერი ,,ვეშმეშოკი" (ყველა ასე ეძახდა ზურგჩანთას). დაბროწილი ნაყოფი ბროლივით ქათქათებდა... რას დავამტვრევდით, ღორმაც კი ვერ დააკარა კბილი. მძიმე ტვირთის თრევით ზურგგადატყავებული ჩაფიქრებით ისვამდა ნატკენ ბეჭებზე ხელს თავის თავს ებუტბუტებოდა ,,იქ მაინც მენახა, კაცო, კარგი რომ ყოფილიყო, ვინ დატოვებდა"-ო. კერკეტი ყოფილა, – ესეც შენი რობინზონ კრუზო თავისი ქოქოსის კაკლით. ...შორს, ჭადრებს ქარმა წამოუქროლა, თეთრი კენწეროები შეარხია, თითქოს, ფოთლების შრიალიც გავიგონე...

ჭალა დაიწყო. ერთმანეთს ენაცვლება ბუჩქები და დაბალი ჯიშის ხეები. ანწლის ღეროები, ლამის, მაჯის სიმსხო გამხდარა, სიმაღლეშიც ვერ დაემდურები, – კენწეროში გამოტანილი მკვახე ნაყოფი ზემოდან მწვანე თვალივით დასცქერის ბუწკნარით გადალესილ დაბალი ტანის ტყეს. ძახველის შეწითლებული მტევნებიდან აშუქებენ მზით გათამამებული უდროოდ ლოყაშეწითლებული მარცვლები. უნდა განახათ, როგორ გახელებულა მაყვალი, ყველაფერს ეჭიდება მისი მორკალული, ეკლიანი შოლტები. მსხვილ, ჩაწიკწიკებულ ნაყოფზე ყავისფერი, მკვრივი ბუსუსი, თითქოს, აფრთხილებს ყველა მოყვარულს, ვინც გაბედავს შეხებას, თუმცა მუქარა ჯერ ნაადრევია, – მრეშით დახუნძლული ყვავილედები მძიმედ ჩამოკონწიალებულან, ისეთი ზანტები გამხდარან, ჭალაში შებუდებული ნიავის მოულოდნელ წამოქროლვაზე, რომელზეც ფოთლები გამალებით ფრიალებენ, ყურსაც არ იბერტყავენ.

სატაცურს რაღა აქვს დასამალი, გაფარჩხულ ბარდებს სამზეოზე გამოუტანია ნისლისმაგვარი ბუერა საგველები, – აი, თურმე, სად ყოფილან ეს გემრიელები.

უსახური ტყის სიღრმეში აქა-იქ მოჩანს გოლიათი მუხის ხეები. მედიდური იერი მეტყველებს, რას გრძნობენ საკუთარი თავის მიმართ. ზოგი მათგანი ისეთი მსხვილია, ბარემ, ორი კაცი ვერ შემოაწვდენს ხელს, თვალუწვდენელ სიმაღლეზე აზიდულან და ტანში შემძვრალი თბილი ქარი, არასოდეს რომ არ შორდებათ, ნაზად უწეწავთ ფოთლების ქოჩორს. ალბათ, ფიქრობენ და თავი მოაქვთ იმით, ისინი რომ არა, მთელი ეს მძიმე ზეცა, თითქოს, საკუთარი სხეულით რომ აკავებენ, თავზე ჩამოგვექცევა უსუსურთ... გზის ნაპირებზე ასეთი დიდრონები არ არიან. დასვრეტილი ფოთლების ქვემოთ წენგოსფერი რკოები ქუდებში ღრმად შემძვრალა, წვრილი ყუნწებით გამალებით ისუტავენ მაცოცხლებელი საკვებით გაჯერებულ წვენს, „დედა" რომ სთავაზობთ.

ტყეს გზასთან საზღვარივით ჩასდევს ტალახისგან შეთეთრებული, გაქუცული წვრილ-წვრილი ტოტები და უსწორმასწოროდ წვერწაცლილი ყლორტები.

თითქმის, ყოველ ნაბიჯზე ძლიერად ირყევა მანქანა, უამრავი მოზრდილი ჩაღრმავების გადალახვა გვიწევს. მათში ჩამარხულა, ჩამხმარა ტოტები, ჯოხები, ფიჩხფუჩხი. დიდი ხანია წვიმა არ მოსულა.

ავტომობილმა მკვეთრად აირიდა ბოლო, საკმაოდ ღრმა ნაგუბარი, რომლის ფსკერზეც მხოლოდ საბურავების ხმელი, მტვრის სქელი ფენისგან სანახევროდ წაშლილი კვალი ემჩნევა და დაამუხრუჭა...

ძალიან მიყვარს ეს მცენარე, – ჟონჟოლის დაყვავილებულ ღეროს წვეტიანი, ზოლებიანი სიფრიფანა ბუშტი მოვაწყვიტე. ფრთხილად, როგორც ეს ბავშვობაში ვიცოდი, გავხსენი. მძივის ნარინჯისფერმა თვალმა სახეში შემომცინა. ფაქიზად გადმოვატრიალე საბურველი, აბა, კაბას ხომ არ

დავუხევდი და სახელდახელო თოჯინა ხელისგულზე წამოვისკუპე.

ჭალა უკან მიაწყდა. უცებ მიპყრობს წინ გადაშლილი პეიზაჟი. თვალს მტკენს მზით გაკაშკაშებული შორეული სილურჯე ცისა. პაწაწინა, მარმაშივით თხელი, თითქმის უსხეულო ვერცხლისფერ ღრუბლებს უფრო სიფრიფანა, ჰაეროვანი ფრთები გამოუბამს, ფიქრიანად მიცურავენ უმისამართოდ. ისეთი გამჭვირვალეები არიან, მათი ჩრდილიც კი ვერ აღწევს ქვემოთ...

თევზის არომატით გაჯერებულმა ქვიშის სუნმა მაგრძნობინა, რომ ის სულ ახლოს, ორ ნაბიჯზეა. ...ხარბად შევისუნთქე მდინარის ტენგამჯდარი ჰაერი.

ჩემს წინ ნაპირია. ფრთხილად ვდგამ რამდენიმე ნაბიჯს. ვიზნიქები, გაჭირვებით ვცდილობ შევხედო, რა ხდება ჩემს ქვემოთ. საშიში არაფერია, – მაღალი, ციცაბო ფერდობია. დიდი ხანია, აღარავინ ეძახის ფლატეს, აღარ მოუჩანს განივი, ფერადი ზოლები, – ოდესღაც ქარს მოუზიდია მიწა და სილა, მუქი ნიადაგი გადაუკრავს ზედ. პირდაპირ ფეხებთან ქანაობს უკვე ასაკოვანი ხეების კენწეროები. მრავლობს აკაცია, რომელთა გვიმრისებურ ფოთლებს თბილი ნიავი ელაციცება. დამრეცი ბუჩქებითაა დაფარული. საცალფეხო ბილიკი ჩაკლაკნილა ქვემოთ, ხახადაღებულ ხეობაში, რომლის ფსკერზეც მიხმაურობს მდინარე.

...ისინი მთაში იბადებიან...

თოვლმა დნობა იწყო, – ერთ წვეთს მეორე მოჰყვა, გაივსნენ, ერთმანეთში გაიხლართნენ, კიდევ შემოუერთდნენ. მილიონობით მიიჩქარიან პატარა ხეობაში. ლოდიდან ლოდზე ხტებიან, სხეულები უქუცმაცდებათ, ისევ ერთდებიან ვიწრო ჩანჩქერებში. ჩამოიმინდვრებენ თუ არა, მხიარულად და ცქვიტად აგრძელებენ გზას ნაკადულები. დიდხანს არ გასტანს მათი თავისუფლება, – თავიანთ მოკლე გარბენს ამთავრებენ მდინარეში, სიცოცხლეს კი მის ტალღებში აგრძელებენ.

ბორბალოს მთა – მან უკვე გაიღო საზრდოს მარაგი მდინარეს რომ სჭირდება, – თოვლის ნასახიც კი არ მოუჩანს. ადამიანებისთვისაც არ დაუზოგავს სიკეთე: ზღმარტლი, შინდი, პანტა, სოკო ნაირ-ნაირი, წაბლი, პაწაწინა ზღარბუნებიდან საოცრად რომ იჩეკება... ჰაერი, კი, მის ტყეებში რომ დაბორიალობს, დიდხანს ინარჩუნებს სიგრილეს და სინესტეს, როცა მზისა და ქარისგან გამომშრალი მიწა სიცხისგან დაფლეთილ სხეულზე ნამსაც ვერ იკარებს. საოცარი მთა, – შემოქმედი ჩვენი სათაყვანო მდინარისა, – ალაზანი, რომელიც სილიან ველზეა გაწოლილი და ლაღად მიათამაშებს ტალღებს...

შორს ქათქათა მთებია ჩარიგებული. ერთი პეშვიც ვერ გაიმეტეს თოვლისა, უხვად რომ აფენიათ კალთებზე. მათთან რა საქმე მაქვს, ისიც კმარა სილამაზით თვალს რომ მტაცებენ, თანაც, რა უზარმაზარი სივრცეა ჩემსა და მათ შორის, – დაკბილული მწვერვალები ისეთი პატარები და უსუსურები მოუჩანთ, მგონია, უცებ გადავირბენ.

...ციცაბოდან ჩარბენილი ბილიკით ჩასვლა მაშინვე გადავიფიქრე. გზა ჭალაში, გამჭვირვალე, გუბეჩამდგარ დერეფანში იჭრება. მისკენ გავყევი ბილიკს, რომელიც ლიანებისა და ველური სვიის გირლიანდებშია გახვეული. ადგილ-ადგილ თრთის დიდრონი მუხებისა და ტირიფების ფოთლების მაქმანისებური ჩრდილები. გზამ მოუხვია, ქვემოთკენ გამიყოლია. წყალზე გადასასვლელს მივადექ. ნაპირებში, ტყის კიდეებზე ბრტყელი ქვები ალაგია ყოველ ნაბიჯზე. ორ მათგანზე მშვიდობით გადავედი, დანარჩენიც სწრაფად უნდა გადავირბინო, წონასწორობა რომ შევინარჩუნო. ...თავიდანვე არ მომეწონა, შევდგი თუ არა ფეხი ზედ, ბორძიკი დაიწყო. უმწეო, ფოთოლგაცვენილ ტოტს ხელი ვტაცე. გაუფრთხილებელი ნაბიჯით დამფრთხალმა ორმა-სამმა ბაყაყმა ამღვრეულ წყალში მოადინა ტყაპანი, გაფარჩხულთითებიანი უკანა ფეხები ფსკერზე ჩააცურეს, იქვე, საფლობში მიყუჩდნენ... ცხელ სილაზე ჩემმა სველმა კვალმა სწრაფად იწყო გაშრობა. სიცილის გუნებაზე ვდგები, თუმცა, გულმოსული ვარ საკუთარ თავზე, – საბანაოდ მივდივარ, – დასველება იქ ნახეთ, გავტოპავდი და ეგ იქნებოდა, მაინცდამაინც ამ არასაიმედო „ხიდით“ უნდა მესარგებლა?!

ჩამჭკნარ ბალახზე უამრავი ცარიელი ნიჟარა ყრია, აშკარად ეტყობა ოქროსფერ-მოვერცხლისფერო გვირისტი, ბინებიდან გამომძვრალ ლოკოკინებს რომ აღუბჭდავთ.

ფეხი დავადგი სიმშრალისგან აფუმფულებულს, უნაზესს, – ყველგან სქლად დევს ცემენტისებური მტვერი, შეხებისას ღრუბლად რომ ავარდება ხოლმე. ღრმაა, რბილია. ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ზედ შემომეფრქვია ფქვილისებური მასა, ფეხსაცმელზე ნარნარად დაეშვა და ნაცრისფერი გახადა. ფეხზე გავიხადე, ცოტა ამეწვა შიშველი კანი, მაგრამ მალე მივეჩვიე. სულის უნაზესი ძაფები სათუთად შეახრია ნლების იქით მიმალულმა სიანცემ, რომლის უკან ბავშვობა ჩასაფრებულა, – ცხელ მასაში ტერფები გულმოდგინედ ავატყაპუნე, თითები გავფშიკე, რომელთა შორის პატარ-პატარა ჭავლები ამოიფრქვა მტვრისა. წინ ბუღი დადგა. უკან ვიხედები, კორიანტელი ღრუბელივით იხვევა და კვალდაკვალ მომყვება. მივდივარ და მგონია, რბილ ხალიჩაზე მივაბიჯებ.

ყველაფერი სასიამოვნო მალე მთავრდება, – მდინარის წვეტიანი კენჭებით და ქვებით მოფენილ ნაპირს მივადექ. ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ იბადებიან ისინი, როგორ ჩნდება რიყის ქვა. თურმე, ვარდნილი წყალი სწრაფად მიეშურება ქვემოთ და მიაგორებს ფსკერზე დიდ ქვებს. ისინი ეჯახება ერთმანეთს, იმტვრევა, იხერხება, მრგვალდება, საოცარ ფორმებს ქმნის. გზა კოჭლობ-კოჭლობით გავაგრძელე, ორივე ხელს, რომელშიც ფეხსაცმელი მიჭირავს, უაზროდ ვფარჩხავ, რომ არ

წავიქცე. იმის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი ფეხზე ჩამეცვა, რომ თავი გლუვ სილაზე ამოვყავ. სილიანი ნაპირი ალაგ-ალაგ კენჭებითაა მოფენილი, ზოგს ულამაზესი, უცნაური მოყვანილობა აქვს.

სილა მშრალია და ძალიან ცხელი, შიგ ვიფლობი კოჭებამდე. არც ისე ოლია სიარული, სამაგიეროდ, სველია, იატაკივით მაგარი, ოდნავ აჩნდება ფეხის ანაბეჭდი, რომელიც მაშინვე წყლით ივსება...

ამაზრზენია მასთან შეხვედრა, ისინი კი მრავლად დაძვრებიან. თავიდან ვფრთხებოდი, ცივი ჟრუანტელი მივლიდა ტანში, მერე კი მცირე ზიზღშემორჩენილი მოთმინებით ველოდებოდი, როდის გასრიალდებოდნენ და შიშველ ფეხს მათ გრძელ, ვიწრო ნაკვალევზე ვაბიჯებდი. ვხედავ, მდინარეში ნაპირისკენ ნესტისგან გაშავებული ტოტი მდინარებას მიჰყვება. რის ტოტი, რა ტოტი, – ანკარას ისარა თავი წყლის ზემოთ, გოჯზე ამოუყვია, ტანი არ მოუჩანს. მზით და თბილი წყლით ნასიამოვნები აჰყოლია სანაპიროს სუსტ ტალღას.

მდინარის სუნი ცხვირში მიღიტინებს. მზე აბრჭყვიალებს ოდნავ აშხეფებულს, მე კი ისე მაცხუნებს, სურვილი მიპყრობს ჩავეშვა წყლის გრილ სიღრმეში, ფეხქვეშ ფსკერის ქვიშაში ღრმად ჩამჯდარი ლიპგადაკრული, წახნაგებშერბილებული შიგთავსი შევიგრძნო.

მოზრდილ ქვას ფეხის წვერი წავკარი და შიგ ჩავაგორე, მეც თან მივყე. სიღრმე იმატებს, მაგრამ ისეთი გამჭვირვალეა, ვასწრებ ფსკერზე ნაირ-ნაირი კენჭების დათვალიერებას. ვხედავ, როგორ იმალებიან ლოდების ქვეშ შეშინებული პაწაწინა თევზები, რომლებმაც ისე ახლოს ჩამიქროლეს, მათი შეხება ვიგრძენი. ჩემს ირგვლივ სწრაფად აიმღვრა და მომწვანო ნაწილაკების ღრუბელი თავქვეზე დაეშვა. წყალი წვივებამდე შემომადგა. საამო და გრილია. ქვიშაში ღრმად ვეფლობი. პეშვით სილა ამოვიღე, თითებს შორის გავცერი, ტყაპა-ტყუპით ჩაცვივდა მდინარეში. ფრთხილად ვდგამ ნაბიჯებს, ზუსტად შუაგულში ვჩერდები. უსიამო სიცივე წელზე შემომესალტა. დინების ძლიერ ნაკადს ვგრძნობ. ტალღებს ადევნებული მზერისგან თვალი მეჭრება, თავბრუ მესხმის, გაოგნებულს ყურში მხოლოდ მისი ტლაშუნის ხმა მესმის. მაბრუებს თევზის სუნი, აღარ მაქვს უნარი მოვიცილო ფეხზე შემოხვეული ხავსის თოკი. მგონია, თუ კიდევ გადავდგამ ნაბიჯს, უსასრულო უფსკრული მშთანმთქავს. არადა, რა დიდია სურვილი მეორე ნაპირზე გაღწევის. იქ კი დაბალი ფლატის ძირში, წყალი მუქი და უძრავი მოჩანს, მხოლოდ ერთ ადგილზე ტრიალებს მდორედ, – მორევი, გამიელვა ტვინში. დინჯად, რის საშუალებასაც დინება მაძლევდა, შემოვტრიალდი და სამშვიდობოსკენ გამოვსწიე.

ფსკერი ამაღლდა. როგორც იქნა, გავბედე, – პეშვით ამოვიღე წყალი და გახურებული მკლავები გავიგრილე, სტიქიაში ყელამდე ჩავიძირე. უკანასკნელი სითბო სხეულისა სწრაფად გამომწოვა, – მისი, უკვე მშვიდი, თბილი ტალღები სიმსუბუქისა და თავისუფლების აურად მაკრავს. დინება სულ ოდნავ მიბიძგებს, ქვეყნის დასასრულამდე მიპირებს მასპინძლობას. წყნარია და ალერსიანი. ნებიერად ვწევარ მის ლბილ წყალში, თავი ტალღებზე მიდევს, ჩემი სხეული კი, მის ნებას დაყოლილი, მსუბუქად ირხევა. ნეტარებისგან გაყუჩებული თვალებს ვხუჭავ. დინება შორს გარბის, – ვხედავ როგორ მიდის წინ, როგორ მიცურავს. აი, ჩამატარა ციცაბოსთან. ტყით დაფარულ ნაპირთან. შორს, შორს წამიყვანს...

თვალს ვახელ. კარგა მანძილზე გამიყოლია. მთელი ტანით ვეხები ქვიშას, გამოსასვლელად მოვიწევ. ეს არ მიძნელდება, რადგან, დიდად განიერი არ არის, თუმცა საუცხოოდ ლამაზი ნაპირები აქვს.

როგორც იქნა წამოვდექი, ლამიანი, სლიპინა მცენარეებით და ქვებით მოფენილი ფსკერი მთელი ძალით მეწინააღმდეგება, არ მიშვებს ფეხებზე შემაზრზენად წამოდებული წვრილი საცეცები წყლის ბალახისა. ბოლოს გავგლიჯე, როგორც იქნა, ამოვედი. „პლაჟი“ სასიამოვნოდ თბილია. სხეულზე სიცივის ბუსუსი მეკვრის, ალბათ, ტუჩებიც ჩალურჯებული მაქვს. ვძაგძაგებ და მთელი ძალით ვეკვრი ქვიშას. კბილების კაწკაწს ვერ ვიკავებ, თუმცა სხეულში შემოჭრილი სითბო მალევე მამშვიდებს და სიამოვნებამოგვრილს, მოთენთილს გატოკების უნარიც არ მაქვს. მეზარება ხელით მოვიჩრდილო მზის ძლიერი სინათლე, თვალის გახელის საშუალებას რომ არ მაძლევს. ყრუ დუდუნში მდინარისა, გუგუნი მესმის, რომელიც თანდათან გაძლიერდა, – თვითმფრინავის ჩრდილი წყლის ზედაპირზე გასრიალდა.

სიცოცხლის ენერგიამოცემული წამოვდექი და აქეთ-იქით მიმოვიხედე. ირგვლივ სიცოცხლე დუღს, მრავლად მოსულან მობანავენი. რამდენიმე სახელდახელო ქოხი მოჩანს, შიგნით დიდრონი ქვები დაულაგებიათ სკამებად. ზოგი ისვენებს, ზოგი ტალღების სიანცეს აჰყოლია. აგერ, ბიჭები ემზადებიან საბანაოდ. ერთმა მათგანმა ხელები წინ გაიშვირა და მარჯვედ ჩაყვინთა. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. ხმაური და გნიასია. შხეფების შადრევანი შხუილით იფრქვევა. მათი ღრიანცელი ყურებში გამიჯდა. ბოლოს, მოსწყინდათ, ამოვიდენ და იქვე, ლოდებზე ჩამომსხდრებმა მზის ცხელ სხივებს მიუშვირეს მზემოკიდებული, გამხდარი ბეჭები...

ისე ჩუმად ჩამისრიალა გვერდით, არც შემიმჩნევია. ორი ბიჭი სასწრაფოდ გამოეყო დანარჩენებს და შავზურგიან, ხმაურსმიჩვეულ ანკარას გამოეკიდა. წვრილ-წვრილ კენჭებს და ქვიშას უმოწყალოდ აყრიან, გზას უღობავენ, აწვალებენ. ის კი, მძიმე თოკივით მიითრევს ტანს ქვიშაზე და თავს ატრიალებს. ხსნა აქვეა, – წყალში ისე მსუბუქად ჩაეშვა ზედაპირი არც შეტორტმანებულა.

აფორიაქებული ქინქლები თავზე შემომეხვივნენ, ელვისებურად დაჰქრიან, გუნდად შეკრულები, თითქოს, ცეცხლოვან ცეკვას ასრულებენ, – ელვის სისწრაფით ავარდებიან ზემოთ, შემდეგ,

თითქოს, ქვემოთ ცვივდებიან. კვლავ გაიშლებიან. ხელებს გიჟივით ვიქნევ, ვცდილობ მათ მოცილებას.

თეთრი და ყვითელი პეპლები, ბუზები თბილ გუბეებში იკლავენ წყურვილს. მდინარის ხმაურში მაინც მესმის ყურთან ჩაფრენილი კოღოს შემაზრზენი წუილი. კუტკალიები მიმალულან, მაგრამ მათ შემაღონებელ ჭრიჭინს ისე ვარ მიჩვეული, აღარც კი მესმის, მხოლოდ მაშინ აღვიქვამ, როცა შეწყვეტილ სიმღერას აგრძელებენ.

ნაპირებს, ორივე მხარეს, წყალნადგომის ნაცრისფერი, ბრტყელი ქამარი ჩასდევს. მასში ალაგ-ალაგ წყლისგან გადათელილ ბალახს სიცოცხლის ნიშანწყალი ოდნავღა აზის, – ძირში, გაცრეცილ მწვანე ფერში, კიდევ ფეთქავს იმედი. რამდენიმე ღერი შეტოკდა და მოზრდილი ხოჭოს შოკოლადისფერმა ზურგმა მზეზე ლაპლაპი დაიწყო. დაფუსფუსებს, ცდილობა, როგორმე, ადგილიდან დაძრას ხის ძველი მონატეხი, მაგრამ ვერ ახერხებს, ამაოდ წვალობს, ჩაბღაუჭებია წინა ფეხებით. მოკლე წკირით ნადავლი წავართვი და ფრთხილად ვუბიძგე, – მისი წამღები მაინც არ იყო.

ადგილი მინდა მოვინაცვლო, ფრთხილად ვაბიჯებ შიშველ ფეხებს მსხვილ ქვიშაში. ქვებში შუშის ნატეხებია არეული. მდინარის ერთ-ერთ ყველაზე განიერ ტოტის ნაპირზე მოზრდილ ქვას მისუსტებული ტალღები ნაზად ელამუნება. ამ „სკამზე“ ჩამოვჯექი და ფეხები წყალში ჩავყარე. გაღმა ნაპირი დაბალფლატოვანია. ძირგამოხრული, ალბათ, მალე ჩამოიქცევა. აქ, დროდადრო, ეტყობა, სწყდება რაღაც, ხმაურით ცვივა და უერთდება წყალს. თანდათან იფართოებს კალაპოტს, ავიწროებს სანაპიროს მწვანე ბინადრებს, – რამდენიმე მსხვილძირიან ტირიფს გაშიშვლებული ფესვები ჩამოუკიდია, თვითონ კი გამჭვირვალე სარკეში იხედება, მაგრამ, დახეთ ვერაგობას, წყალს ადგილზე რა დააყენებს, მიდის და მათ ატორტმანებულ გამოსახულებებს ქვემოთკენ ექაჩება.

მრავლად არის ტანწვრილი აკაციები და თუთის ხეები. მათზე შეცოცებულა ლიანები, რომლებიც, თითქოს, ახრჩობთ. მჭიდროდ შემოხვევიათ ტანზე ეკლიანი მჟაუნა, მზად რომ არის სპირალისებური პწკალებით ჩაებღაუჭოს ყველაფერს, რასაც მისწვდება. თუთის ხეზე, მაღლა, წყნარად ირხევა სვინტრის „გველისთავიანი“, ხეშეშბუსუსიანი ღერო. მოზრდილ, წვრილფოთოლა ტირიფს ტოტები მდინარეზე გადმოუხეივნებია, ქვემოთ მხიარულად მილიკლიკებს წყალი და წვერებს უსველებს. პაწაწინა ფოთოლი აბლაბუდაზეა ჩამოკიდებული, გამალებით ტრიალებს ნაკადის თავზე.

მოდის, მოლივლივებს. ვუყურებ, სადამდისაც თვალი გამიწვდება. შორს არ ჩანს მდინარება, თითქოს, გაჩერებულია და მხოლოდ ლიცლიცებს არეკლილ სხივებზე. ერთი შეხედვით ანკარა ჩანს, მაგრამ შევეხები თუ არა სლიპინა ფსკერს, მღვრიეში ვხედავ, როგორ დაცურავს სილის მარცვლები, დამპალი ხეებისა და ბალახების ნამცეცები, თიხის პაწია ნაწილაკები.

ამას წინათ დიდი წვიმები დაიჭირა. ჭალამ „ძარღვებში სისხლი“ ვეღარ დაიტია, ყველა ნაგუბარი ამოივსო. ტევრებიდან გამოვარდნილმა ძლიერმა მღვრიე ნაკადებმა ყველაფერი წამოხვეტა, რასაც მოერია და მთელი თავისი ავლადიდებით მდინარეს დაუპატიჟებელი სტუმარივით მიადგა.

გაივსო, ადიდდა, ნაპირები წალეკა. მოვარდნილი წყალი ქვიშაზე დაიშალა ნაკადულებად, რომლებიც ერთმანეთს ასკდება, ისევ ერთდება. მოთეთრო-მოყვითალო ქაფის ნაფლეთები ფორმას იცვლის წამდაუწუმ, ქვემოთ მიეშურება. მაღალ, მწვანე ბალახს თავიღა მოუჩანს წყლიდან, ჯერ კიდევ, ჩაუძირავ წვერს შიშით აქნევს. მათი უფრო მსხვილი მწვანე ძმობილები, – ალვის ხის ამონაყრები, წნორის მოქნილი წკეპლები უკვე მორჩილად და წყნარად დგანან. ყოფილი ნაპირის ტანწვრილი ხეები ტალღის ყოველ დაძგერებაზე ცახცახებს.

მდინარე დუჟმორეული დგაფუნობს, სადღაც მიიჩქარის გამალებული...

დაიღალა, სულს ვეღარ ითქვამს, ხმაც უწყდება, ნელინელ ივიწროებს საზღვრებს და ძველ კალაპოტში მოქცეული თავის ნამოქმედარს აინუშიც არ აგდებს, უცხოს თვალით უცქერს...

მრავლად ყრია წყალდიდობის დროს გამორიყული გაქერქილი კუნძები, ფესვებდათხრილი ხეები, რომელთაც ფოთლები გაჰყვითლებიათ. ერთი მათგანისთვის მერქანი მოუჭრიათ, ძირის კუნძის რამდენიმე ფესვი შლამის სქელ ფენაშია ჩამჯდარი მკვიდრად, დანარჩენები გაფარჩხულა და ნიავით იბერტყავს წამოდებულ ხმელ ბალახს და შემხმარი სილის ნარჩენებს. დასაწვავად დაწუნებულს უარესი ხვედრი ელის, – ლპობა, რომელსაც უკვე შეუხსენებია თავი. გამხმარი ტოტები, ხის ქერქებია აჩხორილი, მოჩანს თივის ბღუჯებიც. გამონარიყის კვალი ბუჩქებსაც ეტყობა, ზედ წყლის პირზე რომ იზრდება, – კონა-კონა ჰკიდია შლამითა და მიწით გაწებილი, მზეზე უკვე გამომხმარი ნარჩენები.

მორკალულ წკეპლაზე, რომლის ბოლოები წყალში ეშვება, ხავსის ღეროებია წამოდებული, ნიავი მსუბუქად არხევს ფოჩებს. ქვებზე შემოხვეულ მის გრძელ თოკებს ლაღად ალივლივებს დინება. წყლიდან ამოზიდულ ლოდებს წვრილი ტალღები ელამუნება, გარს უვლის და აგრძელებს თავის სავალს.

სიღრმე შეთხელებულა ამ ადგილას, ეტყობა, ფონია. მდინარე ქვებზე გადახტის, ჰაერში ისვრის წვეთებს, ტოვებს ბუშტებს, – ქაფქაფა, თეთრი ზოლი მთელ სიგრძეზე გასდევს, კვლავ მშვიდად აგრძელებს გზას.

მდინარის სარკოვანი ზედაპირი ხან სიახლოვეს, მორბენილ ხეებს მიებჯინება, ხან ხმელეთზე ღრმად შეცოცებულ ნაპირს გალოკავს, ასველებს გადმოკიდებულ ჯუჯა რცხილას, უფოთლო, გასხეპილ და სინესტისგან ეკალდაბლაგვებულ ნარის ტოტებს.

დაბალ ფლატეზე ჩამოვჯექ, ფეხები ძირს

ჩამოვუშვი. მარცხნივ ქვიან, ოდნავ შემაღლებულ ნაპირთან წყალი დგაფუნობს. ცოტა მოშორებით ღრმაა და მუქი, მაგრამ ადგილ-ადგილ მოჩანს პატარა, შიშველი კუნძულები, რომელებზეც ცხელი ქვიშის მეტი არაფერია. უზარმაზარ გამონარიყ ხეზე ჩამოსაჯდომი ადგილი შორიდანვე მოვათვალიერე. ძალიან დიდია, სილის მოგრძო კუნძულზეა გაწოლილი. იქ თავისებურად ჩქეფს სიცოცხლე: მშვიდად დაფუსფუსებენ ჭიანჭველები, სულ საქმე აქვთ. ხე მათთვის სახლიც გამხდარა და საკვებადაც გამოდგება. წითელწინწკლებიანი ჭიები, თითქოს, ვიღაცას მძივივით აუსხამს, არ იძვრიან, საქმე გამოლევიათ, ალბათ.

წყლისგან გამოხრულ ხის ფუღუროში შემალული დრო მდინარის ტალღებივით მიიზლაზნება და თავის წილს, რაც მას ერგება, ატანს წყალს და ქარს, თავისთვის აღარაფრის დატოვებას აპირებს. ამოღრუებულებში ქარს ქვიშა და წვრილი ფოთოლი მიუტანია, შიგნით მწვანე ბალახია ამოღაღანებული. ანკარას შავმა ტანმა ნაცრისფერ სილაზე გაიელვა და მორის ქვეშ გაუჩინარდა.

ერთი ხელის გაწვდენაზე ბებერი ჯირკი გდია, ნასვრეტებითაა დაფარული, ძალიან მაგარი ჩანს, მაგრამ მისი ნდობა არ შეიძლება. გავბედე, სკამად გამოყენება ვცადე. ყოველი ხვრელიდან ჭიანჭველა ამოძვრა. ჩაინგრა, ისეა გამოფიტული მათგან. ყურადღება მივაქციე, სილის მომცრო გროვაზე როგორ მიცოცავს ერთ-ერთი მათგანი. ფხვიერი მასა მასთან ერთად დაბლა ცვივა. ნაშალიდან გამოძვრა, კვლავ ზევით იწყო აცოცება. ჯიუტიც ამას ჰქვია, ხელის გულზე დავისვი და სული შევუბერე. არცთუ ნასიამოვნებმა, უთავბოლოდ დაიწყო სირბილი.

მზე დაუღალავად მიცურავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. შუადღის სამალავიდან გამომძვრალმა ჩრდილმა მეორე მხარეს იწყო დაგრძელება...

მოჟონავს, ჩუმად მოწანწკარებს მდინარიდან გამოპარული ნაკადი. მოზრდილ ადგილზე დამდგარი წყალი გზის გაგრძელებას არც ფიქრობს. ზედაპირზე მსხვილთავიანი ჭრიჭინები ლურჯი ფრთების ტკაცუნით დაფრინავენ. შემდეგ, თითქოს, რაღაცას აკვირდებიან, შეჩერდებიან, წყალში კი არ ცვივიან, უმოძრაოდ ჰკიდიან გახურებულ ჰაერში, თითქოს, ძაფზე არიან დამაგრებული. კვლავ მანევრირებენ ვერტმფრენივით, – ხან ზემოთ აიწევენ, ხან ქვემოთ ეშვებიან. უმოძრაო ზედაპირზე ხოჭოს მსგავსი მწერები დასრიალებენ, თითქოს, ბორბლები გამოუბამთო. დროდადრო შეჩერდებიან, არ იძირებიან, ისე დგანან. მათი წვრილი ფეხების ქვეშ წყალი სულ ოდნავ ნაოჭდება, – ზედაპირი მკვრივია, თითქოს აპკი აქვს გადაკრული. საერთოდ, ასეთი, გუბის მსგავსი ადგილები მზით მეტად თბება. მისი ფსკერი ყოველთვის საიმედო თავშესაფარია ბაყაყებისთვის, თავკომბალებისთვის, წვრილი თევზებისთვის და მათი ლიფსიტებისთვის, ისინი კი მრავლად დაცურავენ და აცოცხლებენ იქაურობას. საკვებიც თავზე საყრელი აქვთ, – მრავლადაა ყველანაირი მწერი და ჭია-მატლი. გადავწყვიტე, ამ საერთო ორომტრიალს შევუერთდე, გუბისკენ გავემართე. უცებ, წინ, ტყაპ და რაღაც დახტა. შევჩერდი და ზიზღის ელდამ უცებ ჩამირბინა თავიდან ფეხებამდე, – უზარმაზარი გომბეშო ზის და ჩიჩახვით სუნთქავს, გადმოკარკლული თვალები ჩემთვის მოუბჯენია, არც კი ტოკდება. ეტყობა, იცდის გზიდან ჩამოვეცალო, იმდენად თავხედია.. უნებურად უკან გადმოვდგი ნაბიჯი. ვაკვირდები სიმახინჯის ამ განსახიერებას. უჰ, რა საშინელი შესახედავია, – ხორკლიანი, მეჭეჭებიანი. ოვალური პირი ყურთამდე აქვს გახეული. მოვერიდე. თბილ წყალში შევდგი ფეხი თუ არა, მუხლამდე ჩავიძირე, უამრავი ბუშტი ჰაერისა ბუყბუყით ამოვარდა ზემოთ. ერთი-ორი წვრილი ბაყაყი მოქნილი სალტოთი, გაფარჩხული ფეხებით გადმოეშვა ჩემს სიახლოვეს. შემდეგ, თითქოს, დირიჟორმა ჯოხი აიქნიაო, – თავმომაბეზრებელი ყიყინი შეწყდა, დადუმდნენ, ყველამ წყალს მისცა თავი და ტალახში გაუჩინარდა. მაშინვე მივხვდი მათი ფორიაქის მიზეზს, – მრგვალი გუგები უძრავად მაშტერდება, – გველის თვალებს თვალი გავუსწორე, თუმცა, მას მე არ ვაინტერესებ, უხმოდ ჩამოსრიალდა გუბეში და მსხვერპლის მოლოდინში გაილურსა. უკან მივაწყდი და შლამიანი ფეხები ცივ წყალში დავიბანე.

სილაზე წვრილი მტაცებლების კვალია აღბეჭდილი, – მელა, ტურა, გარეული კატა, ეტყობა, ხშირად სტუმრობენ მახლობელი ჭალებიდან.

ცეცხლნანთებ ადგილზე ხის დანახშირებული ნარჩენები შავად მოჩანს. დანესტილა, ჩამუქებულა, ფენებად ქცეულა ნაცარი. იქვე ყრია ქეიფის ნარჩენები, – საზამთროს წითელრბილობშერჩენილი ქერქები, კონსერვის ქილები, ხის გაქერქილი შამფურები, პარკები. გამურულ ქვებზე შავი პეპელა დაფარფატებს, მსხვილი ჭიანჭველები გამალებით ეზიდებიან ყველაფერს, რაც საკვებად გამოადგებათ. მახლობელ, დამშრალ ტოტში, დაბალი კლდის ძირას სახურავიანი და უსახურავო ბოთლები ყრია. არაუშავს, მათ ზემოდან ჩამოზრდილი ლიანები და წვრილი ღეროები ფარავს, ნასუფრალს კი როდისმე მოდიდებული წყალი წაიღებს. თუმცა, ამისთვის ბუნება აუცილებლად მოგვიზღავს სამაგიეროს...

ალბათ, მაშინ უფრო წყალუხვი იყო ალაზანი, – ისტორიას არ დავიწყებია, – გაგონილი მაქვს, მის სანაპიროზე, 65 წელს გამართული ბრძოლა რომის ლეგიონებსა და ალბანეთის სამეფო ჯარს შორის, რომელიც, თურმე, დედოფლისწყაროს მიდამოებში მიმდინარეობდა...

ფიქრს მაწყვეტინებს ყივილი ქორისა, რომელმაც მთელი მდინარე გადასერა და მაღალი მუხის წვერზე შემოჯდა. ბეღურა მხიარული ჭყივილით მკერდით მიასკდა წყალს, სწრაფად ჩაყვინთა და გაწუწული ფრთების ფართქუნით შეინავარდა მზის სხივებში.

ის კი მოდის, ჩუმად მოდგაფუნობს, უსიტყვოდ ჩამივლის გვერდით და გზას მომავლისკენ აგრძელებს. შორს ნაპირების ჭალები შეერთდა, გონების თვალი კი მას მიჰყვება უსასრულობისკენ.

ნესტან ღამბაშიძე

ოლიოლიოლიოლიოლიოლ

ოლიოლიოლიოლიოლიოლ

ოლიოლ

ოლიოლ

ოლ

ოლ

და სიყვარულით მოზელილი მჭადის გუნდები, თიხის კეცებზე,
ბუხრის ცეცხლის ცხელ ალს უძლებდა.
ცომთან ერთად მოზელილ დარდებს...
ფიქრებს...
სევდას...
და პატარძლობას,
ბუხარში ცეცხლი კუნძთან ერთად წლებსაც ფერფლავდა...
თიხის კეცებიც ნელა-ნელა ტყდებოდნენ ალზე...
გაცვდა ბეჭედიც,
გადახუნდა ის ჭრელი კაბა...
და სიყვარული მოზელილი ნაზი თითებით, იმ გობის ფსკერზე,
შუშაბანდში რომ სძინავს ახლა, ერთგულად დარჩა.
და ძველი კაკლის ხის მაგიდას კი ახსოვს ალბათ...
ის პატარძალი და ის ვაჟიც
დიდი ხნის შემდეგ, რომ იგონებდნენ მოკრძალებით
სიყვარულის უტკბილეს ამბავს...
იზილებოდა გობში ხელით, ნასათუთარი ისტორია, ცხვებოდა ამბად...
ინახავს ღია შუშაბანდი
გობის ფსკერზე უამრავ ამბავს...
დუმს ბუხრის თავზეც გალეული ოქროს ბეჭედი,
კაკლის მაგიდას, წარსულის სუფრა გადაჰფენია გულზე დარდად,
ვერ ნათქვამ დარდად.

* * *

ცაცხვის ყვავილის, ფინჯანი ჩაი,
დარიჩინი აქვს ბებოს მურაბას.
ვარდი – ლარნაკში,
ბუხარში – ცეცხლი,
ფანჯრებზე წვიმის წვეთების ცეკვა.
მოგონებებით გამტკბარი ღამე,
ყვავის იელი,
გლიცინიაც, შარშან რომ დავრგეთ
და სიცოცხლის ხმას გამოსცემს ქოხი.
გარეთ სამყაროს, ქოხში მყოფთა, მარტოობის განცდა აწუხებს.

მინდა მახსოვდეს, გასავლელი გზა მაქვს უფლამდე,
გულიდან ცრემლად გადმოვღვარე ცოდვის წვეთები...
გადავითვალე ოცდაათი ვერცხლი სათუთად...
მეძახდა სული: ჩამკეტეო! არ შემოძვრეს შენშიც იუდა...

ვსვამ ცაცხვის ჩაის...
ზის ტახტზე დედა...
ბებოს რომ დარჩა ყაისნაღი, ვქსოვ ფერად დღეებს, მოსასხამ შალად.

* * *

წამოდი მთაში!
ერთად ვნახოთ
აფეთქება იასამანის, როგორ აცოცხლებს ჩაჟამული სახლის აივნებს.
წამოდი მთაში!
მდელოზეა რაში, ბალახობს,
წავიდეთ მთაში.
აფეთქებული აპრილია, ფანჯრებს სდარაჯობს,
მზე ათბობს კედლებს, ნათებერვალს, თეთრად გაყინულს,
ხალიჩების ქსელს, ოქროსფერ ძაფით, გვიქსოვს, ობობა,
სავალ ბილიკებს ასე გვიქარგავს.

წამოდი მთაში!
გაზაფხული ერთად ვისუნთქოთ,
მიწა შევიგრძნოთ, გაჟღენთილი მარტის წვიმებით,
წამოდი მთაში!
გაგვისუქდა მარტში კვირტები და შემოასკდათ ტანზე კაბები!
წამოდი მთაში!
ადვილია რომ მივწვდეთ ზეცას,
ჩამოვიტანოთ ლურჯი ფერი დედამიწაზე,
იასამნისფერს შევაშველოთ ლურჯ ფერთა გამა
და აკვარელით ცარიელი ეზოები გავაფერადოთ!
წამოდი მთაში!
ყვავილობა ერთად ვნახოთ იასამანის,
წვიმის თქეშად რომ მოვარდება ორღობეებში.

* * *

წვიმა ფანჯრებზე ცრიდა წვრილად წარსულის სევდას,
სიჩუმეს მთისას, ვნების სუნთქვის ორთქლი სდიოდა.
პარმაღზე ქალი, მკერდშიშველი, იდგა წვიმაში,
ვნების ცეცხლისგან დამწვარ სხეულს ზეცას უფენდა.
და განცდა თითქოს, იყო მარტო, აივანზე, გარეთ, წვიმაში,
ბროლის მკერდის სხივს,
მთაში ამბად მიჰქონდ-მოჰქონდა.
პარმაღზე ქალი, მკერდშიშველი იდგა წვიმაში
და ცაზე მთვარის გამოჩენას ელოდებოდა.

* * *

წამო ვიცეკვოთ, თავაშვებულ წვიმების თქეშში,
წამო ვიცეკვოთ, დავისველებ ხავერდის კაბას.
წამო ვიცეკვოთ, ზეიმი აქვს გარეთ გაზაფხულს,
წამო ვიცეკვოთ!
მარტის წვიმა თუ დამისველებს თვალის უპეებს.
გამიხარდება!
ჩამოწურავს ცრემლებს წვიმებად.
თუ ამერევა წვიმის თქეშში, ნაბიჯების თვლა
გამიხარდება!
მივცემ სხეულს თავისუფლებას.
იცეკვოს სულმა, თავისებურად.
დე, დაეკარგოს რიტმსა და რითმს თანმიმდევრობა...
წამო ვიცეკვოთ,
ლამპიონების მკრთალ ნათელში,
გარეთ წვიმაში,
გალუმპულებმა დავითენოთ მარტის ღამე თავზე წვიმებად...

* * *

წვიმის აკორდებს გაბნეულს ქარში,
რიტმებს უკარგავს, ქუსლის კაკუნის კაკაფონია.
გაშლილ თმას კვლავაც გაზაფხულის სურნელი ასდის.
ცრემლები თვალში, შეუმჩნევლად...
ტკივილი ხმაში...
ტანში გამტვრევს, ის სიყვარული, ზედმეტად რომ გამოხატე,
რისთვისაც თავს სჯი...
და ქოლგით ხელში...
წვიმის მუსიკის რიტმებს არღვევს შენი ქუსლის კაკაფონია...
თმას იშლი ქარში...
და თმას წვიმის სურნელი ასდის.

* * *

ქარია...
აწეწა ფიქრების სამყარო,
გამოხსნა სულს მძიმე ურდული კარიდან...
არია, დარია ყვითელი ფოთლები
ქარია.
დაუკრა მუსიკა, ურიტმო, უხეში,
შიშველი ნოტები გაკიდა ქუჩაზე.
ქარია...
გაძარცვა ზაფხულის ბრდღვიალა ვარდები,
ღამე ჩამოუშვა ფარდებად ზეციდან,
ქარია...
დაშალა ოცნების კოშკები,
ჰგონია გამტაცებს იმედებს სკივრიდან,
შენ რომ დააბარე ქარს, ჩემთან მიყვარსო...
მე ვდუმდი,
პასუხად, შენ ქარმა რა გითხრა?

* * *

კედელზე გაკრულ შაპლერზე უკეთ, ვერავინ ჰყვება წარსულის ამბავს.
ძველ სახლს რომ ჰქონდა ახალ ამბად...
ოდესღაც მაშინ...
თავს იწონებდნენ ყვავილები კედლიდან ალბათ,
და დიასახლისს უხაროდა ყვავილებიანი შპალერი რომ გაუკრა ქმარმა.
და ხის ძველ სახლში უმზერდა კედელს,
სულ ახალთახალს...
დაბერდა სახლი,
და შპალერი აქა-იქ დარჩა.
თქვეს: ჩამოვხიოთ
და ნაგვის ურნას ატანენ ქაღალდს,
ძველი სახლი რომ ხალისობდა,
ყვავილიანი შპალერის ქაღალდს.
და ამ ძველ შპალერს მიჰყვება სევდა...
ზოგი ვერ თქმული, ზოგიც თქმული...
დგას ქალი კართან, ფართუკს ისწორებს...
– ბებო, შენ დარდობ?
– გავაკრავთ ახალს...
ძველ სახლებში რომ შპალერები ჰყვებიან ამბავს,
მე მაინც მჯერა, ვერავინ ისე ვერასოდეს მოყვება ამბავს.

* * *

მთაში წვიმები რომ ჰყვებოდნენ მუსიკით ზღაპრებს ...
გვირილები რომ ჭორიკნობით იკლებდნენ მდელოს...
იასამანი ღამით ჩუმად, მთვარის სხივებს ეპრანჭებოდა...
უკუნი ღამის სიბნელეში ვკერავდი ქოლგას,
ჭრელაჭრულა ძველი ნაჭრებით.
გამოგიგონე...
დავიფარე იქ, წვიმაში „ფუფალას ქოლგა“.
შეკერილი ჩემი ფიქრებით,
ბუხრის წინ ალმა რომ გამოაშრო...
გამოგიგონე...
ბნელი ღამის იდუმალი თავშესაფარი,
და ვაკემსავდი ქოლგას დარდებს ნაირ-ნაირ ფერის ნაჭრებად....
გამოგიგონე.

იმ ქოლგის ქვეშ შენს გვერდით მდგარი,
ვიგერიებდით წვიმის წვეთებს, ვცვლიდით ღიმილებს...
გამოგიგონე და მას შემდეგ
იმ შორი მთიდან
ჭრელაჭრულა ქოლგით დამაქვს ზღაპრის მუსიკა...

* * *

ცოტაც და, ვიცი, ამოაპობს მიწას იები...
ცოტაც და, მთაში გაისმება მყვირალობის ხმა...
ცოტაც და, ვიცი გადაჭიმავს ბილიკებს
ზეცა...
მე-დან, შენა-მდე.
ცოტაც და მარტი ჭრელაჭრულას ჩამაცმევს კაბას,
ცოტაც და წვიმას დავუხვდები უქოლგოდ გარეთ,
ცოტაც და ფარჩა-აბრეშუმებს მომიქსოვს მდელო,
და აზარფეშით იასამნის სურნელს მომართმევს.
მე-დან, შენა-მდე, შემოკლდება სავალი გზები...
ვიცი ცოდვებით დამძიმებულს მომხსნი ტომარას,
ვიცი გვირილებს ნაზი კოცნით ჩამიქსოვ თმაში,
ოღონდაც ცოტაც, ლილოჭრელო გამოჩნდეს მთაში.
შევძლო მანძილის შემოკლება,
გზის გამოკვლევა,
მე-დან, შენა-მდე.

* * *

დრომ მოიტანა,
დრომ წაიღო,
დროს ველოდები,
დროს მიაქვს მოაქვს ყველაფერი რაც თავს გადამხდა.
სარკის წინ ვზივარ,
ვინც სარკეში ჩანს,
მას ვეკითხები
შენ რა აკეთე ადამიანო?
დრომ გათამაშა,
დრომ გატარა აღმა და დაღმა?...
დრომ დაგიტოვა წერილები თვალის კიდეზე?
ვისაც ელოდი ჩაატარა შენს გვერდზე... სადღაც...
და შენ კვლავ დგახარ.
და ახლა მე აქ, შუაღამეს, შეკითხვები მაქვს საკუთარ თავთან,
იქ მეთექვსმეტე სართულზე მაღლა,
ანათებს შუქი, მოლოდინი აქვთ, ვიღაცის ალბათ...
დრო თუ მოიყვანს, თავის დროზე იმ ვინმეს მასთან,
ჩაქრება შუქიც,
ერთი წერილი თვალის კიდეზე, წაიკითხება ამაღამ ალბათ...
ერთი ნაოჭი მეტია თუ ნაკლები თვალთან, დროს დაბრალდება.
დიდხანს ველოდი, მაგრამ გვიან მოვიდაო – იტყვიან ალბათ...
დრო ხომ არ იცდის, ზამთარია მომდგარი კართან,
საცაა მოვა,
დრო უნდა ზამთარს
ადამიანის დარდსა და სევდას ააცმევინებს ყინვას ძუაზე
და გრძელ ღამეებს, დრო გაათენებს, ფიქრებთან ალბათ...

ანა მანოშვილი

ისე, ნაზი ხარ, ისე,
ვით, თეთრი თოვლის ფიფქი,
წამოქოჩრილა გულში,
ნაოცნებარი ფიქრი.
ყიმყიმებ, როგორც სხივი,
ღამეს მინათებ წყვდიადს,
ამ, ჩემი გულის სიმებს,
შენი სახელი ჰქვია.

ა. მანოშვილი

საქართველოს!

საქართველო სანატრელო,
ჩემო დედულ-მამულო,
ჩემო ბაღო და ვენახო,
ცვარით გადანამულო.
საქართველო, ჩემო მზეო
და ლამაზო ცისკარო;
ჩემო დარდო და ოცნებავ,
ფიქრო დაუვიწყარო.
ჩემო თოვლიანო მთებო,
ღრუბლებმა რომ შენისლა,
საქართველო წალკოტი ხარ
და სიტურფე გშვენისა.
ჩემო უკვდავების წყაროვ,
დედაენავ, – ქართულო,
შოთას „ვეფხისტყაოსანო“
მსოფლიოში განთქმულო.
ჩემო ერო გულმართალო,
ფესვო გმირი ხალხისა,
ქეთევანის, დავითისა
და პატარა კახისა.
უკვდავ-უბერებელი ხარ,
სანამ ცოცხლობს ქართველი,
შენ ხარ ჩემი სალოცავი,
ტაძარიც და სანთელიც.
საქართველო, სანატრელო,
ჩემო დედულ-მამულო,
ჩემო ბაღო, და ვენახო,
ცვარით გადანამულო.

ვეღარაფერი მაჩერებს...

ფეხით გადმოვალ ჭიუხებს,
მთებსა და ველებს, — მზიანებს,
და... გრძნობა გულში მალული,
ლექსებად ავახმიანე.
სულ, შენზე ვესაუბრები —
ნაკადულებს და ჩანჩქერებს,

ანა მანოშვილი

შენსკენ მოვფრინავ ჩიტივით,
ვეღარაფერი მაჩერებს.
შენ ყვავილი ხარ — მთებისა,
განა, ლამაზი ველისა,
შენით ხალისობს სამყარო,
შენი სიტურფით, — მშვენისა,
რა დამავიწყებს, ნეტავი,
მაგ თვალებსა და წამწამებს,
შენზე ფიქრები მტანჯავს და...
შენზე ფიქრები მაწამებს.
მესიზმრე საჯიხვეებში,
მკერდს გიკოცნიდნენ ირმები,
მაგ, შენი, თვალთა ისრებით,
მართლაც, რომ გადავირევი.
სულ, შენზე ვესაუბრები:
ნაკადულებს და ჩანჩქერებს,
შენსკენ მოვფრინავ, — ჩიტივით,
ვეღარაფერი მაჩერებს.

ისე, ნაზი ხარ, ისე

ისე, ნაზი ხარ, ისე,
ვით, თეთრი თოვლის ფიფქი,
წამოქოჩრილა გულში, —

ნაოცნებარი ფიქრი.
ციმციმებ, როგორც სხივი,
ღამეს მინათებ წყვდიადს,
ამ, ჩემი გულის სიმებს,
შენი სახელი ჰქვია.
შენი სახელი ჰქვია.
წყაროს, მდინარეს, ხეებს,
შენი სახელის ექომ
გადაურბინა ტყეებს.
ვარ, – სიყვარულის მონა,
შენზე მოვუხმობ რითმებს,
გავეჯიბრები ღამით, —
ცაში აფრენილ ფიქრებს.
ისე, ნაზი ხარ, ისე,
ვით თეთრი თოვლის ფიფქი,
წამოქოჩრილა გულში, —
ნაოცნებარი ფიფქი.

და მეყვარები მარადა...

გაფრინდი, შავო მერცხალო,
გადაიარე მთებია,
მთას იქით ცხოვრობს ლამაზი,
უსაზღვროდ შემყვარებია.
მისმა სიტურფემ დამათრო,
ვით, სურნელებამ — ნუშისამ,
გული მამტაცა, წაიღო,
ერთმა ქალამა, — თუშისამ.
ჩონგურს გავუბი სიმები,
სიმღერას ვიტყვი თანაო,
მართლაც, მზესავით ანათებ,
ჩემო პატარა ანაო.
შენ, ჩემო, ნუკრისთვალებავ,
ირემო, ლამაზ მთებისა,
მთაში გაზრდილო ყვავილო,
სადარო — ვარსკვლავებისა.
რად შემიყვარდი, ნეტავი,?
გულში დამკარი ისარი,
უშენოდ, დავიარები,
ნისლი დამყვება მთისანი.
წავიდეთ საჯიხვეებში,
ნიავმა პირი გბანოსა...
და, სულ, ოცნებით ვუცქიროთ:
ამ, ტურფა საბაღნაროსა.
შენც მარტო დახვალ და მეცა,
აღარ ვიაროთ ცალადა,
ლამაზ სიყვარულს გაჩუქებ
და მეყვარები მარადა...

შენი სიყვარული მეპარება...

სულში, — საოცარი ფორიაქი,
გულში — საოცარი ნეტარება,
დიდი ტკივილით და მოლოდინით,
შენი სიყვარული მეპარება.

ნუშის ყვავილების სურნელება,
ატმის ყვავილების ელვარება,
მოდის, მოაბიჯებს სიყვარული,
ფიქრი, ოცნება და მღელვარება.

სულში, — საოცარი ფორიაქი,
გულში, — საოცარი ნეტარება,
დიდი ტკივილით და მოლოდინით,
შენი სიყვარული მეპარება.

შემიყვარდი, შემიყვარდი, ძალიან

შემიყვარდი, შემიყვარდი, ძალიან,
მე, უშენოდ, ვერ ვიცოცხლებ, ვერა,
მოდი – ჩემთან, მოდის,
როგორც აპრილი,
მოუსმინე ჩემი გულის ძგერას.
მოდი, თორემ, მოდის ცივი ზამთარი,
მთებს და ველებს ისევ ათოვს, აწვიმს,
მოდი, თორემ, მოლოდინმა დამღალა,
უშენობით დავემსგავსე აჩრდილს.
მოდი, მოდი, ისევ, მოდის აპრილი,
ვუალერსებ გაზაფხულის ფერებს,
მოდი, თორემ, სევდა მომკლავს ნამდვილად,
თუ, არ გნახე, თუ, არ მოგეფერე.
ამ სიყვარულს, მაინც, თუ, ვერ მიხვდები,
ჩემი გრძნობის მაინც, თუ, არ გესმის;
შენ ხარ: ჩემი, საოცნებო ნათელი,
ჩემი ფიქრის და ლამაზი ლექსის.
დღე და ღამე, მხოლოდ, შენზე ვლოცულობ,
უშენობა, მართლაც, ძლიერ მიჭირს,
თუ, არ მოხვალ, იცოდე, რომ... დარდისგან,
ვერ ვიცოცხლებ დედისერთა ბიჭი.
შემიყვარდი, შემიყვარდი ძალიან,
მე, უშენოდ, ვერ ვიცოცხლებ, ვერა,
მოდი, ჩემთან, მოდის, როგორც — აპრილი,
მოუსმინე ჩემი გულის ძგერას.

ელგუჯა თავბერიძე

ძველად მაყურებელთა მოსაზიდად რაც შეიძლება მეტი ახალი წარმოდგენა იდგმებოდა. ერთ წარმოდგენას ოთხჯერ, ჰა და ჰა, ხუთჯერ თუ ითამაშებდნენ. თითქმის ყოველ კვირაში მაყურებელს ახალ-ახალს სთავაზობდნენ. არტისტებს როლების დამახსოვრება ეძნელებოდათ. არაა გასაკვირი, როგორი საქმეა, ერთ კვირაში დაიმახსოვრო, თან გაიშინაგანო მთელი ტექსტი. ზოგიერთს სამი-ოთხი ფრაზის მეტი არ ახსოვდა და მოკარნახის იმედით გადიოდა სცენაზე. უკარნახებდა, გაიმეორებდა.

ყველაზე კარგ წარმოდგენად ის ითვლებოდა, სადაც სუფლიორის ნაკარნახევი დაუმახინჯებლად მიჰქონდა არტისტს მაყურებლამდე. ხშირად სხვას კარნახობდნენ, სცენაზე გასულ არტისტს არ ესმოდა, ან, როგორც ესმოდა, ისე ამბობდა, სხვას ეუბნებოდნენ, ეს სხვას ამბობდა. მაყურებელს ჯერ ღიმილი გადაურბენდა სახეზე, მერე ახარხარდებოდნენ.

ძველად მაყურებელთა მოსაზიდად რაც შეიძლება მეტი ახალი წარმოდგენა იდგმებოდა. ერთ წარმოდგენას ოთხჯერ, ჰა და ჰა, ხუთჯერ თუ ითამაშებდნენ. თითქმის ყოველ კვირაში მაყურებელს ახალ-ახალს სთავაზობდნენ. არტისტებს როლების დამახსოვრება ეძნელებოდათ. არაა გასაკვირი, როგორი საქმეა, ერთ კვირაში დაიმახსოვრო, თან გაიშინაგანო მთელი ტექსტი. ზოგიერთს სამი-ოთხი ფრაზის მეტი არ ახსოვდა და მოკარნახის იმედით გადიოდა სცენაზე. უკარნახებდა, გაიმეორებდა.

ყველაზე კარგ წარმოდგენად ის ითვლებოდა, სადაც სუფლიორის ნაკარნახევი დაუმახინჯებლად მიჰქონდა არტისტს მაყურებლამდე.

ე. თავბერიძე

სადაც არ ელი...

მეცხრამეტე საუკუნეში თეატრალური სეზონი სექტემბერში იწყებოდა და იანვარში ან თებერვალში, დიდი მარხვის დაწყებამდე მთავრდებოდა.

დიდ მარხვაში, მთავრობის განკარგულებით, წარმოდგენების გამართვა იკრძალებოდა. იკითხავთ, სად მარხვა, სად სპექტაკლიო, მაგრამ ეკლესია იმ დღეებში არც ხორციელი, არც სულიერი ტკბობის საშუალებას აძლევდა ადამიანებს.

სულ ადრე ქალების როლსაც მამაკაცები ასრულებდნენ. დედაკაცებს თეატრში არ უშვებდნენ და სცენაზე გამოსვლის ნებას ვინ დართავდა. მერე შეიცვალა, შეიცვალა და კაცმა – კაცის, ქალმა ქალის სახის გათამაშება დაიწყო. ბოლოს აირივნენ, ქალმა – კაცის, პირიქითაც, კაცმა ქალის როლი მოირგო.

ძველად მაყურებელთა მოსაზიდად რაც შეიძლება მეტი ახალი წარმოდგენა იდგმებოდა. ერთ წარმოდგენას ოთხჯერ, ჰა და ჰა, ხუთჯერ თუ ითამაშებდნენ. თითქმის ყოველ კვირაში მაყურებელს ახალ-ახალს სთავაზობდნენ. არტისტებს როლების დამახსოვრება ეძნელებოდათ. არაა გასაკვირი, როგორი საქმეა, ერთ კვირაში დაიმახსოვრო, თან გაიშინაგანო მთელი ტექსტი. ზოგიერთს სამი-ოთხი ფრაზის მეტი არ ახსოვდა და მოკარნახის იმედით გადიოდა სცენაზე. უკარნახებდა, გაიმეორებდა.

ყველაზე კარგ წარმოდგენად ის ითვლებოდა, სადაც სუფლიორის ნაკარნახევი დაუმახინჯებლად მიჰქონდა არტისტს მაყურებლამდე. ხშირად სხვას კარნახობდნენ, სცენაზე გასულ არტისტს არ ესმოდა, ან, როგორც ესმოდა, ისე ამბობდა, სხვას ეუბნებოდნენ, ეს სხვას ამბობდა. მაყურებელს ჯერ ღიმილი გადაურბენდა სახეზე, მერე ახარხარდებოდნენ.

სპექტაკლში სპექტაკლი თამაშდებოდა – ხან კომიკური, ხან ტრაგიკომიკური ამბავი ტრიალებდა. სუფლიორები მხრებს იჩეჩდნენ. როგორია?! ეუბნები ერთს, ამბობს მეორეს, სრულიად განსხვავებულს. ქართული სცენის სუფლიორებზე სატირალ-სასაცილო ამბებით შეზავებული კაიხელა ქრონიკა დაიწერება.

ამისთვისაც მოვიცლი, ან მოიცლიან, ტრაგიკული ამბები ხშირად დრამად, ოღონდ ნამდვილ დრამადაც გარდაისახებოდა სცენაზე.

ქუთაისის თეატრი, მეცხრამეტესაუკუნისეულ ხარაზოვის თეატრზე მოგახსენებთ, ისე პატარა იყო, რომ არტისტების სიმრავლესა და დეკორაციათა მრავალრიცხოვნებას შორის ხშირად არჩევანის გაკეთება უწევდათ.

რუსული საოპერო დასი ჩამოსულა, ორმოცდაათი-სამოცი არტისტი ჩამოყოლიათ, დეკორაციებიც, რეკვიზიტიც დაუხვავებიათ. სად წაიღებდნენ, დაუწყვიათ კულისებში, იქაურობა ისე დავიწროებულა, მსახიობები თურმე ძლივსძლივობით დაძვრებოდნენ.

– თეატრია თუ დეკორაციების საწყობი?! – ბუზღუნებდა ონისიმე დადიანი.

– აბა, ბიჭო, ამათ თეატრი ბარახლო ჰგონიათ, დეკორაცია, რეკვიზიტი არტისტს ჭირდება! – ეთანხმებოდა ივანე პურადაშვილი.

მიდიოდა სპექტაკლი, დასრულდა პირველი მოქმედება, დაეშვა ფარდა. ფარდის დაშვებისთანავე სცენა განათდა. ახალი მოქმედებისთვის წინდაწინ ემზადებიანო, იფიქრებდა გამოუცდელი კაცი. ივანე პურადაშვილს რას გამოაპარებდი? მიხვდა, სცენა რაღაც საეჭვოდ რომ განათდა, მიხვდა და ისე, რომ არავის არაფერი შეემჩნია, სცენისკენ წავიდა. გაიქცეოდა, კისრისტეხით გავარდებოდა, მაგრამ მაყურებელი დაფრთხებოდა, ავარდებოდნენ, დავარდებოდნენ, შეიძლება იმაზე საშინელი რამ მომხდარიყო, რასაც გუმანობდა.

მხატვარი სოფიო ჭელიძე

სცენაზე შესვლისთანავე დასის ხელმძღვანელმა დაუძახა:

– გადავრჩით.

– რას გადარჩით?

– დაწვას!

ფარდა რომ დაეშვა, რამპას წამოედო თურმე და თავისი ხუთიოდე ლამპით ძირს გადმოიყოლა. გაჩნდა ცეცხლი. სცენის მემანქანე ონისიმე დადიანი, ბედად, იქვე ყოფილა, გადაუფარებია ნაბადი, ჯერ მოუგუდავს, მერე საბოლოოდ ჩაუქრია ცეცხლი.

თითქოს დრამა გათამაშდა დრამაში, ერთი მოქმედება დასრულდა, მეორე ფარდის დაშვებისთანავე დაიწყო, ოღონდ ნამდვილი, ონისიმე დადიანმა ხელოვნებად გარდასახა, უმსხვერპლოდაც დაასრულა მეორე მოქმედება.

ივანე პურადაშვილი მეორე შემთხვევასაც იხსენებს: „ჰამლეტი“ თამაშდება სცენაზე. დარბაზი მაყურებლებითაა სავსე, არტისტებს სულგანაბულნი შესცი‌ცინებენ, თითოეულ სიტყვას, მოქმედებას აკვირდებიან. ივანე პურადაშვილს შეატყობინეს, ღუმელში ცეცხლი გაჩნდაო, ღუმელი პარტერის ფოიეში ყოფილა. საკმარისია, ვინმემ დაინახოს, იმწამსვე აკივლდება, კივილზე ვინ ახტება, ვინ დახტება, ვინ რას მიაწყდება, ვერ იგუმანებ. უეჭველი საშინელება დატრიალდება. რა ქნას ივანემ, მიდის ჩუმად, ფეხაკრეფით, თითქოს, ვითომც არაფერი, ონისიმე დადიანსა და ივანე ნაჭყებიასაც გაუგიათ, ღუმელში ცეცხლი რომ გაჩნდა. იქ დახვდნენ, უცებ ჩააქრეს.

სხვა დროსაც გაჩენილა თეატრში ხანძარი, ერთხელ, 1905 წლის რევოლუციის დღეებში, გველესიანის სახლიდან გადავიდა. მაშინაც ივანე ნაჭყებიამ იმარჯვა და ჩააქრო, ყველას ეგონა, იქაურობას არაფერი ეშველებოდა, თეატრი დაიწვებოდა...

ხანდახან ძნელად წარმოსადგენი ადვილად ხდება, არავის რომ არ ეგონა, თეატრი დაწვას გადარჩებოდა, გადარჩა.

ივანე პურადაშვილმა, მეორე დილას თეატრისკენ გახედვა არ მინდოდა, მეგონა, ყველაფერი ნაცრად იქცეოდა, ჩაიფერფლებოდაო, არ მინდოდა, მაგრამ თვალი გამექცა, გავიხედე, და, უვნებელი თეატრი რომ დავინახე, უზომოდ გავიხარე, სეხნიაც დავაჯილდოვეო.

რასაც არ ელოდა, ის მოხდა.

ხანძარსაც არავინ ელოდა, აბრიალდა!

ჩააქრეს!

ბოლშევიკმა აკაკი დალაქიშვილმა სერგო ჭელიძეს რევოლვერი ჩააბარა, თეატრში ბუტაფორიასთან ჩადე, ვინ მიხვდება, ნამდვილი რომაა, – მიუჩინა, მისი ჭკუით, ყველაზე საიმედო თავშესაფარი. სერგომ ხის თოფებთან, რევოლვერებთან, ხის ხანჯლებსა და ხმლებთან აკაკის რევოლვერიც, ვითომ სხვათა შორის მიაგდო. ალიხანოვის პლასტუნები შევარდნენ თეატრში, გადააქოთეს ყველაფერი, გაჩხრიკეს ყველა კუთხე-კუნჭული. ხის ბუტაფორიის მეტი ვერაფერი იპოვნეს, ხელცარიელი ხომ არ მივიდოდნენ უფროსთან, დახვიეს ხელი წაიღეს.

იქ ყველაფერი საგულდაგულოდ გადაათვალიერეს, შეამოწმეს, ერთი რევოლვერი ნამდვილი აღმოჩნდა! ყველაფერს იფიქრებდა აკაკი დალაქიშვილი, თეატრის გაჩხრეკას ვერ წარმოიდგენდა. ეგონა, საიმედოდ დამალა, სინამდვილეში ყველაზე უიმედო ადგილას შენახული გამოვიდა.

ასეა, ფათერაკი იქაა ჩასაფრებული, სადაც არ ელი.

გრიგოლ ორბელიანმა გარდაცვალების წელს დაწერა. – „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“... ეს ორტაეპიანი ლექსი ყველაზე წუხილიანი, ყველაზე ტკივილიანი ამონაკვეესია მის პოეზიაში.

ამის მერე არაფერი დაუწერია. „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარო“... ამით განასრულა დიდებულ ქმნილებათა წყება და ზიგზაგებით, კომპრომისებით სავსე სიცოცხლეც გათავდა.

ბედს ვერ მოვესწარო, გმინავდა ბედის ხშირად თვითონვე გამჭედი გენერალი, ერთხანს ქვეყნის თითქმის პირველი კაცი, იმავდროულად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიის ხალხთა მოძრაობის დაუძინებელი მტერი.

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“... განლეული, მწარე შედეგით დამთავრებული, სიცოცხლის შეფასებაა, გამოტირებაა ყოფილის, ბედს დაბრალებაა, უბედურებაზე ჩივილია. სანეტაროს მოლოდინის გაქრობა, სასოს წარკვეთაა.

გრიგოლ ორბელიანს ქვეყნის დამხობაზე წუხილი არაერთ სტრიქონში გაუმჟღავნებია, არაერთგზის უგლოვია დიდებული წარსული, ფრთებშეკვეცილი აწმყოც გაუნელებელ ტკივილად დასჩენია მის პოეტურ ნააზრევს, მაგრამ ეს სტრიქონები მაინც განსაკუთრებული მწუხრით გამორჩეულ, იმ უკანასკნელ ძლიერ აკორდად მესახება, რომელშიც კიდევ ერთხელ გახმიანდა დიდი პოეტის ნიჭი და საკუთარ ცხოვრებას თვითონვე უთხრა უწრფელესი მსჯავრი.

იქნებ ჩემი სიმპათია იმითაცაა გამოწვეული, რომ ეს პაწაწინა ლექსი უკანასკნელი ამოხეთქვაა პოეტის სულის კივილისა, სიკვდილისწინა გმინვაა ისეთი მძაფრი პოეტური მუხტისა, ისე სულისშემხუთველად ლაკონური და სიცოცხლის საწყის-სასრულის გადამწვდომი მზერა-ფიქრითაა გარშემოსილი.

გრიგოლ ორბელიანის ამ პოეტურ თხზულებას ლიტერატორები ყოველთვის მოიხსენიებენ, როგორც პოეტის ბოლო პოეტურ გამონაშუქს, ამოწერენ, დაიმოწმებენ, მაგრამ დაწვრილებით აღარ ჩერდებიან მასზე, თითქოს მწერლის შემოქმედების ანალიზით კალამდაღლილთ ამ პატარა ლექსმა რაღა უნდა მისცეთ სათქმელი.

არადა, „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“... ნაღდად მენანება ფინალისაკენ მიმსწრაფ ასეთ ლიტერატურულ განსჯათა ბოლო სტრიქონებში ჩასაკარგად.

იგი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე პოეტის ბოლო ლექსი – ბერიკაცის აწრიალებული სულია, სამანგადამცდარი წუხილია, ბოლო წერტილის დასმაა.

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“... სასადავით გამორჩეული ლექსია. ლირიკული გმირი, ერთი შეხედვით, პროზაული სიმშვიდით მჭვრეტია ყოფიერებისა, მაგრამ მძლავრი შინაგანი იმპულსითაა შეპყრობილი, მოჩვენებითი სიმდოვრის მიღმა ჯებირგადამლახი სტიქია ბობოქრობს, სევდაც აღარ ჩანს, სიმწრის ვაჟკაცურ ამოოხვრას გადაუფარავს, თითქოს ხელიც ჩაუქნევია, უბედობასთან დაუდვია ზავი.

ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის უფრო ადრინდელ თხზულებებში გამკრთალი განწყობილების ანარეკლია, როცა 1832 წლის შეთქმულთა იდეების თანაზიარ სულისკვეთებას მოეცვა პოეტის გული და ბედსაც დაუნდობლად ეტყოდა ხოლმე სამდურავს. „ბედო, ნუ გძინავს, განიღვიძეო“... დაწერს ერთ უსათაურო ლექსში და ეს გაღვიძებ-გამოფხიზლებაც იმიტომ იყო საჭირო, რომ „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას“, ან კიდევ: „ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის“. ამგვარი გახლდათ შეთქმულთა პროგრესული იდეებით ნასაზრდოები მართალი განცდა სინამდვილისა, იმის მტკივნეულად გააზრება და გასიგრძეგანება, რომ დიდებული წარსულის მემკვიდრე ქართველებში წინაპართ სისხლი ძველებურად არღა მდინარებდა, დამდოვრებულიყო, გაყინულიყო. მოყვრულად მოსული მტრის კლანჭებში მოქცეული ერი დამფრთხალიყო. ამიტომ ეძებდა გმირს, ბედს მინდობილი ქვეყნის მხსნელს:

„ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?“

ეს კითხვაა. პასუხი კი – ამაოა ჩემი ბოდვა და როტვაო, ეუბნება იარალის მამულის დაძინებული ბედით შეღონებული პოეტი. ამ ლექსებში ბედი დროების სინონიმია. ასევეა „დავბერდი, ბედს ვერ მოვასწარ“-შიც, სადაც ბგერათმიმსგავსებული სიტყვები ექსპრესიულს ხდის დასაწყისს და ერთგვარი დასკვნის სახეს აძლევს სიბერემდე მოტანილ წუთი-

ელგუჯა თავბერიძე

სოფელს. ამიტომ ეს ლექსი უფრო დასკვნაა, შეჯამებაა:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“...

რა ბედს ჩიოდა, რა უბედობა აწუხებდა გენერალსა და პოეტს, რა ვერ მოენელებინა, ასე მწარედ და გულშიჩამწვდომად, რა ჩარჩენოდა ხსოვნაში, რა იყო ის, ბევრისმნახველი, დიდებული გრიგოლ ორბელიანის გული ასე რომ დაეღრღნა და აეფორიაქებინა?

რა და, ქვეყნის ბედი! მძიმე ლოდივით რომ დასწოლოდა გულზე და სამარის კარი, მოახლოებული სიკვდილი კი არ აღშფოთებდა, არა, დამხობილი ქვეყნის სინამდვილე გაუსაძლისი წუხილით დამკვიდრებულიყო მის გონებაში. ადრე „ცუდ მონებას“, გენერალ ივანე აფხაზთან საუბრის გამოძახილად რომ მიაჩნიათ ლიტერატურის მკვლევართ, აბრალებდა ქვეყნის წახდენას. მონობა მაინც დასაშვებად მიაჩნდა. მართალია, დიალოგში (გრიგოლ ორბელიანის დღიურს „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“ ვგულისხმობ) მედგრად ეწინააღმდეგებოდა მოსაუბრეს, მაგრამ უმფარველოდ დარჩენილი ქვეყანა მაინც ძნელად წარმოედგინა. იქნებ ამ მრწამსით, „კარგი მონობის“ მსოფლხედვით იცხოვრა საერთოდ. სიბერის ჟამს კი იმედგაცრუებულმა წამოიძახა:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო“.

სამშობლოს დამხობა, მამულის იავარქმნა უბედობას ბრალდება. უბედობას, რადგან სახეცვლილ ვითარებაში იქნებ სხვა როლი დაკისრებოდა პოეტს, დიდებული წარსულის შესაფერი დარი ჩამომდგარიყო და ბედნიერი აწმყოთი დამშვიდებულს საპირისპირო შინაარსის სიტყვები ამოეთქვა.

ეს ლექსი ლაკონურობით, გრძელის მოკლედ თქმის თვალსაზრისითაც მხიბლავს. ოთხ სტრიქონშია ჩაწურული უბედობის განცდა, მამულის ვაი-ვაგლახ ყოფნა და ლირიკული გმირის მწარე ბედი.

გულს მიკლავს უიმედობაო, იტყვის და ამ სიტყვებში მოაქცევს არა მარტო თანადროული ყოფის აუტანლობას, სამომავლო პერსპექტივის მოკიანთე ვარსკვლავსაც რომ ვერ ხედავს, ამასაც არაორაზროვნად გვეტყვის, გვეტყვის კი არა უწრფელესი სინანულით გაგვიმხელს – ამიტომ ჩავდივარ საფლავში სიმწარით, დაუნდობელი ბედ-დროება მარგუნა გამჩენმა, უბედობას მივტირი, უბედოდ მივსულვარ სამარის კარამდეო.

„გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

როგორი ამოკვნესაა გულისა, თანაც რა სულის შემძვრელი, თითქოს კაეშანს მოუცავს მთელი არსება პოეტისა. ამიტომაა ეს ლექსი უფრო ყურადღებამისაქცევი და არა აჩქარებით განსახილველი. მასში ჩაბუდებული წუხილი ქვეყნის უბედობას წვდება, კონკრეტული ვაება ზოგადდება, ეროვნული სატკივრის ჩარჩოებში მკვიდრდება.

სხვა რა უნდა ვთქვა. ვფიქრობ, საკმაოდ გამოვკვეთე ის გამორჩეულად მფეთქავი პოეტური ძარღვი, მომნუსხველი ხიბლი ლაკონურობისა, ამ მკვნესარე გამონათებას პოეტის არაერთი შედევრის გვერდით რომ აყენებს.

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

ესაა სულ მთელი ლექსი.

გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ ყველა წიგნში აღმოაჩენთ მას, მაგრამ იმ გულისმომკვლელ წუხილზე ორიოდე სიტყვას თუ იტყოდნენ, ამ სტრიქონებს რომ შეებჟნოდა და შესისხლხორცებოდა. „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“ კი სხვა არაფერია, თუ არა კვნესა-გოდება, მაგრამ პოეტის სხვა თხზულებათაგან ბიწიერებით, გულითადობით გამორჩეული, პოეტური ხატოვანებით მშრალი, მაგრამ წრფელი და ძარღვიანი.

ვწუხდი, ამ ლექსს განსაკუთრებულ ყურადღებას რომ არ აქცევდნენ, გაკვრით მოიხსენიებდნენ.

მენანებოდა – „დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ“... ლიტერატურულ განსჯათა ბოლო სტრიქონებში რომ ჩაკარგულიყო.

ახლაც მენანება...

ნინო მზესელი

– ოი, აქ, ძაღლი ყოფილა! უცებ შეცბა, მაგრამ მეორემ დაამშვიდა, რა გეშინია, ხომ ხედავ რა ბოთეა, არც იყეფება.

– რაო ცუგა, ძეხვის ნაჭერს შეჭამ? – შავ ნიღბიანმა მაქსს სურნელოვანი ძეხვის მოზრდილი ულუფა გადაუგდო.

– ჰმ, საექიმოა, მე რომ მიყვარს! – სურნელმა თავბრუ დაახვია მაქსს. ის–ის იყო მონამლული ძეხვისთვის პირი უნდა დაეკლო, რომ...

– მია–მია–მიაააუუუ... ერთი დაიჩხავლა მიუკიმ და კარ–ადის თავიდან იატაკისკენ ისე სწრაფად ჩამოიქროლა, ვერ–ავინ მოასწრო თვალის ხეირიანი შეკვლება.

მიუკიმ იყოჩაღა, კლანჭი ჩანგალივით ჩაასო ძეხვის ნაჭერს და ნაგავში მოისროლა.

ნ. მზესელი

ეს ორი ოდესმე შერიგდება?

– ეს ორი ოდესმე შერიგდება??? შეჩერდიიით!

– ღრრრ...

– მიააუუუ...

– დათო, დაათ, შენი ძაღლი ძალიან აგრესი-ულია.

– ეს შენმა კატამ გააბრაზა, თორემ რატომ სხ-ვებს არ ერჩის? – ბატონ დავითს მაქსისთვის ხელი არ გაუშვია, ისე აიჩეჩა მხრები და მეტი მონდომებით განაგრძო ერთმანეთს ჩაფრენილი კატისა და ძაღლის გაშველება.

– პირი გამიშვი ბანჯგვლიანო ქოფაკო! – მიააუ...

– გითხარი ნუ მეძახი ქოფაკს-თქო! მაქსი მქვია, მაქსი! ნუ სარგებლობ, რომ ადამიანებს ჩვენი ენა არ ესმით, ვააჰ, ვააჰ...

კატას სიმწრით დაშორებულმა ძაღლმა ისევ ყეფა წამოიწყო.

– გეუბნები შენი ძაღლია, რომ აშავებს. – ანამ გულში მიიკრა კატა მიუკი.

– შეხედე რა თვალები აქვს, თვალები ამბობენ განა მე რამე ცუდი შემიძლია? – ანამ მიუკი დათო-სკენ შეატრიალა. მიუკიმ ყოველთვის კარგად იცო-და გაფართოებული თვალებით, როგორ მოეხდინა შთაბეჭდილება ადამიანებზე.

– მართლაც, როგორი საყვარელი და უმწეოა. მააქს, დღეს დასჯილი ხარ! ეზოში დაიძინებ! – და-ვითმა ძაღლს საბელი მოაბა და წინააღმდეგობის მი-უხედავად გარეთ გაათრია.

– მიააუ... მიააუ... – მაქსს მიუკის კნავილი კარს იქეთ მიეწია.

– კარგი, ნუღარ შიშობ, ისწავლის ჭკუას! – ანამ კატა ფერებ-ფერებით გულზე მიიდღლიზა, მან ხომ ვერ გაიგო ის, რაც მაქსმა.

– ეგრე მოგიხდება ქოფაკ! – არადა, აი, ეს იყო ნათქვამი მიუკისგან.

რა თქმა უნდა არ დააყოვნა მაქსის პასუხმა, რო-მელიც ადამიანის ყურისთვის ისე ულერდა, როგორც რიგითი ვააუ... ვააააუუუ... მიუკისთვის კი მუქარას ნიშნავდა:

– მოვალ და გიჩვენებ სეირსო! – აკი ამას პირ-დებოდა მაქსი.

იმ ღამეს საშინლად იქუხა. თბილ პლედში გახ-ვეული მიუკი, თავის წნულ კალათაში იწვა, მაგრამ ვერ ისვენებდა. ეგონა გაუხარდებოდა მაქსის გარეთ გასახლება, მაგრამ ახლა... რომ დაფიქრდა თავსხმა და ცივი წვიმისთვის მაინც შეეცოდა.

მიუკიმ ფანჯრიდან გახედა მაქსს, რომელ-საც ციცქნა ბუდრუგანიდან დრუნჩი და დახუჭული თვალები მოუჩანდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ...

– ეეეიიი... მააქს, გძინავს?

– ღრრ... აქ რაღა გინდა? იცი ჯაჭვით, რომ ვარ დაბმული და გინდა კიდევ დამცინო???

– არა, იცი... ნახე... ლაბადა მოგიტანე. მაგ ძველ ბუდრუგანაში წვიმა ჟონავს და... ვიფიქრე მოიც-მევს-მეთქი! – დარცხვენით ამოილუღლუღა მიუკიმ.

– აბა, კი, კატის მოცემული არაფერი მინდა, მირჩევნია წვიმაში დავლბე!

– ვააუ, ვააუ... – მაქსის ყეფამ პატრონების საძინებლამდეც მიაღწია.

– ახლა რაღა აყეფებს? – შეწუხდა ძილგამტყ-დარი ანა.

– ალბათ, სახლში უნდა, მაგრად იწვიმებს და... – ამოიოხრა დავითმა.

– ხო, მაგრამ სასჯელი სასჯელია. ერთს თუ აპ-ატიებ, მერე მთლად გათავხედდება! – წარბები შეჭ-მუხნა ანამ და ბატონმა დავითმაც ლოგინში უბრალ-ოდ გვერდი იცვალა.

ამასობაში იქ, ეზოში...

– ლაბადას თუ არ აიღებ მეც აქ დავრჩები! – მაქსის გასაკვირვად წაიკნავლა მიუკიმ.

– იყავი რა, რას მაშინებ შენით?! – ჩაიბურდღუ-ნა მაქსმა.

გაწვიმდა კიდეც.

– შენ რა, მართლა არ მიდიხარ?! გაცივდები, ბოლობოლო კატა ხარ, ჩემზე სუსტი. – მაქსს ხმაში აღელვება შეეტყო და მიუკის ერთი ისეთი შეუღრინა, თან ჯაჭვიც ისე მაგრად გაქაჩა, კატამ იფიქრა თავს მესხმისო და თავისი ოთახის ფანჯრისკენ სულ სკ-უპ-სკუპით გაქანდა.

ნინო მზესელი

– მეც მაგარი ვინმე ვარ, რა! როდის იყო კატა და ძაღლი რიგდებოდა? – თავზე ბრაზობდა მიუკი და შავ სველ ბეწვს ფითქინა თეთრი პირსახოცით იმშრალებდა.

– მეც მაგარი ვინმე ვარ, რა? ლაბადა იყოს და ამ თავსხმა წვიმაში ვინ დაეძებს ვისია, რისია! – თათი ჩაიქნია მაქსმა და ლაბადაში გახვეული ბუდრუგანის კუთხეში შეიყუჟა.

დილით მაქსი თავის კუთვნილ ადგილს ანუ სახლის შესასვლელ ოთახს დაუბრუნდა და იმ დღიდან ისევ ძველებური კატა ძაღლობანა დაიწყო. ხან კატა აშავებდა და მაქსს ბრალდებოდა, ხან მაქსი თავხედობა და გულგადაქანებული მიუკი ერთი კუთხიდან მეორეში აწყდებოდა. მოკლედ, ამათ არც შერიგებას, არც დამეგობრებას პირი არ უჩანდა, მაგრამ...

მოვიდა დღე, როცა მაქსი და მიუკი მარტონი დარჩნენ სახლში, რადგან ანას და დავითს საგზური ერგოთ საოცნებო კანარის კუნძულებზე და ამ შანსს ვერავის და არავის გამო არ დათმობდნენ.

– პირდაპირ კანაარიიი! YES! – აქამდე სოლიდური ბატონი დავითი ისე ხტოდა, ლამის სათვალეები ძირს დავარდნოდა.

– კანარი, კანარი, შენზე კარგი რა არის? – ღიღინ-ღიღინით და ცეკვა-ცეკვით ალაგებდა ანა ჩემოდანს.

– ხედავ, ჩვენ არავის ვახსოვართ! – მაქსმა დაღვრემილი თვალებით გახედა მიუკის.

– მაქვს მე ნათქვამი, ამ უბეწვო, სლიპინა არსებების ნდობა არ იქნება-თქო! – თათი ჩაიქნია მიუკიმ.

– აბა, კუდრაჭებო, თქვენ იცით, ერთმანეთს თუ არა, თავებს მაინც მიხედეთ და გაუფრთხილდით!

– მპუა... მპუა... – ეს ბოლო სიტყვები იყო. ამის შემდეგ კარი მაგრად გაჯახუნდა და სახლში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. თუმცა მხოლოდ რამდენიმე წუთით.

– მოიცა, რას აკეთებ? მიიაუუუ...

– რას... ჰმ!

– არა, რას კი ჩანს, მაგრამ სად? ეგ ჩემი ტუალეტია! ფუუუჰ!

– ეგრე ხომ? შემირცხვეს თავი ეგ თუ გაპატიო! შე არასწორო, შე ძაღლისებრო! – მიუკი სამზარეულოსაკენ გაეშურა.

მალე საათის ისრები მაქსის სადილობის დროს იუწყებოდნენ. მაქსი მშრალი საკვებით სავსე თავისი ლურჯი ჯამისკენ გაემართა.

– მნამ... მნამ... მნამ... წავიდა გემრიელად ხრაშუნ-კნატუნი.

– ჰო, გირჩევ ამის შემდეგ ყეფა აღარც სცადო, რადგან... აქ, მიუკიმ თავისი დიდრონი, ზღვისფერი თვალები კიდევ უფრო მეტად დაჭყიტა.

– რა მოიფიქრე? ხხ... ხხ... – შემცბარ მაქსს ლუკმა უშნოდ გადასცდა.

– კატის საჭმელია, მმ... ახლა ასე მადიანად, რომ შეექცევი, უეჭველი კნავილს დაგაწყებინებს! – ერთი გემრიელად გადაიხარხარა მიუკიმ და ახლა მაქსის საძინებელ კუთხისკენ გაიქცა.

– ისეც ნუ იზამ, პატრონებს, შენი მარტო კუდი დახვდეთ! – მიუკის მუშტად შეკრული თათი მოუღერა მაქსმა და... მალევე მიხვდა, რომ უკან უნდა დადევნებოდა.

– ეეეიიიი, იცოდე მანდ არაფერი გამიფუჭო, თორეეემ...

– ვაუ... ეს რამდენი ბუმბულია, შენ რა ქათმების გაპუტვა დაიწყე? – შესასვლელ ოთახში მოფარფატე ბუმბულების დანახვაზე გახალისდა მაქსი.

– ის, მწვანე ფუმფულა ბალიში გახსოვს? აი, ზედ კუდის დასვენება, რომ გიყვარდა. – მაქსს მიუკის კნავილი მჭახედ ჩაესმა ყურში.

– კიიი... მერე? – პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეეკრა მაქსს.

– შენი ბალიში დავპორჭყნე, თურმე რა სავსე ყოფილა ბუმბულით! – მიუკიმ ესღა თქვა და ელვის სისწრაფით გაიქროლა თავისი ოთახისკენ.

– რამდენი ხანი იქნები შეკეტილი, ვნახოთ ერთი! – მიუკის კარებთან დარაჯად დადგა მაქსი.

უსასრულოდ გაგრძელდებოდა ამბავი კატისა და ძაღლის მტრობისა, მაგრამ... შუაღამეს, მიუკის ჩაკეტილ კართან ჩაძინებულ მაქსს, რაღაც უცნაური ხმაური მოესმა. უცხო ხმები თანდათან გაძლიერდა და ისე მოახლოვდა, მაქსი მიხვდა, მათ სახლში დაუპატიჟებელი სტუმრები მოსულან.

ის იყო ყეფა უნდა აეტეხა, რომ უცებ მიუკის ნათქვამი გაახსენდა: – ყეფა არც სცადო, კნავილს დაგაწყებინებსო – და იმის შიშით იქნებ მიუკიმ მართალი თქვაო, გაისუსა. მეტი უკეთესი რა უნდოდათ ქურდბაცაცებს, ბნელი ღამე, უპატრონოდ დარჩენილი ორ სართულიანი, კარგი ნივთებით სავსე სახლი. არც დაცვა, არც ძაღლი... აბა, სათვალთვალო კამერის სადენები კი ჩახსნეს უცებ.

– ეი, მიუკი, კარები გამიღე, დაუღრღნელ ძვალს გეფიცები აღარაფერს გერჩი. – მაქსმა ძლივს გასაგონად ჩაიბუტბუტა.

მიუკის ისეთი სმენა ჰქონდა, თაგვის წრიპინი ესმოდა იატაკის ქვეშ და მაქსის ბუტბუტს ვერ გაიგებდა? მეტიც, უცხო ფეხის ხმაც გაიგო და მისი საძინებლის კარი სწორედ ამიტომ გაიღო, თორემ აბა, ამ ბანჯგვლიან ქოფაკს სიტყვაზე ენდობოდა?

– კატა ძაღლობანას დრო ახლა არ არის, მოდი, დროებით აი, ამ უცხოების გასტუმრებამდე დავზავდეთ, კარგი? – მაქსმა მეგობრობის ნიშნად თათი გაუწოდა მიუკის. იმანაც თათს თათი დაჰკრა, მერე თვალი ჩაუკრა და ჩაბნელებული ოთახის რომელიღაც კუთხეში გაუჩინარდა.

ერთ-ერთმა ქურდმა ფანრის სხივი პირდაპირ მაქსს შეანათა.

– ოი, აქ, ძაღლი ყოფილა! უცებ შეცბა, მაგრამ მეორემ დაამშვიდა, რა გეშინია, ხომ ხედავ რა ბოთეა, არც იყეფება.

– რაო ცუგა, ძეხვის ნაჭერს შეჭამ? – შავ ნიღბიანმა მაქსს სურნელოვანი ძეხვის მოზრდილი ულუფა გადაუგდო.

– ჰმ, საექიმოა, მე რომ მიყვარს! – სურნელმა თავბრუ დაახვია მაქსს. ის-ის იყო მოწამლული ძეხვისთვის პირი უნდა დაევლო, რომ...

– მია-მია-მიააუუუ... ერთი დაიჩხავლა მიუკიმ და კარადის თავიდან იატაკისკენ ისე სწრაფად ჩამოიქროლა, ვერავინ მოასწრო თვალის ხეირიანი შევლება.

მიუკიმ იყოჩაღა, კლანჭი ჩანგალივით ჩაასო ძეხვის ნაჭერს და ნაგავში მოისროლა.

– საწამლავის სუნით ყარს, ვერ გრძნობ? – თვალები დაუბრიალა მაქსს და ახლა იატაკიდან ხან ჭაღისკენ, ხანაც კარადა თაროებისკენ აჩხავლებულმა დაიწყო სირბილი. გზად ხან ერთ ქურდს დაუფხაჭნა სახე, ხან მეორეს ყური. მოკლედ, ისე დააწიოკა მომსვლელები, რომ კარგად მიახვედრა წასვლის დრო იყო!

თუმცა ასე მარტო ბრძოლით მიუკი დაიღალა. ერთ-ერთი ნახტომი სწორად ვეღარ გათვალა და პირდაპირ ქურდბაცაცების გაშლილ ტომარაში მოადინა ზღართანი.

დროზე პირი მოუკარი და საქმეს მივხედოთ! – ახითხითდნენ ქურდბაცაცები.

– მაქს ქსა, ქსა... მიდი დაიყეფე, შენ ხომ ნამდვილი ძაღლი ხარ! – ბოლოს ეს სიტყვები ამოიკნავლა მიუკიმ და უკვე ტომარაში აფართხალდა. საჰაერო, რომ ჰქონოდა კლანჭით რამდენიმე ნაჩხვლეტი გააკეთა მიუკიმ, მაგრამ თოკი ისე მაგრად იყო შეკრული, იმას აბა, რას გახსნიდა.

– ამ სიტყვებმა მაქსი უცებ გამოაფხიზლა, კბილები ისე დააღრჭიალა, ისე მადიანად უკბინა ჯერ ერთ, მერე მეორე ქურდბაცაცას, რომ სახლის გასასვლელი კარისკენ მიმავალ გზას აღარც ეძებდნენ, ქუჩაში პირდაპირ ფანჯრიდან ხტებოდნენ.

– შენ რომ არა, ის ძეხვი შემინირავდა. რამხელა სირცხვილი იქნებოდა... მადლობა მიუკი, შენ გმირი კატა ხარ! – მაქსმა ტომარას თავზე მობმული თოკი გადაღრღნა.

თუმცა მიუკი უძრავად იწვა.

– მიუ... მიუკი... ჩემი მიუკი... – მაქსმა იფიქრა, ეგებ გონს მოვიყვანოო და კატა ალოკა, – მეგობარო, ძმაო... ჩვენებს რა ვუთხრა, ადექიიი! – საბრალო ხმაზე აწკმუტუნდა თვალცრემლიანი მაქსი და მიუკის ლოკვა მეტი მონდომებით განაგრძო.

– ჰო, კარგი, კარგი, იღლიებში არ გინდა, მეღიტინება! – სიცილი ვეღარ შეიკავა მიუკიმ და პირველი, რაც ზეზე წამომხტარმა გააკეთა, მაქსს საპასუხოდ მაგრად გადაეხვია.

ამ დროს კარი გაიღო და შინ დაბრუნებულ დავითისა და ანას გაოცებისგან თვალები ლამის შუბლის იქეთ აუვიდათ.

– დაიცა, ეს კანარის მზემ დაგვაცხუნა ასე,

მხატვარი სოფიო ჭელიძე

რომ კატასა და ძაღლს გადახვეულს ვხედავ თუ... – შეფიქრიანებულმა დავითმა თავისი სქელჩარჩოიანი სათვალე ეჭვით შეისწორა.

– გითხარი, ერთხელაც შერიგდებიან-მეთქი! – ტაში შემოჰკრა ანამ და მყისვე ოთხფეხა მეგობრების ჩასახუტებლად გაიქცა.

– ამ კადრის ასე დატოვება არ შეიძლება, ეს დიადი მოვლენა ფოტოზე უნდა აღიბეჭდოს. – დავითმა ტელეფონის ჩხაკუნი წამოიწყო.

– ერთი შენ გვაკლიხარ! – გასძახა ანამ და მალე თბილ, ტკბილ ოჯახს დავითიც შეუერთდა.

– მიააუუუ, რახან ერთმანეთზე ვიზრუნეთ, გამოდის ერთმანეთი გვიყვარს, ხო? – გადახვეულ მაქსს ყურში ჩააკნავლა მიუკიმ.

– ჰო, ასეა ალბათ! – წაილუღლუღა მაქსმა.

– და რანაირი ძაღლი ხარ ახლა შენ, კატა თუ გიყვარს, შე არასწორო, შე, ძაღლისებრო, გეყოს, ნუღარ მდორბლავ! – უცებ თვალი მოპრუწა მიუკიმ და ჩახუტებულ მაქსს ერთი ნახტომით გასცილდა.

– ღრრ... ღრრ... ეგრე ხომ? მაშინ გამასწარი! – მაქსი ყეფა-ყეფით დაედევნა გაქცეულ კატას.

– ეეეჰ... – ხელი ჩაიქნია ანამ.

– კარგი, რას ვიზამთ, კატა და ძაღლია ბოლოს-დაბოლოს. არა, ფოტო მაინც ხომ დაგვრჩა, უნიკალური! – ანას გამხნევება სცადა დავითმა.

– ჰო, ინტერნეტში ჩემს გვერდზე დავდებ, ვითომ ყოველდღე ასეა! – გაიღიმა ანამ და კატასა და ძაღლის სასწაულ, ჯერ არსად ნახულ მეგობრობაზე სტატუსი სწორედ მაშინ დაწერა, როცა ზედა ოთახიდან: ბრააახ! ბრუუხ!

– მიაუუუ!.. ღრრრ... აი, ასეთი, არცთუ მეგობრული ხმები ისმოდა.

ედნა სენტ ვინსენტ მილეი

(1892-1950)

* * *

ვინ თქვა, რომ არის სიყვარული სულ ყველაფერი,
აბა საიდან: ვერ დაგაპურებს და ვერც წყურვილს მოგიკლავს ძლიერს;
არც ძილი არის იგი მშვიდი, არც წვიმისგან თავშესაფარი;
და არცა ძელი მოტივტივე დასახრჩობად განწირულთათვის.

ვერც სნეულ ფილტვს ვერ შთაბერავს იგი ახალ სიცოცხლეს,
ვერც სისხლს გასწმენდს და ვერც მოტეხილ ძვალს გაამთელებს.
თუმც სადღაც, ახლაც, მხოლოდ მისთვის რომ აღარ ძალუძთ უსიყვარულოდ,
ვიცი, მრავალი მზადაა გზნებით ჩაეკვრას სიკვდილს.

იქნებ დამიდგეს მეც დრო სამძიმო, გადასალახი,
სასოწარკვეთილს იქნებ გონი წამერთვას სწორი,
და უარი ვთქვა შენს სიყვარულზე სიმშვიდის ფასად,
ან იქნებ დავთმო მოგონება ამღამინდელი ლუკმა პურისთვის.

ვინ იცის, იქნებ ასეც მოხდეს.
მაგრამ არ მიღირს.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ძამუკაშვილმა

გიყვარდეთ ქრისტე! პოეზია და ერთმანეთი!

ტერენტი გრანელი და მასთან დაკავშირებული ისტორიები მოსწავლეებმა ნაკლებად იციან, უფრორე მისი საფლავის მცველისა და ერთგული ჭირისუფლის ბატონ გიორგი ბუდნოვანის თავგადასავალი. ერთხელ მოკლედ მოვუყევი ბავშვებს მის შესახებ. მათი დიდი ინტერისიდან გამომდინარე, სოციალური ქსელით გაცნობა და ინტერვიუს ჩაწერა გადავწყვიტეთ ამ მართლაც რომ უნიკალურ და პატივსაცემ პიროვნებასთან.

სსიპ ქალაქ ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის V საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მაია გვიჩია**.

მშვიდობა, ბატონო გიორგი, მადლობა, რომ დაგვითმეთ დრო ინტერვიუსთვის, თქვენი ნებართვით, რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, აქვე დამეხმარებიან ჩემი მოსწავლეები VIIა კლასიდან: ***ელენე ბუკია, მართა ზარგინავა და ანასტასია ლაბახუა***.

მაია: 1. მოგეხსენებათ, რომ გიორგი ბუნდოვანი პირდაპირ უკავშირდება ცნობილი მისტიკოსი პოეტის ტერენტი გრანელის სახელს. გვიამბეთ, როგორ დაიწყო ეს საკრალური ურთიერთობა?

პასუხი: იდგა 1987 წლის დასაწყისი. ჩემი მეგობარი, კარის მეზობელი, აწ გარდაცვლილი პოეტი და არტისტი ზურაბ რთველიაშვილი შემოვარდა და აღფრთოვანებულმა მომახარა, რომ აღმოაჩინა საოცარი პოეტი, ვისი კრებულიც სტუმრადმყოფს უნახავს ერთ ოჯახში, წიგნების თაროზე. მაშინ სულ ახალგაზრდები ვიყავით. ეს პოეტი ტერენტი გრანელი იყო. მასზე საერთოდ არაფერი მსმენოდა აქამდე. მე ხელი ავუქნიე იმ აზრით, რომ მწერალთა კავშირის ყოფილი უნიჭო წევრი იქნებოდა ალბათ. მას კი ეს წიგნი ჩემთვის წამოუღია და მთხოვდა მის წაკითხვას დაჟინებით. საჩვენებლად გადავშალე წიგნი და მას მერე გადაშლილი მიდევს, როგორც სამაგიდო წიგნი და როგროც სახარება. ამის შემდეგ ლერი ალიმონაკის ერთ-ერთი წიგნიდან მოვიძიეთ ინფორმაცია ტერენტის საფლავის შესახებ. ეს წიგნი მოვიპარე ბიბლიოთეკიდან, ცოდვა გამხელილი სჯობს. ალბათ მარტო მე არ ვარ მათ სიაში, ვინც ძვირფას წიგნებს იპარავდა ბიბლიოთეკიდან (მარტო არ ხართ, ბატონო გიორგი... მეც... მ.გ.) შემდეგ კი აღმოვაჩინეთ მისი მიგდებული, ფაქტიურად ნაგვით სავსე საფლავი, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. მერე ზურა წაიყვანეს ჯარში და საფლავის მოვლა-პატრონობა მე განვაგრძე. აი, ასე დაიწყო ეს მართლაც რომ საკრალური ურთიერთობა ტერენტისთან.

2. კიდევ ხომ არ გეგულებათ მეორე ბუნდოვანი, ტერენტის გულშემატკივარი?

პასუხი: ასეთი ფსევდონიმით მე ერთი ვარ, ხოლო გრანელის გულშემატკივარი ასეთი დონის ალბათ ბევრია, მაგრამ მე რაც მაკავშირებს მასთან, ასეთი სხვას – არა. მის საფლავზეც ბევრი გავიცანი, ჭეშმარიტი გულშემატკივარი, რომლებთანაც დღესაც ვაგრძელებ მეგობრობას. მაგრამ მაინც უმთავრესი ფიგურა, ლერი ალიმონაკია, რომელმაც გაგვიხსნა ტერენტი გრანელის ფენომენი. ის არის მემატიანე, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, არაერთი ჯილდოს მფლობელი ტერენტის კვლევების საკითხში. ჩვენ მაშინ ძალიან დავახლოვდით ტერენტის გამო, გაცილებით ადრე სხვებიც იკვლევდნენ გრანელის პიროვნებას, მაგალითად: ელიზბარ უბილავა, გივი ცქიტიშვილი... მაგრამ მათ შორის ლერი ალიმონაკი უმთავრესია.

3. დღეს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან თითქმის გაქრა გრანელის ლექსები. არც „მემენტო მორის“ შესავალია სადმე შემორჩენილი, ბავშვები არ იცნობენ მას და მის პოეზიას. როგორ ახსნიდით ამ ყოველივეს, ხომ არ არის გამიზნული მცდელობა მისი დაკნინების, ან რა ვარაუდები გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

პასუხი: ეს ამბავი არახალია... ტერენტი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში იყო დევნილი, ერთგვარად დისიდენტიც, ყველანაირად ჩაგრული მაშინდელი რეჟიმისაგან. ის სურამის ფსიქიატრულშიც კი მოათავსეს რამდენჯერმე, საიდანაც გამოიქცა. არაერთხელ იყო ძალადობის მსხვერპლი, იმიტომ რომ არცერთ რეჟიმს არ შეასხა ხოტბა, აქედან გამომდინარე, იგი ყოველთვის იკრძალებოდა ოფიციოზის მიერ, რომელიც ჭორებს უვრცელებდა, რომ თითქოს გრანელი იყო მუქთახორა, უსახლკარო, არც პოეტია და არც ნიჭი აქვსო... მოკლედ, ძაღლად არ აგდებდნენ ამ სრულიად უნიკალურ ადამიანს! ალბათ ამ ყველაფრის შედეგია ის, რომ ტერენტის პოეზია დიდხანს არ შევიდა სასკოლო სახელმძღვანელოებში, თუმცა ბოლო დროს, მე რამდენადაც ვიცი, სადღაც 15-20 წელია, ეს დარღვევა გამოსწორდა. რა თქმა უნდა, ეს გრანელის ფენომენის გამიზნული დისკრედიტაცია და ჩვენი ქვეყნისაგან დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომა იყო.

4. თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით, თქვენი პოეზიის შესახებაც გვიამბეთ, განვითარების რომელ სტადიაშია ახლა ის: აღმართი, ზენიტი, პლატო, დაღმართი? რას უნდა ნიშნავდეს თქვენი სტატუსი „ნონკონფორმისტი“? რა განსხვავებაა გრანელისა და თქვენს პოეზიას შორის, წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, გვეთქმის ამ შემთხვევაში „ის ურჩევნია მამულსა..?“

გიორგი ბუნდოვანი

პასუხი: ჩემი პოეზია თავიდან ჰგავდა ტერენტისას, საფლავზე ყოფნა, ტერენტის გარშემო ამბები... ერთხელ ასეთი მისტიკური ამბავი მოხდა: უცებ დავიწყე ლამის ზუსტად მისნაირად წერა. 50-60 ლექსი ზუსტად მისი სტილისაა, ვერ გაარჩევთ, თითქოს გრანელი ჩამისახლდა და ჩემი ხელით წერდა, ამას შეგენებულად ნამდვილად არ ვაკეთებდი! იგივე „მემენტო მორი“, „გაზაფხულის საღამო“, ლექსები ზოზიასადმი, „ექსკურსია ცისკენ“... დაიწერა ჩემი ხელიდან, ისინი ამ ლექსების პერიფრაზია, შინაარსი იგივეა, ოღონდ სხვა სიტყვებით გადმოცემული, არავინ დამიჯერებდა ამ ყოველივეს, რადგან პლაგიატობას მომაწერდნენ უმალ და არსად გამომიქვეყნებია ისინი. თუმცა დღემდე ცხრაკლიტულს იქით შევინახე... დღეს, რა თქმა უნდა, განსხვავება დიდია. მე, როგორც პოეტი, სულ სხვა ლიანდაგებზე ვდგავარ. უკვე, სხვა მიზნები და მისწრაფებები მაქვს. რაც შეეხება შემდგომ ამბებს, 90-იან წლებში მე და ზურა რთველიაშვილი ვაყალიბებთ ქართველ პოეტთა ორდენ – „ქრონოფაგებს“, მერე პოეტურ საძმოს – „ანომალიურ პოეზიას“ და ასე ვიწყებდით მე და ჩემი კოლეგები ავანგარდისტული, ბუნტარული, ნონკონფორმისტული სულისკვეთების ლექსების წერას. ფაქტობრივად ეს მიდგომა მაქვს მე დღესაც. ტერენტის ფენომენის დასრულების შემდეგ სწორედ ეს ეტაპი დაიწყო ჩემს პოეზიაში. ნონკონფორმისტი ნიშნავს არამედროვეს, ცხოვრებასა და რეჟიმთან შეუგუებელს (როგორც ტერენტი). მთელი ცხოვრება ვარ ნონკონფორმისტი, მართალია, სულიერად ეს დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ამავდროულად უბედურებაცაა! ვერ ვეგუები ვერანაირ კლანს, არაჩემნაირ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერს აწერენ ხელს. ნონკონფრომისტი პოეტი, ზოგადად, ჩაკეტილი ადამიანია. ვფიქრობ, ჩემს შემოქმედებაში ზენიტი უკვე იყო, დღეს კი უფრო დაღმართია.

5. მოგეხსენებათ, რომ მე-19 საუკუნის ქართულმა პოეზიამ იკისრა ერის სულიერი გამოფხიზლების მისია, ხოლო პოეტმა – მისი წინამძღოლისა. დღეს როგორ არის, ამ კუთხით საქმე, რას გვეტყოდით? ყველა წერს, ვინაიდან სოციალური ქსელებიც ბევრად ხელს უწყობს ამას. კარგია, თუ ცუდი ეს?

პასუხი: დღეს მართლაც ყველა წერს, ყველა პოეტი გახდა. ამას ინტერნეტმაც ნეგატიურად შეუწყო ხელი. ნებისმიერ დილეტანტს შეუძლია გახსნას თავისი გვერდი, უითუბზე დადოს შემოქმედება, შემოიკრიბოს გამომწერთა წრე, „დამლაიქებლები“, და ამ დროს კი ყოვლადუგემოვნო, სრულიად უნიჭო პროდუქციას ქმნიან. მიიწერენ პოეტობას, რეჟისორობას, მხატვრობას... კორიფეების: ვაჟას, ილიას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონის გვერდით შეიძლება აღმოჩნდნენ გუშინდელი მჯღაბნელები, რაც სრული კატასტროფაა! და საკმაოდ რთულია მოუმზადებელი ადამიანისთვის ამ ჭაობსა და მორევში წმინდა მარგალიტების პოვნა. ახალ თაობაში, საუბედუროდ, 21-ე საუკუნეში, ბევრი ვერ ხვდება ნამდვილ ხელოვნებას. ახლა რეალურად ნამდვილი ხელოვნების ნაწილობრივი თუ არა ტოტალური კვდომის პროცესია...

6. გიორგი ბუნდოვანი – მეამბოხე თუ განდეგილი?

პასუხი: ორივე, მაგრამ საღღეისოდ უკვე შევედი პოეტური ,,დაყუდების, განდეგილობის ფაზაში“. თითქმის ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ (ეს 9 წელი ეკლესიაში მორჩილი გახლდით, პატრიარქმა შემმოსა კაბით, ვემზადებოდი მღვდლობისთვის, პანდემიის პერიოდში, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო წამოვედი ეკლესიიიდან, რადგანაც არაფრით არ გამოვიდა მღვდლობა). ამ პაუზის მერე კი შეგნებულად და აქტიურად დავბრუნდი ხელოვნებაში. ვიყავი ლიტერატურულ ფესტივალებზე, დავიწყე ახალი ლექსების წერა, პერფორმანსების კეთება, გამოვეცი რიგით მეშვიდე წიგნი ,,კულტურის სანიტარი“. ახლა ისევ ჩავიკეტე და ბოლოს სრულ ,,დაყუდებაში“ გადავედი, თითქმის არავისთან ვურთიერთობ.

7. გარეთ 21-ე საუკუნეა, რისი ეშინია გიორგი ბუნდოვანს?

პასუხი: ყველაფრისა და არაფრის! ყველაზე მეტად მეშინია იმის, რომ ხელოვანი ადამიანების (მამაკაცების) ცხოვრებაში არის რამდენიმე კრიზისული და საშიში ასაკი. ესენია: 27, 33, 40, 42, 54 წლები! ყოველი მათგანი უნდა გადალახოს შემოქმედმა, მე ახლა ბოლო „რუბიკონი“ – 54 უნდა გადავლახო და უმეტესად ეს ერთი წელიწადი მაფიქრებს. ამასობაში ჯანმრთელობაც საკმაოდ შემერყა. ბევრი ცნობილი მოღვაწე და ხელოვანი სწორედ ამ ასაკშია გარდაცვლილი. ისე, ზოგადად, მეშინია ამ ულმობელი, ბოროტი საუკუნის, ასეთივე ადამიანების, უსამართლობის, უნდობლობა მაქვს გარესამყაროს მიმართ! სულ თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანი მყავს ირგვლივ სანდო, თუნდაც ორი-სამი მეგულებოდეს ასეთი, ეს უკვე არის უდიდესი ბედნიერება! ამავე დროს არაფრის მეშინია! ეკლესიამ მასწავლა უფლისადმი მინდობა! 9 წელი ცოტა დრო არაა, დაე, იყოს ნება უფლისა, როგორც მას სურს, ისე მოხდეს ყოველივე! ტაძარში მყავდა უნიკალური მოძღვარი მამა გურამ ოთხოზორია, ვისთანაც დიდი სულიერი სკოლა გავიარე, თუმცა ადამიანური სისუსტეები ყველას გვაქვს და ხედავთ, ეს არც დამიმალავს...

8. პოეზია ზოგისთვის სამყაროს, უფლის შეცნობის გზაა. თქვენს შემთხვევაში როგორ არის, დაგეხმარათ თუ არა ის საკუთარი თავისა და ღვთის აღმოჩენაში?

პასუხი: ცხონებული მამაჩემის, ჩემთვის უდიდესი პოეტისა და პოეზიის მეტრის, რევაზ კახიძის ერთ-ერთი ლექსის სტრიქონით ვიტყვი: – „პოეზია – უფლის კარზე მიწერილი წერილია“! მან გადმომცა და მასწავლა ლექსის წერა, თავიდანვე მისწორებდა, მიმითითებდა (აქვე ვიტყვი, რომ მამამ, კომუნისტებისას, თავისი ლექსები მხოლოდ ერთ პატარა წიგნად გამოსცა; უნიჭიერესი პოეტი იყო, მაგრამ თავისი მრავალმხრივი ნიჭები ცხოვრებაში ვერ გამოიყენა, რადგან მეტისმეტად მორიდებული და ჩაკეტილი კაცი იყო! მეც მას დავემსგავსე...). მე, რა თქმა უნდა, პოეზია დამეხმარა ამ საკითხში, ქრისტეშიც პოეტს ვხედავ, მის ქადაგებებს, სახარებასაც ყველაზე მთავარ პოემად აღვიქვამდი. ქრისტე სამყაროში ხომ უმთავრესი ნონკონფორმისტი და რევოლუციონერი მებრძოლი პოეტია, განსაკუთრებით მისი ბოლო სამწლიანი ცხოვრებით, შესაბამისად, პოეზია ძალიან მეხმარება უფალთან ურთიერთობაში.

ელენე: 1. ბატონო გიორგი, გიფიქრიათ, რომ არა ტერენტი, ვინ იქნებოდა თქვენთვის გამორჩეული პოეტი?

პასუხი: ასე კონკრეტულად არ მიფიქრია, რადგან მე ვარ რეალისტი და რახან რეალობაა, რომ ტერენტი არსებობდა და არსებობს, მასზე წინ, ქართულ პოეზიაში მე ვერავის დავაყენებ! (შოთა რუსთაველი ნუ რიგგარეშეა, რა თქმა უნდა!) ჩემთვის ტერენტი გალაკტიონზე დიდი პოეტია! ეს რომ მითქვამს საჯაროდ ან გარკვეულ წრეებში, გამოუწვევია ძალიან სერიოზული დავა, კამათი, უსიამოვნებით დამთავრებულიც კი... მაგრამ მაინც თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტერენტი თუ არა ვინ? მეორე ადგილზე მაინც ალბათ იქნებოდა გალაკტიონი, ისე, როგორც არის ახლა.

2. ყველაზე მეტად გრანელის შემოქმედებიდან რომელი ნაწარმოები გიყვართ?

პასუხი: მე არ მაქვს გამორჩეული გრანელის შემოქმედებიდან რომელიმე ლექსი, რადგან მთელი მისი პოეზია არის ერთი მთლიანი ლექსი და აღსარება ღვთისა და ხალხის წინაშე. გრანელს მე ცალ-ცალკე ვერ ვკითხულობ, ის ჩემთვის ერთი მთლიანი პოემაა. თუმცა გამოვყოფ შედევრად – „გაზაფხულის საღამოს“! ვინაიდან ის ყველაზე მარტივი, უბრალო და ამავ დროს ზე-გენიალური ლექსია და, ვფიქრობ, მსგავსი არავის შეუქმნია! ასევე შეიძლება დავასახელოთ: „მემენტო მორი“, „მწუხარე მელოდია“, ზოზიასადმი მიძღვნილი ცნობილი ლექსები... ყველას ჩამოთვლა შორს წამიყვანდა... და, მაინც, „გაზაფხულის საღამო“.

3. რას იტყოდით ტერენტის არშემდგარ სიყვარულზე?

პასუხი: ტერენტი გრანელს უკავშირდება ერთი მართლაც საოცრად მისტიური ისტორია, რომელზეც არ საუბრობენ ღიად და რომელიც 80-იანებში გამანდო ლერი ალიმონაკმა! აღნიშნული ისტორია არსად დაბეჭდილა. მხოლოდ ოჯახის წევრებმა, მე

ტერენტი გრანელი. მხატვარი რეზო ადამია

და ალიმონაკმა ვიცით, თუმცა ბევრი ადამიანი, ვინც ღრმადაა ჩახედული ტერენტის ცხოვრებაში, სულსა და შემოქმედებაში, ნაწილობრივ ხვდება ამას. მაგრამ ეს გასაიდუმლოებული ისტორიაა, გრანელის სულის ეზოთერიკაა! ამიტომ თავს ამჯერადაც შევიკავებ.

4. როგორც ვიცით, ტერენტი თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ორ რამეს ეთაყვანებოდა – პოეზიასა და თბილისს. თუ საიდუმლო არ არის, თქვენ რას ეთაყვანებით?

პასუხი: ბევრ რამეს ვეთაყვანებოდი ცხოვრებაში, ახლაც – გარკვეულ ვიღაცებსა და რაღაცებს, მაგრამ ეკლესიურმა ცხოვრებამ მასწავლა, რომ ნუ შეიქმნი კერპს... ერთადერთი ზეკერპი ქრისტეა – ყველასა და ყველაფერზე აღმატებული! მაგრამ ადამიანები ბუნებით სუსტნი ვართ, ახლაც მყავს ასეთი „კერპები“, მაგრამ მათ არ ჩამოვთვლი მიზეზთა გამო. რაც შეეხება თბილისს, მას არასოდეს ვეთაყვანებოდი. თბილისი, სავალალოდ, იყო და რჩება ზოგადად ნიჭიერი, პატიოსანი და ალალი ადამიანების სასაკლაოდ: – „თბილისი წმინდა თავშესაფარი, თბილისი მინდა, როგორც საფლავი...“ /ტერენტი/. არც ვმალავ, რომ არ ვარ პატრიოტი, არ მიმაჩნია თავი ქართველად, შემთხვევით დავიბადე აქ. პოეზია კი ჩემთვის, როგორც ზემოთ ვახსენე – „უფლის კარზე მიწერილი წერილია!.. ამიტომ სათაყვანებელი ობიექტები აქ მუდამ არის და იქნება.

5. ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

პასუხი: ტერენტის გარშემო ვტრიალებ მთელი ცხოვრებაა და თუ ქართველ მწერლებზეა საუბარი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ გრანელი! პოეტი თუ პროზაიკოსი, მაინც ხომ ყველა მწერალია.

მართა: 1). რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ტერენტის ნაწარმოებებს კითხულობთ?

პასუხი: ახლა უკვე – არანაირი, წლებია, აღარც ვკითხულობ (თუ შემთხვევით ინტერნეტში არ გადავეყარე...). ტერენტი გრანელის შემოქმედებითა და მისი ცხოვრებით ცხოვრება ჩემთვის განვლილი ეტაპია. ახლა სულ სხვა ინტერესები მაქვს, მაგრამ ადრე, ახალგაზრდობაში, როცა ვკითხულობდი, ეს ჩემთვის ყველაფერი იყო! მაშინ რწმენაში არ ვიყავი, არ ვიცნობდი სახარებას, ქრისტეს. ამიტომ ტერენტი ჩემთვის ლამის ღმერთის დონეზე იყო აყვანილი. როცა მის მისტიურ ლექსებს ვკითხულობდი, თუ ვწერდი, მუდმივად დავდიოდი მის საფლავზე, მერე იქვე, მისი საფლავის ქვის ქვეშ ვინახავდი, ადგილზე შექმნილ ლექსებს, ეს იყო ჩემთვის მართლაც, ზიარება დიდი მგოსნის სულთან და „ექსკურსია ცისკენ“ (როგორც ტერენტის ერთ-ერთ ცნობილ ლექსს ჰქვია), თითქოს მართლა ცაში ავდიოდი მისი ლექსების კითხვისას და მის ზემისტიურ სამყაროს მივეახლებოდი.

2). როგორი იქნებოდა თქვენი ცხოვრება პოეზიის გარეშე, სხვა პროფესიაზე ხომ არ ოცნებობდით?

პასუხი: ვოცნებობდი ქირურგობაზე, მაგრამ შემთხვევით გავხდი ფილოლოგი, რაც ჩემი მოწოდება არ იყო. მაშინდელი პუშკინის ინსტიტუტი დავამთავრე, ვარ პედაგოგი, დიპლომით – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თუმცა ამ კუთხით თითქმის არ მიმუშავია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წელიწად-ნახევარი მარნეულში ვმუშაობდი პუშკინის ინსტიტუტის ფილიალში, აზერბაიჯანელებს ვასწავლიდი ქართულს, არაფერი გამომივიდა, რადგან მათ არ იცოდნენ ქართული და რუსული, მე – აზერბაიჯანული და დავანებე თავი მუშაობას. ქირურგობისთვის კი მართლაც ბევრი რამ გავაკეთე, ფაქტიურად უდიპლომო ქირურგი ვიყავი. ეს საინტერესო და ცაკლე ისტორიაა... პოეზიის გარეშე ჩემი ცხოვრების ნახევარი არ იქნებოდა. მე ყველაფერ – დადებითში ვხედავ პოეზიას, თავად ქრისტეც ხომ პოეტია ჩემს თვალში! ბოროტებაში ვერა, ნეგატიურის გარდა ყველაფერში: სიყვარულში, სიკეთეში სულ პოეზიაა!..

3). ადრე გრანელის საფლავს იცავდით, დღეს რა მდგომარეობაა ამ საკითხთან დაკავშირებით, ის საფლავი არსებობს?

პასუხი: 1987 წელს მოგვტაცეს ტერენტის ნეშტი, მანამ ორჯერ ამოთხარეს და მე ჩემი ხელით ორჯერ დავაყარე მიწა, არ ვატანდი ცხედარს მაშინდელ მწერალთა კავშირსა და უშიშროებას. ამიტომაც ის უშიშროება დამსდევდა, მავიწროებდა, როცა ნეშტის წასაღებად მოვიდნენ, ზედ დავწექი და ამ ფორმით დავიცავი, ღამეც კი გამითენებია ამ საფლავში მწოლიარეს, მარტოს! შეიძლება ეს ვინმეს სიგიჟედ მოეჩვენოს კიდეც, მაგრამ რაც იყო, იმას ვამბობ. მაინც ჩუმად, მალულად გამთენიისას გადაასვენეს ცხედარი. შემდეგ კი დღის წესრიგში დადგა ტერენტის ნასაფლავარის გაყიდვის საკითხი, იქ ხომ იგი 54 წელი განისვენებდა, თუმცა ისევ მე ავტეხე ერთი ამბავი. აღმოჩნდა, რომ მაშინდელი პეტრე-პავლეს სასაფლაოს დირექტორი ტერენტის თაყვანისმცემელი და განათლებული ადამიანი იყო, რომელმაც მალევე ჩემი და ჩემი უამრავი თანამომხრე ახალგაზრდის მითითებით შეაჩერა ეს ყველაფერი. ჩვენ სხვადასხვა ორგანიზაციას მივმართეთ წერილობით, მაგრამ ამანაც არ უშველა საქმეს, საბოლოოდ პუშკინის ინსტიტუტში დავდგი ყულაბა წარწერით „ტერენტი გრანელის ნასაფლავარის გადასარჩენად“. სტუდენტთა შემოწირულობით შეგროვდა 300 რუსული მანეთი, 300 კი პირადად მე დავამატე საკუთარი თანხა. სულ შეგროვდა 600 მანეთი, რითაც შევუკვეთე შავი მარმარილოს ქვა, რომელზედაც დავაწერინე: – „აქ განისვეტენდა /ამა და ამ წლიდან ამა და ამ წლამდე/ დიდი ქართველი მისტიკოსი პოეტი ტერენტი გრანელი და იგივე ციტატა, რომელიც ეწერა ზოზიას მიერ შეკვეთილ ძველ ქვაზე – „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა...“. ძველ უცნობილეს ოვალურ სურათს (ტერენტი ზეცისკენ რომ იყურება) რაც შეეხება, ის მოაძვრეს და წაიღეს დიდუბის პანთეონში, სადაც ახალ ქვას მიამაგრეს. მე კი ამ სურათის ზუსტი ანალოგი შევუკვეთე და 1993 წელს მემორიალი დავდგი გრანელის ნასაფლავარზე და ამით გადავარჩინე ტერენტის ყოფილი საფლავი! არაფრით არ შეიძლებოდა, რომ აქ ვინმე რიგითი ადამიანი დასაფლავებულიყო! როგორც დიდუბის პანთეონში ვაჟა-ფშაველას ყოფილი საფლავია შემონახული წარწერით – „აქ განისვენებდა ლუკა რაზიკაშვილი“, ასევე შემოვინახე ის და დღემდე აწერია ტერენტის ყოფილ საფლავსაც ანალოგიურად. ეს გახლავთ რელაური ფაქტი და მე-20 საუკუნეში თუკი რამ მნიშვნელოვანი გამიკეთებია, ალბათ ესაა! რომ არა ჩემი მცდელობა, ტერენტის საფლავი გაიყიდებოდა, მისი ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები 1987 წლის შემდეგ (გადასვენების შემდეგ) მაინც ძველ საფლავთან ვიკრიბებით, რადგან იქ განსხვავებული გარემო და აურაა, რაც, სამწუხაროდ, არ იგრძნობა დიდუბის პანთეონში...

4). რა შთაგაგონებთ, როცა წერთ?

პასუხი: ადრე მჭირდებოდა მუზა, განწყობა, ან შეყვარებულობის განცდა.. ახლა დაახლოებით, 20 წელია, რაც ლექსის წერა გადამეზარდა პროფესიონალიზმში, არანაირი განწყობა... ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ დროს, ადგილას: ქუჩაში, გაჩერებაზე, ბაზარში, ტრანსპორტში, არ აქვს მნიშვნელობა... შემიძლია გავჩერდე და დავწერო ისეთი დონის ლექსი, როგორსაც ვწერდი დიდი შთაგონებით, მუზის ლოდინით. დღეს ეს ხელობაა, რამაც შემაძულა კიდეც ნაწილობრივ წერა. როცა ახალ ლექსს ვწერ, წინას სასაცილოდაც კი ვიგდებ,

აღარ მომწონს! უკან აღარ ვიხედები. ასე ვფიქრობ, ეს მუდმივი ზრდის პროცესია. თუ პოეტი კმაყოფილია თავისი ნაშრომით, წინა ლექსიც მაგარია და დასაცინი არაა მისთვის, მაშინ ის, როგორც პოეტი, მკვდარია...

ანასტასია 1). განგვიმარტეთ თქვენი ლიტერატურული ფსევდონიმი „ბუნდოვანი“ და, თუ შეიძლება, ფეისბუქგვერდის სახელი – „კულტურის სანიტარი.“

პასუხი: ფსევდონიმი – ბუნდოვანი დავირქვი იმიტომ, რომ ბევრისთვის ბუნდოვანი ხასიათის ვარ, ვინც არ იცოდა სიტყვა „ბუნდოვანი“, მეკითხებოდა კიდეც – სვანი ვარ თუ სომეხი? რახან დაბოლოება აქვს ასეთი. (იცინის!) ეს პოეტური ფსევდონიმი კარგა ხანია შემესისხლხორცა, თუმცა გრანელის პერიოდში მქონდა სხვა ფსევდონიმები, მაგალითად: გიორგი დაბრედილი, გიორგი კუბოგვამური... (იცინის!) ჩემს კოლეგებს იმ დროიდან არ შერჩათ თავიანთი ფსევდონიმები, აი, მე კი დღემდე ვატარებ მას. რაც შეეხება „კულტურის სანიტარს“, 2022-ში მე-7 წიგნი გამოვეცი ამ სათაურით, შესაბამისად, მეც არტისტული სახე შევიქმენი და დავირქვი იგივე სახელი. ახლა უკვე წელიწადზე მეტია, რაც „კულტურის სანიტრის“ სახელით დავდივარ და ნაკლებად ბუნდოვანის. ფეისბუქზე ხშირად ვიცვლი სახელებს, დაახლოებით 70-ჯერ, სავარაუდოდ. ამ უკანასკნელსაც შევცვლი უახლოეს მომავალში, ეს სახელი ეპატაჟურია, თავისი მემაბოხე და ანარქისტული ბუნებით უპირისპირდება, ებრძვის ფსევდოკულტურას.

2). ყველამ ვიცით „გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“. თქვენ რას ფიქრობთ, გალაკტიონი თუ ტერენტი?

პასუხი: ამაზე ზემოთაც ვისაუბრე, რომ, რა თქმა უნდა, ტერენტი! მხოლოდ მის მერე გალაკტიონი! ამის დამადასტურებლად ერთი არგუმენტიც კმარა, ვინაიდან ტერენტი გრანელს არასოდეს არც ერთი რეჟიმისა და მთავრობისთვის არ უმღერია, ლექსი არ მიუძღვნია, ხოლო გალაკტიონს უხვად აქვს ასეთი ლექსები ლენინისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ის ლენინის ორდენსაც ატარებდა მკერდზე. ამით არ განვიკითხავ, მაგრამ ვამბობ ფაქტს, ისეთი ეპოქა იყო, სხვაგვარად არ გამოვიდოდა, იყო სახალხო პოეტი, მას ხელით ატარებდნენ... ტერენტი გრანელს კი ამ დროს მილიცია იჭერდა, სცემდა, საგიჟეთში ამწყვდევდნენ, საპატიმროში აგდებდნენ... ამიტომ ტერენტი გრანელი დარჩა ასეთ მისტიურ, ანგელოზებრივ პოეტად, გმირ რევოლუციონერად! ფრაზა „გალაკტიონში არის დემონი...“ მე ვფიქრობ, ეს ტერენტისაგან დასმული ზუსტი „დიაგნოზია“, გალაკტიონზე...

3). ბატონო გიორგი, გთხოვთ აგვიხსნათ, რატომ იპარავდნენ ტერენტის ცხედარს?

პასუხი: ვრცელი ისტორიაა, შევეცდები მოკლედ გადმოვცე: ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით მისი ნეშტის გადასვენების, მისი საიუბილეო წელი იდგა – 1987. დაბადებიდან 90-ე წლისთავი. მაშინდელი მწერალთა კავშირი ცდილობდა ტერენტის ცხედრის გადასვენებას, სურდათ დიდუბის პანთეონში გადაესვენებინათ. ამის წინააღმდეგობის მოძრაობას მე ვლიდერობდი. თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი მედგა მხარში, დღე და ღამე ვდარაჯობდით საფლავს პეტრე-პავლეზე! რადგანაც ჩვენ ვაპროტესტებდით დიდუბეში გადასვენებას. გვსურდა ის, რომ თუ არ მოასვენებდნენ საფლავში, ისედაც ნატანჯ და გაწამებულ გენიალურ პოეტს, მაშინ პირდაპირ მთაწმინდაზე, ერთადერთი თანასწორი მეგობრის და კოლეგის – გალაკტიონის გვერდით დაეკრძალათ. ან არადა დაეტოვებინათ თავის საყვარელ პეტერე-პავლეს სასაფლაოზე, სადაც ხშირად დადიოდა სიცოცხლეში და რომელიც საკმაოდ ხშირად ფიგურირებს მის შემოქმედებაშიც. ბევრი მაშინდელი ოფიციალური ინსტანცია მოვიარეთ: ცეკას მინისტრებიდან დაწყებული, მწერალთა კავშირის თავმჯდომარით დამთავრებული... მწერალთა კავშირმა, მათ მიერვე წამოწყებული, ეს გადასვენების საქმე ხალხს გადააბრალა, რაც მორიგი სიყალბე იყო! ჩვენი წერილები მოთხოვნებით იბეჭდებოდა პრესაში, პასუხად კი ყველასგან უარი და იგნორირება მივიღეთ. როგორც ზემოთ დავსძინე, საფლავი ორჯერ ამოთხარეს. მე კი მესაფლავეს წავართვი ნიჩაბი და თითქმის ამოთხრილ ნეშტს ხელებით მივაყარე მიწა. შემდეგ საფლავში ჩავწექი და ერთი ღამე იქ გავატარე, საიდანაც გამთენიისას წამოვედით. როცა დილის 7 საათზე დავბრუნდით, მწერალთა კავშირს უკვე ცხედარი გადაესვენებინა მოპარვით. აქაც მისტიკაა: ის მესაფლავე კი, რომელმაც ტერენტი დიდუბეში დაასაფლავა, მისი პოეზიის თაყვანისმცემელი აღმოჩნდა! მერე იქ უვლიდა მის საფლავს და ერთხელაც, როცა დაასუფთავა პოეტის განსასვენებელი, იქვე სკამზე ჩამომჯდარი გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

4). და ბოლოს, რას გვეტყოდით ახალგაზრდებს?

პასუხი: მე სხვას ვის რა უნდა ვასწავლო?.. მაგრამ მაინც გეტყვით, რომ გიყვარდეთ ქრისტე! პოეზია და ერთმანეთი! ვინც ცდილობთ პოეზიაში პირველი ნაბიჯების გადადგმას, ეცადეთ, ისევ დაუბრუნდეთ ფურცელსა და კალამს. ჩემზე ძალიან იმოქმედა ელექტრონულმა სივრცემ, გადაგვარება მოახდინა. კალამსა და ფურცელს საერთოდ აღარ ვიყენებ, პირდაპირ „ლაივში“ ფეისბუქზე ვწერ ლექსებს და მერე ვინახავ „ვორდის“ ფაილში. არადა ვერანაირი ინტერნეტი ვერ შეცვლის იმ მადლს, რასაც ფურცლითა და კალმით საკუთარ თავზე მუშაობა ჰქვია! სამწუხაროა, ფრიად, რომ ამ დიდიებულ წესს დავიწყება უწერია. იყავით ღირსეული ადამიანები, სულით სუფთანი, აკეთეთ მეტი სიკეთე და გაუფრთხილდით ერთმანეთს. მადლობა თქვენ ყველაფრისთვის!

მოამზადა მაია გვიჩიამ

როინ ჭიკაძე

ფარნა რაინას გამორჩეული ადგილი უკავია ქართველ პოეტთა კოჰორტაში. ორიგინალური ხელწერით ხასიათდება მისი პოეტური კატრენები. ქართულ პოეზიაში მან დაიმკვიდრა საკუთარი შემოქმედებითი სტილი და ხელწერა. გადაუჭარბებლად ითქმის, რომ ფარნა რაინა ქართულ სიტყვაში ყელამდე ჩაფლული პოეტია. სწორედ ქართული სიტყვის ძალმოსილებით არის გაჯერებული მისი პოეტური მუზა.

რ. ჭიკაძე

ფარნა რაინა — მზეკალმოსანი პოეტი

ფარნა რაინას გამორჩეული ადგილი უკავია ქართველ პოეტთა კოჰორტაში. ორიგინალური ხელწერით ხასიათდება მისი პოეტური კატრენები. ქართულ პოეზიაში მან დაიმკვიდრა საკუთარი შემოქმედებითი სტილი და ხელწერა. გადაუჭარბებლად ითქმის, რომ ფარნა რაინა ქართულ სიტყვაში ყელამდე ჩაფლული პოეტია. სწორედ ქართული სიტყვის ძალმოსილებით არის გაჯერებული მისი პოეტური მუზა. ფარნა რაინას მძივივით აკინძულ კატრენებში ძალუმად მჩქეფარებს „ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული“ (მუხრან მაჭავარიანი), რის დადასტურებაცაა მისი ლექსი „ქართული ენის სადიდებელი“. ფრიად საინტერესოა ამ ლექსის სტრუქტურა: პოეტმა ეს ლექსი გააწყო 33 დაშიფრული სტროფით, რითაც ღვთაებრივი ქართული ანბანი ქრისტეს ასაკს მიუსადაგა.

ჭეშმარიტად ქართული ენის საგალობელია ფარნა რაინას შემოქმედების საპროგრამო ლექსი – „სიტყვა ქართული“: „ამ მიწას ყორნის გუნდად ეხვია მტერი ასპიტი, ხმალშემართული, – ჩეხდნენ ვაზიანს, ჭრიდნენ ვერხვიანს, მაგრამ... ვერ მოჭრეს სიტყვა ქართული!“ „ივსებდნენ ჩვენი სისხლით მათარას, იდგა გვამების ასი სართული, თოკზე ჰკიდებდნენ დიდს და პატარას, ვერ ჩამოახრჩვეს სიტყვა ქართული!“

ფარნა რაინას პოეტური *სიტყვა* **მზე**სთანაა წილნაყარი:

სიტყვა...
მწამს,
მიყვარს *სიტყვა*, –
სიბრძნით ნათალი, –
სულიც და გულიც
მზით რომ
ივსება...
ალალი,
წრფელი,
მარად მართალი,
როგორც —
რწმენა და...
როგორც —
ღირსება...

სიტყვა
ვინ –
სიტყვით **მზეობს**,
ვინ *სიტყვის*
ტყვეა,
მინახავს სისხლიც,–
სიტყვით დაღვრილი...
ვარდია –
სიტყვა,
ხან არის
ტყვიაც...
ზოგჯერ
სიტყვასაც უნდა
აღვირი...

ფარნა რაინას პოეზია **მზით** არის გასხივოსნებული. ამ მხრივ იგი გამგრძელებელია

როინ ჭიკაძე

იმ დიდი ტრადიციისა, მსოფლიოს ხალხთა რწმენაში რომ დომინირებს. „დედამიწის ზურგზე არ არსებობდა, არც არსებობს ისეთი ხალხი, რომელს ცის, ვარსკვლავთა, კერძოდ მნათობთა, და მათ შორის, მზის თაყვანისმცემლობის ისტორია არა ჰქონდეს“ (ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება,“ სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ.8).

ქართულ წარმართულ რელიგიაშიც **მზის** კულტია გაღმერთებული: „გაღმერთებულ მნათობთა შორის პირველი ადგილი **მზეს** ეჭირა. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ქართველ ტომთა მეურნეობის მთავარს, წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა... **მზე** ესახებოდა მიწათმოქმედ მეურნეს ნაყოფიერების, სიცოცხლის უმთავრეს წყაროდ; **მზეს** შესთხოვდა იგი წყალობასა და შემწეობას“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1943, გვ. 84). თუმცა „დროთა განმავლობაში **მზეს** უკვე დაეკარგა თავისი წარმართული რელიგიური მნიშვნელობა... ქრისტე გამოცხადდა მსოფლიო **მზედ** და **მზე** გაქრისტიანდა“ (ვ. ნოზაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 105). ამიტომაცაა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **მზე** მხატვრულ-მეტაფორული მნიშნელობით გვევლინება არანაკლებ 400-ჯერ.

ფარნა რაინას პოეზია **მზის** საგალობელია; **მზის** კულტი დომინირებს მის პოეტურ საგანძურში. მისი ნატვრაა, თავადაც **მზე** იყოს და **მზედ** მოევლინოს სამყაროს: „მინდა **მზე** ვიყო სრული, **მზით** სავსე გული – მიყვარს... მიყვარს – **მზით** სავსე სული“, 103. უსაზღვროა პოეტის თაყვანისცემა მზისადმი: „**მზედ** ვეთაყვანე – ვინც იცის ქვეყნად სულის, გულის და... გულის ტკივილის ფასი“, 81. „ვეთაყვანე იმ გულს, რომელიც **მზით** არის სავსე“, 86. ...და ლოცავს ყველას, „**მზედ** ვინაც ტოვებს თავის სახელს, ვიხსენებ, ვლოცავ“, 118. მისთვის სამყარო **მზითაა** გასხივოსნებული: „გადავათენებ სულის სხივით სამყაროს სივრცეს... ასი **მზით**“, 95. პოეტი ლოცავს „**მზით** მოხატულ აპრილს“, 116 და ფიცს აღავლენს: „მე ვფიცავ ამ ცას, ამ მიწას და მე ვფიცავ შენ **მზეს**“, 313. და ვერ ფარავს რისხვას, „**მზე** ვისგანაც უკუღმა ბრუნდა“, 263 და ვერ იტანს „**მზის** ანაფორით შემოსილ თაღლითს“, 333. მისი სურვილია „ეს **მზე** სულ მოვფინო მთლიანად სამყაროს“, 141.

ფარნა რაინასათვის **მზე** სიცოცხლის ელექსირია: „მიყვარს სიცოცხლე, ცას რომ ცეცხლი წაეკიდება... და **მზე** მეფერება, მეხვევა, მკოცნის“... 115.

მისი პოეზია **მზით** არის გასხივოსნებული: „მარადისობის **მზით** თუ მოელტვი.“, ლექსი მაშინ ხარ, 281. „მწამს, მიყვარს სიტყვა, – სიბრძნით ნათელი, სულიც და გულიც **მზით** რომ ივსება“, 176. „სიკეთის მთესველს, სიდიდეს ვზომავ: **მზით**, სინდისით, სიბრძნით, ღირსებით“, 268, „ვხარობ, როცა სიმართლის **მზე** გვადგას თავზე...“, 151. „სამშობლო მაშინ გავითავისე, **მზედ** რომ დავიწყე თვალის ახელა“-ო, 168. „ვარ სიყვარულით მთვრალი, შენით ვსუნთქავ“, 97.

პოეტი გულმტკივნეულობს: „არ ვიცი, სხვები ვინ რას ტირიან, მე სიჭაბუკის **მზის** სხივს მივტირი“, 221. მოუნელებელია დედის სხივჩამქრალი **მზე**: „...მისით სიმებად **მზის** შუქს ავება, ...დედაა თვით უკვდავება... და სიყვარულიც უმწვერვალესი“, 228.

თუ სამშობლოს განსაცდელში მივატოვებთ, მაშინ „თითქოს **მზეც** უკვე გვიყურებს წყრომით“, 324.

საერთოდაც, ფარნა რაინას პოეზიაში ცხადად იკვეთება **მზისადმი** თაყვანისცემა. პოეტის რწმენით, „*სიტყვაც* **მზე** არის!“, 478. და „ჭეშმარიტი თუა მწერალი,... და რწმენა **მზით** აჰყვა, სიცოცხლედ უღირს მართალი *სიტყვა*“, 290. საერთოდაც: „**მზე** არის სიბრძის პოეზია“, 36. და „რა ვუყოთ – თუკი ზოგი ბრმაა და... **მზეს** ვერ ხედავს?! **მზე** კი ხომ მაინც დიადია... მინც ანათებს“, 344. ქართული სიმღერა „ტაოს დაგაყრის და... მოგგვრის ჟრუანტელს“, ვინაიდან მასში განსხეულებულია „**მზე** – განცდა, **მზე** – გული, **მზე** –სული“, 343.

პოეტისათვის მთელი სამყარო **მზის** ქვეშეთია: „დიდი სიბრძნე **მზის** ქვეშ ღმერთმა დასვა ამინდად“, 361. „მზის ქვეშ, უფლის

ჯვარცმის შემდეგ, რაღა უნდა გაკვირვებდეს?!“ „ყველაზე დიდი ჯილდო მზის ქვეშ არსებობს“, 29. „სიბრძნე მსურს, **მზის** ქვეშ ვიცოდე, რას ქმნის?!...“, 73. „ტკივილმა **მზ**ის ქვეშ ბევრჯერ იგრგვინა“, 431. და საერთოდაც, „მის ქვეშ რამდენი გონით, სულით ბრმა არის?!“, 51.

ფარნა რაინას ორიგინალურ სიტყვაწარმოებაშიც ამოსავალ ფუძედ **მზე** დომინირებს; ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზმნური სიტყვათქმნადობა. იგი უხვად ქმნის ლექსიკურ ნეოლოგიზმებს, რომლის საყრდენია **მზე:** პოეტს სწამს, რომ „**ამზევდება** უფრო მეტად ნიჭი ქართული“, 410. იგი ეთაყვანება ყველას, „ღირსებით ვინაც **მზეობს** და უფლობს“, 236. „ვინც *სიტყვით* **მზეობს**“, 46. ხოლო ბოროტი ადამიანი **უმზეოა**: „ვინაც სიავით, სიბრძნით თვითონ იწვავს **მზეს**, **უმზეოა** და... უსიკეთო მისთვის დროც ხვალის“, 110.

ფარნა რაინასთვის „ჭეშმარიტება!“ მზეთამზეა!... 270. ამიტომაც ქმნის ხარისხის ფორმებს: „სიყვარული ხომ უმზესია, ხომ ვიცით ყველამ?...“, 72. „სიყვარულია უუმზესი, წრფელი, უბრალო“, 244. „უმთავრესია უმზესიც და... უზენაესიც ადამიანებს ანიჭებს ბედნიერებას...“, 38. „თუკი რამ არის **სამზეოზე მზეთა უმზესი**, სიყვარულია მისი მიწყივ თავიც და ბოლოც“, 243.

პოეტს **მზე** გაიგივებული აქვს ადამიანის გულთან და სულთან და ქმნის მშვენიერ კომპოზიტებს: „სიცოცხლე არ მწამს **მზეგულის** გარდა“, 739. „**მზეგული** თუ გაქვს, სულის განძიც, იოტიც, წვეთიც, იწამე სიბრძნე“, 249. „მჭირს ამ **მზეგულში** ცეცხლის იარა“, 169. „**მზეგულზე** ფიქრის წლები წამება“, 59. „ჩვენთვის დაშრიტე **მზეგული**“, 321. „მიყვარს ქართველი **მზესულით** და... გულით, **მზეგულით“**, 87. „ფული აქვს ბევრი, ბევრზეც ბევრი, – ხომ ვიცით რამდენს?!... მაგრამ არა აქვს **მზესული**... და **მზეგულიც** არ აქვს“, 70. „სხივებად უნდა ვეღვრებოდეთ **მზესულით** მინდვრებს“, 196. „**მზით** სავსე გული და... **მზესული** მაოცებს უფრო...“, 50. „სიყვარული და **მზესული**ა ბედნიერება“, 82.

ფარნა რაინასთვის **მზე** მხატვრული შედარების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია: „შემოგევლებით მარადის... **მზეობს იესო ვითარცა**“, 94. „**მზე გადმოდგა მთებზე იესოსავით**“, 3000. „ზეცის ალვისფერ კაბადონზე **მზე ხატივით ასვენია“**, 380. „მგოსნის სახელს ჰპოვებ **მზიანს**, თუ **მზის დარად იბრძვი**“, 170. „აწი მსურს **ღიმილი მარადი მზესავით“**, 439. „მამულო!... ვღაღადებ, **სიყვარულით ენთო მზესავით**“, 186. „თქა იოჰანმა სიტყვა **წრფელი მზისებრ კრიალა**“, 270. „თუ გნებავთ **ბედი, მზისებრ კრიალა**“, 457. „**იმედი მზისებრ სხიოდა**“, 308. „მთელი **სამყარო მეჩვენა მზისებრ**“, 438. „**სიცოცხლევ, – მზისებრ კარგო**“, 373.

ფარნა რაინასთვის **მზე** სიბრძნისმეტყველების ფენომენია, **მზე** სიბრძნესთანაა გაიგივებული, **მზე** სიბრძნის სინონიმია და პოეტი გვთავაზობს **მზისეულ** ბრძნულ აზრებს: „მამულს სჭირდება ბრძოლაც, სიბრძნის **მზეც**“, 238. „სიბრძნეს ვუწოდებ ცეცხლის ამ დებას, – წერს ვინაც **მზის** ქვეშ **მზისებრ** ბარათებს“, 284. „უფალი მართალს **მზის გვირგვინს ადგამს**“, 250. „**მზის ნათელს** უნდა აფრქვევდე ცას და... უნდა წონიდე ყოველთვის *სიტყვას*“, 334. „**მზე** თუ გაქვს გულში, ნათდება ცა“, 69. „**მზე სიყვარულის** თუ მიზანს ასცდა, ჯოჯოხეთია ყოფნაც და განცდაც“, 67. „**მზეც** კი გვეწვია სამყაროდ, გზებს თუ ვრთავთ ვარდით, შლილთა“, 242. „დრო ხან წკვარამია, ხან კი **მზედ** დნება,“ 207. „**მზეს** შემოვწყერით და ღამეს ვენდეთ, უსმართლობა ღუპავს ქვეყანას“, 37. „დრო **მზეც** არის და... უკუნიც, მრუმეც“, 104. „ვინ იშვა **მზედ** და... ვინ ღორის ეშვად?!“, 179. „ცრუთა **მზეობა** არ მწამს“, 200. „სიტყვაც **მზე არის“**, 478. „სიმართლეს ვინც კარგავს, იგი **სულის მზე**ს კარგავს“, 68.

ფარნა რაინას პოეზიაში გასიბრძნებულია **მზის** ფენომენი. როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს შეშვენის, იგი კვლავდაკვლავ ისწრაფვის პოეტური სრულყოფილებისაკენ და უილიამ ფოლკნერის დამოწმებით გულმტკივნეულობს: ნეტავ, შემეძლოს, მთელი ჩემი სათქმელი ქინძისთავზე მომეთავსებინაო.

ბატონო ფარნა, ერთგულმა მკითხველებმა ვირწმუნეთ თქვენეული სიტყვა, რომ: „ამ **მზისქვეშეთში** ყველაზე ობიექტური და ჭეშმარიტი შემფასებელი ხალხია“ და გავითავისეთ დიდი ილიას სიბრძნეთა სიბრძნე, ამოსაკვეთი ფიცარზე გულის: მამული, ენა, სარწმუნოება!

ამრიგად, ფარნა რაინას პოეტური შემოძახილი – „**მინდა მზე ვიყო!**“ – კანთიელად

გასდევს მთელ მის პოეტურ ქმნილებებს. თავადაც ხომ **მზეკალმოსანი პოეტია**, რაც დასტურდება მისივე ლექსით – **„მზეკალმოსანი“**

მზეკალმოსანი

მისდევს –
ღვთის ნებას,
აქვს:
სულიც,
გულიც
უფლის წმინდისა...
მზეკალმოსანი –
სიბრძნე,
ღირსება...
მზეკალმოსანი
მზეა
სინდისის...

ლიტერატურა

ფარნა რაინა, „სიყვარულისთვის“, კატრენები, I ტომი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2023 წ.

ვიქტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ.

ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1943 წ.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1956 წ.

როინ ჭიკაძე, ფარნა რაინასეული პოეტური სიტყვიერების საუნჯე, ლიტერტურული ჟურნალი „ოლე“, ”№2 (61), 2023 წ.

მზის ამოსვლა. მხატვარი რეზო ადამია

იკა ქადაგიძე

ტერენტი გრანელის ხატება, რომელსაც საბჭოთა რეჟიმის აპოლოგეტი პროლეტმწერლები დაურნვით დაძონძილ ქრისტეს უწოდებდნენ, ვანლერ დაისელს განუშორებლად თან სდევს. 8 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით მეოთხედ გადასახლებული დაისელი სათაყვანო კოლეგას არხანგელსკიდან გულახდილ ბარათს უგზავნის. წერილში კომუნისტებთან შეუპოვრად მორკინალი პოეტის შემაშინებელი სიმართლე ზნეობრივი იმპულსებს შესისხლხორცებულ მძიმე ცხოვრებისეულ გამოცდილებას პირქუშად გადახლართვია. ვანლერ დაისელის მებრძოლი ბუნება ბარათში თავს იჩენს.

ი. ქადაგიძე

სომნამბულური ტრაგედიის კვალდაკვალ

(ვანლერ დაისელის პორტრეტისათვის)

„მწუხარებაში არ გამითენდა

და დათოშილი ავკვნესდი მისთვის...

შენ დამიტირე ძვირფასო დედა

პოეტი ბავშვი და პესიმისტი“

ვანლერ დაისელი

ამქვეყნად პოეტურ პარადოქსებს რა გამოლევს. უხილავ განზომილებაში უსიტყვოდ გადავინაცვლოთ და ზედმეტი შეკითხვების დასმის გარეშე ყურადღება გავამახვილოთ. ძლიერი ცნობისწადილით შეპყრობილი ხალხი პოეტურ თავყრილობაზე გარინდულა. გადაჭედილი დარბაზი მზადაა ნამდვილი პოეტის გულიდან ამოხეთქილ ტანჯვის დაუსაბამო გრიგალში თავდავიწყებით ჩაიძიროს, მრავალწახნაგოვანი პოლიტიკური ბატალიების ფონზე უჩვეულო სამყაროს დაუსაზღვრავ ლაბირინთებს დანდობილად მინებდეს და იქ გაირიყოს, სადაც პოეზიის უზენაესობის უმძაფრესი განცდა აუტანელ და მომაბეზრებელ ყოფით ნალექს ადგილს აღარ უტოვებს. და უცებ უჩვეულო სიჩუმეს ხმაური უბოდიშოდ ეხლება. წამიც და ჩაბნელებული დარბაზი ჭახჭახა შუქის ტყვეობაშია მოქცეული. იდუმალი მუსიკის მოლოდინით გაჟღენთილი სცენის საპირწონედ დაუკითხავი სინათლის ჭავლში გახვეული პუბლიკა ქანდარიდან პარტერის მიმართულებით ჩამოცვენილ პროკლამაციებს დაბნეულ მზერას აყოლებს. იქვე სამხედრო პირი ჩნდება. უსაფრთხობის საბაბით პოეზიის საღამო ჩაიშალა. არადა, სცენაზე ტერენტი გრანელს ელოდნენ, „memento moris“ გულშიჩამწვდომი დეკლამაციით ყოფითი საზრუნავით გახევებულ გულებს თანატოსის ველურ სუნთქვას მელანქოლიურად რომ შეაგრძნობინებდა, ერთიანად შეძრავდა, ააბორგებდა, პოეზიის სიყვარულს მოურჩენელი სენივით დაურიდებლად გადასდებდა, მაგრამ მოლოდინით დამუხტულ ჰაერში მომაკვდავი გედებივით მოფარფატე პროკლამაციების გამო გრანელის საღამო გაუქმდა. მორიგი პარადოქსი გვამცნობს: რევოლუციური პროკლამაციების სახიფათო აჩრდილი ყალბი განგაში გამოდგა: ფურცლები ახალგაზრდა პოეტმა, ვანლერ დაისელმა გადმოყარა, რომლის შინაარსი შეკრებილ საზოგადოებას ამცნობდა, რომ „არა პესიმიზმი, არა ფუტურიზმი ანუ აბსტრაქციონიზმი, არამედ სომნამბულიზმი...“ თუმცა წილი ნაყარია. დაისელის „უწყინარმა ხუმრობამ“ ტერენტის საღამო შეიწირა.ადვილი წარმოსადგენია ავადმყოფურად მგრძნობიარე გრანელს რა განცდა დაეუფლებოდა. ბედის ირონია სწორედ აქ იკვეთება. ნანატრი თავყრილობა წყეული ბოლშევიკების ნაცვლად მისმა კოლეგამ ჩაშალა. გამიზნულად დადგმულ პერმფორმანსს ანაცვალა, სოლიდარობის მაგივრად საკუთარი ეგო წინ ასე სახიფათოდ წამოსწია. მორიგი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ვანლერ დაისელი (ივანე ბაბუაძე) ტერენტი გრანელის მოწინააღმდეგე არ გახლავთ. პირიქით, მისი შემოქმედების ერთ-ერთი გულმხურვალე თაყვანისმცემელი და დამფასებელია. 1924 წელს სამწერლო ასპარეზზე გამოსული 21 წლის დაისელი წერს, რომ „ტერენტი მაინც არის და დარჩება სფინქსად პოეზიაში. სვლა მწუხარებით დათრობისაკენ არავის აუღია ისე, როგორც მას. დათრობა სევდით, მუსიკა გრძნეულ მგლოვიარების... უხვად დათოვლილი მწუხარების სურნელება პოეზიით დათრობისათვის – memento mori – საქართველოში პოეზია ჯერ არ გასცილებია ამაზე მეტს...“

ტერენტი გრანელის ხატება, რომელსაც

იკა ქადაგიძე

საბჭოთა რეჟიმის აპოლოგეტი პროლეტმწერლები დაცინვით დაძონძილ ქრისტეს უწოდებდნენ, ვანლერ დაისელს განუმორებლად თან სდევს. 8 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით მეოთხედ გადასახლებული დაისელი სათაყვანო კოლეგას არხანგელსკიდან გულახდილ ბარათს უგზავნის. წერილში კომუნისტებთან შეუპოვრად მორკინალი პოეტის შემაშინებელი სიმართლე ზნეობრივი იმპულსებს შესისხლხორცებულ მძიმე ცხოვრებისეულ გამოცდილებას პირქუშად გადახლართვია. ვანლერ დაისელის მებრძოლი ბუნება ბარათში თავს იჩენს. მას დამონებული საქართველო მოურჩენლად სტკივა; ასაკის მიუხედავად ბევრი რამ მოუსწრია, უშეღავათო ბრძოლაში უყოყმანოდ გადაშვებული გაწითლებულ სამშობლოს მძიმე ხვედრს ვერაფრით ეგუება. მისი პოლიტიკური ცხოვრება საკმაოდ დინამიკურად ვითარდება სანამ ბოლშევიკების ყოვლისშემძლე მარწუხები საფლავის გარეშე არ გააქრობენ, მიწისაგან პირისა უკვალოდ არ აღგვიან, შთამომავლობას გულმოდგინედ არ გადაუმალავენ. ეს ძალმომრეობაზე დამყარებული სისხლიანი რეჟიმის უცვლელი სტილია, რითაც სახიფათო მოწინააღმდეგეებს უყოყმანოდ უსწორდება. ივანე ბაბუაძე – ახალგაზრდა მარქსისტი, 1921 წლიდან მენშევიკურ პარტიას შეურთდა, ბოლშევიკურ ანექსიას უმძაფრესად განიცდიდა და საძულველი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას წამითაც არ წყვეტდა. ის, როგორც ტერენტი მუდამ დევნილია და მიუსაფარი. აქედან გამომდინარე, პროლეტმწერლების რისხვად მოვლენილი გავლენიან მედროვეთათვის ფრიად უხერხული და სახიფათო კოლეგაა, რომელსაც ციხე არაერთგზის მოუხეხავს, თუმცა „ჭკუა“ ვერა და ვერ უსწავლია და სამშვიდობოს გამოღწეული ქარის წისქვილებს დონ კიხოტური შემართებით უსასრულოდ ეომება.

„მე თქვენთვის ბარათი არასოდეს მომიწერია გარდა 14 დეკემბრისა (1929) როცა ეტაპით, სტოლიპინის სამხეცე ვაგონით მივყავდით მოსკოვს 80 ქართველი ტყვე, მე მაშინ სამშობლოდან მომქონდა აუწერელი წამება, მძიმე გრძნობა და მწვავე განცდები არა მარტო გადასახლებით გამოწვეული, არამედ ჩვენი ქართული სინამდვილის ჩაწვდომით, რომლის ნიადაგთან ყოველთვის ვგრძნობდი გულს გაერთიანებულს და ტკივილი იმ დიდი საგნისა ჩემშიდაც იწვევდა ყოველთვის ტკივილს... ძვირფასო ძმაო, ტერენტი! ამ შესავლის მოყვანა მიტომ დამჭირდა, რომ გაუწყო, თუ რაოდენ სიმართლით იქნებოდა განმსჭვალული ის ბარათი, რომელიც გამოგიგზავნეთ. რა იყო ამ ბარათში? დიდი სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი, ჩემს სამშობლოს ბედთან და სინამდვილესთან დაკავშირებული. ჩემთვის და ჩვენთვის თქვენ დასაფასებელი ხართ ასჯერ და ათასჯერ უფრო, ვიდრე ქართული თანამედროვე კალმოსნების დიდი უმრავლესობა. იმ ბარათში გეუბნებოდით, რომ თქვენ როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე, პატივისცემის ღირსი ხართ, რომ შეუდრეკლად დგახართ თქვენს სადარაჯოზე...“ გულისმომკვლელი სინამდვილის საპირწონედ, როდესაც ვინმეს ნდობა პატიოსან ადამიანს მეტწილად სიცოცხლის ფასად უჯდება, მარადიულ მეამბოხესთან სულიერი ნათესაობის წრედი შეკრულია. გადასახლებებში გამოტანჯული პოეტი უტყუარად გრძნობს და განიცდის „სამშვიდობო“ ზღვარზე მობარბაცე და მრავალთაგან ათვალწუნებული მარტოსული შემოქმედის პიროვნულ ტრაგედიას. საყოველთაო გაუცხოების სათავე პოლიტიკური შეუთავსებლობიდან მომდინარეობს, რასაც ოფიციოზი მრავალი წლის განმავლობაში მალავდა და გრანელის ექსცენტრულობას ბანალურ მიზეზს – მის სულიერ აშლილობას მიაწერდა. გადასახლების უმკაცრეს პირობებში გამოწრთობილი დაისელი გრანელისთვის დამახასიათებელ უკიდურეს ნერვულ სიფაქიზესა და სიმწვავეს გამძაფრებით აღიქვამს და სათანადოდ ეხმაურება. ბედი ორივე პოეტის მიმართ საგანგებოდ ულმობელია. ტერენტის ჯვარცმის ამბავი და მისი ნაგვიანევი აღიარება ცნობილი მთარგმნელისა და მწერლის, ლერი ალიმონაკის მრავალწლიანი თავდადებული შრომის დამსახურებაა. ვანლერ დაისელი გაცილებით გვიან აღიდგინა საზოგადოებამ, თუმცა ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ცენზურის მსახვრალი ხელი იმდენად ყოვლისმომცველია, 90-იან წლებში უახლესი ლიტერატურის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისას (ეს პროფილი თქვენმა მონა-მორჩილმა საგანგებოდ აირჩია) მეოცე საუკუნის ლიტერატურული დაჯგუფებების ნუსხაში ვანლერ დაისელის სახელმა მხოლოდ გაკვრით გაიელვა. საკმაოდ მწირი ცნობა იმის შესახებ, რომ პოლიტიკურად აქტიურმა ახალგაზრდამ ძალა ლიტერატურულ ასპარეზზე მოსინჯა და 1925 წელს ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა სომნამბულიზმი დაარსა, არქივიდან გაცილებით გვიან გამომზეურდა და არა მხოლოდ პროფესიონალების, არამედ მწერლობით დაინტერესებულ ადამიანთა გულებში გზას ახლაღა

ვანლერ დაისელი

იკაფავს. ესეც ჭირვეული იღბლის მიერ მზაკვრულად გათამაშებული ავბედითი კარტი, სვეგამწარებული მწერლის უმძიმეს ხვედრს წყვდიადთან რომ ათანაბრებს. ის ფაქტი, რომ ბოლშევიკური რეჟიმი იდეურ მოწინააღმდეგეებს ფიზიკურად სპობდა და ყოველმხრივ ასამარებდა, არაახალია. დღეს ამ თემის წინ წამოწევა საკმაოდ მომგებიანია, რაც არქივში ჩაღრმავებულ კაბინეტის მკვლევარებს არც თუ სახუმარო ფინანსებსა და სასურველი პოპულარობის მოხვეჭას უქადის. და მაინც, უსამართლობის ჩრდილში კვლავ არაერთი, გავლენიან პატრონს მოკლებული კეთილსინდისიერი შემოქმედი გარინდულა და მადლიან, მიუკერძოებელ მეცნიერს სასოებით მოელის. სწორედ ამიტომ დროთა განმავლობაში აკრძალულ ხელოვანთა სახელები ზედაპირზე მტანჯველი ხანგრძლივობის ბურუსიდან თანდათან ჩნდება. ვანლერ დაისელი სწორედ მათ რიგშია. იღბლის განჩინებით ყოფილმა მარქსისტმა ბოლშევიკური სიკვდილის ცელი 37 წლის რეპრესიებამდე ხუთი წლით ადრე იგემა...

1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობამ ეროვნული ინტელიგენცია დაზაფრა და საპროტესტოდ დარაზმა. მეტნაკლებად ცნობილი მწერლების შემოქმედებაში 1924 წლის სისხლიანი მარცხის ექო უშუალოდ თუ შენიღბულად საკმაოდ მტკივნეულადაა ასახული. თუნდაც გრანელის უმძაფრესი ჩანაწერები და გალაკტიონის გულმდუღარე პოემა გავიხსენოთ, რისთვისაც გენიალური მგოსანი სამი დღით ციხეში გამოამწყვდიეს. ჩვენი სასიქადულო კლასიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი ამ მოუშუშებელ იარას თავის მაღალმხატვრულ რომანებში ცენზურის თვალის ასახვევად გარკვეულწილად ასხვაფერებს, თუმცა მარცხის სიმწარე ყოვლისმომცველია. ნამდვილი საქართველო ძალადობრივ ანექსიას და სამშობლოს შეწირულ მამულიშვილთა შეწყვეტილ სიცოცხლეს მტკივნეულად გლოვობს. 1924 წლის აჯანყების ჩახშობამ ვანლერ დაისელის უწყვეტი პროტესტი გააღრმავა. სრული სურათის შესაქმნელად მისი პარტიული აქტიურობის გათვალისწინება აუცილებელია. ივანე ბაბუაძე პირველად 1922 წელს ბათუმში 19 წლის ასაკში ჩეკამ ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის დააკავა. როგორც ირკვევა, დაისელი ხელწერილის საფუძველზე გაუთავისუფლებიათ, თუმცა მოსკოვის წითელი იმპერიალიზმის წარმომადგენლების მიერ ყოფილ მენშევიკს ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ესოდენ ბობოქარი პოლიტიკური მოვლენების კვალდაკვალ დაკავებების სერიის ფონზე ახალგაზრდა, ენერგიული დაისელი ბედის უკუღმართობას არ ნებდება და ლიტერატურულ სარბიელზე დამკვიდრებას ახერხებს. 1924 წელს წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გამართულ ლიტერატურულ-ვოკალურ ღონისძიებაში ახალბედა ავტორი ცნობილ მწერლებთან: მიხეილ ჯავახიშვილთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან და იოსებ გრიშაშვილთან ერთად მონაწილეობს. ამავე წელს ვანლერმა თავის თანამოაზრეებთან: კლიმენტი თევზაძესა და შალვა ონოფრიშვილთან ერთად ხელნაწერი ჟურნალი „განთიადი“ გამოსცა, რომლის ერთადერთი ეგზემპლარი ლიტერატურის ინსტიტუტში ინახება.

ვანლერ დაისელის ერთ-ერთი დაპატიმრების მიზეზი მისი პოემა „ბალადა ტფილისთან დაღუპულ ვეფხვზე“ გამხდარა. ამის თაობაზე ვიქტორ გაბესკირიას მოგონება არსებობს, რომელიც პოეტ ბონდო კეშელავას გაენდო, რომ დაისელმა გადასახლების მიზეზად სწორედ ეს გახმაურებული პოემა დაასახელა. პოეტი არ მალავდა, რომ ვეფხვის სახით 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სახალხო გვარდიის სარდალი, ვალიკო ჯუღელი დაიტირა, რაც ბოლშევიკებმა არ აპატიეს. პოემის კონტექსტი საკმაოდ გამჭირვალეა და ცხადია, კომუნისტებს იდეური მტრის აქტიურობა მხედველობიდან არ გამორჩენიათ, რაც ურჩი პოეტის გადასახლებით დასრულდა. პოემის მთავარი გმირი ვეფხვი (იგივე ვალიკო ჯუღელი, რომელიც ბოლშევიკებმა დახვრიტეს) რუსთაველის ტარიელივით უდრეკი მებრძოლია, არაფერს უშინდება, მაგრამ დრო იმდენად გადასხვაფერებულა, მას მენახირის ტყვია კლავს. მენახირე აქ შემთხვევითი ეპითეტი როდია, არამედ ბოლშევიკური მდაბიო და აგრესიული ძალის გამოხატულებაა, რომლისთვისაც ეროვნული სულისკვეთება ცალსახად მიუღებელია. პოემის ეპილოგი თანაგრძნობანარევი სევდითაა გაჟღენთილი:

„რა ვუყოთ მერმე, გვალვაში რგული,
თუ დღეს დარდებით ვართ ნათოვარი?
ძვირფასო ძმებო, აავსეთ გული,
მოკლულ ვეფხვების შესანდობარით.“

ფინალი პოეტის კაეშნის მიზეზს ააშკარავებს და ამხელს, რომ ის ბოლშევიკებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ ეროვნულ ქართველ ვაჟკაცებს პატივს მიაგებს. პოემა 1928 წლითაა დათარიღებული. საბედისწერო აჯანყებიდან ოთხი წელია გასული, მაგრამ დრო იარებს ვერ აშუშებს, არც მტრები თვლემენ და დაისელს „ცოდვას“

ოთხი წლის შემდეგ ავბედითად გაუხსენებენ. აღსანიშნავი ფაქტია, რომ წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა, ლევან ჟვანიამ ამ პოემის შესახებ გალაკტიონის დღიურში საგანგებო ჩანაწერი გამოარჩია, რაც გახმაურებული ნაწარმოებისადმი ინტერესს ადასტურებს. ცნობილია, რომ გენიალური გალაკტიონი საკმაოდ მკაცრი და ობიექტური შემფასებელი და მკითხველია და მის უტყუარ თვალს შემთხვევით არაფერი მიიზიდავდა. ვანლერ დაისელის პოემაზე გამოთქმული მოსაზრებები მას 14 პუნქტად ჩამოუყალიბებია, რომელთაგან თვალსაჩინოებისთვის მხოლოდ რამდენიმეს მოვიტან. (წიგნში ყველა პუნქტი ჩამოთვლილია) „ამ წიგნში დასაფასებელია: 1. პოეტის მისწრაფება წიგნის ლამაზად გამოცემისთვის, ყდის შერჩევა. (გალაკტიონი წიგნის ესთეტურ გამოცემას დიდ ყურადღებას აქცევს). პატიოსნება, რაც ასე სანთლით საძებარია თანამედროვე პოეტებში (ეს დაკვირვება ვანლერ დაისელის პიროვნულ დახასიათებად უნდა მივიჩნიოთ) საუკეთესო ლიტერატურული ტრადიციებისადმი პატივისცემა. საერთოდ ემჩნევა წინსვლა, რაც უნდა მიეწეროს ავტორის ენერგიულ მუშაობას და გამოცდილებათა თანდათანი დაგროვების შესაფერისად გამოყენებას. ლექსი მსუბუქია და მოქნილი. რითმები ზერელეა. შეიძლება პოეტი განგებ სჩადის ამას? (შეუძლებელია მას არ ჰქონდეს რითმების კულტურა)... ეს რემარკა განმსაზღვრელი ფაქტორია. გალაკტიონის, როგორც დიდოსტატის ხედვა პოეზიასთან მიმართებისას რითმის კულტურის გარეშე წარმოუდგენელია. დღევანდელი პოეტებისთვის რომ გადმოეხედა, თეთრი ლექსების წერის საბაბით უკულტურობის გადაფარვას უსუსურად რომ ცდილობენ, საინტერესოა, პოეზიის ღმერთი რა გუნებაზე დადგებოდა?! და ბოლოს ამ შეჯამების დასკვნა განსაკუთრებით საგულისხმოა. გალაკტიონი პირდაპირ წერს, რომ „ეს ყველაფერი თეთრი ძაფებით შეკერილი პოლიტიკაა... მაგრამ საბოლოო ანგარიშში – უსათუოდ – კონტრრევოლუციურია...“ კონტრრევოლუციურის ორი რამ პოლიტიკური გამბედაობის გაორმაგების ამსახველ ეფექტად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ყალბი ლოზუნგების მიუხედავად ბოლშევიკური რეპრესიების მანქანა პროტესტანტებს უკვე დაუნდობლად იღებს მიზანში, რაც ვანლერ დაისელს ნამდვილად არ ესწავლება, დაპატიმრებების სერიის სიხშირე იმდენჯერ უწვნევია. მას დაჭერა უცვლელ სასჯელად ექცა. საპატიმროში შედგენილი „მონანიება“ პოეტის პოლიტიკურ საბრძოლო პერიპეტიებს უკლებლივ გადმოსცემს. 1931 წელს შედგენილი შეწყალების ბარათების მიუხედავად მას პატიმრობა სამი წლით გაუზარდეს, 1932 წლიდან მისი კვალი დაკარგულია. „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!“ გალაკტიონის მწარე ამოძახილი ეპოქალური სისატიკის უნივერსალურ შინაარსის ფონზ გაცხადდა და უიღბლო მეამბოხეს ავბედითად წამოეწია. თავადაც სამშობლოსთვის დაღუპულ ვეფხვად იქცა და უკვალოდ ჩაიმარხა, ხოლო მისი შესანდობარი ლამის ერთი საუკუნით დაგვიანდა...

და მაინც პოეტის ხანმოკლე ცხოვრების ქრონოლოგიას თანმიმდევრულად მივყვეთ. 1925 წლის მაისში წითელი ლაშქრისა და ფლოტის სახლის ბაღში ვანლერ დაისელის პოეტური საღამო გაიმართა. შემოქმედის ყურადღების ცენტრში ქლოროფორმით გაჟღენთილი ნერვული, ქაოსურ ქარტეხილებში ჩაძირული ქალაქია, სადაც ცხედრების სიმრავლეს ავბედითი ტყვიების წვიმა ეპიტაფიად დაჰყვება. ახალი დროების აუტანელი სუსხი ყველაზე მტკივნეულად ხელოვანებმა შეიგრძნეს და მათგან ეროვნულად მოაზროვნენი ძალადობრივმა იმპერიამ უსინანულოდ შეიწირა.

ვანლერ დაისელი ცნობილ პოეტებთან და მწერლებთან მეგობრობით არ შემოფარგლულა. მრავალფეროვანი ლიტერატურული მიმდინარეობების კარგი მცოდნე და შემფასებელი 1925 წლის თებერვალში პოეტურ ორდენ „სომნამბულებს“ აფუძნებს; ორდენს 12 პუნქტიანი წესდება გააჩნია და თავის რიგებში თორმეტ შემოქმედს აერთიანებს. ვანლერ დაისელი (ივანე ბაბუაძე) – ხელმძღვანელი, წევრები: ვლდიმერ გვესელიანი, გაიოზ იმედაშვილი, შალვა კუჭავა, კლიმენტი თევზაძე, დავით ფერაძე, სანდრო ჟღენტი, ბარნაბ ხაჭაპურიძე, მიხეილ წერეთელი (საინტერესოა ამ წერეთელს მიხაკო წერეთელთან – ცნობილ მოღვაწესთან რაიმე თუ აკავშირებს?) და თამარ ცერცვაძე (ბოლო ორი წევრის ვინაობის ამოკითხვა სამწუხაროდ შეუძლებელია) ახალი მიმართულების ბირთვს შეადგენენ. სომნამბულების ლიტერატურული მანიფესტი საკმაოდ თამამი და საქმიანია. როგორც ახალი პოეტური ჯგუფის დამაარსებლებს მათ უყოყმანოდ სწამთ, რომ პოეზია ჩარჩოების გარეშე უკიდეგანოა, რომ ორდენი თავისი ჩენილობით პირველი ტეხავს მსოფლიო ხერხემალს ადამიანის ტვინარ ქმედებაში...

იმჟამად თბილისს პოეტური ორდენების სიმრავლით ვერავინ გააკვირვებდა. „პოეტების გოლგოთად“ (ვანლერ დაისელის დეფინიცია) აღიარებულ საქართველოს დედაქალაქს წითელ რეჟიმს გამოქცეული არაერთი რუსი, პოლონელი და ებრაელი შემოქმედი თავს აფარებდა, რომლებიც სტუმართმოყვარე თბილისში კულტურულ კერებს ქმნიდნენ და ლიტერატურულ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ცისფერყანწელების უფროსი მეგობრისა და მოძღვრის, ცნობილი მწერლისა და ინტელექტუალის გრიგოლ რობაქიძის ფიგურა უამრავ შემოქმედს იზიდავდა. ვანლერ დაისელი რობაქიძის ტალანტით აღტაცებულია. თავის მოთხრობაში „ლივილლა“ (ცალ-

კე წიგნადაცაა გამოცემული) პერსონაჟის პირით პოეტების დახასიათებისას იგი ამბობს, რომ გრიგოლი, პაოლო, ტიციანი და ვალერიანი პოეზიის გარიბალდები არიან; მეტიც, დაისელი რობაქიძეს სახოტბო ლექსს უძღვნის, მას წირვების კომანდორსა და ძველი სიონის ზარს პოეტურად ადარებს. ახალგაზრდა პოეტის ლექსებში რობაქიძის გავლენა აშკარად იგრძნობა. თავის მხრივ, ცნობილი მწერალი ახალგაზრდა პოეტებთან თანამშრომლობას არ თაკილობს. ამგვარი პოეტური სოლიდარობის დასტურია 1925 წლის 30 ივნისს თბილისში ახალგაზრდა ხელოვან „სომნამბულთა“ (სომნამბულ ლათინურად ძილში სიარეულს ნიშნავს, ჩვენში მთვარეულთან რომ ასოცირდება) ჟურნალის მხარდასაჭერად გამართული დიდი ესთეტიკური თავყრილობა, რომელზეც სიტყვით გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე კაპანელი გამოსულან. „სომნამბულების“ არსს რომ ჩავწვდეთ, ცხადია, მის მანიფესტ – პროგრამას უნდა ჩავუღრმავდეთ. ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ახალი პოეტური ორდენის დამაარსებლებს თავდაჯერება და გაბედულება ნამდვილად არ აკლიათ და არც კონკურენციის ეშინიათ. „ჩვენ მოვედით, როგორც გავარვარებული ლითონის ჩქერი, ჩვენ მოვდივართ გაბედულად და ვხდით ფარდას და თქვენ შეგიძლიათ გვიყუროთ დაწყება ახალი ჭიდაობის...“ ჩემთვის ამ საინტერესო მანიფესტის შინაარსის განხილვისას განსაკუთრებით მისაღებია შემდეგი პუნქტი: „ჩვენ გვინდა პოეზია ყველას, პოეზია ჰაერი, არ გვწამს პოეზია რომელიმე კასტის, კასტა არ არსებობს (სამწუხაროდ, პოეტური კასტების სიმრავლე დღეს არასასურველი, მოუშორებელი სენია!) ჩვენ გვინდა პოეზია, ეპოქის ნერვი, პოეზია ჟრუანტელი, პოეზია სიცოცხლე, პოეზია მთავარი არტერია საზოგადოების სულის, პოეზია სარკე დაღლილი სულის და სიმფონია, სომნამბულური ხილვა გამინებულ ყოფის...“ მცირე ამონარიდი მკაფიოდ ცხადყოფს სომნამბულიზმის მიმდევრები პოეზიას რა მოთხოვნებს უყენებენ, რისი განხორციელებაც გასაბჭოებულ ქვეყანაში სავსებით შეუძლებელია. სწორედ ამ ფაქტორის გამოისობით ჯგუფის უსაფრთხოების მიზნით ვანლერ დაისელი იქვე აზუსტებს, რომ მისი ორდენი აპოლიტიკურია. მართალია ეს აღსარება საჯაროდ გამოქვეყნდა, მაგრამ დაისელის პარტიული საქმიანობიდან გამომდინარე ჩეკას მისი პოეტური ანგარიშის არ სჯერა. მოგვიანებით პატიმრობაში მყოფი შემოქმედი თავის გადარჩენას შემდეგი ფრაზებით ამაოდ ცდილობს, როდესაც წერილობით ამტკიცებს, რომ როგორც პოეტს, პოლიტიკა არ სწამს, რომ საპყრობილეში დატანჯულმა ლამის გონება დაკარგოს, რომ მოკვდინებისთვის სასტიკ პროტესტს აცხადებს. რომ დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს, როგორც პოეტი და მოქალაქე და არა მათხოვარი. აქ დაისელის შეურიგებლობა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსი კვლავ საცნაურია. და ბოლოს, რაოდენ „მიუტევებელ“ გულუბრყვილოდ გაისმის გულმდუღარე ამოძახილი „თქვენ ხომ ხართ ადამიანი და გაქვთ გული? წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიკლავ თავს და საქართველომ თქვას, რომ მე „ჩეკაში“ მოვკვდი“. ავისმომასწავებელი წინათგრძნობა მალე მთელ საქართველოს მრისხანე რეპრესიების ტალღად გადაუვლის. ჩეკა უსულო რკინის მონსტრია და მისთვის ყოველგვარი ადამიანური განცდა დახშულია. ძალადობრივი სისტემის შესანარჩუნებლად იგი მოწინააღდეგეს უყოყმანოდ სრესს. ვანლერ დაისელი ამ ულმობელი ანგარიშსწორების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლია, რომლის ყოვლისშემძლეობაზე მას სრული წარმოდგენა არ გააჩნია, თუმცა მეოთხედ დაკავებული შემოქმედი ტრაგიკულ ხვედრს თანდათან მტკივნეულად აღიქვამს. საკითხავია „მონანიების“ ბარათების შედგენისას რამდენად აცნობიერებს, რომ სამუდამოდ განწირულია და თავისუფლებას ვეღარასდროს ეღირსება, მეტიც, მისი აღსასრული შემზარავად ბუნდოვანია და მძიმე საფიქრალს აღრმავებს. ჩეკა პირდაპირ არ გასცემს ცნობას ურჩ შემოქმედს სინამდვილეში რა ბედი ეწია, (გაურკვევლობით დატანჯული ადამიანების წამება მათი სადისტური სტილია), ამიტომ უცნობია, გულადი პატიმარი დაკითხვისას შემოაკვდათ, უყოყმანოდ დახვრიტეს თუ აუტანელი ტანჯვისგან თავდასაღწევად სიცოცხლე თავად მოისწრაფა. ჯერ მხოლოდ 1932 წელია, პოლიტიკური დევნით სულშეხუთული მისი სათაყვანო კერპი გრიგოლ რობაქიძე უცხოეთში გადაიხვეწა, ყველა ცნობილი ანტისაბჭოთა მწერალი პოლიტიკურად არასაიმედო თანამგზავრის საბედისწერო იარლიყითაა დანიმრილი და კარზე მომდგარ სიკვდილს გულისკანკალით ელის. წრე ვიწროვდება. უიღბლო დაისელის ერთადერთხელ „გაუმართლა,“ ის ეროვნული ქართული ინტელიგენციის გეგმაზომიერ გაჟლეტას ვერ მოესწრო, უსახელოდ და უსაფლაოდ გაიმქვრა ისევე, როგორც მისი ღვაწლმოსილი და სახელგანთქმული თანამოკალმეები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე... მათ ძვირფას საფლავებს ვეღარავინ მიაკვლევს. არადა, დღეს რამდენი ეგრეთ წოდებული კომპეტენტური პირი ქვეყანაში წესრიგის დამყარების საბაბით მსგავს რეპრესიებს მაღალფარდოვნად და ინტენსიურად ნატრობს, რაც უზნეობის ამოუპირავი უფსკრულის ზრდაზე მიანიშნებს...

ციხეში გამომწყვდეული პოეტი საკუთარ ხვედრის გააზრებისას ცდილობს სულიერად მონათესავე მწერლებთან შინაგანი კავშირი როგორმე შეინარჩუნოს. აქ სულის სალბუნი წერილების სახით ჩნდება. გრანელისადმი მი-

წერილი ბარათები უკვე ვახსენეთ. არანაკლებ მნიშვნელოვანი „დეტალია“, უვადოდ გამოკეტილ ჯურღმულში ჩაგდებული პოეტი ვის აგონდება? ამ თვალსაზრისით ჩემთვის ძალზე სასიამოვნო გამოდგა ჩვენი ერთ-ერთი კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას ეპისტოლე, რომელიც მან დატუსაღებულ დაისელს ციხეში გაუგზავნა. დახვრეტას სასწაულით გადარჩენილი მარადმებრძოლი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია (ამ უწყვეტ, მედგარ პროტესტანტს ცოცხლად გადარჩენას მედროვეები იქედნურად დღემდე რომ ამადლიან!) უსამართლობის წინააღმდეგ მორკინალ გაბედულ კოლეგას გასამხნევებლად ეხმაურება. როგორც ირკვევა, ვანლერ დაისელს კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი რომანის: „დიონისოს ღიმილის“ კინორომანად გადაკეთების სურვილი გამოუთქვამს, რაზეც ავტორი დათანხმდა. წერილიდან ჩანს, რომ ისინი ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ, რადგან კონსტანტინე მას როგორც უცნობ მეგობარს ისე მიმართავს. ბარათის ფსიქოლოგიური შინაარსი თვლასაჩინოა. „უცნობო მეგობარო!... ისე გადიან თვეები, წლები, რომ ჩემს გულში ისევე იშვიათად ჩამოანათებს სიხარული, როგორც თქვენს საკანში სხივი ოქროვანი. ცოდვაა ტუსაღისთვის – ისიც პოეტური ბუნების ადამიანისთვის, ასეთი ბარათის მოწერა, მაგრამ მე არ შემიძლია, გულწრფელობას ვუღალატო... ეს არის მთავარი, რომ შემოქმედმა დიდი ფლუიდები მწუხარების უნდა მიიღოს და შეისუნთქოს... ამიტომ არ მებრალებით, რომ ამ მწუხარების მიღება გჭირიათ, რომ ხელოვნების ქურუმად ემზადებით... მთავარია სცენარის დაწერა. დანარჩენი, მე რაც შემეძლება, ყველაფერს ვცდი... თქვენი კონსტანტინე გამსახურდია.“ მიმართვის ფორმა თქვენი ჩვეულებრივ დატვირთვას სცილდება და მეტ დანიშნულებას იძენს, მებრძოლმა მებრძოლი იცნო, ციხე და წამება არც „დიდოსტატის“ ავტორს დაკლებია, სწორედ ამიტომ საკუთარ მოვალეობად მიიჩნევს დატუსაღებული კოლეგა როგორმე ანუგეშოს, დადებითი იმპულსი შემატოს, ნამდვილი შემოქმედისთვის ნიშნეული სიმძიმის ხაზგასმით გამძლეობის თვალსაზრისით გაამხნევოს, რაც კაცთმოყვარეობის წილ არც ისე ადვილია, რადგან ცერბერი ყველაფერს აკონტროლებს და ერთი სული აქვს, ანტისაბჭოთა მწერლებს რაიმე შარი მოუდოს, ერთხელ და სამუდამოდ თავიდან რომ მოიშოროს. მართლაც ურთულესი ჟამი დამდგარა მრწამსისა და ღირსების შესანარჩუნებლად. გაუტეხელი სულია საჭირო, არაადამიანურ დროს შეუბღალავად გაუძლო, და შიშის უნაპირო მარწუხებს არა და არ დანებდე. საბედნიეროდ, წერილის ავტორმა და ადრესატმა ეს ჯოჯოხეთი წარბშეუხრელად გაიარეს. არ შემდრკალან, არ გაჩუმებულან, ფარ-ხმალი არასდროს დაუყრიათ, რაც ეროვნული ენერგიის წარმოუდგენელ სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს...

ზევით უკვე აღვნიშნე, რომ ენერგიული ახალთაობელი ამავდროულად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემოქმედებით თავყრილობებს ხშირად მართავდა, თუმცა მისი სამოქმედო სივრცე თბილისია. საქართველოს უძველესი და ულამაზესი დედაქალაქისთვის უამრავ ხელოვანს სახოტბო სტრიქონები მიუძღვნია. თბილისზე წერა ყველა შემოქმედის სავიზიტო ბარათია, ერთგვარი გამოწვევა, რაც ყველას აიძულებს მანამდე გაუშუქებელი და მოუხელთებელი შტრიხი აღმოაჩინოს და მხატვრული სინამდვილის მეშვეობით შესაბამისად გადმოსცეს. ამ თვალსაზრისით არც ვანლერ დაისელია გამონაკლისი. ის თბილისი, რომელსაც პოეტების გოლგოთას უწოდებდა, ანდამატივით იზიდავდა, თავის იდუმალ და ამოუცნობ ბლონდში ხვევდა, უდიდესი შინაგანი წვით აღაფრთოვანებდა და უბიძგებდა მისი განუმეორებლობა ორიგინალურად ეღიარებინა. აღსანიშნავია, რომ ვანლერ დაისელმა ეს შეძლო. მისი ესე თბილისზე საკმაოდ საინტერესოდ იკითხება და იმდროინდელი ეპოქალური ქარტეხილების განზოგადებისას საგულისხმო დაკვირვებებს გვთავაზობს. „ტფილისი მოდელია მსოფლიო მოზაიკის. ტფილისი ჩვენი პლანეტის ენციკლოპედიაა (ეს ფრაზა განსაკუთრებით მომწონს), ისტორიის ყდაში ეპოქების აყურადებული პერგამენტებით. ტფილისი პოეტების გოლგოთაა. ბესიკისა და საიათნოვას ბაიათებმა რომანტიულ ზღაპრებად და ლეგენდებად ხომ ჩამოთოვა დღევანდელობა? მაინც ვერც ერთმა პოეტმა ტფილისი ვერ მოგვცა, რომელსაც პოეზია ამოაშრობს. პოეტებს უყვართ ტფილისი და ტფილისს უყვარს პოეტები. ტერენტი გრანელის სომნამბულურ ხეტიალში მე ვგრძნობ ტფილისში დატეხილ ტრაგედიების მთელ სიმწვავეს. გრიგოლ რობაქიძეში კი იძახის მისი გრანიტული მომავალი (პოეტები ხომ ყოფის ბარომეტრებია?) ეს დახასიათება პოეტურ ხატოვანებასთან შერწყმულ სიყვარულს დაუნანებლად ასხივებს და ეპოქალურ სურათს ძალდაუტანებლად ქმნის. ვინძლო ციხის აშმორებულ ჯურღულებში გამომწყვდეულს დედაქალაქი რამდენგზის მონატრებია, თოვლიანი თბილისი „ტფილისი თოვლის ხრიალმა შეფიფქა, შრება ჰაერი ცივი და მუქი, ვანლერ, ტფილისის მცველი შეფი ხარ, ტფილისი სავსე თოვლით და ბუქით...“

ბობოქარი პოლიტიკური ბატალიების ფონზე დაისელის შემოქმედებაში სასიყვარულო ლირიკას არც თუ უმნიშვნელო ადგილი უკავია. ცისფერყანწელებთან სიახლოვე მის ლექსებს სიმბოლურ კვალს ამჩნევს. დაისელის სატრფო არამიწიერი, ამაღლებული არსებაა: ადელაიდა, ერთგვარად ბეატრიჩეს რომ ედარება, თუმცა ამავდროულად მისი ტრფობის ობიექტი ეშხიანი, ქართლელი ქა-

ლია, რომელსაც კალოობისას ხვდება და ეთეროვანი სტრიქონების კვალდაკვალ შმაგი ვნების ქარცეცხლში ხვევს. „ქალწულები მწვერვალიდან“ რომანტიზმის ხატებას – ამაღლებულ ცისფერ ქალწულს უხმობს, „სიზმრებით წაიღო უმანკო ძიებამ იებზე დაღვრილი ქალწულის სინაზე“... „ინტიმური საღამო“, „უტკბილესი მოგონებები,“ „სტრიოქნები გულიდან“, „ირინა,“ (საკმაოდ ეფექტური ლექსია) „შენი სანთლები“ (აქ ქალად გარდასახული პოეტის განცდების სიუხვე გვჭრის თვალს), „ელვირა,“ და ა. შ. მსოფლიო სევდით გაჟღენთილ მთელ რიგ ლექსებს გალაკტიონის შედევრებიდან ამოღებული სტრიქონები ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული. დაისელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე შიო არაგვისპირელმა, რომელსაც საგანგებო ლექსი მიუძღვნა. და რა თქმა უნდა დინამიკური ლექსები პოეზიაზე, პოეტი თავის გულს რადიოს ადარებს, რაც ახალ ეპოქასთან გარკვეული სიახლოვის მანიშნებელი განცდაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ჩემი გული არის რადიო“. „ჩემი ლექსები რადიოა გული ანტენა, ალერსი ყველას“ „ნატკენი გული პოეზიამ გამინათელა...“ ეს შემოქმედის უმთავრესი, მამოძრავებელი იმპულსია, რომლის გარეშეც გაძაღლებულ ყოფას ვერასდროს გაუმკლავდება თუკი მხსნელად პოეზია არ ეგულება, როგორც სიყვარულის უსაწყაულო წიაღი, ავდრის მიუხედავად დაშრეტა რომ არ უწერია. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ძალზე საინტერესოა საკმაოდ ვრცელი ლექსი „ნერონი“, რომლის ტირანიის ალეგორიული აღწერისას ცხადია, ახალი იმპერიის უმაღლესი მესვეურის სისატიკეა გადმოცემული, ვეფხვების (სამშობლოს დამცველი გაბედული მამულიშვილების) გასანადგურებლად ძალ-ღონეს რომ არ იშურებს და ძალაუფლების ტკბობის ჟინს გულად თანამემამულეთა დახოცვით იგრილებს. ლექსის არენაზე დიქტატორის მთავარი სამიზნე უშიშარი კოლხიდელია, „დღეს კოლხიდელი ეჭიდება თურანელ ვეფხვებს რომის ბრძანებით“, კოლხიდელი დამარცხებულ ვეფხვს ბრბოში გადაისვრის, მისი ტორი იმპერატორს გვირგვინს გლეჯს. გააფთრებული ნერონი ხელფეხშეკრულ კოლხიდელს ვეფხვების დასაგლეჯად იმეტებს. შემზარავი აღსასრულის მიუხედავად ლექსის ფინალი ამგვარად ჟღერს: „არ სძინავს საქართველოს...“ კონტექსტი საკმაოდ გამჭვირვალეა და პოეტის საბრძოლო განწყობას დაუფარავად ამზეურებს, რასაც ნამდვილად არავინ აპატიებდა... ამ ფონზე ცოტა უჩვეულოდ აღიქმება ლექსი „პირველ მაისზე,“ რომელიც ინტერნაციონალს ხოტბას აღუვლენს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხალხის წიაღიდან გამოსული შემოქმედი სოციალურ უთანასწორობასაც საკმაოდ მძაფრად განიცდის, მხოლოდ მას ხალხის გათავისუფლება უღლისგან ახალი, უფრო მძიმე წითელი მარწუხისგან დამოუკიდებლად ესახება. სწორედ ამიტომ სწამს, რომ ახალი ქვეყნის ბალავარი („ჩვენ, ფუნდამენტი ახალ ქვეყნის პირველ მაისით“) ძალმომრეობას დაძლევს და უსამართლობაზე დამყნობილ ჩაგვრას ხალხის ერთიანი ნებით მოსპობს და გააცამტვერებს. გალაკტიონის მართებული დაკვირვებით, დაისელი კლასიკურ ფესვზე მყარად დგას (საბედნიეროდ, მენშევიკურ პარტიაში გაწევრიანებამ მისი ეროვნული მრწამსი პარტიულად ვერ დააქუცმაცა და დაასახიჩრა!), რადგან არასდროს ივიწყებს, რომ „ჩვენ ხომ ძარღვებში სისხლი გვიდგია რუსთაველის და ბარათაშვილის...“ საინტერესო „დეტალია“, რომ ვანლერი მწერალთა კავშირში გაწევრიანებას ცდილობს, რაზეც უარს ეუბნებიან. მეორედ იგი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს შუამდგომლობას სთხოვს რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად დაეხმაროს, მაგრამ არც ეს ხერხდება, თუმცა დაბრკოლებების მიუხედავად 1927 წელს ვანლერ დაისელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. საყურადღებო ფაქტია, რომ 1928 წელს უნივერსიტეტის დაარსებიდან 10 წლისთავისადმი გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე დაისელმა საკუთარი ლექსი „8000“ (საზეიმო თავყრილობას 8000 სტუდენტი ესწრებოდა) წაიკითხა, რომელშიც ქართველ მეცნიერებსა და მშობლიურ უნივერსიტეტს თბილად ესალმება. და მაინც, სომნამბილიზმის დამაარსებელ შემოქმედს პოეტის დანიშნულება როგორ წარმოუდგენია? ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობსთვის დაუზარელი ბრძოლა, პოეტური ქარიშხლებთან ჭიდილში გამოწრთობილი პოეტური ენერგია, ახალი საუკუნის ძარღვს თავისებურად რომ აღიქვამს და ასხვაფერებს. მანქანების განვითარების საუკუნე მას აფიქრებინებს, რომ შესაძლოა უკანასკნელ მოჰიკანთა რიცხვს განეკუთვნება, თუმცა ეს გარემოება მის საბრძოლო სულისკვეთებას ოდნავაც ვერ ანელებს „დღეს საჭიროა პოეტს ჰქონდეს გული ხანჯალი... პოეტო ძმებო! მანქანების ამ ქვეყანაზე იქნებ ჩვენა ვართ პოეტები უკანასკნელი...“ მადლობა ღმერთს, პოეტად დაბადებას წინ ვერაფერი აღუდგება, რადგან ნამდვილი შემოქმედი ნებისმიერი ეპოქის წინასწარმეტყველია და მას არასდროს ემორჩილება. სამყაროს გარეგანი განვითარების კვალი პოეტის სულიერ სიმტკიცეს ვერასდროს შეარყევს, ვინაიდან მესიტყვე უფლისგანაა ხელდასხმული...

ვანლერ დაისელს, როგორც გრძნობის ქარიშხლებით (მისივე დეფინიცია) აღსავსე პოეტს კაეშნის ჟამს ყველაზე ძვირფასი და ერთგული ადამიანი – მშობელი დედა აგონდება, უიღბლო შემოქმედი მწარე აღსარებას სწორედ მას აბა-

რებს და შესთხოვს, გაუხარელი პოეტი ბავშვი და პესიმისტი დედური სიყვარულითა და მზრუნველობით დაიტიროს. მისი პირადი ცხოვრება ისევე მოუწყობელია, როგორც სახიფათო პოლიტიკური ბატალიების სიხშირე, სულიერ წონასწორობას რომ ურღვევს და დევნილად აქცევს. წითელ იმპერიასთან დაჭიდებულ შემოქმედს სიმშვიდე არც ოჯახურ გარემოში ეღირსა. ერთ-ერთი დაკავებისას მისმა სომეხმა მეუღლემ სირანუშ ტერიანმა პოეტის არქივი ცეცხლს მისცა. ბედის ირონია თვალს გვჭრის. ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილ მგოსანს ცხოვრების თანამგზავრად უცხოტომელი აურჩევია, რომელიც განსაცდელის დროს მის შემოქმედებით მემკვიდრეობას უყოყმანოდ ანადგურებს. ჭირვეული ფორტუნა დაისელის მარად თანმდევი მსაჯული და ჯალათია. ამ თვალსაზრისით იგი თავის სათაყვანო კერპს გრიგოლ რობაქიძეს წააგავს, რომელიც ქართველი ქალის სილამაზეს აღტაცებით უმღერდა და ითხოვდა, მისი გარდაცვალების ჟამს მცხეთაში სწორედ ქართველ მანდილოსნებს დაეტირათ, ცოლებად კი მუდამ უცხოელებს ირჩევდა, რომლებიც მის ტრადიციებს უპატივცემულოდ ეკიდებოდნენ. ამგვარი ტრაგედია დაისელსაც წილად ხვდა, როდესაც ბედი იმ ადამიანს დაუკავშირა, რომელიც მისი ეროვნული ცნობიერების მიღმა იდგა, არადა, ლექსებში ასახულ ღირსეულ ქართველ ქალებს დაისელი რობაქიძის მსგავსად მგზნებარედ შესტრფოდა. ცეცხლი, როგორც ბორტი გენია მას განუშორებლად თან სდევდა. ვანლერ დაისელის მეგობრის, ცნობილი ლიტერატურათმცოდნის, სოლომონ ხუციშვილის ცნობით, (საკმაოდ ხანდაზმული მეცნიერი უნივერსიტეტში ახალ ქართულ ლიტერატურას მიკითხავდა. მახსოვს საკურსო ნაშრომად ბარათაშვილის ფილოსოფიური კრედო რომ ავირჩიე, საგანგებოდ დამიბარა და ამისთვის მხურვალე მადლობა გადამიხადა) პოეტის არქივი ზესტაფონში მშობლიური სახლის გადაწვის დროს განადგურდა. მახსოვს, გული სიმწრით ამევსო, როდესაც წავიკითხე, რომ ბაირონის ბოლოდროინდელი შემოქმედების ნიმუშები დღიურებთან ერთად მისმა მეგობარმა საგანგებოდ დაწვა. ქართველი პოეტის შემთხვევაში ცეცხლი საბედისწეროდ ორჯერ აალდება და გაუხარელი მგოსნის ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს დაუნანებლად დაფერფლავს. ბედისწერას მართლაც ვერავინ გაექცევა. და მაინც, თითქმის ასი წლის შემდეგ ვანლერ დაისელი ქართულ მწერლობას ღვაწლმოსილი მწერლისა და მთარგმნელის, ლერი ალიმონაკის მეშვეობით უბრუნდება, რომელიც 2014 წელს თავის უმცროს მეგობარს, ლევან ჟვანიას საფუძვლიანად აკვალიანებს და არქივის თანამშრომლებთან აკავშირებს ვანლერ დაისელის გამოუქვეყნებელი ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსამზეურებლად. კიდევ ერთი მივიწყებული ღირსეული ქართველი პოეტი დაუბრუნდა ლიტერატურულ მიმოქცევას, რისთვისაც მისი ჭირისუფლები დიდ მადლობას ნამდვილად იმსახურებენ. ფრიად მისასალმებელია, რომ 2018 წელს წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა ლევან ჟვანიამ (ლიტერატურაზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა კაცი ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილეა) საგულისხმო წინასიტყვაობის დართვითა და სათანადო მასალის გადამუშავების შედეგად ვანლერ დაისელის ლექსებისა და მოთხრობების სრული კრებული „მზის სისხლი“ გამოსცა, რაც უსამართლიანობის ჩასწორების საპირწონედ ნამდვილი მკითხველისთვის საკმაოდ სასიამოვნო სიახლეა. აქვე აღსანიშნავია, წიგნს ბოლოს ცნობილი ლიტერატორების: ნინო ხოფერიასა და ადა ნემსაძის კომპეტენტური წერილები თან ერთვის, რაც საერთო პოლიტიკურ-ლიტერატურულ-სოციალური ფონის გასააზრებლად აუცილებელი გზამკვლევია. ცალკე მადლობა ჩემს დიდი ხნის ნაცნობს – სოსო ასიტაშვილს, რომ არ დაიზარა და ჩემი უცვლელი მიდრეკილება უსამართლოდ დაჩაგრულ ხელოვანთა გამოქომაგებას რომ ეყრდნობა, გაითვალისწინა და ვანლერ დაისელის წიგნი უანაგროდ მისახსოვრა, რაც წინამორბედისადმი დროის მიღმა არსებული წრფელი სოლიდარობისა და პატივისცემის მკაფიო მაგალითია, ვინაიდან პოეზია არასდროს იკარგება, ის მუდამ ბრუნდება, როგორც სულის მარადიული დღესასწაული.

„თითქოს ქვეყნები პოეზიის გულში მიწყვია
ბავშვის უბეში სააღდგომო წითელ
კვერცხივით...
და ეს ლექსები სიცოცხლეა, რაც რომ დავკარგე.
გულში ნექტარად მე ყოველთვის ჩამეწვეთება.
მზე პოეზიის სურნელება როგორც ვანილით
მიწავ! როგორც შენ, ჩემი გრძნობა არ
დაძველდება.
მზე სიყვარული ყველა დროებს და
ყველა მოდგმებს,
საქართველოდან მე ვიძახი უიტმანივით:
ჩემი სალამი სამყაროებს
Salut a monde...“

ვიმედოვნებ, თანდათან ვანლერ დაისელის საინტერესო შემოქმედებას წიგნიერი საზოგადოება სათანადოდ გაეცნობა, რაც ჩვენი ტრაგიკული ქარტეხილების წიაღს კი არ დააობლებს ან თუნდაც ერთ დრამატულ ფურცელს გამოაკლებს, არამედ მტკივნეულ და ძალით ამოგლეჯილი სიმართლით პირთამდე შეავსებს, რის გარეშეც ნამდვილი მწერლობის განვითარება სრულიად წარმოუდგენელია.

6. 11. 2023

ზაალ ბოტკოველი

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ღრმა დაფიქრებაა ქვეყნის წარსულზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე, რომელზეც იგი ასეთი სევდანარევი სიყვარულით წერდა. ოთარ ჭილაძე მთელი არსებით გრძნობდა, მარიამის წილხვდომილი მისი სათაყვანებელი სამშობლო საოცრად რომ ჰგავდა ღვთიშობლის ერთადერთ ძეს – იესოს, მასავით მარადიულად ჯვარზე გაკრულს. ოთარ ჭილაძე ჭეშმარიტი ჭირისუფლის დარად სალბუნად ედებოდა მის სისხლმდინარე

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ღრმა დაფიქრებაა ქვეყნის წარსულზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე, რომელზეც იგი ასეთი სევდანარევი სიყვარულით წერდა. ოთარ ჭილაძე მთელი არსებით გრძნობდა, მარიამის წილხვდომილი მისი სათაყვანებელი სამშობლო საოცრად რომ ჰგავდა ღვთიშობლის ერთადერთ ძეს – იესოს, მასავით მარადიულად ჯვარზე გაკრულს. ოთარ ჭილაძე ჭეშმარიტი ჭირისუფლის დარად სალბუნად ედებოდა მის სისხლმდინარეიარებს და თავის სწორუპოვარ შემოქმედებაში სწორედ იმ გზებსა და საშუალებებს ეძებდა, რომლებიც ისტორიის ანალებში ჩაკარგვისაგან გადაარჩენდა მის საესავ მამულს.

ზ. ბოტკოველი

დიდი



დიდი იყო თავისი მიწიერი არსებობით, დიდი იყო მისი ცხოვრების ნირითა და ზნეობით, დიდი იყო იმ თვალისმომჭრელი, შემაძრწუნებელი ბედნიერებით, უფალმა რომ არგუნა წილად: ჰგვანებოდა იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია – ივერთა მიწა.

მისმა ელვარე, მრავალწახნაგოვანმა და მრავალმხრივმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში დაიდო ბინა და ქართული ნიჭისა და გენის ერთ უმშვენიერეს გამობრწყინებად აღიქმება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ ქვეყანაში.

ოთარ ჭილაძეზე მოგახსენებთ, ბატონებო, იმ პიროვნებაზე, რომელშიც ერთნაირი ძალმოსილებით განსხეულდა მწერალიცა და ფილოსოფოსიც, მეციხოვნეცა და წინასწარმეტყველიც.

მისი პოეზია, პროზა, დრამატურგია კიდევ ერთი მშვენიერი დასტურია იმისა, რომ დიდი, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურის შესაქმნელად სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც, ვეება, რიცხვმრავალი ერის წარმომადგენელი იყო.

ოთარ ჭილაძის შემოქმედება ღრმა დაფიქრებაა ქვეყნის წარსულზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე, რომელზეც იგი ასეთი სევდანარევი სიყვარულით წერდა. ოთარ ჭილაძე მთელი არსებით გრძნობდა, მარიამის წილხვდომილი მისი სათაყვანებელი სამშობლო საოცრად რომ ჰგავდა ღვთიშობლის ერთადერთ ძეს – იესოს, მასავით მარადიულად ჯვარზე გაკრულს. ოთარ ჭილაძე ჭეშმარიტი ჭირისუფლის დარად სალბუნად ედებოდა მის სისხლმდინარეიარებს და თავის სწორუპოვარ შემოქმედებაში სწორედ იმ გზებსა და საშუალებებს ეძებდა, რომლებიც ისტორიის ანალებში ჩაკარგვისაგან გადაარჩენდა მის საესავ მამულს.

ჭეშმარიტი არისტოკრატი გახლდათ, სულიერ კეთილშობილებას ასხივებდა მისი დაღლილი, შევერცხლილი სახე.

დიდ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე ღირსეულად მიებარა წმინდა სავანეს – მთაწმინდის პანთეონს, ჩვენ კი სახსოვრად თავისი უმშვენიერესი შემოქმედებითი მემკვიდრეობა

დაგვიტოვა, როგორც განძი და, უპირველეს ყოვლისა, როგორც გაფრთხილება, რომ არავის არ დავანებოთ საჯიჯგნად საქართველო – ამაყი, ქედუხრელი, ერთან და ბერთან მართალი ქართველების საუფლო.

ძნელია, ძნელი და მეტისმეტად საპასუხისმგებლო ოთარ ჭილაძეზე წერა და, ამავე დროს, დიდი შვების მომგვრელიც, რადგან მის ნააზრევთან, მის თითოეულ სტრიქონთან მიახლება მკითხველს სულიერ შვებასთან ერთად აკეთილშობილებს და, თუნდაც მცირე ხნით, იმაზე უკეთესს ხდის, ვიდრე სინამდვილეშია.

ხომ დიდებული შემოქმედი იყო, ღვთივკურთხეული პოეტი და მაინც უკმარისობის გრძნობა არ მტოვებს იმის გამო, რომ პალიტრა არ ეპყრა ხელთ და ფუნჯით არ ქმნიდა შედევრებს, რომელთა განსხეულება და ტილოზე გადატანა ნამდვილად შეეძლო. ფუჭი საუბარი რომ არ გამომივიდეს, ნიმუშად ერთ პატარა ლექსს მოვიშველიებ.

ნაღვერდლების ჭიატით –
ნაპურალი იწვის,
და დგას მძაფრი სურნელი
კვამლისა და მიწის.
და კრუხივით მზრუნველი,
პირქუში და ზვიადი –
ზურგზე ისვამს წყვდიადი
მთვარეს, როგორც წიწილს.

ამ ლექსს „ღამე ალაზნის ველზე“ ჰქვია. სულ ორიოდე სტროფში ატევს ოთარ ჭილაძე ამ ველის სიდიადესა და ანდამატს. ამ თემისთვის არაერთ მწერალს შეუბედავს, მაგრამ ასე ლაკონურად და ყოვლისმომცველად არავის დაუნახავს მისი მშვენება. და ეს ერთეული შემთხვევა არ არის პოეტის საგანძურში. როგორ ხატავდა სტიქსისა თუ ლეთას ნაპირებს, ხატავდა ქარონსა და მის ძირგამომპალ ნავს, ხავსისა და ობის მყრალი ძონძებით მოფენილს, ხატავდა მსუყე ფერებით, დამაჯერებლად და მე, რიგით მკითხველს, მაჯერებდა იმაში, რომ თავად იყო იმ მისტერიის მოწმე. მხატვარი იყო-მეთქი, ვამბობ და როგორ არ ვირწმუნო ამისა, როცა ესპანეთზე, გრანადისკენ მიმავალ ბოშათა თაბორზე წერდა და ბოშათა ქალების მხურვალება და ვნება სამუმივით გვეხეთქებოდა და თავგზას გვიკარგავდა. რა საოცრად აღწერა ძველი რომი, მისი კაპიტოლიუმის სანახები ისე, რომ თვალწინ მყისვე კეისარი წარმოგვიდგა, სენატისაკენ ჩქარი ნაბიჯებით მიმავალი კეისარი. არადა, კარს მარტის იდები მომდგარა და გინდა შეჰყვირო: შეჩერდი, კეისარო, შენ ხომ სიკვდილისკენ მიიჩქარი.

და თვალწინ მიდგას ევფრატის წყალი,
ქალურად უხვი და იდუმალი.

ამ დროს კი ურუქს გვიხატავდა, გილგამეშის ულამაზეს ქალაქს და ჩვენც, ტრანსში ჩავარდნილებს, გვეჩვენება, რომ პოეტი სწორედ იქ იდგა, გილგამეშის პირისპირ და ისე ისრუტავდა ჩვენი დიდი წინაპრების სულსა და ვნებას.

როგორ პეიზაჟებს ქმნიდა. ვერ ვითმენ. კიდევ ერთი უმშვენიერესი ლექსი არ შეგახსენოთ:

ფოთოლი – წვიმის წვეთებით სავსე –
გამომიწოდა ხემ, როგორც პეშვი.
ცისარტყელები გადმოდგნენ მთაზე,
ისევ აყეფდა მდინარე ხევში
და ტყეშიც ისევ გახშირდა სოკო,
მაღლა წავიდა რძისფერი ნისლი,
ხბოს მოდენიდა პატარა გოგო –
მე ახლაც მახსოვს სიმღერა მისი.

საოცარი თვალი ჰქონდა და ბევრი რამის დანახვა შეეძლო და უფრო ბევრისა კი – წარმოდგენა. დიახ, იმის დანახვა შეეძლო, თუ როგორ ბრწყინავდა ორფეოსის ქნარზე უფლის ცრემლი, როგორ მძიმდებოდა გაზაფხულობით ღატაკი ალუბლის ტოტი ლომის ტორივით, სისხლის შხეფივით როგორ გაიელვებდა ბროწეულის ზანტი ტოტი, როგორ ტკაცუნობდა სიცხე გარინდებულ ბალახში, დენთით გატენილი კასრებივით როგორ მიაგორებდნენ ჩრდილები ფიქრებს, როგორ მიჰქონდა მდედრს – სიცოცხლის საწყისს მკერდით მინდვრის სურნელი, როგორ მიჰყავდა თოვლს ყინვის აღვირით ჩვენი ქუჩები, როგორც ცხენები; როგორ ეჯდა მთვარეს კალთაში უხმო ყივილით დაოსებული მამალი, როგორ ცახცახებენ წვიმების ტევრს გამორიდებული ფრინველის ფრთები, შეეძლო ზედაზნის ნისლით დამთვრალიყო, ნაზი და სიფრიფანა ნისლით; აღტაცებულიყო მეზობლის ლამაზი ქალის მშვენიერებით, იმ ქალისა, ცეცხლივით რომ წაეკიდებოდა ხოლმე კიბის რიკულებს; შეეძლო მთას შერჩენოდა ღრუბელივით და ბატკნებივით დაეფრთხო თავად ღრუბლები. კიდევ რა შეეძლო და ის, რომ, ალქიმიკოსის დარად, გაშიშვლებული ჭადრის ფოთლები ოქროს ზოდებად ექცია და უშურველად დაერიგებინა ჩვენთვის.

პოეტი იყო, ჭეშმარიტი და უტყუარი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება სიტყვის, ქართული სიტყვის რაინდად და მეციხოვნედ

ზაალ ბოტკოველი

გვევლინებოდა.

და შეხიზნული ფიქრსა და წყვდიადს,

ფიქრის, წყვდიადის გულივით ფეთქავს

სიტყვა –

რომელსაც უფალი ჰქვია,

რომელიც დღემდე ვერავინ ვერ თქვა.

სიტყვა – უფალს დაეძებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თავის გადამრჩენელ სიტყვას, მშობლიური ენის წიაღს მიარღვევდა და იმ წიაღიდან, ფუტკრის დარად, ამოჰქონდა თავისი წილი თაფლიცა და სამსალაც... იცოდა, რომ

ძვირფასო! სიტყვას აქვს თავის ფასი,

ზომა და წონა, სუნი და ფერი,

და ისიც ყველა ჩვენგანის მსგავსად

იცინის, ტირის, ოცნებობს, მღერის.

ისიც იცოდა, რომ უძნელესი, ურთულესი საქმეა იმ სიტყვის მოძებნა, რომელიც ყველაფერს ახსნის, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. და მაინც ერკინებოდა სიტყვას, მყეფარივით რომ შეჰყმუოდა ვარსკვლავივით შორეულ მიზანს, ამიტომაც მაშველი რგოლივით დაჰყურებდა სუფთა ფურცელს, სადა, დაუპყრობელ და დაუცველ ფურცელს და იმ ფურცლის გლუვ ზედაპირზე ისე ამოჰყავდა სიტყვა, როგორც წყლიდან აღმოიმართება ხოლმე ხმელეთი. სიტყვა თუ სიტყვები მისთვის საარსებო კუნძულს წარმოადგენდა და ძნელ მღვიმეებში აბინავებდა სტალაქტიტივით. მერმე ამ სტალაქტიდებს კელაპტრებივით ჩამოქნიდა ხოლმე და გვჩუქნიდა, გვანებივრებდა მისი ულამაზესი სულის ლაჟვარდებით, მისი სიტყვების ამ უმშვენიერეს კუნძულს ზღვაში გაჰქონდა რძისფერი ხნული, რომელშიც მზისფერი ხორბლის მარცვლებივით ცვიოდა მისი ამაყი სული და რწმენა. დიახ, მისი სული მზის ანარეკლებით იყო სავსე და ამიტომაც, ზღაპრული კოშკივით გაჩახჩახებული. სწორედ ასეთი დადიოდა და ჩვენ სწორედ ამ კოშკის სიდიადეს გვაზიარებდა.

თუ ჭეშმარიტი პოეტი ხარ, ეს თავისთავად იმასაც გულისხმობს, რომ უნდა წუხდე, წუთისოფლის ამაოებაზე, ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე, იმ პირველქმნილ ცოდვაზე, საბედისწერო დამღასავით რომ ამოშანთულა ჩვენს ბეჭებზე. ბატონმა ოთარმა იცოდა, რომ ყველა ჩვენგანის ტანჯვა ვალის მოხდაა ადამის ცოდვის გამო. ჩვენ, მის შთამომავალთ უმძიმეს ლოდად გვაწევს გულზე მისი შეცოდება და ასე გაგრძელდება უკუნითი უკუნისამდე. და მაინც, პოეტისთვის ადამიანი ღმერთის კალთიდან გადმოვარდნილ მარცვალს წარმოადგენდა, რომელსაც გამხნევება და სულის ბერვა სჭირდება, რომ ერთად შეკრულ ცრემლსა და ღიმილს ადამიანის სიცოცხლე ჰქვია, რომელიც რწმენითა და სიამაყით უნდა განვლო. წლებმა ბევრი რამ ასწავლა, თუნდაც ის, რომ ხან ოცდაათი ვერცხლი ღირს კაცი, ხანაც ოცდაათი ერთ ვერცხლად ფასობს. საშინელებად მიაჩნდა ის, რომ სხვას არასოდეს შეაწუხებს შენი წუხილი. დასისხლიანებული თითებით ებღაუჭებოდა გულგრილობის ეკლიან ტოტებს და მაინც ევედრებოდა უფალს დაეფარა უსამშობლო, ფესვებს მოწყვეტილი კაცი.

ოთარ ჭილაძისთვის ცხადზე ცხადი იყო, რომ, გინდა თუ არა, მაინც მოვა გულქვა ზამთარი და აღმოჩნდება:

და თავს ვიტყუებ, რომ ძველებურად

გრძელდება გრძნობაც, სურვილიც, ფიქრიც...

და არარსებულ ეტლში შებმული

არარსებული ქვეყნისკენ მივქრი.

პოეტმა მისი სულის კიდევ ერთი შემზარავი საიდუმლო გაგვანდო, თუ შეუცნობელს ვეტრფოდი ადრე, ახლა შეცნობილისგან გავრბივარ თავზარდაცემულიო და ჩვენც ვხვდებით, ამ შეცნობილში რამდენ ბოროტებას, მტრობას, ღალატს, არაკაცობას, ბოღმასა და ღვარძლს დაუბუდებია.

და მაინც იმედი არ ტოვებდა, იმედი – სულის მთავარი მტერი, არ წარიკვეთო არასდროს სასო, არ ჩაიქნიო არასდროს ხელიო, გვამუნათებდა პოეტი, რადგანაც პატარა ერის შვილმა კარგად იცოდა, რომ ხელის ჩაქნევას მისი ქვეყნისა და ერის იავარქმნა შეიძლება მოჰყოლოდა.

არადა იმ ქვეყნის იავარქმნა და აღგვა პირისაგან მიწისა, საუკუნეების უღრანებიდან სასწაულებრივად რომ გამოაღწია, მეტისმეტად უღვთო და უმადური საქმეა. ამიტომაც უყვარდა ამ მიწის თითოეული ბელტი, ამიტომაც აიგივებდა საკუთარ თავს სამშობლოსთან.

მე კი კბილებით მიჭირავს გრემი,

გარეჯის ბუღი და უფლისციხე

და რომ ვიგულო ჩემში და ჩემად,
ყოველდღე ალყას ვარტყამ და ვიღებ.

მაინც რა წინათგრძნობა აწუხებდა თუ აღელვებდა, როცა ამ სტრიქონებს წერდა, რა ხილვა ჰქონდა ასეთი, როცა გარეჯის ბუღზე ამახვილებდა ყურადღებას. ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ყოველდღე უნდა მოვუაროთ ჩვენს სიწმინდეებს და დავიცვათ ისინი, რათა პირწავარდნილმა ნაძირლებმა ხონჩით არ მიართვან მავანთ და მავანთ ის სავანეები, სადაც ჩვენი სულიერების საუნჯეებმა დაივანა.

პატივისცემის ღირსია ყველა,
ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს,
ვისაც სამშობლო უყვარს და ცდილობს
აღარ დაიდგას ქედზე უღელი, არ
დაამციროს ადამიანთა ყველაზე დიდი
მონაპოვარი, ყველა ნაყოფზე ტკბილი
ნაყოფი – თავისუფლება!

ოთარ ჭილაძეს სრულად ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს, სულიერ საჭურისებს, ისეთ უგვან არსებებს, ყინჩად რომ აცხადებენ, ქართულ ენას მხოლოდ ისინი იცავენ, ინგლისური რომ არ იციანო... ასეთები ხომ საკუთარ დედასაც გაჰყიდიან, რათა ეშმასთან და სატანასთან წილნაყარი პატრონები ასიამოვნონ და იმაზე მეტი სალაფავი მიიღონ, ვიდრე ეკუთვნით... მათ ხომ სიყვარულიც არ შეუძლიათ, ნაღდი და ყოვლისწამლეკავი სიყვარული, აი, ისეთი, როგორიც ბატონ ოთარს შეეძლო და რა ბედნიერი იყო ის ბანოვანი, ვისთვისაც პოეტს შეეძლო ეთქვა:

შენი თვალების ზღვაში ჩავძირე
იმედისა და ოცნების გემი.
ანდა
ისე მაკლიხარ, ისე მომწყურდი
ლამის არაგვი შევსვა პეშვებით.

როდესაც ოთარ ჭილაძე წერდა, რომ ისე მამღვრევს ეს სექტემბერი, როგორც საყვარელი ქალის სხეულიო, მის გულწრფელობაში ეჭვს ვერანაირად შევიტანდით. რაინდად დაბადებულს სიყვარულიც რაინდული შეეძლო და, ალბათ, მხოლოდ მას ჰქონდა უფლება, ასეთი ხოტბა შეესხა ნანდაურისთვის:

მაგრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი
და გადმოჰფინოს თეთრი აფრები
და შენი ნაზი სხეულის თრთოლვით
ათრთოლდეს თოვლიც და ყველაფერი.

სიყვარულისთვის და ერთგულებისთვის დაბადებულს ყველა და ყველაფერი უყვარდა ამქვეყნად, მწვერვალები და მდელოები, მდინარეები და უსიერი ტყეები, ის კი არა, პატარა ფოთლები უყვარდა და შემოდგომის მიწურულს ხიდან უხმაუროდ მოწყვეტილი უკანასკნელი ფოთლის ტრაგედიას ითავისებდა. თითქოს დიდი არაფერი ხდებოდა და მაინც... ტოტებს შორის გამოჩნდებოდა სივრცე, აქამდე თითქოს არარსებული და ესეც ამძაფრებდა სევდასა და ნაღველს საბრალო ფოთლის გამო...

ხომ დიდი პოეტი იყო, ხომ იცოდა საკუთარი თავის ფასი (ჩემთვის არანაირი სხვა ვერსია არ არსებობს), მაინც არ ასვენებდა ეჭვი, ხომ არ გაუწყდა ბეწვის ხიდი, ხომ გაიარა ბოლომდე და მიაღწია იმ ნაპირს, სადაც ის კოჰორტა ელოდა, ვის ღირსეულ შთამომავლადაც მივიჩნევთ ქართული სიტყვის ამ დიდოსტატს.

მსგავსი ეჭვის არანაირი საფუძველი არ არსებობს. და იცით, რატომ? ამაზე ხომ თვითონ მიგვანიშნა, როდესაც აღსარებასავით მოგვახსენა:

მე ჯერ ვცხოვრობდი და მერე ვწერდი,
როგორც ვცხოვრობდი – კარგად თუ ცუდად...

კარგად ცხოვრობდა, ლამაზად ცხოვრობდა, ნამდვილი მწერლის ცხოვრებით და ამაში პოულობდა თავისი არსებობის გამართლებას, ჰამლეტიც იყო და დონ კიხოტიც, თავზე ჯადოსნური ქუდი ეხურა, ერთგული დევებით სავსე და ისე დადიოდა ჟრუანტელისმომგვრელ მამულში, სულ მზისკენ ჰქონდა კარი გაჭრილი, ფიქრებს, როგორც გასაწვრთნელ მხეცებს ყველა ტკივილის ატანას აჩვევდა. დინჯად და დაუნჯებით ძერწავდა საკუთარ სახეს იმ დღისთვის, როცა აღარ იქნებოდა და ოცნებობდა ქვეყნის ნაწილად გარდაცვლილიყო და არა წუთისოფლის სტუმრად, გამუდმებით ეძებდა თოვლში სისხლისფერ ვარდებს, იქნებ იმ ერთადერთ მიხაკსაც, მატარებლიდან გადაგდებული პოეტის მკერდზე დღემდე რომ კიაფობს, ვინ იცის...

ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია. ოთარ ჭილაძეს ბედმა არგუნა ყოფილიყო მისი მოდგმისა და ჯიშის უებრო მეციხოვნე, ქართული ენის სწორუპოვარი რაინდი და ეს საპატიო მისია ჩინებულად შეასრულა XX საუკუნის დიდი სამოციანელების ამ ერთ-ერთმა უდავო ლიდერმა და წინამძღოლმა.

ოთარ ჭილაძე ჩვენს ცნობიერებაში არსებობს არამარტო როგორც დიდი შემოქმედი, არამედ შეუბღალავი, ბაჯაღლო პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება.

ეს კი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ნინო
დარბაისელი
სტრონი

რატომ არ დაუბეჭდა პავლე ინგოროყვამ ეს სონეტი ე. ბაქრაძეს?!

– რაკი სონეტი – მყარი ფორმაა, პასუხად მეც ფორმასთან დაკავშირებული ასეთ მაგალითს დაგიტოვებთ:

რომ დაინახოთ მეფე, ვინმე ნარჩინებული, ქუდიდან წელამდე შეხედოთ მის ბრწყინვალე გარეგნობას, თვალი ჩააყოლოთ და რას ხედავთ, შიშველ ფეხებზე შორტები ამოუცვამს, ფეხები კი – სახლის გაცვეთილ ფლოსტებში გაუყვია. რას იფიქრებთ?

ჰოდა, ვიფიქროთ!

ნ. დარბაისელი სტრონი

„შირის ნაღარა“, კლიფ ჰენგერი და გენერალი ფლოსტებში

პატარა რომ ვიყავი... ყველანი ხომ ვიყავით პატარები, არა? მეჯავრებოდა, მრავალსერიიანი ფილმის ნაწილი ზუსტად ისეთ ადგილზე რომ წყდებოდა, ყველაზე საინტერესო რამ სადაც უნდა მომხდარიყო. რაღაცნაირად მჯერა, რომ დღემდეც ბევრს აღიზიანებს იგივე რამ.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ეს არის ცნობილი გამომსახველობითი ხერხი, რომელიც კინემატოგრაფიამ – უძველესი აღმოსავლური მწერლობიდან ისესხა, ოღონდ უკვე ინგლისურენოვანი მწერლობის გზით, ხოლო ინგლისურენოვან ლიტერატურაში, მეთვრამეტეს ბოლოსა და მეტადრე, მეცხრამეტე საუკუნეში მის ფართოდ გამოყენებას გასაქანი მისცა. გასაქანი მისცა ჟურნალისტიკის... არა, არა, იმგვარი, მისთვის საბაზო კომერციული საქმიანობის ინტენსიურმა განვითარებამ, როგორიცაა პოლიგრაფიული ბიზნესი და რომლის მიმართაც დაახლოებით იგივე და კიდევ უფრო დიდი ვალი აწევს მის სინქრონულად განვითარებად ჟურნალისტიკას.

ამ ხერხს ინგლისურად ეწოდება კლიფ-ჰენგინგი (ცლიფფჰანგინგ), ხოლო ნაწარმოების რაიმე ფრაგმენტის, ნაწილის იმ დასასრულ მომენტს, სადაც ეპიზოდი კი არ იკვრება კომპოზიციურად, არამედ „ღია რჩება“ ანუ ამბის განვითარება, თხრობა კი არ მთავრდება, არამედ „უადგილოდ“ წყდება, რათა შემდგომ ნაწილში გაგრძელდეს – „კლიფ ჰენგერი“ (ცლიფფჰანგერ) ეწოდება.

სიმარტივისთვის, გავიხსენოთ ჩვენი ყოველდღიურობიდან – რაიმე სერიული ფილმის ყურებისას მისი „დღიური პორცია“ მაინცადამაინც ყველაზე საინტერესო მომენტში რომ მთავრდება.

რომ ვთქვი, ინგლისურენოვანი ლიტერატურა ამ მხრივ ძველაღმოსავლურის ტრადიციას იყენებს მეთქი, ვიგულისხმე უძველესი ჩინური ამბების კრებულები, ინდურები, („მაჰა ბჰარატას“ წიგნების ნაწილი) და რაც მთავარია, სპარსული ლიტერატურის შედევრი „ათას ერთი ღამე“, რომელიც არა ერთი ვინმე ავტორის, არამედ წლებისა და საუკუნეების მანძილზე სხვადასხვათა მიერ იქმნებოდა, გროვდებოდა და სიუჟეტურად შემკრავი ფრეიმი, ანუ ჩარჩო – მხოლოდ შუასაუკუნეებში გაუჩნდა. ამ ჩარჩოს შემქმნელად რამდენიმე ავტორს კი ასახელებენ, მაგრამ ზუსტად რომელი იყო, ჯერ კიდევ გასარკვევია.

***

გავიხსენოთ ფრეიმი:

შაჰრიარი რძლის ღალატით და მის მიმართ ძმის, თავადაც შაჰის ლმობიერებით უკმაყოფილოა. თვითონ – ღალატის გამო, სიცოცხლეს გამოასალმა ცოლი. იგი დაასკვნის, რომ ღალატი – ქალთა საერთო ბუნებაში დევს და ერთღამიან ცოლქმრობას სჯერდება.

შაჰრიარის ერთგულ ვაზირს ერთხელაც ეს ნარჩევი „საპატარძლოები“ გამოელევა, ამის გამო სიკვდილით დასჯა მოელის და მამის სიცოცხლის გადასარჩენად მისი უმშვენიერესი და უჭკვიანესი ასული შაჰერეზადა შაჰთან მიდის სარეცელის გასაზიარებლად.

იგი, დილით მოსალოდნელი, უცილობელი სიკვდილისაგან თავის გადასარჩენად, ასეთ ხერხს მიმართავს – დღეში თითო ამბავს უყვება მეფეს და სწორედ იქ წყვეტს თხრობას, ანუ იყენებს „კლიფ ჰენგერის“ ხერხს, სადაც ყველაზე საინტერესო მომენტია, რათა მეფე მეორე ღამესაც დაელოდოს.

ნახტომი ინგლისურენოვან გარემოში!

პოლიგრაფიული ბიზნესის განვითარებამ დააყენა საჭიროება, პროდუქცია კარგად რომ გასაღებულიყო, კლიენტები რომ მოეზი-

ნინო დარბაისელი

დათ, გაზეთში გაგრძელებებით ექვეყნებინათ მაგალითად, დიკენსის ქმნილებანი. ამას წინ უძღოდა „ათას ერთი ღამის“ მეტად პოპულარული თარგმანი, რომელსაც თავდაპირველად, მოკლედ. „ღამეები“ ეწოდებოდა.

***

ახლა ქართულ სინამდვილეს დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ, რაიმე ანალოგიური ჩვენც ხომ არ გვქონია!

აქ, უპირველესად, მეცხრამეტე საუკუნიდან ფელეტონების, გაგრძელებების სახით ალ. ყაზბეგის ნაწარმოებების გამოქვეყნების ამბავი მიცოცხლდება თვალწინ.

გადმოგვცემენ, რომ მწერალს ასოთამწყობებმა სტამბაში მიტანილი თავის ნაწარმოების ფინალი შეაცვლევინეს, ახალი დააწერინეს. მათ, როგორც გაგრძელებების მკითხველებს – პოლიგრაფიული ბიზნესის კლიენტებს – არ მოეწონათ გმირის სიკვდილი.

ხომ არა გვაქვს კლიფ ჰენგერის ნიმუშები უფრო ძველ ქართულ ლიტერატურაში?

აქ ფრთხილად ვეფხისტყაოსნის დასახელება შეიძლებოდა. ნაწარმოები ისეა აგებული, რომ ფრეიმს ანუ ძირითად, შემკრავ სიუჟეტურ ჩარჩოს, რომელიც ცხადია, ფაბულისაგან განსხვავდება, სხვადასხვა, დაუსრულებელი „აქა ამბებიც“ აქვს, რომელთა გაგრძელებებსაც ელოდება მკითხველი. ვეფხისტყაოსანში – დასაწყისიდან, ძირითადი ამბის განვითარების ქრონოლოგიური ხაზი არა გვაქვს. ამბავში ვერთვებით შუაწელიდან, ტარიელს წარსულში უკვე ნესტანიც და სამეფოც დაკარგული აქვს, ავთანდილი კი ჯერჯერობით, მეფესთან ერთად სანადიროდ წასული პირტიტველა ჭაბუკია.

თარგმნილი ლიტერატურა, რაოდენ მაღალი ოსტატობითაც არ უნდა იყოს შესრულებული, მაინც თარგმნილია, ორიგინალის კულტურული გარემოსა და ისტორიის კუთვნილება, მისი პროდუქტი და თუმცა შესაძლებელია, ჩვენს ლიტერატურას, მენტალობას დიდი კვალიც დაამჩნიოს თარგმნის მერე, აქ ნუ შევეხებით.

სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნი ამ თვალსაზრისით, მე საგანგებოდ არ შემისწავლია. ახლაც წიგნი თან არა მაქვს, ამიტომ აქ ჩემს შეუმოწმებელ მოსაზრებებს დავჯერდეთ:

ერთი სიუჟეტური ფრეიმით – „უფლისწულის აღზრდის შესახებ მეფის სასახლის ნაზირ-ვეზირთა მსჯელობით“ შეკრული ეს წიგნი „ათას ერთ ღამეს“ არა მარტო – ამ – ფრეიმით შეკვრის ხერხით კი არა ჰგავს, არამედ იმითაც, რომ მასში აკუმულირებულია ანტიკური დროიდან – შექმნამდე სხვადასხვა კულტურებში ზეპირად თუ წერილობითად არსებული გონის სარგო ამბები.

თუმცა აქ ამბები ერთ მონაყოლში მთავრდება და არც მთავრდება, შიგ დამატებით გვაქვს, ასე ვთქვათ, ქვე-ფრეიმები. იწყება ერთი ამბავი, მისი გახსენება იწვევს მთხრობელის მიერ სხვა ამბების გახსენებას და ა.შ. ანუ სიმარტივისთვის წარმოიდგინეთ, ერთი, რაიმე, მეტალის მრგვალი სამაჯური (ფრეიმი), ამ სამაჯურზე რომ ეკიდოს რგოლები (ქვე ფრეიმები), იმ რგოლებზე (ქვე-ქვე ფრეიმებზე) – უფრო პატარა რგოლები, წვრილ რგოლებზე კიდევ რგოლები და ასე შემდეგ.

***

ახლა, რამ მიბიძგა ამის შესახებ კითხვისა და თქვენთვის გაზიარებისაკენ – პაოლო იაშვილის ერთ, ჩემი ფიქრით, ფინალისკენ დაუმუშავებელ სონეტში, რომელსაც „ხატაური“ ჰქვია, არის ასეთი სახე, კატა „კითხულობს ღამის ნოველებს“. ამ ლექსის ფორმა – სონეტი გენეტიკურად – დასავლურია, ევროპული, ხოლო პოეტური ანტურაჟი – ძირითადად, აღმოსავლური. ეგვიპტურ-ინდურ-სპარსული საუკუნოვანი სახე-სიმბოლოებით, კონოტაციებით დამუხტულ მის ტექსტში უცებ კატის მიერ ღამის ნოველების (დასავლური ტერმინი) თან კითხვა, მხოლოდ ეფექტურ მეტაფორად რომ გავიაზროთ და აქ შევჩერდეთ, ან ჩავთვალოთ, რომ რითმამ გამოიხმო ეს სიტყვა (გააცხოველებს//ნოველებს), მგონია, რომ არ ეგების, რადგან სახეობრივი პოლივალენტურობაც გაგვირბის, ზედმეტადაც ვავიწროებთ ლექსის კონტექსტს.

ვფიქრობ, აქ საქმე გვაქვს ასე ვთქვათ, სახის პოლიმეტაფორულობასთან – დეკოდირების რამდენიმე ისეთ შესაძლებლობასთან, რომელიც ყოფით რეალობასთან კი არ გვაგზავნის, კიდევ სხვა მეტაფორას/მეტაფორებს აჩენს, ანუ აქ, ჩემი ფიქრით, ნაგულისხმევია აღმოსავლურ ამბავთა, ევროპული ტრადიციით, ნოველათა კითხვა „ათას ერთი ღამიდან“.

მოკლედ, ეს ფრიად განსწავლული კატა

ლექსში ნაგულისხმევია ყოფილ მეფედ, რატომ ყოფილად? სფინქსობიდან (ქვაში გამარადისებული ლომისტანიანი კაცობიდან – ლომობიდან (აქ გავიხსენოთ ძალზე ცნობილი ანტიკური, აღმოსავლური თემა – სპილოებთან მონადირე ლომებისა, ბევრგან ქვაშიც გამოკვეთილი) აწ ქცეულა, დაკნინებულა კატად რომელიც აყურადებს(!!!) „ამართული ყურებით“ შირის (სპარს. ლომის) ნაღარას – ბრძოლისკენ, ნადირობისაკენ, ძველი მბრძანებლური ყოვლისმომრევობისაკენ მომხმობ ხმას ნაღარა-დოლის ბრაგუნისა, მაგრამ ვეღარ მისდევს. უკვე გაკატებულ- დაუძლურებული ხალიჩაზე, კომფორტის გარემოში განცხრომით გაწოლილა.

ალუზია აკაკიზე „ვეღარ გაჰყვირის ამაყად ჩემი დაფი და ნაღარა“.

მთლიანად გავიხსენოთ პაოლოს ეს შედარებით გვიანდელი სონეტი, რომელშიც მისი „დარიანული დღიურების ალუზიები ადგილი – ოთახი, დრო – გვიანი საღამო, ღამისპირი, ანტურაჟი – ბუხარი, აღმოსავლური ნივთები, პერსონაჟი – კატა ეს ყველაფერი კი საცნაურია, მაგრამ ლექსი მაინც დღიურების თავისებური „პოსტ ფაქტუმია“, მანამდე კი „შირის ნაღარასთან“ დაკავშირებით დავამატებდი. ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი შირვანი (ლომის ადგილი) რომელსაც, ზოგი ვერსიით, ეს სახელი ეტიმოლოგიურად მასთან ახლოს მდებარე, ლომის ანუ შირის ფორმის კლდის გამო დარქმევია.

დავითისა და თამარის პერიოდის საქართველოს ისტორიიდან გვემახსოვრება, რომ ქართველ მეფეთა რეგალიების ჩამონათვალში „შირვანშაც“ იხსენიება, ანუ შირვანიც მათს განმგებლობაში შედიოდა.

***

„მწუხრის საათი“, – ამ ორსიტყვიან სინტაგმაში მისი წევრის სინონიმურად სახეცვლილი, ამ გზით, კონოტაციურად გამდიდრებული იგივე „მწუხრის ჟამია“, რომლის დადგომაც უწინ საეკლესიო ზარების რეკვით ეცნობებოდა ღვთის მსახურთა თუ მრევლს. იგი მოსდევს მეცხრე ჟამს (4-6) სთ, საღამოს უწევს (7-9სთ) ანუ იწყებს „ჟამნის“ ახალ წრეს.

თუ ვინმე შეგვახსენებს, რომ სინტაგმა „მწუხრის საათი“ ელენე ბაქრაძეს აქვს გამოყენებული კიდევ ერთ ლექსში, სათაურით „პაოლოს მოლოდინში“, ვიდრე საკუთრივ იმ სონეტი-კონგლომერატის შესახებ დავწერდე რამეს, აქ მოკლედ შევნიშნავ ერთს, რომ იქ ბაქრაძე უკვე პაოლო იაშვილისეული, მზა პოეტური სინტაგმით სარგებლობს. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა და სხვა მაგალითები უკვე ნაჩვენები მაქვს, გასული საუკუნის ორმოცდაათიანებში მარიჯანისადმი მიწერილი მისი ერთი ლექსის მაგალითზე.

ამრიგად, პაოლოს ამ სონეტში „მწუხრის საათის“ შემოტანით დროითი პარამეტრი თან ხომ ზუსტდება, კონკრეტდება, თან ზოგადდება. (სიმბოლისტური ხერხი) გვაქვს კიდევ ერთი დროითი „დაზუსტება“ – მოქმედების ადგილია ზამთარში ბუხარდანთებული ოთახი.

ესაა ამ ლექსის „რეალური“ დრო-სივრცული პარამეტრები, ანუ მისი ვირტუალური „აქ და ახლა“, რისთვისაც ბახტინის სკოლის მიხედვით, ქრონოტოპიც შეიძლებოდა გვეწოდებინა.

ცხელი საღამო, ქვიშის სრბოლა, აურზაური

აუტეხნია შუაღამით წყეულ ზარნაშებს,

– ეს კი უკვე ოთახის, დასაზღვრული სივრცის ანტითესისის გაშლილი ბუნებრივ-კულტურული სივრცის, წარსულის „გახსენებაა“, რომელიც ცხელ ბუხართან ეძალება სფინქსობა-ლომობაგამოვლილ კატას.

გავიხსენოთ ვაჟა:

„კატა, რასაკვირველია, პატარა ცხოველია, მაგრამ მისებს არა ცხოველი არა ჰგავს ლომს.“

ერთი, ჩემი ფიქრით, საინტერესო მომენტიც, ლექსის „რეალობიდან“ თუ შევხედავთ სიტუაციას კატა – ლომი – სფინქსი – ჰიპერბოლაა, ხოლო თუ წარსულის პერსპექტივიდან გავიაზრებთ, ლიტოტესია, დამცრობაა: სფინქსი – ლომი – კატა.

***

ლევან ბრეგაძემ პაოლოს ამ სონეტის პირველ კატრენში გამოყენებულ ერთ ანჟამბემანზე გაამახვილა ყურადღება, ინტერნეტით ნაპოვნ ჩემს ვერსიაში კიდევ გვაქვს ერთი ნიმუში, რომელიც უადგილო მძიმის გამო იკარგება და მე ვასწორებ ჩემს ტექსტში („აურზაური აუტეხნია წყეულ ზარნაშებს“) არ ვიცი, ორიგინალში ზუსტად რა წერია.

პირველი ორი კატრენის დასაწყისი, ანჟამბემანური ტაეპები პარალელიზმის გამოყენებითაა აგებული, ოღონდ თან ერთმანეთთან ანტითეზისურ მიმართებაში არიან (აწმყო-წარსული).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დასაწყისი, ორი კატრენი ნიჭიერი შემოქმედისა და ოსტატის ანუ პაოლოს ნახელავია და ჩვენამდე უმნიშვნელოზე უმნიშვნელო ცვლილებებით მოვიდა, მაგრამ. და მაინც, რატომ ავიჩემე, რომ ეს პაოლოს ბოლომდე დაუ-

მუშავებელი სონეტია?

გაუგებრობა-ბუნდოვანებანი ტექსტში, რომელნიც მხატვრულ ინტენციას კი არ ემსახურებიან, არამედ „გაჩნდნენ“ დასასრულში, ტერცეტებში ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

1. ვისაც სონეტზე უმუშავია, იცის, რომ აქ მუზის დაჯდომა მხარზე და კარნახი არ გადის. სულ ავტორის სამუშაოა. ჯერ კარკასი შენდება სქემის მიხედვით, რითმები ირჩევა, იწერება პირობითი ტექსტი, რომელსაც ავტორი დამუშავებისას შეცვლის. პაოლოს დასაწყისი ორი კატრენი კარგად „გაუშალაშინებია“, ტერცეტებთან მუშაობა შეუწყვეტია.

ძირითადად, სწორედ ბოლო ორ ტერცეტშია თავმოყრილი, ის, რაზეც მე აზრს გამოვთქვამ.

მაგალითად, პირველ ტერცეტში „ღამის წიაღში ის კითხულობს ღამის ნოველებს“ „ღამის წიაღი“ – პირობითად უნდა იყოს ჩასმული.

ხოლო ბოლომდე დაუმუშავებელი, გადაუთეთრებელი ხელნაწერიდან ამ სონეტის გადამწერი ვინცაა, ვერ ფლობს ქართულს, ვერც ქართულ ხელნაწერს არჩევს იმდენად, რომ ტერცეტებში გადამწერისეული შეცდომებით „ამდიდრებს“ ტექსტს (მაგ. „აჰრუტუნებს, რომელიც ჩემ მიერ კონტექსტიდან გამოტანილი ვერსიით, უნდა იყოს აყურადებს“, კატის ყურების აქცენტირება, „ამართულ ყურთა“ მეშვეობით, ხომ ისედაც გვაქვს ამ სონეტის პირველ კატრენში).

არადა, სწორედ მისი ხელნაწერის უნებური წყალობით მოაღწია სონეტმა ჩვენამდე.

ერთ ადგილას იგი ბრძანებდა, პაოლო იაშვილმა ამ ლექსის შესახებ არაფერი იცოდაო, თან ამბობს, პავლე ინგოროყვას სურდა გამოქვეყნებაო.

ლევან ბრეგაძემ დამაჯერებლად ახსნა, რისი ნიშანია, როცა ვინმე უკითხავად რაიმეს მტკიცებას მოჰყვება.

რატომ არ დაუბეჭდა პავლე ინგოროყვამ ეს სონეტი ე. ბაქრაძეს?!

– რაკი სონეტი – მყარი ფორმაა, პასუხად მეც ფორმასთან დაკავშირებულ ასეთ მაგალითს დაგიტოვებთ:

რომ დაინახოთ მეფე, ვინმე წარჩინებული, ქუდიდან წელამდე შეხედოთ მის ბრწყინვალე გარეგნობას, თვალი ჩააყოლოთ და რას ხედავთ, შიშველ ფეხებზე შორტები ამოუცვამს, ფეხები კი – სახლის გაცვეთილ ფლოსტებში გაუყვია. რას იფიქრებთ?

ჰოდა, ვიფიქროთ!

პაოლო იაშვილი

ხატაური

მწვანე ხავერდი, ვერცხლის ბეწვი და ხატაური
ჭრელ ხალიჩაზე ჩაჰკვდომია სპარსეთის რაშებს...
დათენთილ ბრჭყალებს ამახვილებს და ათამაშებს,
ამართულ ყურთა ესმის უცხო ქვეყნის ხმაური.
ცხელი საღამო, ქვიშის სრბოლა, აურზაური
აუტეხნია შუაღამით წყეულ ზარნაშებს,
ო, რა უხდება, ამპარტავან, აშლილ ულვაშებს
მისი სვლა ასე მომხიბლავი და უცნაური.
მწუხრის საათზე სფინქსის სახე გააცხოველებს,
ღამის წიაღში ის კითხულობს ღამის ნოველებს
და განუწყვეტლივ აყურადებს შირის ნაღარას.
პატარა თითებს კარგად ახსოვთ სპილოსთან
ბრძოლა.
რა დროს დაიწყებს ზამთრის სუსხში ბუნება
ძრწოლას,
ბუხრის სითბოზე მოიგონებს ყვითელ საქარას.

ISSN 1512-3995

ISSN 1512-3995